

გივი გამსახურდია

**ფინანსების როლი  
საქართველოს  
ბარდამავალ  
ეკონომიკაში**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი  
1997

წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ფინანსების როლის პრობლემებზე პირველი კომპლექსური სამეცნიერო მონოგრაფიული გამოკვლევაა, სადაც განხილულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსების არსი და როლი ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფაში, გაანალიზებულია საქართველოს მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზები და ინდიკატური გეგმის საფუძველზე მოცემულია კრიზისიდან გამოსვლის გზები, გადმოცემულია საქართველოს ბიუჯეტის მმართველი ფაქტორები, სახელმწიფო ხარჯების მიზნობრიობისა და ოპტიმალური რეგულირების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და მათი სრულყოფის პროცესი, ბიუჯეტური დეფიციტის დაფინანსებისა და საგარეო ვალის რესტრუქტურისაციის საკითხები, დასაბუთებულია საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის გარდაქმნის ეფექტურობის, საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო ფინანსური პროგრამის პრაქტიკულად ამოქმედების, ბიუჯეტის შემოსავლების რეზერვების, ბიუჯეტური დეფიციტის მართვის საკითხებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში. აღნიშნული მიზნით ჩამოყალიბებულია შემაჯამებელი ფორმით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე, თვითეული ზემოთ აღნიშნული საკითხების პრაქტიკულად განხორციელებისათვის დასკვნა-რეკომენდაციები.

თუ რამდენად შეეძელით აღნიშნული პრობლემების თეორიული დამუშავება, პრაქტიკული განზოგადოება და საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის განვითარებაში სარგებლობის მოტანა თანამედროვე ეტაპზე და პერსპექტივაში, აღნიშნულის შეფასება ობიექტური მკითხველისათვის მიგვიჩვენია. ყოველ საქმიან შენიშვნას ავტორი სიამოვნებით გაითვალისწინებს მომავალში სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი შოთა ქისტაური

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი პარმენ ჯაფარიანი,  
დოცენტი ნოდარ ბერძენაძე

## შესავალი

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ფინანსების საბაზრო ორიენტაციის განვითარების თვალსაზრისით, პრაქტიკულად უფრო შორს წავიდა, ვიდრე ფინანსების თეორიების ეროვნული კონცეფციების მეცნიერული დამუშავებით. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ფინანსების თეორიების მეცნიერული დამუშავება კი არ უსწრებს პრაქტიკას, არამედ არსებული პრაქტიკის, უკვე მომხდარი ფაქტების ახსნით იფარგლება, რაც ასუსტებს ფინანსების თეორიების პრობლემების სრული დამუშავების ეფექტურობას, პერსპექტივაში ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მიმდინარეობის წინასწარ განსაზღვრას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველაზე აქტუალური და კარდინალური პრობლემაა ფინანსების როლის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა გულისხმობს *ჯერ ერთი*, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევას და *მეორე*, საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლისათვის პირობების მომზადებას. აღნიშნული პროცესები ერთმანეთისაგან მოწყვეტით კი არ მიმდინარეობს, არამედ ერთ მთლიანობაში იმყოფება და ურთიერთს განაპირობებს.

ყოველი ეკონომიკური სისტემა ცდილობს წარმოებისა და განაწილების მუშევრებით განსაზღვროს და შემდეგ გადაწყვიტოს ადამიანთა მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურეობაზე. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია კვლავწარმოების პროცესის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. ეკონომიკური სისტემა, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი - ფინანსური ურთიერთობები, ის მექანიზმია, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან წარმოების პროცესში ბუნებრივ და შრომით რესურსებს, ტექნოლოგიებს, საქმის მაძიებელ და მართვის უნარის მქონე ნიჭიერ ხალხს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური სისტემის ტიპს განსაზღვრავს პოლიტიკური გადაწყვეტილება, იგი გამოდის ამ გადაწყვეტილების შედეგიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური სისტემის ტიპი უნდა ჩა-

მოვალისმართებულს ქვეყნის, ერის განვითარების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე და არა ერთბაშად წინაპირობების მომზადების გარეშე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არავითარი შუა მოდელი საქართველო-სათვის არ გამოდგება, თუ არ იქნა გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკური თავისებურებების სპეციფიკა, ხალხის მიერ შერჩეული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის ეკონომიური წყობილება. მხედველობაში გვაქვს კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოების ყველა ის დადებითი ნიმუშები, რომლებიც შერეული ეკონომიკის სახით ხალხის ისტორიულ თავისებურებებს, ეკონომიკურ ინტერესთა ერთობლიობასა და ეკონომიკის ტრადიციულად ჩამოყალიბებულ სპეციფიკას მოესადაგება, ვინაიდან სოციალისტური სტრუქტურებიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამოცდილება გამზადებული სახით ამჟამად არ არსებობს და რაც არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისიც დახვეწას მოითხოვს. აღნიშნულს არც უცხოელი სპეციალისტები და ექსპერტები უარყოფენ.

დღეს მთავარია შერეული, მრავალწყობიანი, სოციალური მიმართულების საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ამოცანების ჩამოყალიბება, მასში ფინანსების როლის განსაზღვრა და საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის ოპტიმალური ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირება.

თანამედროვე პირობებში საბაზრო ეკონომიკას ალტერნატივა არა აქვს. დღეს მთავარია ხსოვად განვსაზღვროთ საბაზრო ეკონომიკის რომელი მოდელი მიესადაგება საქართველოს არსებული ეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკას, რანაირ საბაზრო ძალებს უნდა მოერგოს ფინანსები, მათი გამოყენების ურთიერთობები.

განვლილი პერიოდის გარდამავალი ეკონომიკის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საკუთრების ამა თუ იმ ფორმის მიმართ განსაკუთრებული უპირატესობის მნიშვნელობა არასწორია. ქვეყნის თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დაასაბუთა, რომ საკუთრების ამა თუ იმ ფორმამ უპირატესობა უნდა მოახდინოს ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პროცესში, ეკონომიკური მშენებლობის დასაბუთებით და არა მხოლოდ იდეოლოგიური დოგმებით განსაზღვრული პრივატიზაციის დაჩქარებით. სტაბილიზაციის მიღწევა შეიძლება არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის მეშვეობით დოლარებით, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საფინანსო პოლიტიკის გატარების საფუძველზე, გაფართოებული კვლევარმოების უზრუნველყოფისათვის ქვეყნის შიგნით დაგროვების მყარი წყაროების შექმნით. მხოლოდ მრავალწყობი-

ბიანი შერეული ეკონომიკა პასუხობს, როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს ისტორიული განვითარების ტენდენციებს.

სწორედ შერეული, სოციალურად ორიენტირებული, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა იძლევა სახელმწიფო და კერძო სექტორის, საკუთრების მუნიციპალური და კოოპერაციული ფორმების, შერეული - უცხოეთის კაპიტალებით შექმნილი ერთობლივი საწარმოთა ფუნქციონირებისა და რაც მთავარია, ქვეყანაში სახელმწიფო, კოლექტიური და პირადი ინტერესების შეხამების საშუალებას.

რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ ნიშნავს ახალი სტრუქტურების შესაქმნელად ძველის დაუყოვნებლივ ნგრევას, არ უნდა გვამინებდეს ახალი სტრუქტურების შესაქმნელად ზოგიერთი ადრე ნახშირი მეთოდის გამოყენება. საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა თავის თავში გულისხმობს ძველი და ახალი მეთოდების თანაარსებობას. გარდამავალი ეკონომიკა საბოლოო ანგარიშით მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ეკონომიკაში მდგომარეობის გამოსწორების ე.წ. „მოკური თერაპია“ მიუღებელია. იგი იწვევს უფრო ღრმა კატასტროფულ შედეგებს და საფრთხეს უქმნის მოსახლეობის არსებობას. „საბაზრო ეკონომიკა იუ იცის უმუშევრობა, შიმშილი და მოსახლეობის ნაწილის სიკვდილი“ - როგორც ამას აღნიშნავს საბაზრო ეკონომიკაში ჩაუხედავი საქართველოს მთავრობის ყოფილი ზოგიერთი ხელმძღვანელი-ეკონომისტი, ასეთი ეკონომიკის აშენებას არა მგონია ვინმე დაეთანხმოს. პირიქით, საბაზრო ეკონომიკის მოფიქრებული, გააზრებული, მარტო წიგნში წაკითხულით, უცხოელ ცნობილ ეკონომისტებთან სურათის გადაღებით კი არა, პრაქტიკულად გამოცდილების შემოწმების შემდეგი ღონისძიებების დანერგვით მცირდება ყველა ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მომენტები და აღამიანს იძლევა თავის ნიჭისა და უნარის გამოვლენის საშუალება. ამიტომ ძველი ეკონომიკური ფორმებიდან ახალზე გადასვლა უნდა მოხდეს თანდათანობით, ახლის შესაძლებლობების ზრდის კვალობაზე და არა ერთბაშად, როგორც ამას ზოგიერთი ქართველი „მსოფლიო მასშტაბის ეკონომისტი“ ქადაგებს.

ფინანსების როლის განსაზღვრისას საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციაში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ გაკეთდეს რეალური, სწორი დასკვნები ადრე და ამჟამად ეკონომიკურ განვითარებაში დაშვებული სუბიექტური და ობიექტური შეცდომებიდან. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური ინტერესების, როგორც საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალების წინა პლანზე წამოწევა, მათზე განსაკუთრებული ყუ-

რადღების გამახვილება. სწორედ ფინანსების მეშვეობით უნდა მოხდეს ეკონომიკური ინტერესებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა, მათი, არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დარეგულირება.

ეკონომიკური სისტემის პირველი შემადგენელი ნაწილია საქონლის წარმოებისათვის ბუნებრივი რესურსები. ამ მხრივ საქართველო მდიდარია მინერალური რესურსებით და ნაყოფიერი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებით, რასაც თან ერთვის საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა. ეკონომიკური სისტემის მეორე შემადგენელი ნაწილია კვალიფიციური თავისუფალი მუშახელის ოდენობა. ამ მხრივაც საქართველოში ყოველთვის იყო და ამჟამადაც არსებობს კვალიფიციური თავისუფალი მუშახელის სიჭარბე, რათა დაგვეკმაყოფილებინა მუდმივად მზარდი ეკონომიკის მოთხოვნები.

გარდამავალი ეკონომიკა ნიშნავს მის განვითარებას, კერძოდ, ძველი სისტემურობის სტრუქტურულ დაძლევას და ახალი სისტემურობის ჩამოყალიბებას. ძველი ტოტალიტარული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საფინანსო სისტემის დაძლევის მიზეზია, ასეთი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იმანენტური კანონზომიერების მექანიზმთა მოშლა და მათ აღვიღზე სპირალური, თანდათანობითი მაგრამ მძლავრი იმპულსებით, ახალი სისტემურობის იმანენტური კავშირების შექმნა. ეს პროცესი სტრატეგიული ხასიათისაა და მისი საბოლოო ფორმირება ნიშნავს ახალი სისტემური განვითარებისათვის უმთავრესი უნარის შექმნას.<sup>1</sup> ყოველივე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული *ჯერ ერთი*, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე საფინანსო პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის მკაცრად განსაზღვრაზე; *მეორე*, სახელმწიფოს საფინანსო სისტემის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის დაჩქარებაზე და *მესამე*, სამეურნეო სტრატეგიების ფორმირებისა და მიღწევის უნარის გამომუშავებისათვის ადეკვატური სამეურნეო მექანიზმების შექმნაზე.

ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილების შესაძლებლობების გამოყენებას ხელს უშლიდა ბუნებრივი და შრომითი რესურსების შეერთებისა და გამოყენების წესი, ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები.

---

1. დ. იაკობიძე. გარდამავალი პერიოდის ქვეყნების საფინანსო სისტემის განვითარება: სტრუქტურული გარდაქმნები და ახალი სისტემების ჩამოყალიბება-ფორმირება. კრებული სამეცნიერო კონფერენციის თემაზე „საქართველოს ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში“, თბ., 1996 წ., გვ.4-5.

საქართველოში, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ეკონომიკის განვითარებას საფუძვლად ედო ცენტრალიზებული დაგეგმვა. საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ გეგმური ეკონომიკა არის ზომიერი, რომელიც შეუფერხებლად მიდის აღებული კურსის შესაბამისად, ხოლო საბაზრო ეკონომიკა ითვლებოდა უმართავ ორგანიზმად. ამასთან, გეგმიან მეურნეობაში დასაშვები იყო ცალკეული ჩავარდნები, მაგრამ ცენტრი აწარმოებდა მანევრირებას. სინამდვილეში კი სოციალისტური დაგეგმვის პრინციპები შორს იყო ტექმართებისაგან. ადმინისტრაციული დაგეგმვა ვერ უზრუნველყოფდა სახალხო მეურნეობის პროპორციების დამყარებას, მის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას. ასეთ პირობებში საქართველოშიც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა თანდათანობით უმართავი ხდებოდა. არც წარმოების, არც ფინანსების, ფასებისა და ხელფასების დაგეგმვა არ იძლეოდა ჩამოყალიბებულ კვლავწარმოების პროცესებზე ზემოქმედების რეალურ შესაძლებლობებს. სოციალიზმის ეს სისტემა, რომელშიც საგეგმო ორგანოები წამყვან როლს თამაშობდნენ ეკონომიკის მართვაში, არსებობდა არა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, არამედ ეკონომიკა არსებობდა საზოგადოებისაგან მოწყვეტით, საგეგმო ორგანოებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ არ სრულდებოდა არც თვიური, კვარტალური და წლიური გეგმები. ადგილი ჰქონდა მიწერებს, სახელმწიფოს აშკარად მოტყუების ფაქტებს და რეალური მდგომარეობის შელამაზებას ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით. ხშირად კვარტლის ბოლოს ცხადდებოდა „შაბათობები“, რომ გეგმისათვის როგორმე უშველათ მიწერების მშვეობით. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, წლიური გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები ძირეულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სხვაობა საშუალოდ 40-50% შეადგენდა, ხოლო ხუთწლიანი გეგმების - 15-20%. საერთო პროდუქციის, სასაქონლო პროდუქციის რეალზაციის გეგმები, შემხვედრი გეგმები. გეგმა-ვალდებულებები ნათელყოფდა თავდაპირველად შედგენილი გეგმების არარეალობასაც.

თანდათანობით უარესდებოდა გამოყენებული ეროვნული შემოსავლის სტრუქტურაც. 1980 წელს მოხმარებაზე მოდიოდა მთელი გამოყენებული ეროვნული შემოსავლის 73,7%, ხოლო დაგროვებაზე - 26,3%. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1988 წლისათვის შესაბამისად შეადგინა 86,9% და 13,1%; ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ თანდათანობით მცირდებოდა გაფართოებული კვლავწარმოებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები. ეცემოდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მაჩვენებელი, მცირდებოდა რეზერვებისა და დაგროვების ხვედრითი

წილი.<sup>1</sup> ყოველივე აახლოებდა დამანგრეველი ეკონომიკური კრიზისის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გამოვლენასა და მის საყოველთაო ხასიათს.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისი, როგორც ვხედავთ, უცბად არ წარმოშობილა და მისი პირველი საგანგაშო ნიშნები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდში გამოვლინდა. 1990 წლამდე წარმოების ტემპების დაცემასა და მისი მოცულობის შემცირებას თან სდევდა სახალხო მოხმარების საქონლის მყარი ზრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის მიუხედავად იქმნებოდა შესაძლებლობები, რომ სამომხმარებლო ბაზარზე გარკვეული პროპორციებით ბალანსირება შენარჩუნებულიყო და კრიზისის მხოლოდ სტრუქტურული ხასიათი მიეღო. 1990 წლიდან, წარმოების დაცემისა და მოსახლეობის შემოსავლების დონის შემცირების პირობებში, შეიცვალა თვით კრიზისის ბუნება. იგი საყოველთაო ხასიათს ღებულობს, რომელმაც საწარმოო სფეროსთან ერთად ფინანსური ურთიერთობაც მოიცვა. ამიტომ საფინანსო სისტემამ და მასთან ერთად ფულის მიმოქცევამ სრული დეფორმაცია განიცადა. ეკონომიკის კვლავწარმოების სტრუქტურებმა შეწყვიტეს თავის ფუნქციონირება ქვეყანაში დაგროვების წყაროს არ არსებობის გამო და ყოველივემ მოსახლეობა გალატაკებად მიიყვანა.

საქართველოში საშუალო ფორმებს იღებს ქვეყნის მოსახლეობის დეპოპულიაცია და ეროვნული გენოფონდის კვლავწარმოება. ხელფასის ზრდა ეკონომიკის საბიუჯეტო და ასევე კომერციულ სექტორში სულ უფრო განისაზღვრება არა შრომითი წილით სამეურნეო საქმიანობაში, არამედ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდის დინამიკით. ამასთანავე, ხელფასმა დაკარგა თავისი მასტიმულირებელი როლი წარმოების განვითარებაში და ფაქტობრივად გადაიქცა სოციალური დახმარების სხვადასხვა ფორმების ნაირსახეობად. საქმე ეხება არა შრომის ანაზღაურებაში ცალკეულ ნაკლოვანებებს, არამედ უფრო საშუალო და ღრმა პროცესს, განაწილების სტრუქტურების დეფორმაციას, ეროვნული გენოფონდის გაჩანაგებას. აღნიშნულს ემატება ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობისა და მოსახლეობის კვების გაუარესება, ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ზრდა, რაც საშუალო ფორმებს იღებს მომავალი თაობის ჩამოყალიბებაში.

საქართველოს გარდამავალი ეკონომიკა უკიდურესად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესებით ხასიათდება. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის სიძნელეებმა და რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა

---

1. იხ. ი. მესხია, მ. მურჯიკნელი, ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბ., 1996, გვ. 11.

ვითარებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

მართალია, უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით 1995-1997 წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქვეყანაში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის მიღწევის მიმართულებით, მაგრამ დღემდე სრულყოფილად არ არის შემუშავებული ინდიკატური გეგმის შესრულების შეფასება ფინანსური შედეგების მიმართულებით, ხოლო ამ კომპლექსური გეგმის პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების განსაზღვრა მუშაობის შემდგომ დახვეწას მოითხოვს.

დღეს საქართველოში ეკონომიკური რეფორმები რეალობაა. ამის საფუძველს იძლევა ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა და ფასების ლიბერალიზაცია. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფინანსური სტაბილიზაცია დროებით მოვლენად შეიძლება გადაიქცეს თუ არ ავამოქმედებთ წარმოებას და შესაბამისად ფინანსური რესურსების შინაგან რეზერვებს. ამიტომ სასურველია მომავალში სახელმწიფო ბიუჯეტი ხელოვნურად კი არ დავაბალანსოთ, ემართოთ მის საფუძველზე ეკონომიკა, არამედ პირიქით, ეკონომიკის ამოქმედებამ უმჯობესია რეალურად დააბალანსოს ბიუჯეტი.

საქართველოს, როგორც მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ჩამორჩენილობის დახშული წრის გარღვევისათვის სჭირდება სამი პირობა: 1. ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. 2. ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა ქვეყანაში ეკონომიკური წყობილების სახის მკაცრი მეცნიერული განსაზღვრით, რომელიც ეროვნულ თავისებურებებთან ერთად გაითვალისწინებს ეკონომიკურ ინტერესთა სწორ შეხამებას და მათ შორის დაპირისპირების შემსუბუქებას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. 3. ქვეყნის შინაგანი რეზერვების გამოვლენის საფუძველზე უცხოეთიდან დახმარებებთან ერთად კვლავწარმოების შინაგანი წყაროების ამოქმედება.

სოციალისტური ეკონომიკური სისტემის არაეფექტურობა სსრ კავშირში საბოლოოდ გამოიკვეთა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, როცა მკვეთრად გაუარესდა ენერგორესურსებისა და სხვა ნედლეულის მოპოვების პირობები და ტექნოლოგიურად დასაულებლად დიდად ჩამორჩენილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ჯერ სტაგნაციამ, ხოლო შემდეგ ძლიერმა დაქვეითებამ მოიცვა.

აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით მწვავედ აისახა საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც უკიდურესად დამოკიდებული იყო

შემოზიდულ ენერგეტიკულ და სანედლეულო რესურსებზე. საქართველოს ეკონომიკას წელიწადში დაახლოებით 12 მილიონი პირობითი ტონა სათბობი სჭირდება (ბუნებრივი და თხევადი გაზი, ნავთობპროდუქტები და მყარი სათბობი). სათბობის ბალანსში ძალზე უმნიშვნელოა ადგილობრივი სათბობის ხვედრითი წილი (525 ათასი პირობითი ტონა). რაც საერთო მოთხოვნილების ხუთ პროცენტს არ აღემატება. აღნიშნული მიზეზით ამჟამად რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა დეფიციტური ელექტროენერგეტიკა. რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის ნორმალურ ელექტრომომარაგებას სჭირდება 20 მილიარდი კილოვატსაათი. აქედან საკუთარი წარმოებით იფარება 14 მილიარდი კილოვატსაათი, დეფიციტის შესავსებად მუშობელ ელექტროსისტემებიდან გადმოდინებით ვიღებდით დაახლოებით 3 მილიარდ კილოვატსაათს, ხოლო 2-3 მილიარდი კილოვატსაათამდე დეფიციტად რჩებოდა და მომხმარებელთა შებლდევით ბალანსირდებოდა. ამრიგად, ენერჯისა და რესურსების ნაკლებობა წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.<sup>1</sup>

ჩვენი ეროვნული მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე. კერძოდ, 1989 წელს მოხმარებული ელექტროენერჯის მოხმარებადი, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის თითქმის მთელი მოცულობა, საქმიანი თქაქანის ოთხ მეხუთედზე მეტი, ცემენტის თითქმის ნახევარი, მარცელის სამი მეოთხედი, რძისა და რძის პროდუქტების სამი მეოთხედი, ხორცის მესამედი, შუბუქი მრეწველობის ნედლეულის ცხრა მეათედი - რესპუბლიკაში გარედან შემოტანილ რესურსებზე მოდიოდა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჩვენი მანქანათმშენებლობა ორიენტირებული არ იყო რა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნებზე, მანქანა-მოწყობილობის ნაწილების 95 პროცენტამდე ძირითადად საბჭოთა კავშირის რეგიონებიდან შემოგვექონდა. აღნიშნული ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში, მხოლოდ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და „მარტო ბორჯომი გვარჩენს“, „თეორიების“ უსუსურობას.

ნაშრომის ავტორი პრეტენზიას არ აცხადებს საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფინანსების როლის მთელი ეკონომიკურ-პოლიტიკურ

---

1. მთლიანად ნაშრომში მოყვანილი ციფრობრივი მასალები ავტორის მიერ აღებულია ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროში, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტში, ეროვნულ ბანკში არსებული მასალების გაანალიზების და პირადი გაანგარჩების საფუძველზე. ასევე გამოყენებულია მასში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებებში, ქართველ და უცხოელ ეკონომისტთა შრომებში მოყვანილი ციფრობრივი მასალები.

პრობლემების ყოველმხრივ დამუშავებაზე, ვინაიდან ამ პრობლემების კვლევის ობიექტად აღება მოითხოვს უფრო ღრმა განხილვისათვის მრავალ ეკონომისტთა კოლექტიურ შრომას, ამიტომ ავტორის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული მუშაობის პერიოდში დაგროვილი გამოცდილების შედეგია. მიზნად ისახავდა შემდეგს: *ჯერ ერთი*, განგვეხილა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსების არსი და როლი ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფაში; *მეორე*, გვეჩვენებინა საქართველოს მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზები და ინდიკატური გეგმის საფუძველზე მოგვეცა კრიზისიდან გამოსვლის გზები; *მესამე*, გადმოგვეცა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მმართველი ფაქტორები, სახელმწიფო ხარჯების მიზნობრიობისა და ოპტიმალური რეგულირების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და მათი სრულყოფის პროცესი, ბიუჯეტური დეფიციტის დაფინანსებისა და საგარეო ვალის რესტრუქტურირების საკითხები; *მეოთხე*, გაგვესაზღვრა საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის გარდაქმნის მნიშვნელობა და მისი ეფექტურობა საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო ფინანსური პროგრამის პრაქტიკულად ამოქმედების, ბიუჯეტის შემოსავლების რეზერვებისა და ბიუჯეტური დეფიციტის მართვის საკითხები; *მეხუთე*, განგვეხილა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში. დაბოლოს, მოგვეცა შემაჯამებელი ფორმით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე, თითოეული ზემოთ აღნიშნული საკითხების პრაქტიკულად განხორციელებისათვის დასკვნა-რეკომენდაციები.

თუ რამდენად შევძელით კვლევაში პირველად აღნიშნული პრობლემების კომპლექსურად დამუშავება, პრაქტიკული განზოგადოება, ხელმეწიფობა და საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სარგებლობის მოტანა თანამედროვე ეტაპზე და პერსპექტივაში საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის პროცესის დაჩქარებაში, აღნიშნულის შეფასება ობიექტური მკითხველისათვის მიგვიჩნდია.

ყოველი კეთილმოსურნე, საქმიან შენიშნას ავტორი სიამოვნებით გაითვალისწინებს მომავალში სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, ვინაიდან თანამედროვე ეტაპზე ყველა საღად მოაზროვნე ფინანსისტ-ეკონომისტს აერთიანებს ერთიანი მიზანი: საზღვარგარეთის გამოცდილებისა და ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინ-

ნებით ფინანსების თეორიის განვითარების ეროვნული კონცეფციის შექმნა, იაფ-ფასიანი სამეცნიერო ტიტულების განდიდების მანიით შეპყრობილი ავტორიტეტის გაუთავებელი მოპოვებისათვის ძალების, ენერჯიის ფუჭად ხარჯვის მაგიერად, მთელი სამეცნიერო პოტენციალის გაერთიანება. მათი ქვეყნის შეჭირვებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სახელმწიფო პროგრამების დამუშავებაზე გადართვა, ამ პროგრამების რეალობაზე ერისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის ამაღლება და არა ამ უკანასკნელის სხვებზე გადაბრალება.

კრიტიკა ადვილია, მაგრამ საქმის გაკეთება უფრო ძნელია და ამიტომ ამ საქმეს უნდა ემსახუროს ყველა, ვისაც საქართველოს კეთილდღეობის სურვილი რეალურად აწუხებს და ეძებს გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. „ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნები, ჯერჯერობით მხოლოდ საერთო ვითარების ზოგადი ანალიზისას ჩნდება, ისიც ჩანასახოვანი სახით, ნაკლებად აქვს კონკრეტული რაოდენობრივი გამოხატულება“<sup>1</sup>. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ასევე ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის სამუელსონის მოსაზრებას, გამოთქმულს თავის წიგნში „ეკონომიკს“-ში, რომ „კვლევაში წარმატებების მიღწევისათვის, ყველა ჩვენ უნდა ვეცადოთ, გამოვიმუშაოთ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, უნარი დაეინახოთ ნიეთები, მიუხედავად ჩვენი მათ მიმართ სიმპათიისა და ანტიპათიისა, ისეთებად, როგორებიც ისინი არიან თავისთავად სინამდვილეში“.<sup>2</sup>

ავტორის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია კვლევის აბსტრაქციის მეთოდით, ისტორიული და ლოგიკური მეთოდების შეთავსებით, მაკრო და მიკრო ანალიზის გაერთიანებით, სინთეზის საფუძველზე საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ფინანსების როლის ეკონომიკური პრობლემების ჩამოყალიბება და შესწავლა, პრაქტიკული მასალების გაანალიზების საფუძველზე გაკეთებული თეორიული დასკვნების ამოქმედების მექანიზმის შემუშავება. იგი დაწერილია საბაზრო ეკონომიკის აღიარებული სპეცი-ალისტების, ეკონომიკურ მეცნიერებაში გარკვეული სკოლებისა და მიმართუ-ლებების ჩამოყალიბების, ყველა დროის ცნობილი ეკონომისტების ნაშრომების საფუძველზე. მასში გამოყენებულია საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პი-რობებში ფინანსური მეცნიერების განვითარების თეორიის საკითხებზე უკანასკნელ

---

1. ე. შევარდნაძე, საქართველოს მთლიანობა, დემოკრატიის განვითარება გარდაუვალია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 სექტემბერი, 1994.

2. Samuelson P. Economics. Ninth Edition, New York, 1973, p. 7.

დროს გამოქვეყნებული ქართველ და უცხოელ ეკონომისტთა შრომები, მასში გამოთქმული მოსაზრებები; ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა აზრები. ასევე ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევრობანკისა და სხვა უცხოეთის საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტთა დასკვნები, მათი ამოქმედების მექანიზმების სრულყოფის თვალსაზრისით, მოცემულია სახელმწიფო - ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე კრიტიკული ანალიზი და განსაზღვრულია კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ფინანსების როლის ამღლებისათვის და ამ მიმართულებით თანამედროვე ეტაპზე ფინანსური თეორიის განვითარების ეროვნული კონცეფციის შესაქმნელად.

ფინანსებისა და ფულის თეორიების მეცნიერულ დამუშავებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს მეცნირებათა აკადემიის აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს და პროფესორ ნიკოლოზ ქოიავას, რომლებიც მრავალი წლის სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ ქვეყნის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის პრობლემების კვლევის სამეცნიერო ცენტრს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრას. მათ შრომებში ფუნდამენტურად არის გამოკვლეული სხვა ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის თეორიების საკითხები. უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე აკადემიკოს ვ.ჩანტლაძისა და პროფესორ ნ.ქოიავას აღზრდილებს, ცნობილ ფინანსისტ-ეკონომისტებს, პროფესორებს: გ. ხელაიას, ნ.ბაგრატიონს, შ.ქისტაურს, ვ.პაპავას, ი.მესხიას, ე.მექვაბიშვილს, რ.კაკულიას. ა.ერგემლიძეს, მათთან ერთად ფინანსებისა და კრედიტის კათედრის ამჟამინდელ გამგეს, წარმოდგენილი მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორს, პროფესორ გ.გამსახურდიას, ძალასა და სიმბუნევეს გვმატებს შეგნება იმისა, რომ წლებისაგან გათეთრებულ ჩვენს აწვარდაცვლილ მეცნიერ პატრიარქებს საქართველოს ისტორიის განვითარების ძნელბედობის წლებშიც, ანარქიის ცივ ზამთრის გრძელ დამეებში წუთითაც არ გაუგდიათ კალამი ხელიდან. ისინი მუხლჩაუხრელად იდგნენ ეროვნული ფინანსური მეცნიერების სადარაჯოზე. შსოფლიო ფინანსური მეცნიერების სკოლებსა თუ რუსთაველის ბრძნულ სტრიქონებში ეძებდნენ იმპერიის მიერ დასეტყვილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის გზებსა და საშუალებებს.

როგორ სჭირდება დღესაც დილექტანტთა „ეკონომიკურ-ფინანსური თეორიებით“ თითქმის წალეკილ საქართველოს აკადემიკოს ვ.ჩანტლაძისა და პრო-

ფესორ ნ.ქოიავასათვის დამახასიათებელი სალი აზრი, ეკონომიკის ურთულეს საკითხებში გონივრული გარკვევა. მათი ნათელი ხსოვნისა და გაწეული შრომის დაფასების გამოხატულებას წარმოადგენს მათი ყოფილი მოწაფეების, კათედრის წევრებისა და თანამოაზრეების მიერ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ფინანსებისა და ფულის თეორიების პრობლემების მეცნიერული კვლევის გაგრძელება, წვლილის შეტანა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის საქმეში, რომელსაც ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა, სასიქადულო მამულშილებმა მთელი თავისი განვლილი ცხოვრება პირნათლად მოახმარეს.

## თ ა ვ ი I

# ფინანსების არსი და როლი კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში

## 1. ფინანსების არსი და როლი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების, განითვებული და ცოცხალი შრომის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება დამოკიდებულია როგორც ტექნიკურ პროგრესზე, ასევე სამუშაო ძალის განვითარების დონეზე, ორივეს ერთად პრაქტიკულ განხორციელებას კი განაპირობებს განსაზღვრული წარმოების წესზე დამყარებული კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა.

დღევანდელ პირობებში ყველა საღად მოაზროვნე ეკონომისტისათვის ნათელია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების ამოქმედების მეშვეობით ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევა და მისი შემდგომი აღმავლობა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების გარეშე შეუძლებელია, ხოლო საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში გადამწყვეტ როლს ფინანსები თამაშობს. იგი გამოდის, როგორც განუყოფელი ნაწილი საბაზრო ურთიერთობის და, ამასთანავე, უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს საზოგადოებრივ, კოლექტიურ და პიროვნულ ინტერესთა სწორი შეხამებისათვის სა-

ხელმწიფოს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, რომელიც ემყარება წარმოების მსხვილი ინდუსტრიის საფუძველზე ასოცირებულ მწარმოებელთა საზოგადოების შექმნას, მის სოციალურად ორიენტირებული, რეგულირებად შერეული ეკონომიკის მოდელით განვითარებას. სწორედ აღნიშნული განაპირობებს თანამედროვე ეტაპზე ფინანსების არსის, კვლავწარმოების პროცესში მათი ფუნქციონირების თავისებურებების ღრმა გაგების აუცილებლობასა და საზოგადოებრივი წარმოების ფაქტორების ეფექტიან განვითარებაში სრულად გამოყენების მნიშვნელობას.

ეკონომიკური პოლიტიკა უპერსპექტივოა, თუ იგი არ შეიცავს ფინანსების განვითარების ძირითად კონცეფციებს, ასევე უპერსპექტივოა ფინანსების ძირითადი კონცეფციები და გამოყენების მიმართულება, თუ ისინი არ არის გამაგრებული სახელმწიფოს პრაქტიკული მოქმედებით, კვლავწარმოების პროცესების ფინანსური უზრუნველყოფით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსების არსი და როლი კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ახსნილი. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ ეკონომიკის მართვის ცენტრალნიზებული - მბრძანებლური სისტემის პირობებში ფინანსური რესურსების ცენტრიდან განაწილების პრაქტიკა ამ პრობლემის მეცნიერული დამუშავების აქტუალობას ამცირებდა და ფაქტობრივად კვლევის მიღმა რჩებოდა. ამ კუთხით თეორიულ დამუშავებას ცვლიდა მხოლოდ ტერმინოლოგიის ირგვლივ კამათი, რომელიც მთელი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. კ.მარქისა და ფ.ენგელსის შრომების მიხედვით „ფინანსების“ ცნების ქვეშ ისინი გულისხმობდნენ ბიუჯეტურ და არაბიუჯეტურ ფინანსებს, ბიუჯეტურ ფინანსებში კი გულისხმობდნენ წარმოებით ურთიერთობებს, რომლებიც გამოიხატებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებსა და შემოსავლებში. ვ.ლენინი მათგან განსხვავებით ფინანსების ცნების ქვეშ სახელმწიფო ბიუჯეტის სმუალეებს, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს გულისხმობდა. ყოველივემ განაპირობა ფინანსების არსის განსაზღვრისას აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ამჟამადაც არსებობს.

ზოგიერთი ეკონომისტი იმდენად შორს წავიდა ცხოვრების სინამდვილისაგან მოწყვეტით, რომ ასაბუთებდა ფინანსების კატეგორია არ გულისხმობსო თავის თავში მისი გამოყენების პირობებს.<sup>1</sup> აღნიშნული მიდგომისა და მოსაზრების მომხრე ეკონომისტების თეორიული მსჯელობის უსუსურობას თავის ღრობე სათანადო

1. იხ. Аллахвердиян Д.А., Финансово-кредитная система СССР, 1982, стр. 24.

მეცნიერული, არგუმენტირებული დასაბუთებული პასუხი გასცა ცნობილმა ქართველმა ფინანსიტ-ეკონომისტმა, აკადემიკოსმა ვასილი ჩანტლაძემ.<sup>1</sup> იგი წერდა: „ფინანსურ ურთიერთობებს ორი მხარე აქვს. ერთი გამოსახულია იმ მატერიალურ სახსრებში, რომელთაც სახელმწიფო ითვისებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის სახით და იმ სახალხო მეურნეობრივ ცვლილებებში, რასაც ეს მითვისება იწვევს ეროვნული შემოსავლის განაწილებასა და გადანაწილებაში. ურთიერთობათა მეორე მხარე გამოსახულია სახელმწიფოს მიერ მატერიალური სახსრების გარკვეული დანიშნულებით გამოყენებასა და ამ სახსრებისათვის გარკვეული მიმართულებით მიცემაში“<sup>2</sup> (ხ. გ. ჩვენია გ.გ.). აკადემიკოს ვ. ჩანტლაძის ამ მოსაზრებას ჩვენ საესეებით ვეთანხმებით და შესაძლებლად მიგვაჩნია დაუმატოთ მხოლოდ ის, რომ ბიუჯეტის საშუალებით ფულადი სახსრების განაწილება და გადანაწილება არის ამასთანავე ფინანსური ურთიერთობა, რომელიც გამოხატავს განაწილებით განპირობებულ კაცულას, ფულის გადახდის ფუნქციის გამოყენებას.

ბიუჯეტური რესურსები, სახელმწიფო ფინანსები მართალია, სახელმწიფოსთან, მისი ეკონომიკური როლის განხორციელებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკონომიკური სფეროდან, წარმოებით ურთიერთობათა სისტემიდან არ გამოდის, ვინაიდან სახელმწიფო ფინანსებში მოცემულია სახელმწიფოს ეკონომიკურად გამოსახული არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მეცნიერება შეისწავლის ფინანსებს არა ზოგადად, არამედ ვიწრო მიზნობრივი მნიშვნელობით, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებში განივთებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რაციონალური გამოყენების ორგანიზაციას. აღნიშნული განმარტება ემყარება კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკონომიის ფუძემდებლების უილიამ პეტის, ადამ სმიტის და დავით რიკარდოს, ასევე ცნობილი ეკონომისტების ჯონ მეინარდ კეინსის,<sup>3</sup> კ. პოულდინგის,<sup>4</sup> პ. პალერის,<sup>5</sup> გ. ჰაბერლერის,<sup>6</sup> ე. ჰანსენის,<sup>7</sup> ს. ფიშერის, ე. ტანზის, ა. პრემ-

1. იხ. Чантлаძე В.Г. К вопросу о понятии финансов, Тб, 1989, стр. 50-59, 80-88.

2. ვ. ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები, თბ., 1972, გვ. 10.

3. Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, М., 1949, стр. 21.

4. K. E. Boulding, Principles of economic Policy, New York, 1958, p. 16.

5. P. Neller, Finanzpolitik, 1957, p. 9.

6. G. Haberler Prosperity and Depression, 1941, p. 45.

7. Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, пер. с англ. 1959, стр. 104.

ჩანდის, უ. ისტერლის, მ. ფრიდმანის მათი მიმდევრებისა და აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. სახელმწიფო ხარჯებს ახორციელებს არა იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს შემოსავლები, რომლებიც რაღაცისათვის უნდა დაიხარჯოს, არამედ, პირიქით, ხარჯების ობიექტური აუცილებლობა სახელმწიფოს აიძულებს გაანაწილოს და გადაანაწილოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური სიმდიდრე ფულადი რესურსების ფორმებისა და გამოყენებისათვის. ეს კი ხორციელდება სახელმწიფოს ჩარევის საშუალებით, საფინანსო პოლიტიკის მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მექანიზმების საგანი სწავლობს არა ზოგადად ფინანსებს, არამედ მათი გამოყენების „ფინანსურ ორგანიზაციას, ფინანსურ პოლიტიკას, ფინანსურ კანონმდებლობას, ბიუჯეტის შედგენისა და აღსრულების ნორმებსა და ფინანსების განვითარების ისტორიას“.<sup>1</sup>

ბიუჯეტური რესურსების, სახელმწიფო ფინანსების ძირითადი კატეგორიებია: ბიუჯეტი, სახელმწიფო ხარჯები, გადასახადები, სახელმწიფო კრედიტი, სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალი. ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების ყველა ურთიერთობათა მდიდარ ერთობლიობას წარმოადგენს, თავის მხრივ, რეალურ და კონკრეტულ წინა პირობას სახელმწიფო ფინანსების შესწავლაში. რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯების კატეგორიას, მისი გადმოცემა წინ უნდა უსწრებდეს გადასახადების კატეგორიას, ვინაიდან მათ შორის მიზნ-შედეგობრივი კავშირია და, ამასთანავე, გადასახადების მიმართულებასა და დანიშნულებას განსაზღვრავს. სახელმწიფოს მოთხოვნილებათა არსებობა, სახელმწიფო ფინანსების მიზანდასახული გამოყენება გვიჩვენებს სახელმწიფო შემოსავალთა მიმართულებას, იმას თუ რაში ხარჯავს სახელმწიფო მობილიზებულ ფინანსურ რესურსებს, ხოლო, თავის მხრივ, სახელმწიფო ხარჯების აუცილებლობა აპირობებს სახელმწიფო შემოსავლების მიღების გარდუვალობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხარჯების კატეგორიის მეორეხარისხოვან მოვლენად ჩათვლა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით აბსურდულია, რამდენადაც სწორედ სახელმწიფო ხარჯების ანალიზის მეშვეობით არის შესაძლებელი სახალხო მეურნეობაში რთული და მრავალმხრივი ფინანსური ურთიერთობების ახსნა.

ჯერ კიდევ უილიამ პეტმა თავის შრომაში „ტრაქტატი გადასახდელთა და მოსაკრებელთა შესახებ“ სახელმწიფო ხარჯების შესწავლის საკითხი წინ

1. ვ. ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები, თბ., 1972, გვ. 21-22.

წაუძღვარა სახელმწიფო შემოსავალთა საკითხის შესწავლას. ამით უ.პეტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ხარჯების აუცილებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო შემოსავლებს, როგორც ამ უკანასკნელის საფუძველს. ასევე ადამ სმიტმა თავისი შრომის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრისა ბუნებისა და მიზნების შესახებ“ მეხუთე წიგნი მიუძღვნა სახელმწიფო ფინანსებს, ხოლო ფინანსების გადმოცემას იწყებს სახელმწიფო ხარჯების განხილვით. ადამ სმიტის ზემოთ აღნიშნული შრომის მიხედვით ფინანსური მეცნიერების საგანი სახალხო სიმდიდრის იმ ნაწილის მიზნებისა და ბუნების შესწავლაა, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის და საერთოდ, სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად გამოიყენება (ხ.გ. ჩვენია გ.გ.). ყოველივე ერთხელ კიდევ მიუთითებს სახელმწიფო ფინანსების სისტემაში ხარჯების ანალოზის მნიშვნელობაზე და მის პრიმატზე შემოსავლებთან დაკავშირებით. ჯ.მ.კეინის აზრით, ფინანსური მეცნიერების საგანი არის ფინანსური ფაქტების, პრინციპებისა და ტექნიკის გამოკვლევა, ასევე გამოკვლევა იმ გავლენისა, რომელსაც ახდენს ეკონომიკაზე მთავრობის დაწესებულებების მიერ ფულადი ფონდების მოპოვება და ხარჯვა<sup>1</sup> (ხ.გ. ჩვენია გ.გ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ.კეინს ფინანსური მეცნიერების საგნად არა ზოგადად ფინანსები, არამედ მათი მობილიზაციისა და გამოყენების ორგანიზაცია, საფინანსო პოლიტიკა მიაჩნდა.

კვლევწარმოების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა გამოხატავს კვლევწარმოების ხარჯების მეურნეობრივი სუბიექტებისა და სახელმწიფოს მხრიდან აკუმულირებული ფინანსური რესურსების საფუძველზე დაფარვას და, ამასთანავე, არკვევს კვლევწარმოების ხარჯების დაფარვისათვის როგორ მიმდინარეობს ფინანსური რესურსების სახელმწიფო დაფინანსების, დაკრედიტებისა და ამორტიზაციის ფორმებით გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევწარმოების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა ეკონომიკის ფინანსური სტიმულირების, ფინანსური რეგულირებისა და საერთოდ საზოგადოების განვითარების პროცესებზე ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, სადაც ელინდება ფინანსების არსი და როლი კვლევწარმოების პროცესის სრულყოფაში. ამ ურთიერთობის პროცესში ფული ღებულობს ახალ თავისებურებას, მისი ზუთი ფუნქციის ზევით, ავითარებს რა ახალ ფუნქციას, აძლევს მას ახალ შინაარსს და

---

1. იხ. Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег. М., 1949, стр. 87-88, 263-264.

გადაიქცევა ფინანსებად. სახელმწიფო ფინანსები, როგორც სახელმწიფო ხარჯთა და შემოსავალთა ერთიანობა, წარმოადგენენ სპეციფიკურ წარმოებით ურთიერთობებს, რომლებიც განიხილებული არიან მატერიალურ სახსრებში ფულადი ფორმით.

ჩვენი აზრით არ შეიძლება ერთი და იგივე კატეგორია „ფინანსები“ და აქედან გამომდინარე ფინანსური მეცნიერების საგანი სხვადასხვანაირად განემარტოთ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს. რამდენადაც ფულის, როგორც საქონლის, განმარტება ერთნაირია ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის, აქედან გამომდინარე, ფინანსების განმარტებაც და ფინანსური მეცნიერების საგნის განსაზღვრაც საერთო უნდა იყოს მათთვის, ხოლო განსხვავება კი, ფინანსების, როგორც ფულადი ურთიერთობების, გამოყენებაში უნდა ვეძიოთ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ფინანსები წარმოიქმნება კვლავწარმოების პროცესის მეორე სტადიაზე, საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებისა და გადანაწილების დროს; მეორე ნაწილი ეკონომისტებისა კი ფინანსებს თვლის, როგორც მთლიანად კვლავწარმოების კატეგორიად. რომელია მათ შორის სწორი? აღნიშნულ კითხვას პასუხი რომ გავცეთ და განესაზღვროთ საკუთარი პოზიცია, განვიხილოთ მოკლედ ორივე შეხედულება.

ფინანსების განაწილებითი ფუნქციისა და მათი კვლავწარმოების მეორე სტადიაზე წარმოშობის მომხრეთა მსჯელობის მთელი წრე და ძირითადი არგუმენტები სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. პოტენციურად ფინანსური რესურსები, როგორც ფინანსური ურთიერთობების მატერიალური ნივთობრივი მატარებლები, წარმოიქმნება წარმოების სტადიაზე, როდესაც იქმნება ახალი ღირებულება და ხდება ძველის, განიხილებული ღირებულების ახალზე გადატანა. მაგრამ პირველ სტადიაზე ადგილი აქვს არა ფინანსურ ურთიერთობებს, არამედ იქმნება საქონლური ფორმით შრომითი პროდუქტები. ფინანსური ურთიერთობების რეალური ფორმირება ხორციელდება მეორე სტადიაზე, როდესაც გამოეყოფა რეალიზებულ ღირებულებას კონკრეტული ეკონომიკური ფორმები.

2. ფინანსების განმარტება, როგორც მთლიანად კვლავწარმოების კატეგორია არასწორია, რამდენადაც იგი რეალობას არის მოკლებული, ვინაიდან განაწილება და გაცემა კვლავწარმოების სხვადასხვა სტადიაა, რომლებსაც აქვთ თავისი სპეციფიკური გამოვლინების ფორმები და ამიტომ არ შეიძლება სხვა-

დასხვა ხასიათის ფულადი ურთიერთობები, წარმოშობილი კვლავწარმოების სხვადასხვა სტადიაზე, მიუკუთვნოთ ერთსა და იმავე კატეგორიის ფინანსებს.

3. ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ფულად ფორმით განაწილებასთან. წარმოადგენს ფინანსების კატეგორიის შინაარსს, ხოლო ურთიერთობები, რომლებიც წარმოშობიან სასაქონლო მიმოქცევის დროს ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით ღებულობენ ანგარიშსწორების ფორმებს. ეს უკანასკნელი ელინდება ჯერ ერთი, ფულის, როგორც საყოველთაო ეკვივალენტის მეშვეობით და მეორე, ფასებით, როგორც ღირებულების, ფულადი გამოხატულებით.

ასეთია მოკლედ სქემატურად მსჯელობის წრე და ძირითადი არგუმენტაცია ფინანსების კვლავწარმოების მეორე სტადიაზე წარმოშობისა და განაწილებითი ფუნქციის მომხრეთა.

რაც შეეხება ფინანსების, როგორც კვლავწარმოების კატეგორიის მომხრეების მოსაზრებებსა და არგუმენტაციას, რომლებსაც ისინი ემყარებიან, შემდეგია:

1. ფინანსური ურთიერთობები მრავალმხრივია. იგი წარმოშობა კვლავწარმოების ყველა სტადიაზე, მეურნეობრიობის წარმართვის ყველა დონეზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

2. ფინანსური ურთიერთობები წარმოიქმნება ფულადი საშუალებების მოძრაობის დროს, ასეთი მოძრაობა კი არსებობს კვლავწარმოების ყველა სტადიაზე;

3. კვლავწარმოების მთლიანობაში ელინდება ფინანსური ურთიერთობის ადგილი და მოქმედების საზღვრები, მათი სფერო და მოქმედების მიმართულებები. ფინანსური ურთიერთობები წარმოადგენს წარმოებითი ურთიერთობების მთელი სისტემის განუყოფელ ნაწილს, რომლებიც ორგანულად დაკავშირებულია მთელი კვლავწარმოების პროცესთან, მისი სტადიების ერთიანობასთან;

4. ფინანსების განაწილების ფუნქცია არასწორია, ვინაიდან იგი მათი აზრით არ გამოხატავს განაწილებითი ურთიერთობების სპეციფიკას, რამდენადაც ღირებულების განაწილებით პროცესს ემსახურება სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიებიც;

5. ფინანსების ცნებიდან გამომდინარე ამ ეკონომისტთა შორის არსებობს აზრთა სხვაობაც. ერთი ნაწილი, მიუხედავად აზრთა ერთგვაროვნებისა, ფინანსების ფუნქციებად თვლის ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ფუნქციას, ზოგი კი - განაწილებით და საკონტროლო ფუნქციას.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან, ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ მოსაზრებებს

ფინანსების კვლავწარმოების მეორე სტადიაზე წარმოშობისა და განაწილების შესახებ. მაგრამ დაუმატებთ შემდეგს:

1. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებით ფინანსები განხილულია საფინანსო პოლიტიკისაგან მოწყვეტით, რაც ამ პრობლემებზე კვლევის არსებით ნაკლად მიგვაჩნია;

2. ვაღიარებთ რა ფინანსების ფუნქციების შემდგომი კვლევის აუცილებლობას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ნაყოფიერია მეცნიერული დამუშავება პრობლემის, როდესაც გარკვევით არის ჩამოყალიბებული კვლევის საგნის განსაზღვრა. აღნიშნული აკლია ერთნაირად ორივე მიმართულების ეკონომისტთა შეხედულებებს, რამდენადაც ისინი კ.მარქსის, ფ.ენგელსის, ვ.ლენინის შრომებზე დაყრდნობით თავიანთი მოსაზრებების განმტკიცებისათვის, საკუთარი ინტერპრეტაციით ურევენ ერთმანეთში ფინანსების როლს, ფუნქციებს, მეთოდს, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის აღნიშნული საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში;

3. ფინანსური მეცნიერება შეისწავლის არა მარტო ფინანსებს, როგორც აბსტრაქციას, ეკონომიკურ კატეგორიას, არამედ მათი შექმნისა და გამოყენების ორგანიზაციას - საფინანსო პოლიტიკას. სწორედ ამ უკანასკნელზე კვლევის მიუქცეველობამ განაპირობა ერთსა და იმავე საკითხზე აზრთა მრავალსახეობა, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და კვლევის მხოლოდ ტერმინების განსაზღვრით შემოფარგვლა. არ შეიძლება ჩვენი აზრით ფინანსების კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს სხვადასხვანაირად განმარტება, არამედ განსხვავება ფინანსური ურთიერთობების სხვადასხვანაირ საფინანსო პოლიტიკის გატარებაში უნდა ვეძიოთ;

4. ფინანსების ფუნქციები აბსტრაქტია როდია, არამედ იგი იცვლება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გატარების დროს, იცვლება ერთი ფუნქცია მეორეთი, წარმოიშობა ახალი სინთეზი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ფინანსების არსის შეცვლას. ფინანსების ფუნქციები თავისთავად არ ხორციელდება, იგი სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკაში ვლინდება დასახული ეკონომიკური მიზნების შესრულებიდან გამომდინარე;

5. ფინანსები ყოველთვის ფულად ურთიერთობებს გულისხმობს, რომლის მემუვეობით ხდება სახელმწიფოს ფულადი ფონდების ფორმირება, მათი გამოყენება და კონტროლი. ფინანსების არსი მათ ფუნქციებში ვლინდება. ხოლო პრაქტიკულად საფინანსო პოლიტიკით ხორციელდება, რომლის ეკონომიკური შინაარსია სახელმწიფო შემოსავლებისა და გასაღების რაციონალური ორგანიზაცია;

6. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი აზრით ფინანსებისათვის დამახასიათებელია სამი ფუნქცია: 1. ფულადი ფონდების (შემოსავლების) ფორმირება; 2. ფულადი ფონდების (შემოსავლების) გამოყენება და 3. საკონტროლო ფუნქცია. ეს ფუნქციები პრაქტიკულად საფინანსო პოლიტიკით ხორციელდება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების რაციონალურ ორგანიზაციას.

ჩვენი აზრით, მიუხედავად დაზუსტებისა, უფრო სწორს წარმოადგენს ფინანსების, როგორც განაწილებითი ურთიერთობების განხილვა, მათი კვლავწარმოების მეორე სტადიაზე წარმოშობის დასაბუთება, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ უარყოფს ფინანსებს, როგორც მთელი კვლავწარმოების კატეგორიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

*ძირველი*, ფინანსური ურთიერთობები, მათი გამოვლინების ფორმები ღრმად არის დაფარული, რამდენადაც ისინი კვლავწარმოების ცალკეულ სტადიებზე ზედაპირულად არიან წარმოდგენილნი. მართალია, ფინანსური ურთიერთობები პოტენციურად წარმოების სტადიაზე წარმოიქმნება, მაგრამ თუ ღრმად დაუფიქრდებით ამ შემთხვევაში მწარმოებელი აწარმოებს არა ფინანსურ რესურსებს და ადგილი აქვს არა ფინანსურ ურთიერთობებს, არამედ ქმნის პროდუქტებს საქონლური ფორმით;

*მეორე*, ფინანსური ურთიერთობების რეალური ფორმირება ხორციელდება განაწილებით სტადიაზე, რამდენადაც ამ სტადიაზე იგი არსებობს განზოგადოებული აბსტრაქციული სახით და ობიექტური ხასიათის მატარებელი, რეალურად არსებული სპეციფიკური საზოგადოებრივი დანიშნულების ურთიერთობების გამოხატულებას წარმოადგენს, რომელიც ფულადი ფორმით ვლინდება. აქედან გამომდინარე, ფულადი ურთიერთობები წარმოიშობა ფულადი საშუალებების რეალურად მოძრაობის დროს, ფულადი საშუალებების რეალური მოძრაობა კი ხდება კვლავწარმოების მეორე სტადიაზე. ფულადი საშუალებების მოძრაობის არარსებობა წარმოებისა და მოხმარების სტადიებზე იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ სტადიებზე ფინანსურ ურთიერთობებს რეალურად წარმოშობის საფუძველი არა აქვს;

*მესამე*, ფინანსური ურთიერთობების წარმოშობის სფეროა კვლავწარმოების მეორე სტადია, სადაც ხდება საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების განაწილება მეურნეობრივ სუბიექტებს შორის მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, რომელთაგან თითოეული ღებულობს წარმოებაში პროდუქტის ნაწილს. აქედან

გამომდინარე, ფინანსების მთავარ თავისებურებას წარმოადგენს, როგორც ეკონომიკური კატეგორიისას, რომ ასრულებენ ფინანსური ურთიერთობების განაწილებით ხასიათს;

*მეოთხე.* ფინანსური რესურსების რეალური ფორმირება ხორციელდება რა განაწილების სტადიაზე. ე.ი. როდესაც ღირებულება რეალიზებულია და რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების სტრუქტურაში გამოიყოფა რეალიზებული ღირებულების კონკრეტული ეკონომიკური ფორმები. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მოგება, მართალია იქმნება წარმოების სტადიაზე, მაგრამ რაოდენობრივად ფულადი ფორმით ფორმირდება ღირებულების განაწილების პროცესში;

*მეხუთე.* ფინანსური რესურსების განხილვა, როგორც ფინანსური ურთიერთობების მატერიალური ნივთობრივი მატარებლები, საშუალებას იძლევა ფინანსები გამოვყოთ სხვა კატეგორიებისაგან, რომლებიც მონაწილეობენ ღირებულების განაწილებაში. ეს თავისებურება კი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ურთიერთობები ყოველთვის დაკავშირებულია მიზნობრივი შემოსავლების წარმოშობასთან, ფულადი ფონდების ფორმირებასა და დაგროვებასთან, რომლებიც კელაეწარმოების მეორე სტადიაზე ღებულობს რეალურად ფინანსური ურთიერთობების ფორმას;

*მექვესე,* ფინანსების ფუნქციები გამოხატავენ განაწილებითი ფუნქციის რეალიზაციის მექანიზმს, საფინანსო პოლიტიკას და არა ფინანსების კატეგორიის დამოუკიდებლად მოქმედების წესს. ფინანსების ფუნქციები თავისთავად არ არსებობენ, არამედ ვლინდებიან საფინანსო პოლიტიკის სწორად წარმართვაში. საფინანსო პოლიტიკა კონკრეტული გამოხატულებაა ფინანსური ურთიერთობების, მათი პრაქტიკული შესაძლებლობათა ასახვაა, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

„ფინანსების“ ცნების, კვლევის მეთოდოლოგიის, მათი ფუნქციებისა და ფინანსურ მეცნიერებათა საგნის განსაზღვრა ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური მეცნიერების საგნის განსაზღვრა სხვადასხვანაირად არის ჩამოყალიბებული, რომლებშიც აქცენტირება გაკეთებულია ჩვენი აზრით, ფინანსების ფუნქციებზე საერთოდ და არა ფუნქციების პრაქტიკულ გამოყენებაზე,<sup>1</sup> სოციალური სამართლია-

1. იხ. გივი გამსახურდია. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 1995, გვ. 45.

ნობის<sup>1</sup> დაცვაზე, რაც შედეგია, ცნობილი გერმანელი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის ლუდვიგ ერჰარდის სიტყვებით, რომ ვთქვათ, საფინანსო, სამეურნეო და სავალუტო პოლიტიკის ქაოსური განვითარებისა და ნამდვილი შეჯიბრების ეგოიზმით შეცვლის.<sup>1</sup>

ჩვენი აზრით, ფინანსური მეცნიერების საგანია საფინანსო პოლიტიკის შესწავლა, რომელიც გულისხმობს ფულადი ურთიერთობების საფუძველზე სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასაქვლების რაციონალურ ორგანიზაციას. ამ განმარტებაში ასახულია ფინანსების ცნებაც, კვლევის მეთოდოლოგიაცა და ფუნქციების განხორციელების პრაქტიკულ შესაძლებლობებთან ერთად, მათი მიზნობრივი გამოყენებაც.

საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ფინანსების გამოყენების ობიექტური წანამდღვრების რეალიზაცია საფინანსო პოლიტიკის მეშვეობით დამოკიდებულია იმაზე, როგორ კონკრეტულ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ფორმეში მიმდინარეობს ფინანსური ურთიერთობების ფორმირება. სწორედ საფინანსო პოლიტიკით, მისი ორგანიზაციული ფორმების მეშვეობით ხდება შესაძლებლობათა რეალურად გადაქცევა. აქედან გამომდინარე, საფინანსო პოლიტიკა ყოველთვის ობიექტური უნდა იყოს, მან უნდა გამოხატოს რეალური წარმოებითი ურთიერთობები ფინანსური ურთიერთობების ფორმით. საფინანსო პოლიტიკის სუბიექტურობა არ ნიშნავს ეკონომიკური ბაზისისაგან მოწყვეტას, არამედ სუბიექტური მიდგომა აბსტრაქტულ აზროვნებაში ობიექტურობის ასახვას, მის გადამუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას გულისხმობს.

ფინანსების გამოყენების სფერო, კვლავწარმოების პროცესზე მათი მოქმედების ხარისხი განისაზღვრება ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შინაარსით - საფინანსო პოლიტიკით. საფინანსო პოლიტიკის რაოდენობრივი ზემოქმედება კვლავწარმოების პროცესზე გამოიხატება ფინანსური რესურსების მობილიზაციაში, განაწილებასა და გამოყენებაში, ხოლო ხარისხობრივი, თვისებრივი ზემოქმედება გამოიხატება კვლავწარმოებაში მეურნეობრიობის სუბიექტების, მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების სწორ შეხამებაში. საფინანსო პოლიტიკაში რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლა დაკავშირებულია ფინანსური რესურსების ფორმირების წესზე, ფულადი ფონდების წარმოქმნის პირობებსა და პრინციპებზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს საკუთრების მრავალსახეობიდან გამომდინარე მეურნეობრივი სუბიექტების ეკონომიკურ ინტერესთა შეხამება.

---

1. იხ. Л. Эрхард, *Благосостояние для всех*, М., 1991, стр. 6, 11, 16.

აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის პირობების მომზადებაში.

## 2. ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფა

ფინანსური რესურსების შეუფერხებელ ფორმირებას, მათ რაციონალურ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში. კერძოდ, კვლავწარმოების ხარჯების დაფარვა, ხორციელდება რა მიზნობრივი დანიშნულების ფულადი ფონდების მეშვეობით, ობიექტიურად მოითხოვს. თავის მხრივ, ფინანსური რესურსების მოცულობის ზრდას. ფინანსური რესურსების სიდიდე, მათი ეფექტიანი გამოყენება, რომელიც მიმართულია ინვესტიციებზე, ქმნის წინამძღვრებს შემდგომში ინვესტიციების ზრდისათვის. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს წარმოების დამატებითი საწარმოო სიმძლავრეებით უზრუნველყოფას, კვლავწარმოების სრულყოფას, შესაბამის დარგებში შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის წინამძღვრების შექმნას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფინანსური რესურსების არასტაბილურობა იწვევს საზოგადოებრივი წარმოების ნატურალურ-ნივთობრივ და ღირებულებით სტრუქტურებს შორის ბალანსირების დარღვევას, დასახული ამოცანების შესრულებაში ფინანსების ზემოქმედების შეზღუდვას, საწარმოო და სოციალურ სფეროებში ინვესტიციების მასშტაბების შემცირებასა და, საერთო ჯამში, ეროვნულ შემოსავალში მოხმარების ფონდის ხვედრითი წილის დაცემას.

ფინანსური რესურსების ფორმირებაში მთავარ წყაროს წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის, მისი იმ ნაწილის ზრდა, რომელიც წმინდა შემოსავლის ფორმით არსებობს. წმინდა შემოსავალი და მისი ძირითადი ფინანსური ფორმა - მოგება განაპირობებს ფინანსური რესურსების მაღალ ან დაბალ ტემპებს. ფინანსური რესურსების სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურულ ცვლილებებზე, მისი მოცულობის ზრდაზე. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებისა ფინანსური რესურსების შევსების მნიშვნელოვანი წყაროა ამორტიზაციის ანარიცხები, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები, ბიუჯეტური სახსრების გარდამავალი ნაშთები, სადაზღვევო ორგანიზაციების სარეზერვო ფონდები, ქვეყნის ოქროს მარაგის ნაწილის გაყიდ-

ვიდან მიღებული საშუალებები, პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხები, ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული ფულადი საშუალებები და სხვ.

ფინანსურ რესურსების დინამიკაში დაცემითი ტენდენცია განპირობებულია საქართველოს ეკონომიკაში კრიზისული მოვლენებით, რომლებიც თავის ზეგავლენას ახდენენ მთლიანი შიდა პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის მოცულობებზე, სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებზე.

1996 წელს მრეწველობის პროდუქციის 637,2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის 25,7 პროცენტია. კვლევა უნდა შეენიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი 7,7 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით, ალბათ, აღრიცხვიანობის მოწესრიგების ხარჯზე, ვინაიდან სტატისტიკა არ ან ვერ ასახავს ეკონომიკაში რეალურ მდგომარეობას. სხვანაირად ვერ აეხსნით იმ მონაცემების სიზუსტეს, რომლებიც სტატისტიკურ მონაცემებშია წარმოდგენილი. სტატისტიკური მონაცემებით 1996 წელს ცელულოზა ქაღალდის წარმოება გაზრდილა 121,6 პროცენტით, როცა ამ სახის ერთ-ერთ საწარმოს ზუგდილში, აღნიშნულ პერიოდში საერთოდ არ უმუშავია. 1996 წლის მონაცემების ანალიზმა ამ მიმართულებით დაგვანახა შემდეგი: *ჯერ ერთი*, საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ნაწარმოები პროდუქციის ძირითადი და უმთავრესი მომხმარებელი იყო თვით ჩვენი ქვეყანა და იგი ფაქტობრივად გარეთ არ გასულა; *მეორე* სამრეწველო საწარმოების მზა პროდუქციის მარაგებმა 78,5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ნაწარმოები პროდუქცია ვერ იქნა რეალიზებული და მათ საწარმოებლად ნედლეულზე, ხელფასზე და სხვაზე დანახარჯები არამიზნობრივად იქნა გამოყენებული და ბიუჯეტმა ც აღნიშნულიდან შემოსავალი ვერ მიიღო; *მესამე*, სამრეწველო საწარმოებში დიდია დებიტორული დავალიანების სიდიდე და უმეტესობა უიმედოა გადახდის თვალსაზრისით. 1996 წელს მატერიალური და ფინანსური რესურსების უქონლობის გამო ათასამდე სამრეწველო საწარმოდან არ მუშაობდა 790, მათ შორის ისეთი საწარმოები, რომლებიც არც ისე შორეულ წარსულში საქართველოს მრეწველობის ფლაგმანებს წარმოადგენდნენ.

აღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნის ის, რომ მრეწველობაში ჯერჯერობით გაურკვეველია საკუთრებითი საკითხების რეალური სურათი, პრივატიზებულ საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ფუნქციონირებს, არ ასრულებს პრივატიზაციის დროს დადებული ხელშეკრულების მოთხოვნებს და

ამიტომ მსოფლიო სამრეწველო ბაზარში ამ სახით შესვლა შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაგისტრალური ფორმა უნდა გახდეს მსხვილი სამრეწველო ფირმების ერთიან საწარმოო ციკლში ინტეგრირება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს გაკოტრების შესახებ კანონის მექანიზმების პრაქტიკული ამოქმედებით, შიდა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, მათი კაპიტალების კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში დაბანდებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 1996 წელს ფუნქციონირებდნენ მეტ-ნაკლები შეფერხებით და ფინანსური სიძნელეებით მხოლოდ სამთო მოპოვებისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოები, რომლებსაც ნედლეულისა და გასადების ბაზარი ქვეყნის შიგნით ჰქონდათ. ამასთანავე, მრეწველობის ეს საწარმოები დღევანდელ პირობებში მორალურად მოძველებული ტექნიკითა და ტექნოლოგიით მუშაობენ. ასეთ პირობებში მრეწველობა ვერ გახდება ქვეყანაში მატერიალური სიუხვის მთავარი დარგი და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურებში მისი ინტეგრაცია ახლო მომავალში შეუძლებელი იქნება, ამიტომ გამოსავალი სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მასთან ერთად ბუნებრივ-ეკონომიკური უნიკალური პირობების გათვალისწინებით ტრანსპორტის, ვაჭრობის განვითარებაში და მომსახურეობის სფეროში უნდა ვეძებოთ (იხილეთ ცხრილი N 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს 1994-1995 წლებში საქართველოში შეიმჩნევა ეკონომიკის განვითარებაში, მიუხედავად ცალკეულ პერიოდში დაცემის ტენდენციისა, ეკონომიკის შესამჩნევი ზრდა და გამოცოცხლება. თუ 1990-1993 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა დარგების მიხედვით - მრეწველობაში შეადგენდა 27,7 მილიონ ლარს, სოფლის მეურნეობაში - 104,1 მილიონს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 19,2 მილიონს, მთლიანად მატერიალურ წარმოებაში - 161,9 მილიონ ლარს, მარტო 1994 წელს - მრეწველობაში შეადგინა 301,9 მილიონი ლარი, სოფლის მეურნეობაში - 406,7 მილიონი ლარი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 125,3 მილიონი ლარი, მთლიანად მატერიალურ წარმოებაში - 1,018.9 მილიონი ლარი, ხოლო 1995 წელს მრეწველობაში შეადგინა 434,2 მილიონი, სოფლის მეურნეობაში - 1.192.7 მილიონი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 135,4 მილიონი ლარი, მთლიანად მატერიალური წარმოების სფეროში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ შეადგინა - 2.265.3 მილიონი ლარი.

1996 წლისათვის საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ტენდენცია იყო საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი მატება. ფინანსური რესურსების

მთლიანი შიდა პროდუქტი 1990-1995 წწ. მიმდინარე ფასებში  
(მილიონ ლარებში)

	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.
მრეწველობა	3,4	5,1	17,5	1,7	301,9	434,2
სოფლის მეურნეობა	4,5	5,1	75,7	18,3	406,7	1.192,7
ტრანსპორტი და აკუმულირება	0,9	1,2	5,4	0,9	125,3	135,4
მშენებლობა	1,4	1,6	9,6	0,2	77,9	91,9
ვაჭრობა *	1,0	1,3	4,0	0,4	90,6	385,6
სხვა დარგები	0,1	0,1	0,8	0,0	16,5	25,5
სულ მატერიალური წარმოება	11,3	14,4	113,0	21,5	1,018,9	2.265,3
სულ არამატერიალური წარმოება	2,8	3,3	23,4	2,3	171,1	288,6
მშლდგ-ს, აქციზებისა და იმპორტის გადასახადების გარეშე	14,1	17,7	136,4	23,8	1.190,0	2,553,9
წმინდა გადასახადები	0,8	1,4	1,6	1,5	228,9	62,0
მშნ საბაზრო ფასებში	14,9	19,1	138,0	25,3	1,418,9	2,615,9

მობილიზაციის შედეგად გაიზარდა ბიუჯეტში აკუმულირებული თანხების მოცულობა. კერძოდ, ბიუჯეტში აკუმულირებული თანხა 2,3-ჯერ აღემატება 1995 წლის დონეს, დამატებული ღირებულების გადასახადი - 2,4-ჯერ, აქციზის თანხა თითქმის 8-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ 1996 წელს იმპორტული საქონლის დაბეგვრით დამატებული ღირებულების, საბაჟო გადასახადისა და ნაეთაპროდუქტებზე ფიქსირებული გადასახადის სახით ამოღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 6 მილიონ ლარზე მეტი, რაც 1995 წელს მობილიზებულ თანხებზე 6-ჯერ მეტია. 1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისაგან განსხვავებით 1996 წელს გაჩნდა დამატებითი ფინანსური რესურსები, კაპიტალური

შემოსავლების ფორმით გაიზარდა არასაგადასახადო შემოსავლებიც. 1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული წყაროდან მიღებულმა თანხებმა 22 მილიონი ლარი, ხოლო 1996 წელს - 31 მილიონი ლარი შეადგინა. საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებით საერთო მოცულობამ (უცხოეთიდან მიღებული გრანტებიდან შემოსავლის გარეშე) 461 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 259 მილიონი ლარით მეტია, ანუ თითქმის 2,5-ჯერ აღემატება 1995 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფინანსური რესურსების მობილიზაციის მიმართულებით მრეწველობის დარგში პროდუქციის გამოშვების ფაქტობრივმა ღონემ 1996 წელს ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის შესაძლებელ ნაკლები შეადგინა, რამაც, ბუნებრივია, თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა კვლავწარმოების პროცესის ფინანსურ უზრუნველყოფაზე, სამრეწველო წარმოებაში მიღებული მოგების ღონეზე. მთლიანობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შეუსრულებლობა განაპირობა საგადასახადო შემოსავლების 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული მაჩვენებლის შეუსრულებლობამ, კერძოდ, გადაუხდელობის პრობლემა უნდა ჩაითვალოს აღნიშნული უარყოფითი მოვლენის მიზეზად. 1995 წელს ბიუჯეტის წინაშე ვადაგადაცილებულმა დაეალიანების მოცულობამ 90 მილიონ ლარს გადააჭარბა, აქედან, საკენსიო ფონდში ვადაგადაცილებულმა დაეალიანებამ 1996 წელს 25 მილიონი ლარი შეადგინა.

საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციასა და კვლავწარმოების ფინანსურ უზრუნველყოფას საფრთხეს უქმნის სახელმწიფო საფინანსო სისტემის დაბალი ღონე. 1996 წელს დაგეგმილი ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტში 4 პროცენტამდე შემცირდა. დაფინანსებისა და მსოფლიო ბანკის სტრუქტურულ გარდაქმნათა მეშვეობით განხორციელებულმა უცხოურმა ფინანსურმა დახმარებამ საშუალება მოგვცა არაინფლაციური გზით მომხდარიყო ბიუჯეტის ამ დეფიციტის დაფინანსება, მაგრამ შემოსავლების დასახული 1996 წლის დეფიციტის მაჩვენებლის მიღწევა შესაძლებელ იქნა ხარჯების სრული მინიმუმამდე დაყვანით.

ბიუჯეტის შესრულებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულ იქნეს წარმოების გაფართოებისათვის, აქედან გამომდინარე, შემოსავლების ზრდისათვის და არა საზღვარგარეთის დახმარებებითა და კრედიტებით ნაყიდ პროდუქტიაზე, ფასების ლიბერალიზაციის საფუძველზე, ბიუჯეტის დეფიციტის დანარჩენი ნაწილის შევსებას.

დახმარებების მიღებითა და ფასების მომატებით, ნომინალური და მასთან ერთად რეალური ხელფასის შემცირებით, ბიუჯეტის დეფიციტის შევსება გაცილებით იოლია, ვიდრე წარმოების გაფართოებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის ფორმირება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი უპერსპექტივოა და დამლუპველიც. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ ჩვენში უკვე ფეხმოკიდებულ პრაქტიკას, უცხოეთიდან მიღებულ კრედიტებზე და დახმარებების არაღანიმუნულებით გამოყენების შესახებ, მათ არალეგალურ სტრუქტურებში მოხვედრის შესაძლებლობებს, საბოლოო ჯამში, მიღებული დახმარებების საზოგადოებრივი დანიშნულებით გამოყენების ეფექტურობა, ვფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს. დღეს ჩვენთვის მთავარია, ეკონომიკის რეალური გამოცოცხლება, შინაგანი და გარედან მოზიდული რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა, მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან ქვეყნის ხსნა და არა ციფრების მანიპულაციით, ლარის კურსის ხელოვნური განმტკიცებით, მოჩვენებითად ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დასაბუთება. უდეფიციტო ბიუჯეტი თვითმიზანი კი არ უნდა გახდეს, არამედ თანამედროვე ეტაპზე ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლებას უნდა მოხმარდეს. კვლავ მეტად სერიოზულ პრობლემად რჩება ფინანსური სექტორის სისუსტე. საქართველოს ეროვნული ბანკი, მართალია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში უკეთ მოერგო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, რასაც გვიჩვენებს მის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია კომერციული საბანკო სისტემის გაძლიერებისა და საფინანსო ბაზრის ფორმირების დაჩქარების მიმართულებით. მართებულად მიგვაჩნია ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მკაცრი სტანდარტების შემოღება, რომელმაც, თავის მხრივ, ზემოქმედება მოახდინა ბალანსების რესტრუქტურინაციასა და ვადაგადაცილებული სესხების პრობლემების მოგვარებაზე.

1996 წლის ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი რეჟიმის გატარების მეშვეობით კომერციული ბანკების რაოდენობა შემცირდა და დარჩა ინანი, რომლებმაც დროულად მოახერხეს ვადაგადაცილებული სესხების პრობლემის მოგვარება. კომერციულ ბანკებს მიეცათ უპირატესობა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში უცხოური საფინანსო ორგანიზაციების კრედიტების დაბანდების პროცესში. პარალელურად განმტკიცდა თვით ეროვნული ბანკის პოზიციაც ფულადი რეფორმის შედეგად და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებით შექმნილი 250 მილიონიანი

ლარის უცხოური ვალუტის მოცულობის რეზერვის ხარჯზე. ამ რეზერვმა საშუალება მისცა ეროვნულ ბანკს შეენარჩუნებინა ლარის სტაბილურობა ამ დოლარის მიმართ.

1996 წელს აგრარული სექტორის პროდუქციის წარმოების მოცულობამ შეადგინა 2 მილიარდი ლარი, რაც 1986-1990 წლების მაჩვენებლის 35 პროცენტია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ სფეროში უსაზღვროდ დიდი იყო მიწერები, ალბათ, ეს მაჩვენებელი რეალურად 60-70 პროცენტის ტოლი იქნებოდა. უფრო მეტიც, თუ მოხდება დღევანდელი და მაშინდელი (ე.ი. 1989-1990 წწ.) პერიოდის აგრარული წარმოების რენტაბელობის გაანგარიშება, ჩვენ მივიღებთ ასეთ სურათს: მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო მეურნეობები ძირითადად ხარალიანი იყვნენ და, ამასთანავე, სახელმწიფო დოტაციებზე იმყოფებოდნენ. აღწინასწარი გამოძიებები, რენტაბელობის დონე თვითღირებულების გაზრდის გამო მეტად დაბალი იყო და როგორც წესი, ბიუჯეტური დოტაციებით იფარებოდა, ერთი დარგის შიგნით მოგების გადანაწილების მშვევებით. აგრარულ სექტორში ნაწარმოები პროდუქციის რენტაბელობა დღევანდელ პირობებში 25-45 პროცენტის ფარგლებში მერყეობს და, ამასთანავე, ბიუჯეტიდან არააირი დახმარებებით არ სარგებლობს, თუ არ ჩავთვლით ხორბალს, რომელიც 1996 წელს და შემდგომ პერიოდში იყო სახელმწიფო დოტაციის ობიექტი.

1995-1996 წლებში აგრარულ სექტორში იზრდებოდა ინვესტიციები და ფაქტობრივად გაქრა ბიუჯეტური დეფიციტი, რაც კანონზომიერ პროცესად მიგვაჩნია. მაგრამ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში აგრარული სექტორი არ არის ისეთი დონით რენტაბელური, რომ არ საჭიროებდეს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ დღევანდელ პირობებში დადგა საკითხი სახელმწიფო შესყიდვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, ადრე არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების დადებითი გამოცდილების გათვალისწინება, საშუალებას მოგვცემს, რომ იგი გახდეს ფასების, წარმოების სტიმულირების რეგულიატორი და მოგების ნორმის მართვის იარაღი სამრეწველო, სევაჭრო, საფინანსო და აგრარული კაპიტალების ფუნქციონირების პროცესში. თანამედროვე ეტაპზე ინვესტიციები აგრარულ პროცესში ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფოს გარანტიით, ვინაიდან არცერთი ინვესტორი თავის კაპიტალს არ დააბანდებს იმ დარგში, სადაც მოგების ნორმა გატილებით ნაკლებია სხვა სფეროებთან შედარებით. ყოველივე გათვალისწინებულ უნდა იქნეს 1997 წელს, ვინაიდან იგი უნდა

გახდეს სოფლად საკუთრებითი ურთიერთობების რეალური გარდაქმნის პერიოდად. აღნიშნული შექმნის ბაზას სოფლად ინვესტიციების გაზრდისათვის. ჯერ კიდევ 1996 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ამ მიმართულებით. ასე მაგალითად, ათვისებულ იქნა გერმანიის აღმშენებლობის ორგანიზაციის პიერ გამოყოფილი 7 მილიონი გერმანული მარკის კრედიტი, რომლის მეშვეობით სოფლის მეურნეობამ და მისი პროდუქტების გადამამუშავებელმა მრეწველობამ მიიღო მოდერნიზებული 18 წისქვილი, 3 ზეთის სახდელი, ხორცის კომბინატი, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები. ამის გარდა მიღებულ იქნა რამოდენიმე მნიშვნელოვანი გრანტი და ცალკეული სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის წარმოება პირდაპირი გზით დაფინანსებულ იქნა უცხოელების მიერ. აღსანიშნავია ასევე ევროკავშირის ფონდის მიერ 10 მილიონი აშშ დოლარის სოფლის მეურნეობაში დაბანდების საკითხი. ეს მაჩვენებლები მომავალში გაიზრდება თუკი მოგვარდება უმოკლეს პერიოდში სოფლად მიწის კერძო საკუთრების პრობლემები.

ფინანსური რესურსების გარკვეული მიმართულებით წარმატებით მობილწება და მათმა მიზნობრივმა გამოყენებამ თავის შედეგი გამოიღო კვლავ წარმოების მაჩვენებლების გადიდებაში. 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 2,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1996 წელს წინა წელთან შედარებით ზრდამ 11 პროცენტი შეადგინა. ფინანსური რესურსების ზრდა კვლავ უმეტესწილად კერძო წარმოების სექტორის ხარჯზე ხდება. აღნიშნული კი მოითხოვს კვლავწარმოების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფისათვის შიდა რესურსების გამოვლენასა და ამოქმედებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კერძოდ, მრეწველობის რესტრუქტურისაციას, კერძო სექტორიდან და უცხოეთიდან ახალი ინვესტიციების მოზიდვის პროცესის დაჩქარებას. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სამი მეოთხედი კერძო სექტორში იქმნება, ხოლო სახელმწიფო შემოსავლებში მისი წილი ორ მესამედზე მეტია. რაც შეეხება ეკონომიკურ სტრუქტურაში კერძო სექტორის ხვედრითი წილის ზრდას, იგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მდგომარეობის შეფასებისათვის.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პრივატიზაციის პროცესის სრულყოფის მიმართულებით, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ფინანსური რესურსების მოცულობის ნაწილობრივ გადიდებას. პრივატიზაციის პროგრამების რეალიზაციის კვალობაზე კერძო მესაკუთრეთა ხელში გადავიდა 9200-ზე მეტი საწარმო და

ობიექტი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრივატიზაციის მიზანია არა მარტო სახელმწიფო ქონების გაყიდვით მიღებული თანხებით სახელმწიფო შემოსავლების ზრდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლისუნარიანი კერძო სექტორის განვითარება.

პრივატიზების შემდგომი გაღრმავების პროცესს საფუძვლად უნდა დაედოს ნებაყოფლობითი პრინციპი, კონკრეტული პირობების გათვალისწინება და რეალური ეკონომიკური ეფექტის მიღება, აუცილებელია იმ ეკონომიკური სისტემის ფორმირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმართვა. ამ საკითხებს შორის მთავარია: საპრივატიზაციო ქონების შეფასება, მყიდველთა სტიმულირების სისტემის ჩამოყალიბება, საფონდო ბირჟის ფუნქციონირება და სხვა ინფრასტრუქტურების საშსახურების შექმნა (აუდიტორიული, ფაქტორინგული და სხვ.), მათი ფუნქციონირებისათვის პირობების განსაზღვრა. აღნიშნულისათვის კი აუცილებელია ჯერ ერთი, უმოკლეს პერიოდში შემუშავდეს კანონპროექტი კერძო საკუთრების აბსოლუტური ხელშეუხებლობის შესახებ და მეორე, მისი პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების ჩამოყალიბება. სხვაგვარი მიდგომით, კანონი კერძო საკუთრების აბსოლუტური ხელშეუხებლობის შესახებ, ქაღალდზე დარჩება მისი შეუსრულებლობის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება ორი საკითხი: 1. ფინანსური რესურსების წარმართვა იმ პრივატიზებულ საწარმოებში, რომელთა რესტრუქტურიზაცია შესაძლებელია და 2. ქვეყანაში შიდა რესურსების სიმცირე და საწარმოთა რესტრუქტურიზაციის ამოცანა ობიექტურად მოითხოვს უცხოური ინვესტიციების მიმართ ღია ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაც უფრო მალე შესრულდება პრივატიზაციის პროგრამა მით უფრო ადრე შეძლებენ ინვესტორები კაპიტალის დაბანდების მიმართულებით დასაბუთებული ფინანსური გადაწყვეტილების მიღებას.

გაცვლითი კურსის სტაბილურობის, ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის იმედის მომცემი ნიშნების მიუხედავად, სახელმწიფო საფინანსო სისტემა სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ იძლევა საშუალებას ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი 1996 წლის ბიუჯეტში შესრულდა 93,7 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ძალიან დიდია გადაუხდელი გადასახადების მოცულობა და მათ შორის, ისევე როგორც თანხაში, მნიშვნელოვანია საურავეების ოდენობა.

1996 წელს არსებული საგადასახადო დავალიანების ანალიზიდან ჩანს, რომ

ამ მიმართულებით რეზერვები საკმარისი ოდენობით არსებობს. მაგრამ საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამოსაღები თანხის თითქმის ნახევარს საურავეები შეადგენენ. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ისედაც მცირე მოგებას ისინი მინიმუმამდე დაიყვანს და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით კელაეწარმოების პროცესს შეაფერხებს და, ამასთანავე, მომავალში დაბეგვრის ობიექტების არსებობას ეჭვქვეშ დააყენებს. ყოველივე გათვალისწინებულ უნდა იქნეს საგადასახადო კოდექსის მიღების დროს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საურავეების დაბალ ღირებულებას, გადასახადების ოპტიმალურ, რაციონალურ ვარიანტს. ასევე გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის ტექნიკის სიმარტივეს, ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორების გამორიცხვის შესაძლებლობებს.

### 3. საქართველოს მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზები და კრიზისიდან გამოსვლის გზები

საქართველოს მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის დროს აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური გარდაქმნების ნორმალურ მსვლელობაზე. აღნიშნული ამოცანების შესრულება მეტად რთულია, რამდენადაც ეს ფაქტორები ხშირად ერთმანეთშია გადახლართული და ურთიერთგანპირობებული, ამასთანავე, ისინი ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშიც იმყოფებიან.

საბაზრო ეკონომიკის ორი განზოგადებული მოდელი არის ცნობილი. პირველი, ეს არის კეინსიანური ტიპის საბაზრო მოდელები, რომელთა მიხედვით პრიორიტეტები ეკონომიკურ გარდაქმნაში წარმოების სფეროს, ეკონომიკაში სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევის საფუძველზე, რეგულირებას ეკუთვნის. მეორე მოდელი კი ემყარება მონეტარულ თეორიას, რომელიც უშუალოდ მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და ფულად-საკრედიტო სისტემების რეგულირებაზეა დამყარებული. ისმება კითხვა, რომელ გზას დაადგეს საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის პროცესში? აღნიშნულ კითხვას, რომ გაცეით პასუხი აუცილებელია საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის დრმა ანალიზი და, აქედან გამომდინარე, საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრა, მისი

სტრატეგიისა და ტაქტიკის ჩამოყალიბება. საქართველოს ეკონომიკის, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის მიმართულებით, ტაქტიკური ღონისძიებების რეალიზაციისათვის აუცილებელია პრიმიტი, ჯ.კეინსის თეორიიდან გამომდინარე, წარმოების სფეროს მიენიჭოს და ეს მოგვეცემს საფუძველს დასახული მიზნის მიღწევისათვის მაკროეკონომიკური ასპექტებით, ფინანსებისა და ფულად-საკრედიტო სისტემების რეგულირებაზე გადავიდეთ.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისი უცბად არ წარმოშობილა და მისი პირველი საგანგაშო ნიშნები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდში გამოვლინდა. 1990 წლამდე წარმოების ტემპების დაცემისა და მისი მოცულობის შემცირებას თან სდევდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მყარი ზრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის მიუხედავად იქმნებოდა შესაძლებლობები, რომ სამომხმარებლო ბაზარზე გარკვეული პროპორციებით ბალანსირება შენარჩუნებულიყო და კრიზისს მხოლოდ სტრუქტურული ხასიათი მიეღო. 1990 წლიდან, წარმოების დაცემისა და მოსახლეობის შემოსავლების ღონის შემცირების პირობებში, შეიცვალა თვით კრიზისის ბუნება, იგი საყოველთაო ხასიათს დაბულობს, რომელმაც საწარმოო სფეროსთან ერთად სოციალურ-კულტურული სფეროც მოიცვა.

ასეთ პირობებში ფასების ლიბერალიზაციის ნაჩქარევად, ყოველგვარი წინასწარ მომზადების გარეშე შემოღებამ მიგვიყვანა ინფლაციის პროცესის გაღრმავებამდე და 1991 წლის ბოლოს ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემამ და ფულის მიმოქცევამ სრული დეფორმაცია განიცადა, რასაც თან მოჰყვა ნაღდი ფულის ემისიის დიდი მოცულობით გადიდება, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასაქვლების არამიზნობრივი, არარაციონალური გამოყენება. მოსახლეობის ცხოვრების დონემ უკიდურეს სიღარიბის ზღვარს მიაღწია, ეკონომიკის კვლავწარმოების სტრუქტურებმა შეწყვიტეს თავისი ფუნქციონირება ქვეყანაში დაგროვების წყაროს არარსებობის გამო. ყოველივემ მოსახლეობის მდგომარეობის გაღატაკებამდე მიგვიყვანა.

უმძიმესი ვითარებაა ქვეყნის სამრეწველო კომპლექსში, სადაც უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო ეცემა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება როგორც ღირებულებით, ისე ნატურალურ გამოხატულებაში. ანალოგიური ვითარებაა აგრარულ კომპლექსში, სადაც აუთვისებელი დარჩა დიდი ოდენობის სახნავი ფართობი. ვერ შესრულდა საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თეს-

ვის პროგრამა, მცირდება მემცენარეობის პროდუქცია, მოშლილია შრომიითი დისციპლინა. საგანგებო ვითარებაა მეცხოველეობაშიც. მცირდება პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. ეცემა მათი პროდუქტიულობა. მასობრივ ხასიათის ღებულობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ქონების ქურდობა და დატაცება. ქვეყნის მოსახლეობას აკლდება სასიცოცხლო მნიშვნელობის დიდი ოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. რას მოველით, ან თუ მოველით ზვალინდელი დღისაგან. დაპირებების გარდა, გაურკვეველია. ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული სტრატეგია და შესაბამისად არა აქვს გამოშვებული მიზნის მიღწევის ტაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსური პროგრამა. ყოველივე ჯერ კიდევ დამუშავების პროცესში იმყოფება.

1995 წელი და მისი შემდგომი პერიოდი ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისა და საერთოდ ეკონომიკისადმი შემობრუნების პერიოდად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ცალკეული დარგების მიმართულებად აქაც გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები. ასე მაგალითად, მრეწველობის დარგში პროდუქციის გამოშვების ფაქტობრივმა დონემ 1997 წელს 1996 წელთან შედარებით ინდიკატური გეგმის გათვალისწინებული მაჩვენებლის შესამდგომ ნაკლები შეადგინა, რამაც ბუნებრივია ნეგატიურად იმოქმედა სამრეწველო წარმოებაში მიღებული მოგების დონეზე. ამავე დროს, 1996 წელს შედარებით მაღალი ტემპებით ვითარდებოდა უცხოეთისა და მშენებლობის სფეროები, ე.ი. სწორედ ის დარგები, სადაც დიდია აუთისებელი შემოსავლები და, ამდენად, მოგების გადასახადის ამოღება გაძნელებულია. ყოველივე ეს მიუთითებს მოგების გადასახადის ზრდის სფეროში მნიშვნელოვანი აუთისებელი რეზერვების არსებობაზე და, ალბათ, მომავალში აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაო იქნება შესასრულებელი.

1995-1997 წლების მონაცემები, ერთი მხრივ, გვიჩვენებს სამრეწველო პროდუქციის მატების განუწყვეტელ შემცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და განსაკუთრებით ვაჭრობის ზრდის ტენდენციას. 1995 წელს 1,9 პროცენტით გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტში დამატებითი ღირებულების გადასახადი აქციზებისა და იმპორტის გადასახადების გარეშე, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში. რომელშიც გათვალისწინებულია საქონელსა და მომსახურეობაზე არაპირდაპირი გადასახადებისა და სუბსიდიების წმინდა ზემოქმედება, 2,4 პროცენტით გაიზარდა. 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტში დარგების წილი ასეთ სურათს გვაძლევს: უდიდესი წილი 47 პროცენტი სოფლის მეურნეობას უჭირავს, მრეწველობას -

17%, ვაჭრობას - 15%. მშენებლობას - 4%, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას - 5%. არამატერიალურ წარმოებას - 11%. 1996 წლის მარტის მონაცემებით სამრეწველო საწარმოების 40 პროცენტი არ ფუნქციონირებდა.

ეკონომიკური ზრდა სოფლის მეურნეობაში იმედის მომცემია. 1995 წელს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქციის მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, მარცვლეულმა ათას ტონებში 1995 წელს შეადგინა - 590, შაქრის ჭარხალმა - 11, მზესუმზირამ - 250, ბოსტნეულმა - 507, ციტრუსებმა - 100,8, ყურძენმა - 342, ხორცმა - 165, კვერცხმა (მილიონი ცალი) - 357, რძემ - 500; შესაბამისად 1994 წელს მარცვლეული იყო - 479 ათასი ტონა, შაქრის ჭარხალი - 82, მზესუმზირა - 7,7, ბოსტნეული - 413,2, ყურძენი - 250,6, ციტრუსები - 84,4, ხორცი - 137, კვერცხი (მილიონი ცალი) - 256, რძე - 415. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის ზრდა, ძირითადად კერძო სექტორის ფუნქციონირებით არის განპირობებული, რომელმაც მარცვლეულის წარმოებაში - 68% შეადგინა, შაქრის წარმოებაში - 18%, მზესუმზირის წარმოებაში - 60%, კარტოფილის წარმოებაში - 94%, ბოსტნეულის წარმოებაში - 87%, ყურძნის წარმოებაში - 93%, ციტრუსების წარმოებაში - 95%. ხორცის წარმოებაში - 95%, რძის წარმოებაში - 97%. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად მცირდება ჩაის სექტორის მაჩვენებლები. 1995 წელს ჩაის ფოთლის წარმოებამ 1989 წელს ნაწარმოების 8% შეადგინა. სოფლის მეურნეობის ეს დარგი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ საექსპორტო შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო, იგი ამჟამად დაცემის ზღვარზეა. ჩაის რეალიზაცია ქვეყნის საზღვრების გარეთ ძირითადად თურქმენეთთან საბარტერო გარიგებების ფარგლებში წარმოებს. დარგის გაჯანსაღების პერსპექტივა უპირველესად დამოკიდებულია უცხოელ ინვესტორებთან ერთად ერთობლივი საწარმოების შექმნაზე. ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება უცხოეთის ინვესტირების მოზიდვის საშუალებით, მაგრამ საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევად მიგვაჩნია.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მარცვლეულის წარმოების მისამართობლივმა სტიმულირებამ და ტრანსპორტთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, არ არის გამორიცხული, რომ სოფლად ფერმერებმა ყურძნის წარმოება მარცვლეულის წარმოებაზე გადართოს, რაც სახელმწიფო-ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, შეფასებით, სოფლის მეურნეობისათვის ტრადიციული დარგის მომაკვდინებელ ფაქტორად გადაიქცეს და ამიტომ აუცილებლობად მიგვაჩნია, უახლოეს პე-

რიოდმი ამ სექტორის ეკონომიკურად დასაბუთებული სტიმულირების დამუშავების პროგრამის შექმნა. ეროვნული მოძრაობის მედრომე, ილია ჭავჭავაძე თავის დროზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავდა: „...დღეს საქართველოსათვის ერთადერთი წყარო, რომელიც ვალის ამღებს სახსრებს აძლევს ვალის გადასდასას, ბუნებრივი პირობები. მიწა და მიწათმოქმედება“<sup>1</sup>.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ დღეისათვის მსოფლიოში ჩამოყალიბდა შერეული ეკონომიკის მოდელები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო საბაზრო და სახელმწიფო მექანიზმთა თანაფარდობის ზომით, არამედ საბაზრო ურთიერთობათა განვითარების სპეციფიკური მიმართულებითაც. მათ შორის გამოირჩევა აშშ-ს, იაპონური და შვედური მოდელები. მათი შესწავლა გვიჩვენებს, რომ შერეული ეკონომიკის ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია სამეურნეო საქმიანობის მაქსიმალური თავისუფლება, სადაც სახელმწიფოს ეკონომიკური როლი შეზღუდულია. იაპონური მოდელი გამოირჩევა მოსახლეობის ცხოვრების დონესთან შედარებით შრომისნაყოფიერების მკვეთრი წინსწრებით. ამ მოდელისათვის მთავარი თავისებურებაა შრომისნაყოფიერების მაღალი დონის მიღწევა და ამ გზით პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. იაპონური მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიური როლის გაძლიერებას და მის სამეურნეო ცხოვრებაში აქტიურ ჩარევას; შერეული ეკონომიკის შვედური მოდელისათვის დამახასიათებელია მძლავრი სოციალური ორიენტაცია, რომელიც მიმართულია მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის წინააღმდეგ. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკა<sup>2</sup>.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით განსაკუთრებით საინტერესოა შერეული ეკონომიკის შვედურ მოდელთან ახლოს მდგომი ე.წ. „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ ნეოლიბერალური მოდელი. „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ ნეოლიბერალური მეთოდი „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ გერმანელ ავტორთა განმარტებით ნიშნავს ბაზრის ძალების თავისუფალ თამაშში სოციალური სამართლიანობის იდეის შეგნებულად შეტანას. შერეული ეკონომიკის ეს მოდელი სოციალური საბაზრო მეურნეობის ფორმით შეიცავს, როგორც „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“, ასევე ცენტრალიზებულად მართული მეურნეობის საუკეთესო ელემენტებს. იმისათვის, რომ „ეკონომიკის

1. იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, თბ., 1956, გვ. 295.

2. К.Эжунд, «Ирректинная экономика - шведская модель», М., 1990, стр. 35.

სოციალური მიმართულება” არ დარჩეს ცარიელ ნათქვამად - აღნიშნავს ლ.ერ-ხარდი - საჭიროა განაწილება კი არ სრულყოფთ, არამედ აემაღლოთ წარმოება და სხვა არაფერი”.<sup>1</sup>

საბაზრო ეკონომიკის საკითხებზე უცხოელ თვალსაჩინო ეკონომისტთა შრომების გაცნობა საშუალებას გვაძლევს საბაზრო ეკონომიკის მარტივი მოდელი ასე წარმოვიდგინოთ.

საბაზრო ეკონომიკის მარტივი მოდელი:

1. წარმოება+იმპორტი=შიდა ხარჯები+ექსპორტი

(საგადასხდელი ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების დეფიციტი):

2. თუ ქვეყანა ხარჯავს მეტს, ვიდრე აწარმოებს მან უნდა მოახდინოს ფინანსირება თავისი ხარჯების უცხოეთიდან სესხების მიღების ანგარიშზე და თავისი საერთაშორისო რეზერვების გამოყენების საფუძველზე;

3. შიდა ხარჯებზე ზეგავლენას ახდენს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, გაცვლითი კურსი და ხელფასის სიდიდე;

4. წარმოების მოცულობაზე მოქმედებს ქვეყნის ბუნებრივი, პირობები და მისი საფინანსო პოლიტიკა;

5. ფასების დონე დამოკიდებულია ფულადი მასის სიდიდეზე;

6. საგარეო სესხები და კაპიტალდაბანდებანი დამოკიდებულია ქვეყნის კრედიტუნარიანობაზე და ნასესხები საშუალებების ეფექტიან გამოყენებაზე (კრედიტუნარიანობა ნიშნავს ვალის გადახდის შესაძლებლობასა და უნარს).

ზემოთ აღნიშნული საბაზრო ეკონომიკის მარტივი მოდელი და მისი მოთხოვნების დაცვა განაპირობებს საბაზრო ეკონომიკის ამ მოდელის ნორმალურ ფუნქციონირებას, სადაც ნათლად ჩანს საფინანსო პოლიტიკასა და ფინანსებს შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელობა და მათ შორის მიზეზშედეგოვანი კავშირი.

საბაზრო ეკონომიკის მარტივი მოდელის სქემატური განხილვიდან იბალება კითხვა: საბაზრო ეკონომიკის მარტივი მოდელში ჩავსვით ქვეყნის საწარმოო ძალები და მათი გამოყენების პოტენციალი, თუ ქვეყანაში არსებული საწარმოო ძალების ბუნებრივმა განვითარებამ უნდა მიგვიყვანოს საბაზრო ეკონომიკის მარტივი მოდელის ჩამოყალიბებამდე? ჩვენი აზრით, საწარმოო ძალების ბუნებრივმა განვითარებამ და სტრუქტურული რეფორმების თანდათანობით გატარებამ უნდა მიგვიყვანოს ამ მარტივი მოდელის ნორმალურ ფუნქციონირებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მოდელში აღმინისტრაციული წესით საწარმო ძალების ჩასმას

1. А.Эрхард, Благосостояние для всех, М., 1991, стр. 14

ეკონომიკისათვის გარდა ზიანისა, არაფრის სასიკეთოს მოტანა არ შეუძლია.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე საქართველომ მაქსიმალური უკუგება უნდა მიიღოს იმ დარგებიდან, რომელთა პოტენციალის რაციონალურად ამოქმედების ხელსაყრელი ფაქტორები აქვს საწარმოო ძალების განვითარებისა და ეკონომიკის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურების საფუძველზე. მხოლოდ ქვეყნის ბუნებრივი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების თავისებურებების ეფექტიანი გამოყენებით, საწარმოო ძალთა ბუნებრივი განვითარების ხელშემწყობი დაჩქარებით არის შესაძლებელი ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მარტივი მოდელის ფუნქციონირება.

გასული პერიოდის საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებითი წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის მონეტარული სისტემის რესპუბლიკის მასშტაბით ყოველგვარი ანალიზის გარეშე გადმოდებამ, რუსეთთან ერთად საქართველოც დაღუპვის პირამდე მიიყვანა. რესპუბლიკის ეკონომიკის მართვამ არაპროფესიონალიზმმა, ეკონომიკის საკითხების მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე გადაწყვეტამ, პოპულიზმმა, ურთიერთსაწინააღმდეგო ღონისძიებებით რეფორმების გატარების მცდელობამ, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის ნაცვლად ნებსით თუ უნებლიეთ ეკონომიკის ნგრევამდე მიგვიყვანა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა პრივატიზაციის საქმეში ერთდროულად აჩქარებისა და ნელი ტემპით სვლის, „მიღწეული ჭარბწარმოების“ დემაგოგიური ლოზუნგების წამოყენება, პრივატიზაციის ჯერ საბჭოთა მანეთებში, ხოლო შემდეგ გაუფასურებულ კუპონებში ჩატარება, კუპონის მანეთთან თანაფარდობის ზედაპირული დაწესება, საკოლმეურნეო ბაზრებში გლეხებთან საუბრის საფუძველზე კუპონის მიმოქცევის რეგულირება. ნაჩქარევად, ყოველგვარი შექმნილი სასაქონლო წარმოების ბაზის გარეშე კუპონის ერთადერთ საგადაძხდელო საშუალებად გამოცხადება, კუპონის დამცველი მექანიზმის გარეშე მოქმედების შედეგად ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულველყოფა, ფულის მიმოქცევის ობიექტური პროცესის მოუფიქრებელმა ადმინისტრაციირებამ, ყოველივემ, საბოლოო ჯამში, ჯერ საბჭოთა ფულის, ხოლო შემდეგ რუსეთის ფულის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონვერტირებად ვალუტად გახდომა გამოიწვია და ეროვნული ვალუტის თანდათანობითი შემოღების წინაპირობების შექმნის ნაცვლად კუპონის, როგორც შუალედური ფულის, შემოღებამდე მისი წინასწარი განწირვის საფუძველები შეიქმნა, რომლის გაშოსწორებისათვის რადიკალური ღონისძიებების გატარება კვლავ ხალხის ინტერესების

ხარჯზე მოხდა.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გადრმავეების სუბიექტური მიზეზია აგრეთვე ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების ნელი ტემპი, საერთაშორისო საეკონომიკო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოცემული რეკომენდაციების პრაქტიკულად ამოქმედების შექანისმიების არარსებობა, ხელმძღვანელი კადრების დაბალი ეკონომიკური კომპეტენტურობა, კრიზისიდან გამოსვლისათვის დასაბუთებული ეკონომიკური კონცეფციის შექმნისა და მის რეალობაზე ერის წინაშე ავტორთა პასუხისმგებლობის არარსებობა, გაუზრებელი ღონისძიებებით მიღებული უარყოფითი შედეგების ურთიერთგადაბრალება და ამ გზით მთავრობაში „ხელმძღვანელი სკამის“ შენარჩუნება.

ჩვენთან მიმდინარე ღრმა ეკონომიკური კრიზისი არ არის ვიწრო ეროვნული, იგი დამახასიათებელია ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, ასევე სოციალისტური ბანაკების ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობისათვის. იგი მეურნეობის სოციალისტური სისტემისაგან გამომდინარეობს და ეფუძნება სოციალისტური წარმოებით ურთიერთობით განპირობებულ წინააღმდეგობებს.

ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის საყოველთაო ხასიათი არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ რეფორმების გატარების, სტრატეგიისა და ტაქტიკაში ნაკლოვანებებით, არამედ მისი წარმოშობა განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებითაც:

1. ქვეყანაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრუქტურების დეფორმაციით;
2. გარდამავალი პერიოდის აუცილებელი ხარჯებით;
3. საბჭოთა კავშირის დაშლითა და სამეურნეო კავშირების მოშლით;
4. საქართველოს არსებული საფინანსო-ეკონომიკური პირობების შესაბამისი

არაადეკვატური. ეკონომიკური პოლიტიკის კურსის პროცესში, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო, მოუფიქრებელი ღონისძიებების გატარებით.

გასული 70 წელზე მეტი პერიოდის მანძილზე სსრკში ინტენსიურად იქმნებოდა ერთიანი სამეურნეო კომპლექსი, რომელშიც ცალკეული რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ეროვნული მეურნეობა ვითარდებოდა შრომის ე.წ. საკავშირო დანაწილების მოთხოვნათა საფუძველზე. რესპუბლიკაში ეკონომიკის სპეციალიზაცია დებულობდა სულ უფრო ცალმხრივ მახინჯ ფორმას და ნედლეულით, ენერგორესურსებით, სამრეწველო ნახევარფაბრიკატებით უზრუნველყოფის. ასევე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისით აღმოჩნდა კავშირის მასშტაბით კოოპერირების მკაცრ ჩარჩოებში. ასეთ ვითარებაში მან და-

კარგა დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარი და საერთაშორისო ბაზართან უშუალო ურთიერთობების დამყარების საშუალება. ამიტომ, დღეისათვის განსაკუთრებით მიზანშეწონილი იქნება ქვეყნის მოთხოვნილებების და კმაყოფილება რიგი სტრატეგიული ნედლეულით, და პროდუქციით (სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, მარცვლეული, ლითონი, ხე-ტყე, სხვადასხვა დანიშნულების მანქანა-იარაღები და ა.შ.). რაც ჩვენი ეკონომიკის „აქილევსის ქუსლია“ და რომლის მოგვარებამ შექმნილი სიძნელეები ძირითადად რესპუბლიკის ეკონომიკური კრიზისის სხვა მიზეზებს შორის.

შექმნილ უსტრუქტურულ პირობებში საჭიროა ჯერ ერთი, ყოველმხრივი, კომპლექსური და თანმიმდევრული მიდგომა ეკონომიკის სტაბილიზაციისა და სისტემური რეფორმების გატარების საქმეში, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ეკონომიკის შემდგომში სტაბილური ზრდა, ვინაიდან ეკონომიკური რეფორმებისადმი არაკომპლექსურ მიდგომას ნაკლებად აქვს უნარი წარმატებების მიღწევამ და შეარე, არაორდინალური ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შევანეროთ წარმოების კრიზისული დაცემა; მინიმალურად უზრუნველყოთ საწარმოო და სამომხმარებლო სფერო მატერიალური და ფინანსური რესურსებით, შევანელოთ ინფლაცია და გავაჯანსაღოთ ფულის მიმოქცევა, შეძლებისდაგვარად ავამაღლოთ მოსახლეობის დასაქმების დონე, გავაუზოგოებოთ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, შევექმნათ ხელსაყრელი პირობები თავისუფალი მეწარმეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევისათვის უპირველეს მიზანს წარმოადგენს კრიზისის შეჩერება, ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაცია და საქართველოს შინაგანი რესურსების შენარჩუნება. ამ მიზნიდან უნდა განისაზღვროს მთავარი ამოცანები: წარმოების სტაბილიზაციის მიღწევა, უპირატესად სფეროს შეჩერება და ლარის რეალური მსყიდველობით უნარიანობის დაცემის შეზღუდვა. ეკონომიკის კელაეწარმოების ფინანსური სტრუქტურების აღდგენა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთიანი სისტემის შექმნა.

უკვე გაუდა ხუთ წელზე მეტი იმ დროიდან, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას დაადგა. განვილილ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ემყარებოდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძლიერ მოქმედ საშუალებას ე.წ. „შოკურ თერაპიას“. აღნიშნული დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ განესაზღვროთ ჩვენს სახელმწიფოში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების მთავარი ტენდენციები

და, აქედან გამომდინარე, შევაფასოთ განვლილ პერიოდში გატარებული პოლიტიკის შედეგები.

გასულმა პერიოდმა გამოავლინა შემდეგი ძირითადი ტენდენციები: პირველი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის დაიღო ხელშეკრულება პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, საქართველო ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, შთაფლიო ბანკის ახალ პროგრამებში, საქართველო შერჩეულ იქნა ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებაში სატრანზიტო დერეფნად, კასპიისა და ყაზახეთის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების ერთ-ერთ ძირითად მარშრუტად; მეორე ტენდენცია გამოვლინდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მწყობრი, სისტემური, თანმიმდევრული გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში; მესამე ტენდენცია გახლავთ საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად, ეკონომიკური ზრდის განახლება ქვეყანაში. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ქვეყნები, რომლებიც ადგებიან საბაზრო ეკონომიკის გზას, ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის 2-3 წლის შემდეგ იწყებენ ეკონომიკის ზრდის ტემპებს, რაც ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, მართალია, დიდი მასშტაბებით არ ჩანს, მაგრამ ძერები, რომ დაიწყო ამ მიმართულებით თვალნათელია; მეოთხე ტენდენცია გამოვლინდა ინფლაციის შეჩერებაში და ეროვნული ვალუტის ლარის სტაბილური საცვლელი კურსის შენარჩუნებაში; მეხუთე ტენდენციაა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში კერძო სექტორის ხვედრითი წილის ზრდა; მეექვსე ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში მიმდინარე საბიუჯეტო და საგადასახადო ხისტემებში ძირეული ინსტიტუციონალური რეფორმების თანდათანობითი გატარება და სტრუქტურული ცვლილებები, ქვეყნის ეკონომიკის თვითგანვითარებად ხისტემად ჩამოყალიბება. აღნიშნული ტენდენციების, დადებითი ძერების ჩამოთვლის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ ამჟამად მთავარია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ცალკეული დადებითი შედეგებით თვითკმაყოფილების განწყობის მოცილება და არსებული ნაკლოვანებებისადმი თვითკრიტიკული მიდგომა. რა გვაქვს მხედველობაში? ქვეყნის გასული ხუთი წლის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზმა დაგვანახა შემდეგიც: **აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძერები უარყოფით შედეგებთან ერთად, კერძოდ, სა-**

ხელმწიფო საკუთრების მონოპოლიის თანდათანობითი დაშლა, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ელემენტების ფორმირება, მეურნეობრივ მართვაში ახალი ფორმების ჩამოყალიბება, მოთხოვნა-მიწოდების მეტად წინააღმდეგობრივი მექანიზმის ამოქმედება. მაგრამ, აქვე უნდა შეენიშნოს, რომ ეს პროცესები ჯერ კიდევ არ გახდნენ ეკონომიკის სტაბილიზაციის ფაქტორები, ვინაიდან მათ ვერ შესძლევს წარმოების ზრდისა და მისი ტექნიკური გადაიარაღების სტიმულირების როლის შესრულება;

**მეორე**, ანალოზმა სრული განსაზღვრულობით გამოავლინა ის, რომ დღეს მრავალრიცხოვან პროცესებს შორის დომინირებულ ფაქტორებს წარმოადგენენ ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, მისი საყოველთაო ხასიათი და აქედან გამომდინარე მოსახლეობის გაღატაკება;

**მესამე**, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ წარმოების გამოცოცხლების გარეშე, ფინანსური სტაბილიზაციისა და ინფლაციის შეჩერების ყოველნაირ ღონისძიებებს არ შეუძლიათ მოიტანონ სასურველი შედეგები. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს მათ მიერ, ვინც 1995-1996 წლები გამოაცხადა მხოლოდ ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევის პერიოდად. ფინანსური სტაბილიზაცია წარმოების ამოქმედების გარეშე, ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. სურვილის სინამდვილედ წარმოდგენის მცდელობაა, ვინაიდან წარმოების დაცემის მასშტაბებში, მოსახლეობის გაღატაკების ზრდაში უნდა ვეძიოთ პოლიტიკურ ძალებს შორის წინააღმდეგობების გამწვავებისა და საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის ფესვები. აღნიშნულის დაუნახაობა და ამ მოვლენების მიზეზების სხვაგან ძიება, თავის მოტყუებასა და ილუზიების ტყვეობაში ყოფნას ნიშნავს;

**მეოთხე**, თანამედროვე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად არ არსებობს უნივერსალური რეცეპტები და ერთიანი ღონისძიების მზამზარეული სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთი ხელის მოქნევით გადავწყვიტოთ ყველა საჭირობო პრობლემა. საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალური შეცვლა, რეფორმების გააზრებული გატარების სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავება. ასეთი სტრატეგია, თუ ვიტყვი გულახდილად, რესპუბლიკაში ამჟამად არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლიბერალიზაციის, პრივატიზაციის, დემოკრატიზაციის, უცხოეთის ქვეყნებზე მიბაძვის საერთო ღონისძიებებს და ფრაზებს. რომლებსაც არავითარ დადებით შედეგების მოტანა ქვეყნის ეკონომიკისათვის არ შეუძლია;

მეხ უთმე, დროა გაევიგოთ, რომ არ შეიძლება კრიზისიდან გამოვიდეთ იმ გზებით, რომელთა მუშეობით საზოგადოება ჩაჯარდა ასეთ ქაოსურ მდგომარეობაში. ეს ნათლად ჩანს ეკონომიკის კელაწწარმოების სტრუქტურებისა და განაწილებითი ურთიერთობების მთლიან დეფორმაციაში, კერძოდ. ეროვნული სიმდიდრის მტაცებლურ გამოყენებაში, ინვესტიციების შემცირებაში, მეცნიერულ-ტექნიკურ პროდუქციაზე მოთხოვნილების მკვეთრ დაცემაში, საწარმოო ძალების, სამეცნიერო-ტექნიკური და საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის დამლაში, შრომის ანაზღაურების წარმოების შედეგებიდან პრაქტიკულად მოწყვეტაში:

მემაქსამ, ეკონომიკის მართვაში შაბლონური რეცეპტების შერჩევა. რომელიც აღწერილია მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში, რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის მონეტარისტული სისტემის ფოტოგრაფირებამ რესპუბლიკის მასშტაბით, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლობამ, მეურნეობრიობის წარმართვის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურების, მოსახლეობის მომზადების უგულვებელყოფას არ შეეძლო მოეცა სხვანაირი შედეგები. ამ დასკვნას იზიარებენ არა მარტო სამამულო მეცნიერ-ეკონომისტები, არამედ დასავლეთის ცნობილი წამყვან მეცნიერთა უმრავლესობაც;

მეშვიდემ, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას, პრინციპულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ცალკეული ერთეული ფაქტების კონსტატაციიდან საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედი ტენდენციების გამოვლენაზე გამახვილდეს ყურადღება, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ეკონომიკური მოვლენების გარეგნული აღწერიდან, ეკონომიკის კელაწწარმოების სტრუქტურებში სიღრმისეული ცვლილებების ანალიზზე გადასვლას. რაც მთავარია, ანალიზი უნდა დამთავრდეს ანტიკრიზისული, თუნდაც საერთო. პრინციპული საკითხების დამუშავებით. სხვანაირად ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი კარგავს თავის მნიშვნელობას.

ასეთია ობიექტური სურათი და უკანასკნელ ხუთ წელიწადში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე. ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური შედეგების დინამიკის ჩვენ მიერ გაკეთებული ეკონომიკური შეფასება; ისმება კითხვა: იყო თუ არა მოულოდნელი მოვლენების ასეთი სახით განვითარება? ჩვენი აზრით არაფერი მოულოდნელი, თუ ვიტყვი ეკონომიკური მეცნიერების პოზიციიდან, არ მომხდარა, მოხდა ის, რაც არ შეიძლება არ მომხდარიყო. ვინაიდან უგულვებელყოფილი იყო მთავარი - ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე - ეკონომიკის მართვა.

# თავი II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მმართველი უწყვეტი

## 1. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და მათი სრულყოფის პროცესი

ბიუჯეტის შედგენის მიზანია სახელმწიფო სახსრების განაწილება გარკვეული სოციალური მიზნების მისაღწევად. ვინაიდან ეს სახსრები არ არის ამოუწურავე და ამასთან შეზღუდულია, ამიტომ ბიუჯეტის შედგენისა და აღსრულების სხვადასხვა სტადიაზე რესურსების გაანგარიშების წესს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი სამუალებას იძლევა დასახულ მიზნებს შორის მოხდეს არჩევანის გაკეთება და აგრეთვე თითოეული ამოცანის შესრულების დონის განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობის მოქმედების შედეგად სასურველი შედეგის მიღწევის შესახებ წინასწარი წარმოდგენა აადვილებს ამ შედეგების მიღების ალტერნატიული მეთოდების განხილვას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ობიექტურად მოითხოვს პოლიტიკური თავისუფლების მიღებასთან ერთად მართვის დემოკრატიული ფორმების ჩამოყალიბებას. ეკონომიკის მართვის დემოკრატიული ფორმების დროს ბიუჯეტისათვის დამახასიათებელია ტრანსპარენტობა და შედეგებზე პასუხისმგებლობა. ტრანსპარენტობა გულისხმობს იმას, რომ ფონდები გამოიყენება იმ მიზნებისათვის, რომლებიც მოწონებულია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. თვით ბიუჯეტი უნდა იყოს ტრანსპარენტული, იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტმა ნათლად უნდა ასახოს, ერთი მხრივ, ხარჯების დანიშნულება და, მეორე მხრივ, ახალ პირობებში ფონდების გამოყენებაში კონტროლის შესაბამისი მექანიზმების განხორციელების აუცილებლობასაც გულისხმობს. კონტროლის მექანიზმის გამოყენება კი მოითხოვს ანგარიშების მოწესრიგებასაც, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის მიწოდება და მომსახურება ეკონომიკურად, ეფექტურად და დროულად.

სახელმწიფო ბიუჯეტს საფუძვლად უდევს სახელმწიფო პროგრამა და მისი შესრულების განსაზღვრა. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების მდგომარეობა, მისი შედეგები სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული პრობლემების გადაწყვეტის ეფექტურობას გამოხატავს. თავის მხრივ, სახელმ-

1. აღნიშნული საკითხი დაწერილია თსუ ფინანსების და კრედიტის კათედრის ასპირანტის, კახ. გამსახურდიას მიერ.

წიფო პროგრამა იმ ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად ჩატარებულ მოქმედებათა თანმიმდევრული წყობაა, რომელთა განხორციელება, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, რეალურად არის შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი სახელმწიფო პროგრამის მიზანია, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს მოსახლეობის მოთხოვნები. ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნებისა და შესრულების კრიტერიუმების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამისი საჭირო მეთოდიკის დამუშავებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მოსახლეობის მოთხოვნები და ისიც თუ რამდენად ასრულებს მათ მთავრობა. მეთოდიკის შედგენა ერთია, მაგრამ მთავარია მისი ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს 1997 წლის ბიუჯეტის პარამეტრები ობიექტურად იყო შეზღუდული, ამიტომ დამატებითი ცვლილებების შესატანად ფინანსთა სამინისტროში გამუდმებით დაბრუნება არაფრის მომტანია, ვინაიდან პროექტში ერთი ცვლილების შეტანა მხოლოდ მეორე ცვლილებით შელოვნურად შეტანის აუცილებლობას გამოიწვევს იმ პირობებში, როდესაც ალტერნატიული წინადადებები ნაკლები დანახარჯებით საბოლოო შედეგების მისაღწევად არ არსებობს. ასეთ პირობებში ფაქტობრივად ბიუჯეტის დამტკიცების რაიმე მართვადი ფაქტორი, გარდა საერთაშორისო ტრანშის მიცემისა ან არმიცემის გადაწყვეტისა უცხოეთის საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან, ბიუჯეტის განხილვაზე არ მოქმედებს.

მოსახლეობის მოთხოვნილების განმსაზღვრელ ფაქტორებად გამოდის სოციალური მაჩვენებლები, შრომისნაყოფიერება, სამუშაო დატვირთვა, საწყისი რესურსები და შედეგები. ამ მაჩვენებლებზე ყურადღების გამახვილება თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია იმიტომ, რომ ბიუჯეტის შედგენის საწყის ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს მოსალოდნელი მისაღწევი შედეგები. დასახული მიზნის მისაღწევად, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არაერთი გზა არსებობს და ამიტომ აუცილებელია შეირჩეს მათგან ყველაზე ეფექტური, იაფი გზა, სადაც გასათვალისწინებელია მთელი წლის განმავლობაში ცალკეულ მონაკვეთებში ხარჯების სხვადასხვა დროის პერიოდში გამოყენება. მხედველობაში გვაქვს წლის დასაწყის კვარტლებში და წლის ბოლო კვარტლებში გამოყოფილი ხარჯების მსყიდველობითი უნარიანობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა. ინფლაციის ზრდის საფუძველზე სხვადასხვა მანიპულაციისათვის პირობების აღმოფხვრა, ვინაიდან დღევანდელი

ლარი ხვალინდელზე ძლიერია". ამიტომ აუცილებელია ასევე პროგრამის შესრულებისათვის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევისას ყურადღება მიექცეს ხარჯების და მოგების ღრმა ანალიზის წინასწარ ჩატარებას.

ბიუჯეტის დინამიკის უკეთ წარმოდგენისათვის, საჭიროა ბიუჯეტის ცვლილებებზე მოქმედი ზოგადი კატეგორიების განხილვა, ვინაიდან მიმდინარე წლის ბიუჯეტი არის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც დგება მომდევნო წლის ბიუჯეტი.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა რთული სახალხო მეურნეობრივი კომპლექსია, რომლის სხვადასხვა ნაწილები (დარგები, ტერიტორია, წარმოების სახეები და ა.შ.) ვითარდებიან არათანაბრად იმის გამო, რომ საზოგადოების მოთხოვნა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ცვალებადია, ხოლო წარმოება ცდილობს მოერგოს ამ მოთხოვნებს. ამასთანავე, სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, როდესაც მისი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. სწორედ ასეთი კავშირის მეშვეობით საშუალება გვეძლევა მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში აუცილებელი პროპორციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის, როგორც ერთიანი მთლიანი ორგანიზმის, ბალანსირებულ განვითარებას.

საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილის შეთანხმებული ფუნქციონირება მიიღწევა მისი რეგულირების მეშვეობით, რომლის ქვეშ იგულისხმება ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის ზრდის ტემპების ცვლილებები, რომლებსაც განაპირობებს საზოგადოების მოთხოვნილებებში ცვლილებები.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის რეგულირება ხორციელდება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე თვითრეგულირების მეშვეობით. იგი ხასიათდება ისეთი საფინანსო ბაზრის შექმნით საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა რგოლში, რომლებსაც აყალიბებენ და იკონტროლებენ თვით წარმოების მონაწილენი.

თვითრეგულირება ემყარება მეურნეობრივი სუბიექტების საქმიანობის თავისუფლებას. მათ მიერ პარტნიორების არჩევას და მათთან ურთიერთკავშირის ფორმების შერჩევას. ამ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმს არ შეუძლია უზრუნველყოს შემოსავლების განაწილება დემოკრატიული საზოგადოების მიზნების შესაბამისად. კრიზისის დროს ბაზარი სუსტად ზემოქმედებს ეკონომიკის სტაბილურობაზე. ამიტომ წარმოიქმნება აუცილებლობა ეკონომიკის რეგულირების დამატებითი მე-

ქანიზმების შექმნისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკის თვითრეგულირებასთან ერთად, საზოგადოების წარმოების სტრუქტურებზე ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა. სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკაში განპირობებულია იმ ამოცანების გადაწყვეტით, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან, ეკონომიკის განვითარების პრიორეტული მიმართულებების მხარდასაჭერად. სწორედ ამიტომ არის, რომ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფინანსური რეგულირება ფართოდ გამოიყენება სამეურნეო პრაქტიკაში.

ბიუჯეტის დინამიკაზე მოქმედ საერთო ზოგად კატეგორიულად მიგვაჩნია: ინფლაციის საფუძველზე ფასების შეცვლა, მოსახლეობის მოთხოვნების დონეში ცვლილებები (სამუშაოთა მოცულობა), პროდუქტიულობის (ეფექტურობის) შეცვლა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საფინანსო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების ახალი კურსი (ფონდების გადანაცვლება).

ინფლაციის გათვალისწინებით ფასების შეცვლის გამო ბიუჯეტის გადაანგარიშება ეხება სრული პერიოდის ხარჯებს იმ მუხლებისათვის, რომლებიც დაფინანსებულნი იყვნენ მხოლოდ მიმდინარე წლის ნაწილის განმავლობაში და აუქმებს ერთჯერად ხარჯებს, რომელიც გაწეული იყო მიმდინარე წელს. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, რომელიც მიღებული იყო აგვისტოში დაფინანსებული იყო მხოლოდ 1995 წლის ხუთი თვის განმავლობაში, ხოლო დამატებითი შვიდი თვის ფინანსირება უზრუნველყოფილ იქნა 1996 წელს.

პროდუქტიულობის შეცვლა ანუ ეფექტურობა ასახავს პროგრამის შემქმნელის უნარს იპოვოს უფრო ეფექტური გზები პროდუქციის საწარმოებლად, მხედველობაში გვაქვს ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების განხორციელება, ნაკლები ღირებულების რესურსების ან ახალი პროცედურის დანერგვის შედეგად შრომისნაყოფიერების ზრდა. თუ სხვა კატეგორიები, ინფლაცია, სამუშაოთა მოცულობა და ა.შ., უცვლელია. მაშინ ამ კატეგორიებმა უნდა შეამცირონ რესურსები, რომლებიც საჭიროა ეფექტურობის იმავე დონის მისაღწევად.

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში ემყარება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ საზოგადოების განვითარების პროცესზე ღირებულებითი ბერკეტებით ზემოქმედებას. სახელმწიფო ინვესტიციების, საგადასახადო-საბიუჯეტო და სამორტიზაციო პოლიტიკის დახმარებით ყალიბდება ეკონომიკაზე ზემოქმედების ის კონკრეტული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მის გადასვლას ახალ ხარისხში. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საგადასახადო მექა-

ნიშნის დახმარებით, სახელმწიფოს მიერ გადასახადებში შეღავათების დაშვებით და საბიუჯეტო სუბსიდიების გამოყოფით, სახელმწიფო სტიმულს აძლევს მეურნეობრივ სუბიექტებს დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი მოთხოვნები. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მოითხოვს საზღვრების დაცვას, ვინაიდან ზედმეტად ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სტიმულებისა და მთელი საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირების შესუსტება.

ეკონომიკის რეგულირებაში მონაწილეობს ფინანსური სისტემის სხვადასხვა სფერო და რგოლები: საწარმოთა ფინანსები, დაზღვევა, სახელმწიფო ბიუჯეტი და სხვა. საფინანსო სისტემის სფეროსა და რგოლების სპეციფიკა განაპირობებს მათ ზემოქმედებას სახალხო მეურნეობის ღირებულებით პროპორციებზე, რომლებიც სხვადასხვანაირ ხასიათში ვლინდება. საწარმოთა ფინანსების რეგულირების შესაძლებლობები გამოიყენება ძირითადად შიდა სამეურნეო და მეურნეობათშორისო ფინანსური რესურსების განაწილებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტი - დარგობრივი და ტერიტორიული პროპორციების რეგულირებისათვის. ფინანსების ფართო გამოყენება ეკონომიკის რეგულირების პროცესში ქმნის აუცილებელ წინამძღვრებს საზოგადოებრივი კელაწწარმოებითი, დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურული ცვლილებებისათვის.

საფინანსო პოლიტიკაში გადაწყვეტილების ახალი კურსი ობიექტურად მოითხოვს სამუშაოთა მოცულობის გადასინჯვას და ფონდების შესაბამის გადანაწილებას. სამუშაოთა მოცულობის კატეგორია გამოხატავს იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წელს უნდა დადგინდეს მომსახურეობის ახალი სტანდარტები, რომლებიც მოეთხოვება თითოეულ კლიენტს. კლიენტებად ითვლება განათლების პროგრამის შემთხვევაში მოსწავლეები, უმუშევრობის დახმარების პროგრამების დამუშავების დროს - უმუშევარი პირები, საგანგებო საფინანსო პროგრამის დამუშავების დროს - ქვეყნის: შიდა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების მაჩვენებლების ზრდისათვის - სამინისტროები, უწყებები და დარგობრივ-რეგიონული სამსახურები. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს საჭირო მომსახურეობის სტანდარტები, ბიუჯეტური რესურსები ამ დანიშნულებისათვის მოითხოვს გაზრდას ან შემცირებას იმის შესაბამისად, თუ რამდენად იცვლება ამ მიმართულებით მოთხოვნის ფაქტორები. მართალია, ყველა პროგრამას არ გააჩნია განსაზღვრულ სამუშაოთა მოცულობის მმართავე მაჩვენებლები, მაგრამ, როდესაც არსებობენ ისინი საჭიროა მკაცრად განისაზღვრონ და გამოყენებულ იქნენ. როგორც ბიუჯეტის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ეკონომიკური გადაწყვეტილების კურსის შეცვლა ასევე მოითხოვს ფონდების გადანაცვლებას. ფონდების გადანაცვლების კატეგორია ასახავს დატვირთვის გადაადგილებას ერთი წყაროდან მეორეზე. რაც საზოგადოდ კორერირებულია ფინანსური სიმძიმის თვალსაზრისით ინდივიდების ერთი ჯგუფიდან მეორეზე. პროგრამები, რომლებიც ფინანსირდება ცენტრალურ ბიუჯეტიდან (ჩვეულებრივ სამთავრობო საბუღალტრო ანგარიშებში მას უწოდებენ გენერალურ ფონდს) ემყარება თანხას, რომელიც აკრეფილია ქვეყნის საერთო გადასახადის გადამხდელებისაგან, ე.ი. მათგან ვინც იხდის საშემოსავლო გადასახადს, დამატებითი ღირებულების გადასახადს, მოგების გადასახადს და იძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სხვა ძირითად წყაროებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შესაძლებელია უმჯობესი იყოს მეტი დატვირთვის გადატანა პროგრამების მიმღებზე იმ გადასახადებისა ან ტარიფების გაზრდით, რომლებიც წარიმართება შეზღუდული მიზნებისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ ფონდებში. ასეთი მიდგომით 1996 წელს შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა ჯანდაცვის, დასაქმების, ერთიან საგზაო ფონდში. სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში საკუთარი საშემოსავლო სახსრების სახით მოზიდულმა მობილიზებულმა თანხამ 1995 წლის დონეს 2-ჯერ და მეტად გადააჭარბა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში უკანასკნელ პერიოდში სწავლების უფრო მაღალი შენატანების დაწესება, რაც იწვევს მომავალში მათზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარებების შემცირებას, ასევე ითქმის საშუალო სკოლებზეც, მაგრამ ამ პროცესების მართვა მეტ სიფხიზლეს მოითხოვს. რამდენადაც ამ გზით ეკონომიის თანხებმა შეიძლება მომავალში ახალი თაობის კვალიფიციურ მომზადებაში დიდი ზიანი მოგვიტანოს, რომელთა გამოსწორებას ათეული წლები დასჭირდება. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვასა და განათლების სექტორებს შეეხო. 1995 წელს მათზე მთლიანი შიდა პროდუქტის 0,7 და 1,0 პროცენტი მოდიოდა. რაც მეტისმეტად მცირეა მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. 1995 წელს ჯანმრთელობის დაცვაზე ხარჯებმა, რეალურ გამოსახულებაში 1990 წლის ამ სექტორის ხარჯების მხოლოდ 10 პროცენტი, განათლებაზე ხარჯებმა კი - 1990 წლის მაჩვენებლის 3 პროცენტზე ნაკლები შეადგინა. განათლების სექტორი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მსგავსად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და გამოყოფილი სახსრები ამ მიმართულებით გადაუღებელ პრობლემებზე უნდა იქნეს კონცენტრირებული. მაგალითად, დაწყებით და საშუალო განათლებაზე, მოსახლეობის უმწეო ფენის სამედიცინო მომ-

სახურეობაზე და სხვა.

განათლების სექტორში ხელფასები შემცირდა მეტად. ვიდრე სხვა სექტორებში და აქ ხელფასების გასაზრდელად. ალბათ. გარდუვალი იქნება შტატების შემცირება. აქვე უნდა შევნიშნოთ. რომ მომავალში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში და ხმარებებსა და შემწვობებზე გამოყოფილი ხარჯები. იმინი 1995 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 2,3 პროცენტადან 1996 წელს 3,5 პროცენტამდე გაიზარდა. რაც შეეხება ხელფასის დონეს განათლების სფეროში, იგი იმდენად დაბალია, რომ შეუძლებელია განხილულ იქნეს, როგორც მასტიმულირებელი როლის მქონე მექანიზმი სამუშაოთა შესრულებაში. ფონდების გადანაცვლება შეიძლება იყოს ბუნებრივი, მაგალითად. როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან მხარდაჭერის შემცირება არსებული ადგილობრივი გადასახადების შემოსავლების ზრდის გამო, ან საფინანსო პოლიტიკით განხორციელებული, როგორცაა ახალი გადასახადების ან შენატანების შემოღება შემოსავლების არსებული წყაროებიდან დატვირთვის გადატანის მიზნით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საფინანსო პოლიტიკის სრულყოფა, საგანგებო საფინანსო პროგრამის დამუშავებით. თავის მხრივ, ასახავს გადაწყვეტილებას გაიზარდოს ან შემცირდეს სხვა ამა თუ იმ პროგრამის მომსახურეობის ან ეფექტურობის დონე ამ პროგრამისათვის გამოყოფილი რესურსების დამატებით, ან დაკლებით შიდა რეზერვების გამოყენებისა და ეკონომიის ხარჯზე. იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს ეფექტური პოლიტიკური გადაწყვეტილებები, უნდა არსებობდეს ღონისძიებების, ან ინდიკატორების შეთანხმებული კრებული, რომელიც გამოაჩენს თითოეული სამთავრობო პროგრამის ხარჯებსა და მის შედეგებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. შეთანხმებული საფინანსო პოლიტიკის სტრატეგიას უნდა ჰქონდეს რამდენიმე მიზანი, რომელთაგან თითოეულს შეიძლება ჰქონდეს ბიუჯეტში მითითებული რამდენიმე განსხვავებული პოლიტიკური ღონისძიება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს უკანასკნელ ხანს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მწყობრი, სისტემური, თანმიმდევრული გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება. რომელმაც თავისი ასახვა პოვა პრეზიდენტის პოლიტიკურ პროგრამაში. ხოლო ამ პროგრამის შესრულების პირველ საწყის ეტაპს. ეკონომიკურ-ფინანსური რეალიზაციის თვალსაზრისით. 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს. იმისათვის, რომ ბიუჯეტში ნაჩვენები იყოს და. ამასთანავე. მილიანად აისახოს საფინანსო პოლიტიკის ცვლილებების შე-

საბამისი დანახარჯები. „გადაწყვეტილებათა პაკეტის“ გამოყენება საშუალებას მისცემს მომავალში ფინანსთა სამინისტროს ჯერ ერთი, შეისწავლოს პარლამენტის მხრიდან შემოთავაზებული საფინანსო პოლიტიკის ცვლილებები, მათი თანმდევ დანახარჯებთან და მოგებასთან ერთად, მეორე, ისინი გაითვალისწინოს ბიუჯეტის დამუშავების პირველივე ეტაპზე და შესაძლოა, ამით მოიხსნება გაუთავებელი დაპირისპირება პარლამენტსა და ფინანსთა სამინისტროს შორის ბიუჯეტის განხილვის, დამტკიცებისა თუ დაუმტკიცებლობის საქმეში პასუხისმგებლობის ურთიერთგადაბრალება, ბიუჯეტურ პროცესში ყველა ნაკლოვანებების ერთ ორგანოზე - ფინანსთა სამინისტროზე გადატეხა. ყოველივე ამაღლებს ეკონომიკური პროფილის სხვა სამინისტროების მათი ფუნქციონალური მოვალეობის საფუძველზე, პასუხისმგებლობის ზრდას თავიდანვე საწყის ეტაპზე ბიუჯეტის რეალობასთან მიახლოების თვალსაზრისით. ამიტომ ბიუჯეტის პროექტი და მისი შესრულება, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ერთიანი მუშაობის და შესაბამისი პასუხისმგებლობის შედეგი უნდა გახდეს ბიუჯეტური პროცესის ყველა ეტაპზე. კრიტიკა ადვილია, მაგრამ საქმის გაკეთება ძნელი და ეს უკანასკნელი, რომ წარმატებით განხორციელდეს აუცილებელია ბიუჯეტური პროცესის ყველა სტადიაზე ერთიანი პასუხისმგებლობის კრიტერიუმების განსაზღვრა, სამთავრობო სკამის დაკავებისათვის ჩასაფრების პოლიტიკაზე უარის თქმა და ალტერნატიული, გააზრებული წინადადებებით, მეცნიერული დასაბუთებით ბიუჯეტური პროცესის სრულყოფაში წვლილის შეტანა.

საბიუჯეტო პროცესში ზემოთ აღწერილი კატეგორიების გამოყენება საშუალებას მოგვცემს ყოველ სამინისტროში, უწყებაში ცვლილებები დახასიათდეს აღნიშნული ფაქტორების მეშვეობით და შემუშავებულ იქნეს მაღალი დონის შემაჯამებელი დოკუმენტი მთელი ბიუჯეტისათვის, რომელიც აჩვენებს როგორ და რატომ შეიცვალა ბიუჯეტის ცალკეული მუხლები წინა წელთან შედარებით. ყოველივე მომავალში მოხსნის ბიუჯეტის დამტკიცებისას ზედაპირულ კამათს და ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზიანოდ ფინანსური რესურსების დამატებითი გამოყოფის მიღწევისათვის ბრძოლას. არ იქნებოდა ურიგო თუ ამ კეთილმოსურნე შენიშვნას, როგორც პარლამენტი, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება მომავალში გაითვალისწინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო მხოლოდ საბუღალტრო აღრიცხვის ორგანოდ დარჩება ფინანსური რესურსების განაწილების თვალსაზრისით და არა პარლამენტთან. მთავრობასთან ერთად სახელმწიფო-ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შემუშავებულ სა-

ფინანსო პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამტარებელ ორგანოდ. ამრიგად, ბიუჯეტის მთავარი მმართველი ფაქტორია პარლამენტისა და მთავრობის ერთიანი ძალებით. ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული საფინანსო პოლიტიკა, საფინანსო პროგრამები და არამხოლოდ ფულადი თანხების ნუსხების, ბალანსირების მიღწევის მეშვეობით. განაწილება და გადაწილება. საფინანსო სისტემაში გასაველები და მასთან ერთად შემოსავლები კლასიფიცირებულია გარკვეულ კატეგორიებად, რაც აადვილებს ხარჯების წინასწარ შეფასებას და მომავალი გასაველების დაგეგმვას - საერთო ჯამში ბიუჯეტის შედგენას. ამ კატეგორიების დაყოფის რამდენიმე განსხვავებული პარამეტრი შეიძლება განისაზღვროს, სადაც თითოეულ პარამეტრს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული იერარქია დაწყებული მაქსიმალური დაჯამებიდან, დასრულებული დაწერილებითი დეტალური ინფორმაციით. ბიუჯეტის გასაველების კლასიფიკაცია შეიძლება ორგანიზებული იყოს იერარქიულად, ისე როგორც საბუღალტრო სისტემაშია. აქ მთავარია შეირჩეს პარამეტრი შესაბამის იერარქიულ დონეზე, რომ სწორედ იქნეს იგი გამოყენებული ბიუჯეტის შედგენისა და მისი შესრულების პროცესებში. აღნიშნულის განსახორციელებლად ქვეყნის ფინანსთა სამინისტროში ჯერ კიდევ არსებული ცალკეული პირის „იდეოლოგია“ არ გამოდგება. უნდა მოხდეს ამ „იდეოლოგიის“ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე გადასინჯვა, რომელსაც საფუძველად უნდა დაედოს ბიუჯეტის ფუნდამენტური მმართველი ფაქტორები, მისი კლასიფიკაციის ახალი პარამეტრები.

ბიუჯეტის გასაველების კლასიფიკაციის პარამეტრებად მიგვაჩნია: 1. ეკონომიკური კლასიფიკაცია. 2. ფუნქციონალური კლასიფიკაცია. 3. ორგანიზაცია. 4. დროის პერიოდი. 5. ფონდების კლასიფიკაცია და 6. გეოგრაფიული კლასიფიკაცია. სახელმწიფო ბიუჯეტის გასაველების კლასიფიკაციის პარამეტრებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ეკონომიკურმა კლასიფიკაციამ, რამდენადაც იგი გულისხმობს რესურსების იმ სახეობის მითითებას, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული პროგრამის შესასრულებლად, კერძოდ, პერსონალს, სამეურნეო ხარჯებს, კაპიტალურ ინვესტიციებს და ა.შ. თითოეული კატეგორია შესაძლებელია დაიყოს უფრო დეტალურად, მაგალითად, სამეურნეო ხარჯები შეიძლება ითვალისწინებდეს კომუნალური მომსახურების ერთ-ერთ სახეს, როგორცაა ელექტროობა. გაზი, ტელეფონი და ა.შ. საჭიროა ზუსტი გადაწყვეტილების მიღება. იმაზე თუ რამდენად დეცენტრალიზებული უნდა იყოს გასაველების კლასიფიკაციის თითოეული პარამეტრი. რომელიც გამოყენებული იქნება საბიუჯეტო

ციკლის მთავარ ფაზებში: მომზადება, ბიუჯეტის კონტროლი და აღრიცხვა. აქვე უნდა შეენიშნოს, რომ საქართველოში რეფორმების შედეგების რეალურად დანახვისათვის აუცილებელია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის შეფასების მეთოდები.

პრაქტიკაში ასხვავებენ მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასების სამ მეთოდს: წარმოების მოცულობის, ხარჯებისა და შემოსავლების მიხედვით. ყოველი მათგანი სხვადასხვა შეფასებას იძლევა. მაგრამ სხვაობა მათ შორის დიდი არ უნდა იყოს. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე აღნიშნული მეთოდებით შეფასებები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამიტომ შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე მთლიანი შიდა პროდუქტის სხვადასხვა შეფასებების შესაბამისობაში მოყვანასა და მონაცემების გაერთიანებებს ერთიანი მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასების მისაღებად უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მდგომარეობის რეალურად გარკვევისათვის.

ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის დროს წინა პლანზე უნდა იქნეს წამოწეული მათი სოციალური დანიშნულება. იგი მოიცავს ისეთ დარგებს როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა, ეროვნული თაყდაცვა და ა.შ. ორკანის-ზაციის პარამეტრებში უნდა განისაზღვროს კონკრეტულად პასუხისმგებლობა პროგრამისა და სამუშაოს განხორციელებაზე. რაც შეეხება დროის პერიოდის პარამეტრს, იგი მოიცავს წელიწადს, კვარტლებს, თვეებსა და დღეს. დროის პერიოდის პარამეტრის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი გვიჩვენებს როგორ შეიძლება შეიცვალოს დეტალიზაციის საჭირო დონე ბიუჯეტის შესრულების პროცესში. ბიუჯეტის დაგეგმვისათვის საჭიროა წლიური მაჩვენებლები, ბიუჯეტის შესრულების შესაფასებლად კი კვარტალური მაჩვენებლები. ხოლო ბიუჯეტის მონიტორინგისათვის აუცილებელია ყოველთვიურ მონაცემებზე დაყრდნობა. ხანდახან დროის გარკვეულ პერიოდებში საჭირო ხდება გასავლების ანალიზი კვარტალური მონაცემებით, ან ყოველდღიურად. ან ყოველკვირეული სპეციალური ანალიზის საფუძველზე.

ფონდების კლასიფიკაციის პარამეტრი მიუთითებს ფონდების განცალკევებას, მასში ასახული რესურსების მკაცრად განსაზღვრული გარკვეული მიზნებისათვის გამოყენებას. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში არის რამდენიმე ფონდი, მაგრამ მომავალში მათი რაოდენობა სასურველია გაიზარდოს. რაც ხელს შეუწყობს ხარჯების მიზნობრივ გამოკენებას და მასზე კონტროლის გაძლიერებას. ახალი ფონდების შექმნადული მოცულობა იერარქიას მხოლოდ ერთი დონის შე-

მოღებების საშუალებას იძლევა. მაგრამ კარგი იქნება, შემოღებულ იქნეს ფონდების კლასიფიკაციის სქემა შემდეგი ფონდების ჩართვით, როგორცაა: საერთო ფონდი, მიზნობრივი ფონდები, საერთაშორისო დახმარების ფონდები, ტრასტ-ფონდები და სხვა ფონდები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტის ხარჯების გეოგრაფიულ კლასიფიკაციას. ვინაიდან იგი განსაზღვრავს იმ რეგიონებს, რომლებიც სარგებლობას ღებულობენ გასაყვლებისაგან. სამწუხაროდ ამ მიმართულებით საფინანსო სისტემის არცერთ სტრუქტურაში არ ხდება საჭირო ინფორმაციის შეგროვება. თანამედროვე ეტაპზე, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ადგილობრივი ბიუჯეტების ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელობას ჰქონდეს სუბსიდიების ცხრილი, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის დანართებში უნდა იყოს წარმოდგენილი. ასეთი სახის ინფორმაციის აუცილებლობა საჭიროა ადგილებზე კაპიტალური პროგრამების განხორციელებისათვის, კერძოდ, გზების აღდგენისა და აგრეთვე რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა მომსახურების საშუალების დაგეგმვისათვის.

თითოეული ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტის გასაყვლების მართვადი პარამეტრები შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებლად. მაგრამ არსებითს წარმოადგენს ის, რომ არ შეიძლება კლასიფიკაციის ერთ სტრუქტურაში შერეული იყოს მეორის ელემენტები. თუ არსებობს ორგანიზაციის სტრუქტურის არაეკვივალენტური კლასიფიკაცია, მაშინ ფუნქციონალური კლასიფიკაცია კორუფციურებულია და გამოყენებულ შეიძლება იქნეს მხოლოდ ორგანიზაციული საბუღალტრო დაინფორმაციით, რაც დროულად თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

გასაყვლების კლასიფიკაციის თითოეული ტიპი შეიძლება განხილულ იქნეს სხვა პარამეტრებთან კავშირში. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება საჭირო იყოს განხილულ იქნეს ყველა გასაყვლი ყველა წყარობიდან და ყველა სამინისტროს, უწყების დანახარჯები, მიუხედავად მათი ფუნქციონალური დაყოფისა, მთელი წლის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში შეიძლება საჭირო შეიქმნას მცირე ორგანიზაციული ერთეულის ფუნქციონალური დაყოფის უდაბლესი დეტალების ნახვა. ამრიგად, კარგად გააზრებული ინფორმაცია და, ამასთანავე, ინფორმაციული მიდგომა შესაძლებელს გახდის, რომ ინფორმაცია სხვადასხვანაირად იქნეს წარმოჩენილი სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

საერთო ფონდი - ეს არის ძირითადი საშუალო ფონდი, რომელშიც შედის ყველა ხარჯები და ზოგადი შემოსავლები. ამ ფონდს ფინანსური დაგეგმვის მიმართულებით დიდი თავისუფლება აქვს. საქართველოს 1991-1995 წლებში სახელმწიფო

ბიუჯეტების შედგენილობა საერთო ფონდის შედგენილობის მსგავსია. აღნიშნულს მოწმობს საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების 1991-1995 წწ. ფუნქციონალური კლასიფიკაცია. სადაც სრულყოფილად შეუძლებელია შემოსავლისა და გასავლის ნაწილების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება (იხ. ცხრილი N 2).

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობა ასეთ სურათს გვაძლევს: მთლიანმა შემოსავლებმა და გრანტებმა მთლიან შიდა პროდუქტთან პროცენტულად შეადგინა: 1991 წელს - 29,8%, 1992 წელს - 10,2%, 1993 წელს - 9,7%, 1994 წელს - 7,7%, 1995 წელს - 7,7%, ხოლო მთლიანმა ხარჯებმა და წმინდა დაკრედიტებამ მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგინა პროცენტულად 1991 წელს - 31,7%, 1992 წელს 35,6%, 1993 წელს - 35,9%, 1994 წელს - 24,2%, 1995 წელს - 12,4%.

მთლიანი შემოსავლები და გრანტები 1995 წელს შეადგენდნენ - 270,8 მილიონ

ცხრილი N 2

სახელმწიფო შემოსავლები და

ხარჯები 1991-1996 წწ. ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში

	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.
<b>შემოსავლები</b>					
<i>მთლიანი შემოსავლები და გრანტები</i>	6.2	18.9	1,592	106,000	270, 768
მთლიანი შემოსავლები	6,2	18,9	384	58,200	202,141
საგადასახადო შემოსავლები	4,6	15,2	326	41,100	131,982
საშემოსავლო გადასახადი	0,7	1,6	41	3,400	20,861
მოგებიდან გადასახადი	1,5	5,7	132	11,600	28,612
დღგ		4,0	82	16,600	58,466
აკციზი		2,6	61	3,299	2,774
საბაჟო გადასახადი	0,1	0,6	10	1,465	5,445
სხვა საგადასახადო შემოსავლები		0,7	0	4,733	15,824

არასაგადასახადო შემოსავლები	1,6	3,7	57	7,600	21.936
არასაბიუჯეტო შემოსავლები				9,400	48.223
გრანტები			1,208	47,900	68.627
<b>ხარჯები</b>					
<i>მთლიანი ხარჯები და წმინდა დაკრედიტება</i>	6,6	66,0	5,893	332.900	436.768
მთლიანი ხარჯები	5.6	65.4	5,459	322.700	391.166
მიმდინარე ხარჯები				296,200	279.943
ხელფასები				11,000	28.746
დარიცხვა ხელფასებზე					3,389
საქონელი და მომსახურება				25.000	54.576
სუბსიდიები და ტრანსფერტები				190,100	37.576
პროცენტების გადახდა			13	33.800	46.588
სხვა მიმდინარე ხარჯები				8,200	37.884
არაკლასიფიცირებული ხარჯები				8,400	16,287
არასაბიუჯეტო ხარჯები	-0,4	19,7	-6	6,200	54.739
კაპიტალური დანახარჯები			10,6	4.000	28.524
ადგილობრივი ბიუჯეტის <sup>1</sup> ხარჯები				22.600	82.699
<i>წმინდა დაკრედიტება</i>	1,0	0,6	434	10,200	45.602
<b>დეფიციტი (წარმოქმნილი)</b>	-0,4	-47,1	-4,30	-226,900	-166,000
დეფიციტი პროცენტულად ხარჯებთან და წმინდა დაკრედიტებასთან	-6%	-71%	-73%	-68%	-38%

ლარს, მთლიანი ხარჯები - 436,8 მილიონ ლარს, დეფიციტი - 166 მილიონ ლარს რაც ხარჯების 38 პროცენტს შეადგენდა. ასე რომ, ბიუჯეტის დეფიციტმა 1994 წლის 17 პროცენტთან შედარებით 1996 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 5 პროცენტი შეადგინა და ამიტომ თუ ეფირობრივი მონაცემებით ვიშვჯელებთ 1996 წელი გადამწყვეტი შემობრუნების წლად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ბიუ

ჯეტის დეფიციტი კონტროლს დაექვემდებარა ხარჯების უზარმაზარი შემცირების წყალობით და შეიქმნა პირობები მომავალში ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელ პირობებში აუცილებელია ფონდების კლასიფიკაციის სქემის შემოღება, რომელიც გაამარტივებს ბიუჯეტის შემოსავალ და გასავალ ნაწილების ანალიზს, ხარჯების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფას. ასეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია მიზნობრივი ფონდების შემოღება. მიზნობრივი ფონდები ეს არის ფონდები, რომლებსაც აქვთ კანონის მიერ განსაზღვრული სპეციალური შემოსავლების წყაროები. შექმნილია გარკვეული მიზნით, როგორცაა: სოციალური უზრუნველყოფის ხაზით დახმარებისათვის გამიზნული სოციალური დაზღვევის ფონდი, უმუშევრობის ფონდი - უმუშეარი მუშაკებისათვის კომპენსაციის გადახდებით და სხვა ანალოგიური ფონდები. ხშირად ასეთ ფონდებს გააჩნიათ პირველადი დაფინანსების წყარო, რაც საშუალებას აძლევს სამთავრობო საქმიანობის მიძღვებს გადაიხადოს საქმიანობის ხარჯები. მაგალითად, ავტომანქანების საწვავზე მიღებული გადასახადი ჩაიდოს ცალკე ფონში, რომელიც მოხმარდება გზების გასაძარათვ და შესაკეთებელ სამუშაოებს.

ბიუჯეტური კლასიფიკაციის სრულყოფის მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენი აზრით, ასევე სამეწარმეო ფონდების შემოღებას. სამეწარმეო ფონდები გამოყენებული იქნება იმ შემოსავლების აკუმულირებისათვის, რომლებიც მიიღება სამთავრობო სააგენტოების სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობით. როდესაც საქონელი და მომსახურება მიყიდულია მთავრობისათვის ან საერთომომხმარებლისათვის.

საქართველოს ბიუჯეტის შესავსებად უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სამთავრობათაშორისო და ხმარებების ფორმით, რომელთა სრული ასახვისათვის ბიუჯეტში აუცილებელია შეიქმნას სამთავრობათაშორისო და ხმარებების ფონდები. ეს ფონდები გამოყენებულ უნდა იქნეს გრანტებისა და სესხებისათვის, რომლებიც მიიღება სხვა მთავრობებისაგან ან დამოუკიდებელი ერთეულებისაგან. აღნიშნული ფონდების თავისუფალი გამოყენება შუზღუდული იქნება და ამიტომ საჭიროა მათი განცალკევებული დაგეგმვა და აღრიცხვა ადგილობრივ დონეზე. ასეთი ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიებისათვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება გარკვეული გამოყენებისათვის. 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართვე-

ლოს აღებულად ეოკლებოდა 31 კრედიტი. რომლის საერთო თანხა 1,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს კრედიტები სამ ჯგუფად არის დაყოფილი: ტექნიკური. სასაქონლო და სარეაბლიტაციო კრედიტებად. საქართველოსათვის ტექნიკურ კრედიტებს საფუძვლად დაედო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება. მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში 14,6 პროცენტამდეა; სასაქონლო კრედიტებს, რომელიც მიეცა საქართველოს, საფუძვლად დაედო მოწოდებული პროდუქციის (ბუნებრივი გაზი, ხორბალი, სურსათი, მედიკამენტები, ტრაქტორები და სხვ.) შედეგად წარმოქმნილი დავალიანებები (თურქმენეთს, უკრაინის, ჩინეთის, თურქეთის, ირანის, ევროგაერთიანების კრედიტები) მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 53 პროცენტს; სარეაბლიტაციო კრედიტები (რუსეთის მეორე და მესამე, გერმანიის სამი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევრობანკის კრედიტები), რომელიც გამიზნული იყო ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის საჭიროებისათვის. მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 32 პროცენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწყისი საკრედიტო ან სხვა დოკუმენტების გაფორმება მოხდა 1992-1994 წლებში. ამიტომ ამ დოკუმენტებში არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკის არც მამინდელი მდგომარეობა და არც უახლესი რამდენიმე წლის პროგნოზი, რის შედეგადაც შექმნილი მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ შესრულდა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. დღის წესრიგში დადგა საქართველოს დავალიანების რესტრუქტურისაციის საკითხი. სავალუტო ფონდის ხელშეწყობითა და ინიციატივით საქართველომ თხოვნით მიმართა კრედიტორ ქვეყნებს დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ და მიღებული იქნა მათი თანხმობა ვალის გადავადების თაობაზე.

1997 წლის იანვრისათვის საგარეო ვალების ჩამოყალიბებული მოცულობიდან, რაც ბოლო დაზუსტებული მონაცემებით 1 მილიარდ 392 მილიონ დოლარს შეადგენს. რესტრუქტურისაციას დაექვემდებარა 859 მილიონი დოლარი, უკვე რესტრუქტურისებულია 794 მილიონი დოლარის საგარეო ვალები. მათ შორის დამთავრდა მოლაპარაკებები და გაფორმდა ხელშეკრულებები საგარეო ვალის რეკონსტრუქციაზე 7 კრედიტორ ქვეყანასთან. როგორცაა: თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ირანი, ავსტრია, რუსეთი და სხვა. ევროკავშირის ვალის თაობაზე

მიღწეულია შეთანხმება ვალის მოშასახურების გადახდის რეჟიმზე და ის განსაკუთრებულ ტვირთად არ დააწვება ქვეყანას.

საფინანსო და ფულად-საკრედიტო სფეროში 1996 წელს საქართველოს ერთგვარი სტაბილურობა დასტურდება იმითაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებით 23 სექტემბერს განხორციელდა სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში საქართველოსათვის მეორე ტრანშის გამოყოფა, რაც დაახლოებით 40 მილიონ დოლარს შეადგენს. 1996 წელს მიღებულია ასევე მსოფლიო ბანკიდან საკ-ის მეორე ტრანში - 30 მილიონი დოლარის ოდენობით.

ბიუჯეტის კლასიფიკაციის სრულყოფის მიმართულებით მნიშვნელოვან ღონისძიებად მიგვაჩნია ბიუჯეტში ტრანსტ-ფონდების შექმნა და მათი ბიუჯეტში სრულად ასახვა. ტრანსტ-ფონდები გამოიყენება მთავრობის მიერ იმ ფონდების ზედამხედველობის განხორციელებისათვის, რომლებიც ეკუთვნის სხვა პირებს. ამ შემთხვევაში ტრანსტ-ფონდების აქტივები არ ეკუთვნის მთავრობას და მათი ჩვენება არ ხდება ბიუჯეტში. რაც შეეხება სხვა ფონდების შექმნის მიზანს, ისინი გამოიხატება იმაში, რომ დროებითი საჭიროებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს არასაბიუჯეტო ფონდების შექმნა. მაგალითად, ობლიგაციების გამოსყიდვის ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ სახსრების შენახვისათვის, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან ამოღებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრანტების როლი ქვეყნის ბიუჯეტის სამე-მოსავლო ნაწილში ჯერ კიდევ დიდია, მაგრამ ასეთი ვითარება მომავალში ვეღარ გაგრძელდება. 1995 წელს სახელმწიფო შემოსავლების 25.3 პროცენტი საგარეო გრანტებზე მოდიოდა, 1996 წელს კი ეს მაჩვენებელი 8.8 პროცენტით შემცირდა. მომდევნო წლებში მათი მოცულობა სახელმწიფო შემოსავლებში უმნიშვნელო გახდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გადამწყვეტი ყურადღების გამახვილება საშინაო შემოსავლების გაზრდასა და შინაგანი რეზერვების ამოქმედების საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებაზე.

საქართველოს მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საგარეო ვალების დიდი მოცულობის არსებობის პირობებში, აუცილებელია ყველა სახელმწიფო ბიუჯეტგარეშე ფონდებმა თავის ასახვა პოვოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომ ჯერ ერთი, პარლამენტის მხრიდან გაკონტროლდეს მათი გამოყენების მიმართულებები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე და მეორე, ფინანსური რესურსების აკუმულირება მოხდეს ერთიან სახელმწიფო ფონდში.

საქართველოს სახელმწიფოს შემოსავლების მობილიზაციის დაბალი დონე, ქვეყნის მიერ ფისკალური დეფიციტის შემცირებისათვის მხოლოდ ხარჯების შეზღუდვის მექანიზმით განხორციელება საქართველოს განვითარების სამომავლო ინტერესებს არ შეესაბამება. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს „მხოლოდ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის მკვეთრი გადიდების, ხარჯებზე კონტროლის გაძლიერების და მათი რაციონალიზაციის გზით“<sup>1</sup>

## 2. სახელმწიფო ხარჯების მიზნობრიობისა და ოპტიმალური რეზერვების უზრუნველყოფა

ნებისმიერ სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველად ფინანსური სახსრები, რომლებიც ძირითადად ფორმირდება გადასახადებს ბიუჯეტში შეტანის სახით. თავის მხრივ, სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია განსაზღვრული სახელმწიფო ხარჯები, ხოლო ხარჯების დაფარვისათვის საჭიროა სახელმწიფოს შემოსავლების ფორმირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსების თვალსაზრისით სახელმწიფოს ეკონომიკური როლი სახელმწიფო ხარჯებში გამოიხატება. სახელმწიფო შემოსავლების ფორმირება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად გულისხმობს შემოსავლების ხარჯებად გადაქცევას ფულადი რესურსები, რომლებიც წარმოადგენენ ბიუჯეტის შემოსავლას ამანათნავე, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ისინი წარმოადგენენ ხარჯებს. სახელმწიფო შემოსავლები ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნულ საძირკის თვალსაზრისით წარმოადგენენ ასევე ხარჯებს. ამას ჩვენ ამატებ კვლავთ ხაზს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას სახელმწიფო ხარჯები წინ უსწრებდეს სახელმწიფო შემოსავლების განსაზღვრას. აღნიშნული რამდენიმე მთავარ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული საძირკის განაწილებასა და გადანაწილებას ფულად ფორმში.

შეიძლება სახელმწიფო ხარჯების ანალიზის საფუძველზე არის შესაძლებელი ახსნა-იჭნის სახელით შეურწმობაში რთული და მრავალმხრივი ფინანსური ურთიერთობები.

სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობა, მათი ურთიერთკავშირი ბიუჯეტში ფინანსური ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

---

<sup>1</sup> ვ. შევარდნაძე, მოხსენიება 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შტრუქტურასთან დაკავშირებით და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ, ვაშ. საქართველოს რესპუბლიკა, 13 თებერვალი 1997, გვ. 4.

ყოველ ბიუჯეტში შემოსავალ და გასავალ ნაწილებს შორის თანაფარდობა ბალანსის მქმნელობით მათი შედგენის ძირითადი პირობაა. სწორედ იგი განსაზღვრავს ქვეყანაში საგადასახადო დაბეგერის მოცულობის შემცირებას, ან გაზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საბაზრო ურთიერთობებზე თანდათანობით გადასვლის პირობებში ბიუჯეტურ კლასიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მისი მიზანია სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ისეთი სისტემატიზაცია, ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის რაციონალურ შედგენას, მის შესრულებას, შეამსუბუქებს აღრიცხვას და პარალელურად გაზრდის გამოყოფილი თანხების მიზნობრივ გამოყენებაზე ფინანსურ კონტროლს.

ხარჯების მართვა ეს არის განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის მიზნობრივი ზემოქმედების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა. მართვა დამახასიათებელია სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროსათვის. კ.მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი უშუალო საზოგადოებრივ ან ერთობლივ შრომას, რომელიც ხორციელდება შედარებით ფართო მასშტაბით, ესაჭიროება დიდი ან შედარებით მცირე ხარისხით მართვა. მართვის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ შეირჩეს არსებულიდან ყველაზე ეფექტიანი მეთოდები, ხერხები და შესაბამისად შეიქმნას პირობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს რაციონალურად გამოვიყენოთ ისინი დასახული ამოცანების სწრაფად გადაჭრაში.

თეორიული შინაარსის მიხედვით, ხარჯების მართვა მარტივი კონცეფციაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ მიზნობრივ, დასახული პროგრამის მიხედვით გამოყენებას. მაგრამ ამის მაგალითები ნაკლებად გვხვდება საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ ცხოვრებაში. რა გვაქვს მხედველობაში? უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხარჯების გამოყენების ოპტიმალური ხასიათი, რასაც ჩვენ რაციონალურ ორგანიზაციას ვუწოდებთ. ხარჯების მართვის სისტემის სრულყოფა გულისხმობს უმცირესი ხარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღწევას. ეს პროცესი კი, როგორც ყველა ეკონომიკური პროცესი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ სახელმწიფო ხარჯებსა და შემოსავლებს აქვთ თავისი საკუთარი პერიოდულობა. კერძოდ, შემოსავლები ჩვეულებრივად მაღალია მეორე კვარტლის პერიოდში, მაშინ, როდესაც ხარჯები ბიუჯეტის დასაწყისში, მის პირველ თვეებშია განსაზღვრული და შესაბამისად იზრდება შემდგომ პერიოდში, მესამე და მეოთხე კვარტლის თვეებში. მათზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ უცხოეთის დახმარებების წყაროები - რომელთა წარმოდგენას ვაძლბა

ზრდიან ან ამცირებენ განსხვავებას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის საფინანსო სფეროში დაძაბულობის გათვალისწინებით სახელმწიფო ხარჯებს, როგორც ეკონომიკაზე ზემოქმედების მექანიზმს, მაკროეკონომიკურ მართვაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ხარჯების მუდმივი ანალიზი ობიექტური აუცილებლობაა და მოითხოვს სამგვარ მიდგომას: ხარჯების პერსპექტიულ დაგეგმვას, ბიუჯეტის დეფიციტის ანალიზს და გაურკვევლობის ფაქტორის მხედველობაში მიღებას. ფინანსური დაგეგმვის ობიექტებია მეურნეობრივი სუბიექტებისა და სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობა, ფინანსური გეგმების შედგენა. თავის მხრივ, ფინანსური დაგეგმვა მოიცავს ცალკეულ დაწესებულებათა, ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვიდან სახელმწიფო კრებისთი ფინანსურ ბალანსამდე ყველა რგოლის მუშაობას. ყოველ ფინანსურ გეგმაში განსაზღვრულია გარკვეულ პერიოდში შემოსავლები და ხარჯები. ფინანსური სისტემის ყველა რგოლს თავისი ფინანსური გეგმები აქვს. მათი მაჩვენებელთა შემადგენლობა ასახავს ფინანსური სისტემის თითოეული რგოლის თავისებურებას. ასე მაგალითად, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც კომერციულ საწყისებზე მუშაობენ ადგენენ შემოსავლებისა და გასაქვების ბალანსს, დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ არაკომერციულ საქმიანობას ადგენენ ხარჯთა ნუსხებს, კოლმეურნეობები, კოოპერატიული ორგანიზაციები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავისი ფუნქციონირებისათვის ქმნიან ფინანსურ გეგმებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები - სხვადასხვა ღონის ბიუჯეტებს.

ფინანსური დაგეგმვის კონკრეტული ამოცანები საფინანსო პოლიტიკით განისაზღვრება. იგი გულისხმობს ჯერ პირში, სახელმწიფოს ერთიანი საფინანსო პოლიტიკიდან გამომდინარე ფულადი საშუალებებისა და მათი წყაროების მოცულობების განსაზღვრას, რომელიც აუცილებელია გეგმური დავალებების შესასრულებლად, მმრმ, შემოსავლების ზრდის რეზერვების გამოვლენას, დანახარჯებში ეკონომიის მიღწევას და მმსამმ, ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ფონდებს შორის ფულად საშუალებათა განაწილების ოპტიმალური, რაციონალური პროპორციების დადგენას.

ასხვავებენ ფინანსების სტრატეგიულ და ოპერატიულ მართვას. ფინანსების სტრატეგიული მართვა გამოიხატება პროგნოზების მეშვეობით პერსპექტივაში ფინანსური რესურსების დადგენით, ხოლო ოპერატიული მართვა ნიშნავს მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაში, ფინანსური მდგომარეობის ოპერატი-

ული ანალიზის საფუძველზე, საჭირო ფინანსური რესურსების განსაზღვრას. რაც შეეხება კონტროლს ფინანსური დაგეგმვის პროცესში, იგი როგორც დაგეგმვის მართვის ელემენტი ვლინდება იმაში, რომ ფინანსური რესურსების გადანაწილების, მინიმალური ხარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღწევა, ფინანსური რესურსების გამოყენების თვალსაზრისით მათი შეფასება, ფაქტობრივი და გეგმური შედეგების ურთიერთშედარებით ხორციელდება.

სარჯების პერსპექტიული დაგეგმვა სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი საფინანსო პოლიტიკის ფინანსური შედეგების პერსპექტივაში დანახვა. ბიუჯეტის სისტემა, მისი კლასიფიკაცია უკარნახებს საფინანსო პოლიტიკას ფინანსური რესურსების იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებში მას შეუძლია მოქმედება სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების რაციონალური ორგანიზაციის თვალსაზრისით და, ამასთანავე, მიუთითებს ალტერნატიულ ვარიანტებზე, რომლებიც მას გააჩნია ფინანსური სახსრების უკმარისობის პირობებში. ყოველი ეკონომიკური ღონისძიება წინასწარ განსაზღვრულ საფინანსო პოლიტიკის საფუძველზე წარმოადგენს ასევე ვალდებულებას შეზღუდული რესურსების გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე, ასეთ ვალდებულებათა სიმრავლე ობიექტურად განაპირობებს ბიუჯეტში ახალი რესურსების მობილიზაციის აუცილებლობას. ამასთანავე, ბიუჯეტის სისტემა, მისი სტრუქტურა ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ სახელმწიფო ხარჯების შედგენილობა იყოს გამჭვირვალე მიზნობრივი გამოყენების მიმართულებით და გადასახადის გადამხდელებმა ნათლად დაინახონ, თუ რაში იქნა გამოყენებული აღნიშნული რესურსები.

ხარჯების პერსპექტიული დაგეგმვა მოითხოვს ხარჯების მართვისადმი ანალიტურ მიდგომას. იგი გულისხმობს ხარჯების გადასინჯვის პროცედურის დანერგვასაც. ამას იმიტომ აღნიშნავთ, რომ პერსპექტიული დაგეგმვა გულისხმობს „დაგეგმვის ე.წ. რეზერვის შექმნას“, რომელიც დაზღვევის ფონდის სახით იქმნება გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში რესურსების მანევრირების მიზნით. აქ მთავარია საწინააღმდეგო მოვლენა გამოირიცხოს, კერძოდ, არ არის გამორიცხული, რომ ყურადღება გამახვილებულ იქნეს არა საფინანსო პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე, არამედ წინასწარ განსაზღვრული დარჩენილი სარეზერვო საშუალებების უწყებებს შორის განაწილებაზე. აღნიშნულის მაგალითები უამრავია ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეს რომ არ მოხდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ხარჯების ფუნქციონალურ განსაზღვრას, მათ სტრუქტურულ ცვლილებებს. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ბიუჯეტური

სისტემა და საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა დღევანდელ პირობებში არსებობს საკასო საფუძველზე და ხარჯების რეალურ სურათს ვერ ასახავს. ამიტომ აუცილებელია თანდათანობით მოცულობითმა პაჩვენებლებმა ადგილი დაუთმოს ფულად მანქვებლებს. მხედველობაში გვაქვს ხარჯების ლიმიტების მკაცრ განსაზღვრაზე ყურადღების მიქცევა და მათი მკაცრი დაცვა, რაც ხელს შეუწყობს მომავალში ხარჯების სტრუქტურული დაგეგმვის მექანიზმების თანდათანობით დაწერგვას.

ბიუჯეტში, ერთი მხრივ, აისახება საბოლოო მოთხოვნილებები არსებულ სახსრებზე, ხოლო, მეორე მხრივ, მასში მოცემული ხარჯების ლიმიტები გამოხატავენ მომავალი ხარჯების მთლიანობას, რომლებიც ემყარება რეალური ფასების ცვლილებებს ფინანსურ წელს დაფიქსირებულ ფასებთან შედარებით. დღევანდელ პირობებში, ხარჯების პერსპექტიულ დაგეგმვაში ხარჯების ლიმიტების განსაზღვრის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მაკროეკონომიკური მართვის სისტემაში, ვინაიდან მასში იმალება ყველა ის „ფინანსური ფოკუსები“, რომლებიც უმეტეს ცივილიზებულ სახელმწიფოებისათვისაც კი არის დამახასიათებელი და მით უმეტეს, იმ ქვეყნისათვის, სადაც უკანასკნელი რამდენიმე წლის პერიოდიდან დაიწყო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა.

ხარჯების პერსპექტიული დაგეგმვა, ფინანსურ სფეროში დამაბუღლობის პირობებში, ხელს უწყობს ხარჯების კონკრეტული პრიორიტული მიმართულებით წარმართვას. ანალიტური მიდგომა საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს და შეირჩეს თუ რომელი პროგრამა შესრულდება არსებული რესურსების საფუძველზე და რომელი მათ შორის პროგრამა, რესურსების დეფიციტის პირობებში, პირობითად შეუსრულებელი დარჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარჯები შეიძლება დაიყოს „მთავრად“ და „არამთავრად“ და შესაბამისად დაცულ ხარჯებად. რომლის წყაროები წინასწარ ცნობილია და არა დაცულ ხარჯებად. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა პროგრამებიდან შეირჩეს ისეთი, რომელიც უმცირესი დანახარჯებით მაქსიმალურ შედეგს მოგვცემს. ხარჯების პროგრამების საფუძველად აღებულ უნდა იქნეს მომავალში სტრუქტურული კანონები, რომლებიც აუცილებელი იქნება ყველასათვის და კორექტირებას კანონიდან გამომდინარე არ ითვალისწინებას. რამდენადაც ხარჯები ემყარება პერსპექტიულ დაგეგმვას (ინდულურ გეგმას), ამიტომ ანალიზი უნდა განხორციელდეს ქვეყანაში არსებული რეზერვების გამოვლინებისა და ამოქმედების საფუძველზე და არა სხვათა სხვადასხვა დახმარებების იმედით. აქ კი მთავარია საფინანსო პოლიტიკით

განსაზღვრული გასატარებელი ღონისძიებების ანალიზი ბიუჯეტის ნულოვანი ბაზის საფუძველზე განხორციელდეს.

აღნიშნული მიდგომით ანალიზი მოგვცემს ხარჯების მართვის მიმართულებით პრობლემის გადაწყვეტის სამ ვარიანტს: 1. ხარჯების მოცულობის შეცვლას ადრე არსებული უკუგების მაჩვენებლის შენარჩუნებით; 2. ხარჯების შემცირების საფუძველზე უკუგების მანევრირებას და 3. ხარჯებზე საერთოდ უარის თქმას კერძო სექტორის სასარგებლოდ. ამ ვარიანტების ანალიზი და ამ საქმეში სპეციალისტების ჩართვის შედეგად დასკვნების გაკეთება და შემდეგ მათი ბიუჯეტის ფორმირებაში გამოყენება, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამინისტროებისა და უწყებებისათვის რეალურად საჭირო გამოყოფილი სახსრების განსაზღვრისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი წლით ბიუჯეტის შედგენა იწვევს ინერციას მუშაობაში, ვინაიდან ამ პერიოდში შეუძლებელია დეტალურად გაანალიზდეს პროგრამის ეფექტურობა, რომლის შესრულებისთვისაც ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი ხარჯები. ამიტომ აუცილებელია ახალი საბიუჯეტო პროცესის შემოღება, რომლის დროსაც სამინისტროს, უწყებას და სხვა სამეურნეო მსხვილი ერთეულის საქმიანობის და მათ მიერ მიღწეული შედეგების ანალიზი განხორციელდება ოთხ წელიწადში ერთხელ. ამით უწყებები განაწილდება ოთხ ჯგუფად, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად გაანალიზდეს დაახლოებით მათი მეოთხედი ოთხწლიანი მცოცავი გრაფიკის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, თითოეულზე გამოყოფილი სახსრები შემდეგი ოთხი წლის პერიოდში დამოკიდებული იქნება მათ ამოცანებზე, მიღწეული შედეგებისა და მათი მიღწევის ხარჯების ანალიზიდან გამომდინარე შეფასებაზე. ზემოთ აღნიშნულის ცხოვრებაში გატარება დამოკიდებულია ქვეყნის შიდა ძალებზე, ფინანსურ რესურსებზე, კვალიფიციურ კადრებზე, იმათზე, ვინც უკეთ იცის თავის საქმე სხვებთან შედარებით ხარჯების მუდმივი ანალიზის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარედან მოწვეული ექსპერტები, რაც არ უნდა კვალიფიცირებული იყვნენ ისინი, მათი დამუშავება რეალურ ინფორმაციასთან ამა თუ იმ ფორმით მაინც შეზღუდულია. ყოველი ეკონომიკური მაჩვენებლის უკან ეკონომიკური პროცესია, რომელთა გაანალიზების შესაძლებლობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიდგომის გარეშე, მხოლოდ ზედაპირულ შეფასებად დარჩება. აქ უბრალოდ მათემატიკური გაანგარიშება, მოვლენების სიღრმისეული გაგების გარეშე, არაფრის მომცემია პერსპექტივაში მუშაობის წარმართვის მიმართულებით და ამიტომ ობიექტურად წარმოშობს წინააღმდეგობას მათ შორის, ვინც პროგრამებს ხელმძღვანელობს და მათ შორის, ვინც

მას აფასებს. აქ კი ვლინდება საზოგადოებრივ, კოლექტიურ და პირად ინტერესებს შორის წინააღმდეგობა, რომელთა გადალახვა ერთ-ერთ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის პირობების თანდთანობით მომზადებაში.

ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. სამაშულო ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიუჯეტის დეფიციტზე მეტად უარყოფითი წარმოდგენა არსებობს. იგი განისაზღვრებოდა, მიუხედავად მისი დასაშვები საზღვრებისა მეტად დამანგრეველ ძალად, რომელიც თითქოს მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ჩვენს ეკონომიკაში, მისი გეგმური განვითარების გამო, ბიუჯეტის დეფიციტი გამორიცხული იყო. ასეთ პირობებში, ბიუჯეტის დეფიციტის მიზნების, დასაშვები საზღვრებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ღრმა მეცნიერული დამუშავების არარსებობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სტრუქტურები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ბიუჯეტის დეფიციტის მართვის საკითხებში. საბჭოთა ოფიციალურ ეკონომიკურ გამოკვლევებში აღნიშნული იყო, რომ „სოციალისტური ფინანსები ყოველთვის ხასიათდება სტაბილურობით, ფინანსური რესურსები განუწყვეტლივ იზრდება. არ არსებობს ბიუჯეტური დეფიციტი და ყოველთვის ადგილი აქვს შემოსაულებლის ხარჯებზე გადამეტებას“. აქვე იყო მითითებული, რომ „ფულის გამოშვება არ გამოიყენება სახელმწიფო შემოსაულებლის წყაროდ“. ასეთ დასკვნის გაკეთებას საფუძვლად ედებოდა ამ პრობლემის გადაწყვეტაში ორმხრივი მიდგომა: ჯერ ერთი, მოთხოვნილება რესურსებზე იანგარიშებოდა მატერიალურ გამოსახულებებში ან მოცულობებში და მეორე, ამიტომ უწყება არ იყო დაინტერესებული ფინანსური შედეგებით, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაფინანსება ხდებოდა ღირებულებისაგან მოწყვეტით და საქმიანობის წარმართვა მოცულობების ზრდაზე ქმნიდა სუბიექტურ პირობებს ღამატებითი რესურსების მოთხოვნაზე, იმის მაგივრად რომ უფრო ეფექტიანად გამოეყენებინათ უკვე არსებული რესურსები. ასეთი დამოკიდებულებით ყოველი წლის ხარჯების დონის განსაზღვრა საფუძველი ხდებოდა მომავალი წლის ხარჯების შემდგომი პროგრესული ზრდისათვის.

ეკონომიკის ცენტრალიზებული მბრძანებლური მართვის პირობებში ბიუჯეტური სისტემა ემყარებოდა შესაბამის სტრუქტურას: ცენტრალური მთავრობის, რეგიონული მთავრობისა და ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებს. ბიუჯეტური სისტემის ასეთი ორგანიზაცია გულისხმობდა ცენტრიდან ერთიან ხელმძღვანელობას და დეცენტრალიზებულ მართვას. ყველა ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტების

სახეები უნდა ყოფილიყო აუცილებლად ბალანსირებული, სადაც გამოირიცხებოდა ბიუჯეტის დეფიციტები. მიუხედავად ვადაგადაცილებული გადახდების დაგროვებისა და არსებობისა. თავის მხრივ, გადაუხდელობის მოცულობების ყოველწლიური ზრდა სხვა არაფერი იყო თუ არა ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტობრივი არსებობის აღიარება.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ცენტრალიზებული მართვის პირობებში სამთავრობო უწყებებს არ გააჩნდათ ფინანსური რესურსების ეკონომიისათვის სტიმულები, ახალ პირობებში მუშაობისას კი, ბიუჯეტური სისტემის წინაშე წარმოიშობა მრავალი დამატებითი ვალდებულებები, კერძოდ, იქმნება აუცილებლობა, რომ ბიუჯეტი შედგეს მაკროეკონომიკურ სტრუქტურის კონტექსტში, სადაც მკაცრად გათვალისწინებული იქნება *ჰერ მართი*, ბიუჯეტსა და ეკონომიკას შორის ურთიერთკავშირისა და *მპორე*, მომავალი შემოსავლის გონივრული შეფასება და მასთან ერთად ისიც თუ რა ფასით შეიძლება მიღწეულ იქნეს მთავრობის მიერ დასახული მიზანი. ამრიგად, მაკროეკონომიკურ კონტექსტში მუშაობის წარმართვა დეფიციტის მართვის მიმართულებით გულისხმობს იმას, რომ რესურსების განაწილება უნდა განხილულ იქნეს არა როგორც მხოლოდ ამოცანა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ზრდას, არამედ, ამასთანავე, როგორც ხარჯების შემცირების მიმართულებით კორექტირების საფუძველი.

თანამედროვე ეტაპზე ბიუჯეტური პროცესი უნდა მიესადაგოს ამ ცვლილებებს და გათვალისწინებულ უნდა იქნეს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში: კერძო სექტორის გადამწყვეტი როლი ეკონომიკურ აქტიურობაში, საშემოსავლო გადასახადის ხვედრითი წილის ზრდა შემოსავლებს სტრუქტურაში, მათი შემოსავლების ძირითად წყაროდ გადაქცევა, გადასახადების მართვის სრულყოფა და სხვა საკითხები. აღნიშნული კი დღის წესრიგში აყენებს ახალ მოთხოვნებს ფინანსური დაგეგმვის მიმართ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს თითოეული პროგრამის შედეგისა და სახელმწიფო შემოსავლების წყაროების განუწყვეტლივ პროგნოზირებას, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური თანაფარდობა პროგრამების პარამეტრებსა და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვეყნის საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ საგარეო ვალის მოცულობა საერთო ეროვნული პროდუქტის ნახევარზე მეტი არ არის და ბიუჯეტის დეფიციტი შიდა ეროვნული პროდუქტის ორ-სამ პროცენტს შეადგენს, მაშინ საქართველოს დღევანდელი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა

რეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მძიმე კრიზისად, როგორც ბიუჯეტის რეალური დეფიციტის. ასევე სახელმწიფო ვალის მიმართულებით, რამდენადაც ისინი ყოველგვარ დასაშვებ ნორმებს აჭარბებს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი თანამედროვე ეტაპზე ქრონიკულად დეფიციტურია. იგი შედეგია ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემის, რომელიც ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში ბატონობდა და ამჟამად ბიუჯეტურ პროცესში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი. სათანადო ყურადღება არ ექცევა საფინანსო პოლიტიკის მეშვეობით შემოსავლების მობილიზაციას, შიდა რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებას, ხარჯების ნაწილის რაციონალურ გამოყენებას, ბიუჯეტის შედგენის ინსტიტუციონალური წესების სრულად დანერგვას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი სისტემის შექმნისა და ამოქმედების პრობლემებს, გამწვავებული სოციალური საკითხების გადაწყვეტას. არ ხდება დამატებითი ღონისძიებების მიღება ქვეყნის შიდა შემოსავლების ზრდისათვის და ხარჯების მოცულობის შემცირებაში. ყველა საქმიანი სტრუქტურა არ არის ჯერ კიდევ მოქცეული საგადასახადო სფეროში, ამით დარღვეულია გადასახადების გადახდის საყოველთაობის პრინციპი, რომელიც ამოსავალია საფინანსო პოლიტიკის გატარებაში. მთავრობას არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია რეგიონებში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რაც ხელს უწყობს რეგიონებში საბანკო ფინანსირების ავტომატური მიღებისა და გამოყენების პროცესში უკონტროლობის ატმოსფეროს შექმნას; ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნია ერთიანი საფინანსო პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა, თუმცა ამ მიმართულებით ამჟამად მუშაობა დაიწყო. არ არის განსაზღვრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე საფინანსო პოლიტიკის ამოცანები, რომლებიც მიმართული იქნება სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

როგორც ცნობილია, ყოველი გეგმა შესრულების პროცესში განიცდის დაზუსტებას, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხარჯების მართვის გეგმაც განიცდის დაზუსტებას გასავალი ნაწილის ხარჯვის პროცესში. თავის დროზე ჯონ მებინარდ კეინსი, თავის ერთ-ერთ ძველ ტრაქტატში წერდა, რომ ყოველთვის არსებობს დროიდან გამომდინარე „შავი ძაღები“, რომლებიც მოქმედებენ ეკონომიკაზე და, ამასთანავე, მთავრობის მოქმედებასა და მსოფლმხედველობაზე, რომელთა გათვალისწინება წინასწარ შეუძლებელია, მაგრამ მიახლოებითი ყურადღების გამახვილება მაინც არის აუცილებელი. მაგალითად, ყველაზე უფრო სტატისტიკურად ნაკლებ მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს „პეპელას

ეფექტი". ამ ეფექტის წინასწარ განსაზღვრა თითქმის მეტად ძნელი ამოცანაა. საფინანსო სფეროში დაძაბულმა მდგომარეობამ, შედარებით მეორეხარისხოვანი მოვლენა, შეიძლება გადააქციოს გადაწყვეტ ფაქტორად დესტაბილიზაციის წარმოშობაში. აღნიშნულის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ეკონომიკის ცვლილებების გათვალისწინებით პროგნოზები, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების კატეგორიების თანაფარდობაში. ეს პროგნოზები მომავალში უნდა გახდნენ ხარჯების მართვის განუყოფელი ნაწილი, რამდენადაც, როგორც მათემატიკური მკაცრი თეორიები ამტკიცებს, პეპელას ფრთების მოქნევამ ამაზონის ჯუნგლებში შეიძლება იმოქმედოს ჩიკაგოს ამინდზე რამდენიმე თვის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტური პროცესის ყველა ეტაპზე მკაცრად უნდა გვახსოვდეს, რომ რესურსებს აქვს შეზღუდული ხასიათი და მათმა მტაცებლურმა, არამიზნობრივმა გამოყენებამ თავის შესაძლებლობები ამოწურა, რაც გულისხმობს გაურკვეველობის პირობებშიც კი ერთი შეხედვით არა არსებით ცვლილებებზე პროგნოზირების მშვეობით ყურადღების მიქცევას.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტურ კრიზისზე მოქმედებენ სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ორი ტენდენციით ვლინდება იმ ქვეყნებში, რომლებიც შერეული ეკონომიკის გზას დაადგნენ. ზოგიერთ ქვეყანაში კრიზისის მიზეზია განსხვავება ხარჯებსა და შემოსავლებს შორის, შესაბამისად დეფიციტის ზრდა. ეს უკანასკნელი ფინანსირდება იმ წყაროებიდან, რომლებსაც ხშირად ინფლაციური ხასიათი აქვთ. სხვა ქვეყნებში აღნიშნული ტენდენცია ღრმავდება იმის გამო, რომ ეკონომიკური ზრდა ემყარება ხარჯების მნიშვნელოვან გადიდებას, რომლებიც, თავის მხრივ, ფინანსირდება უცხოეთიდან დახმარებების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში აღნიშნულის მიზეზია ბიუჯეტის დეფიციტის გადიდება და, ამასთანავე, დეფიციტთან დაკავშირებით ფულად-საკრედიტო სისტემაში დისპროპორციების წარმოშობა. საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებით, ბიუჯეტის დეფიციტზე კონტროლის დაწესება მიღწეულ იქნა, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების შემცირებით, დეფიციტის უცხოური დახმარებების წყაროებიდან არაინფლაციური გზით დაფარვით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ეტაპზე საჭიროა მკვეთრად შეიცვალოს საგარეო ვალის მომსახურების მდგომარეობა, ვინაიდან საგარეო ვალის ყოვლად დაუშვებელი ფარგლები, თავის მხრივ, ქმნის პირობებს საგარეო დაგ-

როვების წყაროების მკვეთრად შემცირებისა და სავალუტო კურსების სისტემის ნგრევისათვის. ბიუჯეტური დეფიციტი, დიდი რაოდენობის საგარეო ვალები, სამეურნეო ცხოვრების მეტისმეტი რეგლამენტირება და პროტექციონიზმი გააღრმავებს ინფლაციურ პროცესებს, გაცვლითი კურსების არასტაბილურობას, საპროცენტო განაკვეთების ზრდას და ყოველივე, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მაკროეკონომიკის დონეზე გაურკვევლობის ჩამოყალიბებას, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. აღნიშნული პროცესის შეჩერების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით სავსებით სწორად განისაზღვრა მკაცრ ჩარჩოებში ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი ნაწილები, დამატებითი შემოსავლების მოზილზაციის საფუძველზე ხარჯების მოცულობის შემცირება და ორივე ღონისძიების ერთდროულად გამოყენება.

მართალია, ჩვენს ქვეყანას აქვს ბიუჯეტის სრულიად დამოუკიდებლად შედგენის თავისუფლება, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკისა და ფინანსების მდგომარეობა ამის პრაქტიკულ საშუალებას არ იძლევა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, ისე როგორც ადრეული წლების, შედგა საერთაშორისო ორგანიზაციების რეგლამენტაციების მკაცრად გათვალისწინებისა და მისი ყველა პარამეტრის ერთობლივი დაფინანსების საფუძველზე, რითაც შეიქმნა პირობები თავიდან აცილებული ყოფილიყო ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორცაა ბიუჯეტის დიდი დეფიციტი. სხვა ალტერნატიული გზის არჩევის საშუალება ფაქტობრივად არ გაგვაჩნდა.

საქართველოს ბიუჯეტის კლასიფიკაციის სტრუქტურა, უკანასკნელ პერიოდში ცალკეული ძვრების მიუხედავად, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ვერ პასუხობს ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოთხოვნებს. ტრადიციულად სახელმწიფო ხარჯების მართვის ქვეშ განიხილება კონტროლის სისტემა. თავის მხრივ, კონტროლის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ აკონტროლებს და რა კონტროლდება. ამ ასპექტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკას დროებითი პარამეტრების შერჩევაში და ორგანიზაციულად შესრულების უზრუნველყოფაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ლიტერატურაში სახელმწიფო ხარჯების „ხელმძღვანელობის“ და „მართვის“ ცნებების გაიგივება უზუსტოდ მიგვაჩნია, ვინაიდან სახელმწიფო ხარჯების „ხელმძღვანელობა“ ყოველგვარ პირობებშია შესაძლებელი, ხოლო სახელმწიფო ხარჯების „მართვა“ ორგანიზაციულ სტრუქტურულ ცვლილებებს ემყარება და ხორციელდება

მკაცრად ჩამოყალიბებული მისწრაფება გასოფლების ორგანიზაციაში. ამას ჩვენ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფო ხარჯების მართვა უნდა მოიცავდეს საფინანსო პოლიტიკის ჩამოყალიბებას და შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დასახული საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას, მისი რეალობისათვის შესაბამისი ინფორმაციული სისტემების ჩამოყალიბებას. ამრიგად, ხარჯების მართვა წარმოადგენს ეკონომიკურ მოვლენას, წინგადადგმულ ნაბიჯს ხარჯების „ხელმძღვანელობასთან“ შედარებით. ეს უკანასკნელი დამახასიათებელი იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისათვის, რომლის ნიშნები ამჟამადც ვლინდება საქართველოს ეკონომიკის მართვის სისტემაში, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვს აღმოფხვრას ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების მუშევრებით.

მართალია, სახელმწიფო ხარჯების მართვა წარმოადგენს ოპერატიულ სისტემას და არა აბსტრაქციას, მიუხედავად ამისა, იგი სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. აღნიშნულის მიზეზია ეკონომიკური მოვლენებისადმი სუბიექტივისტური მიდგომა და ობიექტური ხასიათის უგულვებელყოფა. აღნიშნული ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ძველი დროის გამოცდილების სისწორეს, რომ ადამიანის შეხედულება ნივთებზე დაშოკებულია მის მიერ საზოგადოებაში დაკავებულ ადგილზე. მაგალითად, ოპტიმისტიკისათვის სახელმწიფო ხარჯების მართვა წარმოადგენს ხიდს შეუზღუდავ პოლიტიკურ რიტორიკასა და შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს შორის: პესიმისტიკისათვის იგი რიტუალია, რიმელიც ხორციელდება არა გონებით, არამედ ზედაპირულად, რწმენაზე, ჩვეულებაზე დამყარებული პრინციპით. პოლიტიკოსისათვის იგი წარმოადგენს აუდიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე მათ წინაშე ანგარიშვალდებულების მექანიზმს. უწყების ხელმძღვანელისათვის, რომელიც ხარჯავს გამოყოფილ თანხებს, წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს ბიუროკრატიული აპარატის ხელში არსებულ ხელისუფლების იარაღს. ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირებისათვის - ეს არის განცვიფრების წყარო, ხიდი რა შეიძლებაასა და რაც მოცემულია რეალურად იმას შორის. მაკროეკონომისტიკისათვის იგი წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც უქმნის იმედს ქაოსისაგან თავის დაღწევასა და მაკროეკონომიკაში სტაბილურ ციის მიღწევისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხარჯების მართვა ყოველთვის საკამათო თემას წარმოადგენდა. აღნიშნულის მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ განსაზღვრულ ეკონომიკურ მიზანს ვერ ახორციელებს როგორც ხელმძღვანელობა,

ასევე სახელმწიფო მექანიზმი. ეს უკანასკნელი კი უშუალოდ არის დამოკიდებული ყველასათვის გასაგები პირობების განუსრულ დაცვაზე. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ დასმული ამოცანა არ უნდა სცილდებოდეს ამ ამოცანის შესრულების შესაძლებლობების ფარგლებს. ასევე სახელმწიფო ვალდებულებები, მატერიალური და ბუნებრივი რესურსები უნდა შეესაბამებოდეს დასახული ეკონომიკური მიზნების დონეს. თუ ასეთი შესაბამისობა არ არსებობს, მაშინ შედეგები ადვილად შეიძლება წინასწარ განესაზღვროთ. თუ ასეთი მიდგომა გაგრძელდება, რაიმე წარმატებებზე ლაპარაკი ეკონომიკის სტაბილიზაციის თვალსაზრისით შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსის დარღვევის შემთხვევაში, როდესაც არ არის დაცული შესაბამისობის პირობები, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევის მიმართულებით მეცნიერების, ასევე პრაქტიკოსების დასკვნები, შეფასებები ანარეალური ხდება. რეალობასთან მოწყვეტით შეიძლება გარკვეული დროის პერიოდში სახელმწიფო ხარჯების ხელმძღვანელობა, მაგრამ სახელმწიფო ხარჯების მართვა შეუძლებლად მიგვაჩნია. სახელმწიფო ხარჯების მართვა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ფინანსური რესურსების მომჭირნეობით მიზნობრივ გამოყენებას, ქვეყნის შინაგანი რეზერვების გამოყენების საფუძველზე მათი გაზრდის წყაროების შექმნას და არა სხვისი დახმარებების იმედით ეკონომიკის მართვას. ასეთი მიდგომა, რომ გამოირიცხო, საჭიროა ფინანსების მართვა მკაცრად ჩამოყალიბებული საფინანსო პოლიტიკისა და შესაბამისი აუცილებელი ბალანსური პირობების რეალურად დაცვის საფუძველზე.

ყოველ სახელმწიფოში ბიუჯეტის სახსრების რეგლამენტირება, ბიუჯეტის წყაროების რეალური განსაზღვრა ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების აუცილებელი პირობაა. იგი მიღწეულ უნდა იქნეს ხარჯებისა და შემოსავლების დაჯგუფების გაერთიანებით ფორმებისა და სახეების მიხედვით, ხოლო ხარჯებისა - ღონისძიებებისა და მიზნობრივი დანიშნულების გათვალისწინებით.

აღნიშნული აქსიომაა, მაგრამ სამწუხაროდ ხშირად მივიწყებული იყო ჩვენი სახელმწიფოს მაგალითზე. საქართველო, რომელიც დაადგა სოციალურად ორიენტირებულ, რეგულირებად საბაზრო ეკონომიკის გზას, დიდი ამოცანების წინაშე დგას. აქ მთავარი ამოცანაა სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ორგანიზაციული სისტემის შექმნა და მისი სწორად წარმართვა. სახელმწიფოს მიერ წარმართულმა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საფინანსო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ტერიტორიაზე გაწეული ხარჯების მთელი კომპლექსი და შექმნილი შემოსავლებით უზრუნველყოს მისი დაფინანსება.

1991-1995 წლების ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში ამ მხრივ მდგომარეობა კრიზისულ ხასიათს ატარებდა: 1990 წელს რესპუბლიკის ბიუჯეტი უღეფიციტო იყო. ეს ის პერიოდი. როდესაც რესპუბლიკის ბიუჯეტს უგებმავდა ყოფილი საბჭოთა კავშირი. შემოსავალი მთლიანად ფარავდა გასავალს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების საქმეში შეიქმნა 1992 წლიდან. ამ წელს ღეფიციტმა შიდა ერთობლივ პროდუქტში შეადგინა 28%. ასეთი გარემოება სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა რესპუბლიკაში მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ასევე რესპუბლიკის ბიუჯეტში თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების ხარჯების ავტონომიურმა ფორმირებამ, რომელიც ადრე საკავშირო ბიუჯეტიდან იფარებოდა.

რესპუბლიკის ბიუჯეტში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა 1993-1994 წლებში. ამ პერიოდისათვის სახელმწიფო ბიუჯეტი პარლამენტს არ დაუმტკიცებია და მისი განხილვა და მიღება ხდებოდა კვარტალების და ცალკეულ შემთხვევაში, სამწუხაროდ თვეების მიხედვით, გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ 1993 წლისათვის ბიუჯეტის ღეფიციტმა (გასავლის გადამეტებამ) შეადგინა შემოსავლებზე 47%, ხოლო 1994 წელს - 37 პროცენტზე მეტს მიაღწია.

საქართველოს რესპუბლიკის ნაერთი (კონსოლიდარული) ბიუჯეტი 1995 წლისათვის დამტკიცდა უღეფიციტოდ, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შემოსავლების ნახევარზე მეტს, 53,9 პროცენტს შეადგენდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერ გამოყოფილი დახმარებები, გრანტები და კრედიტები. ცხადია, ამგვარი საბიუჯეტო პოლიტიკის გამოყენება პრაქტიკაში არარეალურია და იგი არსებით შეცვლას, სრულყოფას მოითხოვს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის პრინციპები, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა მოითხოვს სრულყოფას. კერძოდ, ბიუჯეტის შედგენის სისრულის პრინციპი მოითხოვს სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ყოველგვარი გამორიცხვის გარეშე სრულ ასახვას.

ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის შედგენის დროს, როგორც გასული 5 წლის პრაქტიკამ დაგვანახა. ხშირად ირღვეოდა ბიუჯეტის შედგენის ერთიანობის პრინციპი სისრულის პრინციპთან ერთად, რაც ჩვენი აზრით ამ საქმეში თვითნებობის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზთაგანია.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტის მოცულობის განსაზღვრისას, არც მთავრობასა და პარლამენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, თუ როგორ განაწილდება საბიუჯეტო წელს ფაქტობრივი ხარჯები ეკო-

ნომიკის კონიუნქტურის პირობებში, და მით უმეტეს, როგორ ჩაზოყალიბდება შუამოსავლები. ასე რომ, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის რეალობასთან მიახლოებას ნიშნავს და არა ამ უკანასკნელიდან დაშორებას.

ბიუჯეტური ციფრობრივი მონაცემების ცრუ და არეული გამოთვლა, ამ საქმეში თვითნებობა ხარჯებისა და შემოსავლების რთული დაჯგუფება, მონაცემების განაწილება სხვადასხვა ნუსხებში, მუხლებში, თავებსა და პარაგრაფებში, ბიუჯეტი გადააქცია ისეთ დოკუმენტად, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის გაუგებარი იყო.

უცხოეთის სპეციალისტების დახმარებით 1995 წლის ბიუჯეტი თავისი სტრუქტურით მიუახლოვდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, თუმცა ჯერ კიდევ შორს არის რეალური ბიუჯეტის სტრუქტურისაგან. კერძოდ, ბიუჯეტის შემცირება კონკრეტული პროგრამის საფუძველზე უნდა მოხდეს და არა ბიუჯეტის ბალანსირების ხელოვნური ხერხებით. აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია ღონისძიებები, რეკომენდაციები, რომელთა საფუძველად აღებულია იდეურად შეიძლება მოკლე დროში, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს მივიღწიოთ თანასწორობას ბიუჯეტის გასავალ და შემოსავალ ნაწილებს შორის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად არ არსებობს უნივერსალური რეცესიები, ერთიანი ღონისძიებების სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთი ხელის მოქნევით გადაეწყვიტოთ ყველა საჭირობო პრობლემა. საჭიროა ჩვენი აზრით ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალური შეცვლა, რეფორმების გააზრებული გატარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შეცვლა-დამუშავება. ასეთი სტრატეგია, თუ ვიტყვით გულახდილად ამჟამად ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, სრულყოფას მოითხოვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

არ შეიძლება ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისიდან გამოვიდეთ იმ გზებით, რომელთა მეშვეობით საზოგადოება ჩაეარდა ასეთ ქაოსურ მდგომარეობაში. აღნიშნული ნათლად ჩანს ეკონომიკის კვლავწარმოების სტრუქტურების და განაწილებითი ურთიერთობების მთლიან დეფორმაციაში.

თანამედროვე ეტაპზე მთავარ საშიშროებას საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ფინანსური სტაბილიზაციისათვის ფინანსების სისუს-

ტე წარმოადგენს: მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდა უკანასკნელ ხანს კონტროლი ბიუჯეტის დეფიციტზე. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ძირითადად ხარჯების შემცირების გზით მოხდა, ხოლო შემოსავლები სამწუხაროდ ძალზე დაბალი რჩება.

მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის თანახმად, რომელიც საერთაშორისო საკალუტო ფონდთან იყო შეთანხმებული, 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი უნდა მერყეობდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3-დან 4 პროცენტამდე ფარგლებში, 1998 წლისათვის კი უნდა შემცირდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტამდე. საგადასახადო შემოსავლები ძირითადად მიმართული უნდა იყოს მიმდინარე არსებითი ხარჯების დასაფარავად, მაშინ როცა კაპიტალური დაბანდებები ძირითადად გარეშე წყაროებზე იქნება დამოკიდებული.

შემოსავლების შემცირება ობიექტურად მოითხოვს სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტების სრულ გადასინჯვას. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა მსოფლიო ბანკის დახმარების საშუალებით. დღის წესრიგში დგება მთავრობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციების განსაზღვრა და სახსრების კონცენტრირება მხოლოდ მათ შესრულებაზე. საჭირო იქნება აგრეთვე ეფექტიანობის ამალგებამი ცალკეულ სახელმწიფო სექტორებში სამტატო ერთეულების შემცირება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1995 წელს სამტატო ერთეულების ერთი მესამედით შემცირების მიუხედავად, აუცილებელი ხდება ამ პროცესის შემდგომი გაგრძელება, რაც უზრუნველყოფს მომავალში ხელფასების გაზრდას და კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება განსაკუთრებით შეეხო ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სექტორებს. თუ 1995 წელს მთელი შიდა პროდუქტის 0,7 პროცენტი ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების შემცირებაზე, ხოლო 1,0 პროცენტი განათლების ხარჯების შემცირებაზე მოდიოდა, მიუხედავად ამისა, ორივე სექტორი არაპროპორციულად დაიჩაგრა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 1995 წელს ჯანმრთელობის დაცვაზე ხარჯებმა, რეალურ გამოსახულებაში შეადგინა 1990 წლის ამ სექტორის ხარჯების მხოლოდ 10 პროცენტი, განათლებაზე ხარჯებმა კი - 1990 წლის მაჩვენებლის 3 პროცენტზე ნაკლები. დღევანდელ პირობებში ჯანმრთელობის დაცვის საშახურების უმეტესობა გადაეცა კერძო სექტორს, ხოლო სახელმწიფო, თავის მხრივ, მხოლოდ ძირითად პროგრამებს უზრუნველყოფს. რაც შეეხება განათლების სექტორს სახსრები აუცილებელია ამ მიმართულებით გამოყენებულ იქნეს ძირითად და გადაუღებელ პრობლემებზე,

მასია კონცენტრაციის საფუძველზე. 1996 წლისათვის ამ სექტორებზე გამიზნული სახელმწიფო ხარჯების ზრდა იყო დაგეგმილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ხელფასების გასაზრდელად შტატების შემცირება გარდუვალი ხდება, რაც უარყოფითად იმოქმედებს ამ სექტორებში მომუშავე მუშაკთა, როგორც მატერიალურ, ასევე მორალურ-ფსიქოლოგიურ მხარეზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფო ხარჯების ზრდა საბოლოო სახით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

მძიმე მდგომარეობა არის შექმნილი ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში. ამ ორ სფეროში შექმნილი მდგომარეობა სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას. ორივე სფეროში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება გარდაუვალია, რამდენადაც მთელი რიგი წლების განმავლობაში ისინი არ ჩატარებულა და ფაქტობრივად თვითღინებაზე იყო მშველელი. ამ სფეროებში დანახარჯების ამოღების შესაძლებლობები გაცილებით მეტია, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვის ან განათლების სფეროებში. მომხმარებელთა დიდი ნაწილი საერთოდ არ იხდის არც ელექტროენერჯისა და არც ტრანსპორტის საფასურს არა იმიტომ; რომ მათ ეს არ სურთ, არამედ მათი მატერიალური შემოსავლები არ იძლევა აღნიშნულის საშუალებას. თუ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭიროა დიდი მასშტაბის კაპიტალდაბანდებები, საჭიროა დაფინანსება განხორციელდეს უცხოური წყაროებიდან. რაც შეეხება კერძო უცხოურ ინვესტიციებს ჯერჯერობით ისინი არარეალურია და ამიტომ ამ მიმართულებით სახსრებს, ალბათ, კელავ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ღონორი ქვეყნები გამოყოფენ. სანამ ღონორი ქვეყნები მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფენ, მთავრობას მოუწევს პრინციპული ნაბიჯები გადადგას სახელმწიფოს შემოსავლების გასაზრდელად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო ხარჯების ზოგიერთ დარგში მიღწეულია ცალკეული ძვრები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია მთავრობის მიერ პასუხისმგებლობის მოხსნა ენერჯის იმპორტზე. ეგრეთ წოდებულ „ეროვნულ ეკონომიკაზე“ ხარჯების, ან მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის გამოყოფილი სუბსიდიების შემცირება ცენტრალური ბიუჯეტიდან „საქვავის“ და პურპროდუქტების კორპორაციაზე მოდიოდა.

საგარეო ვალის მომსახურეობასთან დაკავშირებული ხარჯები, ვადების გადავადებაზე შეთანხმების მიუხედავად, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ტვირთად აწევს სახელმწიფო ბიუჯეტს. 1995 წელს სახელმწიფო ვალის მომსახურეობაზე ორჯერ

მეტი სარჯი მოდიოდა, ვიდრე მთელი ჯანმრთელობის სექტორზე. ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე სუბსიდიების შემცირება. ვინაიდან ამ დარგში კერძო სექტორი გაბატონდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების შემცირებამ სახელმწიფო ხარჯების შემცირება გამოიწვია. კაპიტალური ხარჯები შეზღუდული იყო და მოიცავდა კონფლიქტის დროს დაზიანებული შენობების აღდგენის სამუშაოებს. სახელმწიფო ხარჯები სოციალურ სფეროში იმდენად შემცირებულია, რომ აღარ შეუძლია გაჭირვებული ფენების მდგომარეობის შემსუბუქება.

1996 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის თანახმად მთლიანი ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტში 12,4 პროცენტიდან 13,8 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო. ხარჯებზე კონტროლის გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ საკითხაია, რამდენად მოხერხდა ასეთი მკაცრი რეჟიმის პრაქტიკულად განხორციელება. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მნიშვნელოვანი მუშაობის გაწევა დასჭირდება საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის გასაზრდელად.

მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრებია მიღწეული ხარჯებითი ვალდებულებების, და გადახდების შესრულების კონტროლში. სახაზინო განყოფილებები შექმნილია თბილისში, გორში, ქუთაისსა და ოზურგეთში. ამჟამად იგი იქმნება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სახაზინო სამსახურების შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის საფინანსო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ვინაიდან ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფმა ორგანიზაციებმა ყოველგვარი გადახდები მხოლოდ ხაზინის მეშვეობით უნდა აწარმოონ. ამგვარად, ზედმეტი თანხების გახარჯვა ხაზინის მიერ კონტროლზე იქნა აყვანილი.

### 3. ბიუჯეტური დეფიციტის დაზინანსება და საბარეო პალის რესტრუქტურისა

ბიუჯეტის ბალანსის დარღვევა ხარჯების გადაჩეცებით შემოსავალზე იძლევა დეფიციტს. ბიუჯეტური ხასიათის დეფიციტს ეკონომიკურ ლიტერატურაში მატერიალურ დეფიციტსაც უწოდებენ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს, იმიტომ კი არა დროში არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ ბიუჯეტს რაც მისაღები ქონდა შემოსავლების სახით უკვე მიღებული აქვს და მომავალში არ არსებობს იმედიც კი შემოსავლის მისაღებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველ ბიუჯეტში მთავარი საკითხია თანაფარდობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, ბალანსის მდგომარეობა გარდამეტის ან დეფიციტის ფორმით, რომლებიც ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის საერთო პირობებს ასახავს. ბიუჯეტის ბალანსირების დროებითი ღონისძიებებიდან, რომლებიც ამოიყენებოდა გეგმური ეკონომიკის დროს აღსანიშნავია ორი კონცეპტუალური სახე ბიუჯეტის დეფიციტის: დეფიციტი *ex ante* და დეფიციტი *ex post*. დეფიციტი *ex ante* წარმოიშობოდა გათვალისწინებული შემთხვევებით, მაგალითად მოუსავლიანობის დროს სახელმწიფოს უჩნდება აუცილებლობა ხორბლის იმპორტისათვის, ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოითხოვდა დამატებით სახსრებს, რაც არღვევდა ბიუჯეტის ბალანსის შიგნით შემოსავლებსა და გასავლებს შორის თანასწორობას. ხარჯების გადამეტების შემოსავალზე. ბიუჯეტური დეფიციტი *ex post* წარმოადგენს საბიუჯეტო ხასიათის დეფიციტს, იგი ბიუჯეტში თავიდანვე არის გათვალისწინებული და ფაქტიური ხასიათის დეფიციტია. საბიუჯეტო ხასიათის დეფიციტი გამოდის საზომად დაგეგმვის მექანიზმების უუნარობისა და ამასთანავე საშუალებაა ამ დეფიციტის მთლიანად ეკონომიკის დარგებში თანაბარი განაწილების. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გეგმური ეკონომიკის დროს ბიუჯეტის კლასიფიკაციაში შემოსავლების მუხლებში არის ნაჩვენები თანხები, რომლებიც დასავლეთის ქვეყნების ბიუჯეტის კლასიფიკაციაში ითვლება დაფინანსებად და არა შემოსავლებად. მეორე მხრივ, დაფინანსების ისეთი სახეები, რომელიც გამოიყენება ვალის დაფარვისათვის გადიოდა ხარჯების სახით. ამგვარად ხდებოდა ფაქტიური დეფიციტის შემცირება.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა ძირეულად არ განსხვავდება დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკისაგან იმ არსით, რომ მიუხედავად დაფინანსების სხვადასხვა მეთოდებისა დეფიციტი ყოველთვის დაკაშირებულია ხარჯებთან.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წარმატებები მნიშვნელოვნადაა დამოკი-

დებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფისკალური ორგანოებს ფორმირებაზე და იმ პირთა შეგნებაზე, რომლებსაც ესმით ამ ორგანოების როლი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ბიუჯეტურ დეფიციტს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც გარდამავალი ეკონომიკის პირობებში იმყოფებიან და იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც საბაზრო ეკონომიკა კარგა ხანია ჩამოყალიბებულ ფორმაში ფუნქციონირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გარკვევას, ჯერ ერთი, თუ რა მოცულობის ბიუჯეტის დეფიციტი უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას, მეორე, რა ცვლილებებია საჭირო, რომელსაც სახელმწიფო ხარჯების მდგომარეობა და მათი მართვა მოითხოვს და მესამე, რა სახის რეფორმებია აუცილებელი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებისა და გადასახადების ამოღებისათვის? ამ საკითხების გადაწყვეტა კი შეუძლებელია ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების მაკროეკონომიკური ანალიზისა და მისი ინფლაციასთან კავშირის გარკვევის გარეშე.

ბიუჯეტური დეფიციტი წარმოადგენს ფინანსურ მოვლენას, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დამახასიათებელი იყო, მაგრამ თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე დეფიციტის ხარისხშია განსხვავება. კეინსიანურმა რეკონსტრუქციამ გამოავლინა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ეს არის მაკროეკონომიკური ცვალებადი მაჩვენებელი. კეინსამდე არსებობდა აზრი, რომ მშვიდობიან პერიოდში ბიუჯეტი ძირითადად უნდა ყოფილიყო ბალანსირებული. კეინსიანელების მიერ თავდაპირველად ყურადღება გამახვილებული იყო ფისკალურ პოლიტიკაზე და დეფიციტზე, მათ განიხილავდნენ, როგორც ერთობლივი მოთხოვნის შესაძენელ კომპონენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი არ თვლიდნენ, რომ დაცემის ფაზის პერიოდში ბიუჯეტის ბალანსირება აუცილებელი ყოფილიყო და ბიუჯეტის ციკლური ბალანსირების წინამძღვრების შექმნის მაგივრად გამოიმუშავეს ფისკალური პოლიტიკის ახალი საფუძველი, კერძოდ ბიუჯეტი მათი აზრით უნდა დაბალანსდეს საშუალოდ საქმიანი ციკლის პერიოდში, დადებითი საღლოთი დამავლობის პერიოდში და დეფიციტით - დაცემის პერიოდში.

ფისკალური პოლიტიკის შედეგად სტანდარტულმა კეინსურმა ანალიზმა თანამედროვე ეტაპზე მოდიფიცირება განიცადა ორი მიმართულებით: **ჯეკონ მართი**. ბალანსირებული ბიუჯეტის მულტიფლიკატორი ნათელყოფს იმას, რომ ფისკალური პოლიტიკის კრიტერიუმს დეფიციტი არ წარმოადგენს (როდესაც ლაპა-

რაკია ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების განსაზღვრის თვალსაზრისით მის გავლენაზე) და ამიტომ სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ზრდა წინ უსწრებს ერთობლივ მოთხოვნას: მმწრმ, ბიუჯეტური დეფიციტის თავისთავად განხილვა ენდოგენურია და გამომდინარეობს ეკონომიკის მდგომარეობიდან იმ ზომით, რა ზომითაც იგი ზემოქმედებს მასზე. რამდენადაც ტოლობა წარმოადგენს გაიგივებას, ამდენად, იგი არ მოითხოვს დამატებით დამტკიცებებს, რამდენადაც ამ შემთხვევაში დაშვების გათვალისწინებით ბიუჯეტის დეფიციტი წარმოდგება, როგორც მთლიანად სახელმწიფო სექტორის დეფიციტი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიუჯეტის დეფიციტსა და სავაჭრო დეფიციტს შორის მხოლოდ ავტომატური ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს, არამედ ეს ურთიერთკავშირი სხვადასხვა სახეს ღებულობს ქვეყნებში, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობით ერთმანეთისაგან.

ცნობილმა ფინანსისტ-ეკონომისტმა ბალასსამ განასხვავა ბიუჯეტის დეფიციტსა და სავაჭრო დეფიციტს შორის ურთიერთდამოკიდებულება ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში და იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლახანს დაადგინეს საბაზრო ეკონომიკის გზას. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დამახასიათებელია მაღალი დონით ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება ბიუჯეტის დეფიციტსა და სავაჭრო დეფიციტს შორის, მაშინ, როდესაც ასეთი კავშირი განვითარებად ქვეყნებში საერთოდ არ არსებობს. ასე მაგალითად, 1988-1989 წლებში დიდ ბრიტანეთში ხორციელდებოდა რა ბალანსირებული ბიუჯეტის პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა დიდი მოცულობით სავაჭრო დეფიციტს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიუჯეტის დეფიციტის ზემოქმედება სავაჭრო დეფიციტზე დამოკიდებულია ფულად პოლიტიკაზე, მის ზემოქმედებაზე სავალუტო კურსზე და საპროცენტო რეალურ განაკვეთებზე, საერთო ჯამში, ფულადსაკრედიტო პოლიტიკის შედეგები განყენებულად კი არ წარმოდგინდება, როგორც ეს ზოგიერთ ქართველ ფინანსისტ-ეკონომისტს მიაჩნია, არამედ თავის ასახვა უნდა პოვოს მან ქვეყნის ბიუჯეტის მდგომარეობაში, მის შედეგებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ქვეყანაში იზრდება გადასახადების მოცულობა და მას პარალელურად თან არ სდევს შედეგათიანი კრედიტების გაცემა ბანკიდან, წარმოების განვითარება შეჩერდება და აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, ბიუჯეტმა ხარჯების შეზღუდვამ და, მეორე მხრივ, კრედიტის გაუცემლობამ მკაცრი ფულადსაკრედიტო პოლიტიკის საბაბით შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ მოკლე დროში დასაბევრი ობიექტები გაქრეს წარმოების განვითარების შეჩერების გამო

და ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს, რომლის გამოსწორებისათვის კიდევ უფრო მეტი დამატებითი ფულადი სახსრების გამოყოფა დაგეგმორდეს. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფულადი შეზღუდვების მოხსნა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, ვინაიდან საგადასახადო შენატანების შემცირება, რომელიც თან სდევს ფულად შეზღუდვების მოხსნას, შეიძლება მიგვიყვანოს საპროცენტო განაკვეთების შემცირებამდე, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას მოახდენს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებაზე და ხელს შეუწყობს ინვესტიციების ზრდასა და სავაჭრო დეფიციტის შემცირებას. აქ მთავარია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, განისაზღვროს ქვეყნის რეალური საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა, რომლებიც ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა ურთიერთგანცალკევებით წარმართული. როგორც ცნობილია, დავით რიკარდოს შეხედულებიდან გამომდინარე, გადასახადების შემცირება, რომელიც ზრდის შემოსავლებს გულისხმობს ტოლობას დაზოგვის ზრდის მიმართულებით, ე.ი. დეფიციტი და გადასახადები ტოლია იმ ზომით, რა ზომითაც ისინი შემოქმედებენ მოხმარებაზე. აღნიშნული ტოლობის ახსნა მარტივია, რამდენადაც შორსმჭვრეტელ მომხმარებელს შეგნებული აქვს, რომ სახელმწიფო ვალი, რომელიც წარმოიქმნება დეფიციტური ფინანსირებით, ანაზღაურებული იქნება გადასახადების ზრდით, ხოლო სახელმწიფო ვალის დღევანდელი ზრდის ფასი ზუსტად ტოლია დღევანდელი გადასახადის შემცირების ფასის და ითვალისწინებს რა გადასახადების მოსალოდნელ ზრდას, იგი აკეთებს დაზოგვას იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელი იქნება მომავალში გადასახადის გადახდისათვის. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას განსაზღვრავს გადასახადების ზრდა, დამატებითი ფულის ემისია და ეროვნული ბანკის კრედიტი, უცხოეთის ქვეყნების სესხები და სხვადასხვა დახმარებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება ასე გამოიხატოს: ბიუჯეტის დეფიციტი = ფულად ემისიას (სავალუტო რეზერვების გამოყენება + უცხოეთის სესხები) + შიდა სესხები. ფულის ემისიიდან ცენტრალური ბანკის მოგება განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთერთი სახე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფულის ემისიასა და ინფლაციას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. კერძოდ, ფულის დამატებითი ემისია იმ ფარგლებში, რომელიც აჭარბებს მასზე მოთხოვნას (მიმდინარე ფასებში) იწვევს მოსახლეობის ხელში ნაღდი ფულის სიჭარბეს (ან

საკანონმდებლის სიჭარბეს). თავის მხრივ, მოსახლეობის მცდელობა, რომ მოიცო-  
ლოს ხელზე არსებული ნაღდი ფულის სიჭარბე მისი დასაქონლებით. იწვევს საქო-  
ნჯღზე ფასების ღონის ზრდას მანამდე, სანამ არ დამყარდება მათ შორის თანა-  
ხწარობა. ფულის ემისიის გზით ნაღდი ფულის ზრდა, მისი მსყიდველობითუნა-  
რანობის გათვალისწინებით, დასაწყისში შეამცირებს საპროცენტო განაკვეთების  
მოცულობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს დაბალ ინფ-  
ლაციურ ეკონომიკასთან.

მოთხოვნა „ძვირ ფულზე“ მცირდება ინფლაციის ზრდის შესაბამისად. ისმება  
კითხვა: ინფლაციის როგორ ღონეზე ფულის ემისიიდან შემოსულობანი აღწევს  
მაქსიმუმს? მსოფლიო განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების  
გათვალისწინებით ფულის გამოშვების საშუალო ღონის ისტორიულ მაჩვენებელს  
შიდა ეროვნული პროდუქტის 1%-ი შეადგენს, ხოლო განვითარებად ქვეყნებისა-  
თვის ფულის ემისიის საშუალო ღონის მაჩვენებელს წარმოადგენს დაახლოებით  
ნაწარმოები მთლიანი შიდა პროდუქტის 2,5%-ი. ინფლაციის ღონის შეფასება  
ფულის ემისიის მაქსიმალური ღონის პირობებში მერყეობს 30%-დან 100%-მდე.  
აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული მონაცემების სიზუსტე დამოკიდებულია  
ფულის მოთხოვნასა და ინფლაციის ღონეს შორის თანაფარდობის მდგომარეობაზე.  
აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლევადიან პერიოდში მთავრობა აღწევს ფულის  
დამატებითი ემისიისაგან შემოსავლების ზრდას, მაგრამ, რაც უფრო მეტ დროს  
პერიოდს მოიცავს მაღალი ღონით ინფლაციის ხანგრძლივობა, მით უფრო მეტად  
შემცირდება ინფლაციის ყოველგვარი ღონის პირობებში მოთხოვნა რეალურ სა-  
კანონმდებზე. ასეთ ვითარებაში ადამიანები ეძებენ ბიზნესისათვის სხვა გზებს,  
კერძოდ. გადადიან უცხოეთის ვალუტებთან ეროვნული ვალუტის გაცვლის სხვა-  
დასხვა შეთანხმებებზე. თავდაპირველად ფულის დამატებითი ემისიის მემკვიდრით  
შესაძლებელია მიღებულ იქნეს მნიშვნელოვანი შემოსავალი დაახლოებით 7%-  
8%-მდე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის, მაგრამ არ უნდა დაგვაიწიფდეს  
ის გარეშობაც, რომ ინფლაციის ზრდასთან ერთად ზალხი მონახავს შესაძლებ-  
ლობებს შეამციროს თავისი ეროვნული ვალუტის რაოდენობრივი სიდიდე და მთავ-  
რობა იძულებული იქნება მომავალში შემოსავლების იმავე მოცულობის მიღები-  
სათვის კვლავ მიმართოს ფულის ემისიის ზრდას. ამრიგად, შეიძლება დარწმუნე-  
ბით ითქვას ის, რომ ფულის ემისია შიდა ეროვნული პროდუქტის 2,5%-ის ზევით  
ფარგლებში მიზანშეწონილია და იგი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც  
ადგილი ექნება რეალურ ეკონომიკურ ზრდას. სხვა შემთხვევაში, თუნდაც ექს-

ტრემალურ პირობებში, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებამ ფულის ემისიის საშუალებით მიგვიყვანს ჰიპერინფლაციამდე. აღნიშნულში ყველა დაერწმუნდით არც ისე შორეულ წარსულში საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების შესაბამისი შედეგების მიღებით, საიდანაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს დასკვნები მომავალში მათი გამეორების არდაშვების მიმართულებით. უახლოეს მაგალითად გამოდგება ასევე ბოლივიის, პერუს და ნიკარაგუას გამოცდილება. ბოლივიაში 1984-1985 წლებში ინფლაცია აიწია 1000%-მდე 1985 წელს, ხოლო ფულის ემისიიდან შემოსავალმა მთლიანი შიდა პროდუქტის 14%-დან 1984 წელს, 1985 წლისათვის 8%-მდე დაეცა. ბოლივია ერთეული მაგალითი როდია. სხვა ქვეყნებმაც განიცადეს აღნიშნული მოვლენა, კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პერუმ და ნიკარაგუამ. ფულის მიმოქცევის არასიმყარემ გააძლიერა ჰიპერინფლაციის ხანგრძლივობის პერიოდი და შესაბამისად გამოიწვია საგადასახადო სისტემის, როგორც ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების საშუალების, ეფექტურობის დაცემა და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების შეზღუდვა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მნიშვნელოვანი ამოცანაა ფასებზე კონტროლის დაწესების გარეშე ინფლაციის ზრდის შეჩერება. მაგრამ ამ მიზნის მიღწევისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს კრედიტების გაზრდა და არა ბიუჯეტის დეფიციტის გადიდება. სტაბილიზაციის მნიშვნელოვან ღონისძიებად ამ შემთხვევაში გვევლინება მთავრობის მიერ სახელმწიფო საწარმოებზე აუცილებელი სოციალური ფუნქციების შესრულების გადაცემა.

იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური დანიშნულებისათვის ხარჯების მიმართულებით ბიუჯეტსა და სახელმწიფო საწარმოებს შორის არ არსებობს ვალდებულებებში განსხვავება და კერძო სექტორზე მოდის კრედიტების უმნიშვნელო მოცულობა, ასეთ პირობებში ბიუჯეტის დეფიციტის შეზღუდვის თვალსაზრისით სწორი დასკვნა შეიძლება პრაქტიკულ განხორციელებაში არასწორი გამოდგეს. ვინაიდან საკრედიტო ექსპანსიის დროს კერძო საწარმოებზე კრედიტების გაცემაც შეიზღუდება. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ ყოველგვარი ხერხებით მივაღწიოთ დაგეგმილ ბიუჯეტის რაოდენობრივ მაჩვენებელს, უფრო გონივრული იქნება მივაქციოთ ყურადღება მიღებულ ღონისძიებათა ხარისხს, თითოეულ ღონისძიებათა ეფექტურობას სტრუქტურული გარდაქმნის პროცესზე ინფლაციური ზემოქმედების შეზღუდვის მიმართულებით. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ბიუჯეტის

დეფიციტის მკაცრი ლიმიტის დაწესებამ ფასების სტაბილიზაციის კუთხით შეიძლება ნაკლები შედეგი მოგვცეს. ვიდრე არაუფექტიან სახელმწიფო საწარმოებზე კრედიტების გაცემის პრაქტიკის გაგრძელებამ, მაგრამ ამ უკანასკნელმა, გამორიცხული არ არის. შეაჩეროს აუცილებელი სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების არსის სწორად გაგებისათვის და დეფიციტის წყაროების ნათლად წარმოდგენისათვის მიგვაჩნია: ჯერ მრმთი, ბიუჯეტის „ხაზის ქვეით“ იმ ხარჯების მოცულობის ჩვენება, რომელიც განკუთვნილია თავიდანვე განსაზღვრული დეფიციტის დაფარვისათვის და მმრმ, ბიუჯეტური კონტროლის განხორციელება ობიექტურად მოითხოვს, ასევე ავტომატიური დაფინანსების მექანიზმების რეფორმას, მათი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მოყვანას. ეს კი შესაძლებელია იმ სისტემის შეცვლით, რომლის ფარგლებში მთავრობა წლის დასაწყისიდან ლებულობს თავის განკარგულებაში კრედიტებს, რომლებიც საჭიროა ყველა ბიუჯეტური ხარჯების დაფარვისათვის. ამასთანავე, აუცილებელია შეიქმნას შემოსავლების მიღებისა და ხარჯების გაწვევის ერთდროული კონტროლის მექანიზმი.

ჩვენ ვიზიარებთ მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტების დასკვნას, რომ გარდამავალ ეკონომიკის პირობებში ბიუჯეტის დეფიციტის დაშვების მიზანშეუწონლობის შესახებ, მაგრამ, ამასთანავე, აღნიშნული საკითხის განხილვისას უნდა გამოვიდეთ ცალკეული ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებიდანაც, კერძოდ, ბიუჯეტის დასაშვები დეფიციტის საზღვრის მკაცრი განსაზღვრიდან.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის კონიუქტურული პროცესების რეგულირება, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურებში პროგრესული ძვრები ობიექტურად მოითხოვს ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვები ნორმის ფარგლებში არსებობასაც. ცნობილმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინსმა თავის დროზე მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ბიუჯეტის დეფიციტის დაშვების შესაძლებლობა გამართლებულია და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სახელმწიფოს ეკონომიკის ახალი სტრუქტურული ცვლილებების განსაზღვრულ პერიოდებში დასაშვებია სახელმწიფოს ხარჯების წინგამსწრები ტემპი შემოსავლებთან შედარებით.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო კრედიტის სხვადასხვა ფორმები და ასევე საგარეო კრედიტები. აღნიშნული დამოკიდებულება ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქვეყ-

ნის შიდა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების მექანიზმების სრულყოფაზე, ფინანსურ რეფორმაზე, მათ შორის საპროცენტო განაკვეთების მექანიზმების შექმნაზე, კაპიტალის შიდა ბაზრის ფუნქციონირებასა და გონივრულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაზე. ფინანსურ ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და განლაგებაზე. ყოველივე ჩვენს ქვეყანაში ნაკლები ეფექტურობით არის პრაქტიკაში გამოყენებული და ამიტომ ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვან წყაროდ საზღვარგარეთიდან მიღებული კრედიტები არის გადაქცეული.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოოდ წარმოდგენილი პროექტი მოიცავდა 640 მილიონ ლარს შემოსავლებში და 840 მილიონ ლარს ხარჯებში. მაგრამ პარლამენტმა გაზარდა მონაცემები შესაბამისად 688 და 888 მილიონ ლარამდე. ეს მონაცემები მოიცავს მხოლოდ ცენტრალურ ბიუჯეტსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს. ადგილობრივი ბიუჯეტები თვითონ ადგენენ საკუთარ გეგმას. აქედან გამომდინარე, გეგმის მიხედვით შემოსავლები გაიზარდა 286 მილიონი ლარით, ხოლო ხარჯები - 231 მილიონი ლარით. მიუხედავად ამისა, მათი აბსოლუტური დონე მაინც რჩება ძალზე დაბალი. დარიცხული დეფიციტი, სახარჯი და ვალიანების გათვალისწინებით, შეადგენს 246 მილიონ ლარს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დეფიციტის 60 პროცენტი ანუ 149 მილიონი ლარი დაფინანსდება უცხოური წყაროებიდან, ხოლო დანარჩენი საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტითა და სახაზინო თამასუქებით. სახაზინო თამასუქების წილი შეადგენს 10 მილიონ ლარამდე, რომელთა გამოშვება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ფინანსთა სამინისტროს მიერ ადგილობრივი ვალების მართვის სისტემის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ.

1997 წლის ბიუჯეტი თავისი სტრუქტურით, ზოგადი პრიორიტეტების მწყობრი სისტემის შექმნით და მათი ბიუჯეტში ასახვით, ჩვენი აზრით, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში ეკონომიკური რეფორმებისა და ბიუჯეტის პროცესში ინსტიტუციონალური წესების თანდათანობითი დანერგვის მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. როგორც ცნობილია, თავდაპირველად 1997 წლის ბიუჯეტის კანონპროექტმა პარლამენტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 50 პროცენტიანი, ხოლო ხარჯების 30 პროცენტიანი ზრდა 1996 წელთან შედარებით. 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულ იქნა პარლამენტის მიერ, შესაბამისობაში იქნა

მოყვანილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნებთან, კერძოდ, შემცირებულ იქნა როგორც ხარჯები, ასევე შემოსავლების მოცულობა და აღნიშნულის საფუძველზე მიღწეულ იქნა ბიუჯეტის ბალანსირება. ბიუჯეტის ახალმა კანონმა მოიცვა სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისით სახელმწიფო ბიუჯეტის ახლებური კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ცენტრალურ ბიუჯეტს და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს. აღნიშნული კლასიფიკაციით ადგილობრივ ორგანოებს ეძლევათ მეტი თავისუფლება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ მოხდა ადგილობრივი ორგანოების რეგლამენტაცია სხვადასხვა სახის გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების მიმართულებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად შეფერხდება მომავალში საერთოდ წარმოების და მასთან ერთად ვაჭრობისა და მომსახურების დონის მატება.

რაც შეეხება ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მდგომარეობას, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების უზრუნველყოფას, 1996 წელს იგი ხორციელდებოდა, ისე როგორც წინა წელს, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის საფუძველზე. იგი ხასიათდებოდა მთელი რიგი თავისებურებებითაც, კერძოდ, მესამე კვარტალში ფულადი მარაგი უფრო მეტად იზრდებოდა, ვიდრე წინა კვარტალებში. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ ეროვნული ბანკის ინვესტირების პოლიტიკა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საკმარისი არ აღმოჩნდა მთავრობისათვის გაცემული ადგილობრივი კრედიტების სრული მატერიალიზაციისათვის. ამ კრედიტის გაუთვალისწინებლობა განაპირობებელი იყო იმით, რომ მსოფლიო ბანკიდან სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტის მეორე ტრანშის გადბორიცხვა დაგვიანდა და ამიტომ მოულოდნელად საჭირო გახდა საპროცენტო მომსახურების გადახდა ეროვნულ ბანკის სესხზე; საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს ისიც, რომ 1996 წელს ეროვნული ბანკის ოქროს და უცხოური ვალუტის რეზერვებმა შეადგინა 207.1 მილიონი ლარი. ბანკებს გარეთ მიმოქცევაში არსებული ნაღდი ეროვნული ვალუტის მოცულობა 1996 წლის მე-4 კვარტალის დასაწყისში და შემდგომ პერიოდში 155,3 მილიონი ლარიდან 152,8 მილიონ ლარამდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მიმოქცევაში არსებული ეროვნული ფულის მასას დაემატა დეპოზიტები, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში და შეადგინა 238,3 მილიონი ლარი. აღნიშნული კი გვიჩვენებს, რომ ფულის მასის ძირითადი ნაწილი ბანკების ოფიციალური არხების მიღმა მიმოქცევა. კონტროლს გამორიცხავს და ფაქტობრივად არა ლეგიტიმური ბიზნესის საარსებო საშუალებად არის გადაქცეული. ამაზე უნდა გამახვილდეს ყუ-

რადღებდა ეროვნული ბანკის მიერ მუშაობაში და არა დაბალი პროცენტით მიღებული სესხის. მაღალი პროცენტით შიდა კომერციულ და უცხოურ ბანკებში მოთავსებაზე. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ისიც, რომ უცხოური ვალუტის სახით მიმოქცევაში არსებობს გარკვეული მოცულობის ფულის რაოდენობა, რომელიც არ და ვერ აღირიცხება. უცხოური ვალუტის მიმოქცევაში რაოდენობა სოლიდურ თანხას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისათვის და ამიტომ ოპორტუნულად ვალუტის უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გახდეს ამ თანხების ლეგიტიმიურ არხებში თავმოყრა, მათზე კონტროლის მექანიზმის შემუშავება. მართალია ეროვნულმა ბანკმა უკანასკნელ ხანს მიიღო სალაროს რეგლამენტაციის ახალი დოკუმენტი, მაგრამ, თუ ვიტყვით გულახდილად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკის კონსტრუქტურის პირობებში, მეტად არა ეფექტიური შეიძლება გახდეს ფულის მიმოქცევის დაჩქარების მექანიზმების ამოქმედების თვალსაზრისით.

1996 წელს ფულის ემისიის მოცულობამ 56,7 მილიონი ლარი შეადგინა. თუმცა წლის ბოლოს 20,9 მილიონი ლარი კვლავ ისევ ამოღებულ იქნა მიმოქცევიდან. წლიური საპროცენტო განაკვეთი ბანკთა შორის ბირჟაზე 58-დან 18-მდე შემცირდა და, მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ ვერ ქმნის ამინდს საკრედიტო ბაზარზე. ინფლაცია წლიურ 12 პროცენტს არ აღემატებოდა.

1996 წელს იმპორტმა ექსპორტს თითქმის ნახევარი მილიარდით გადააჭარბა და საგადასახადო ბალანსის დეფიციტმა 80 პროცენტს მიაღწია. ფინანსური რესურსების ზრდასა და კვლავწარმოების პროცესის ფინანსურ უზრუნველყოფაზე უარყოფითად მოქმედებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოზიციების არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ამიტომ აუცილებელია ქვეყნის სავაჭრო ბალანსის ძირეული გაუმჯობესება. ამჟამად ქვეყანაში არსებული ეკონომიკის მდგომარეობიდან გამომდინარე, ექსპორტის განვითარებასა და უცხოური საქონლის მიმართ კონკურენტუნარიანობას არაფერი ემუქრება, რამდენადაც ხელფასების დაბალი დონე, გაცვლის რეალური კურსის შემცირება დოლარის და მანეთის მიმართ აღნიშნულის საშორებებს არ ქმნის უახლოესი პერიოდის განმავლობაში. მართალია, უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ, 1995 წლიდან მოყოლებული სავაჭრო დეფიციტი მცირდება, მაგრამ ეს ხდება ექსპორტისა და იმპორტის მნიშვნელოვანი შემცირების შედეგად და არა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებით. შეინიშნება პროგრესი ვალის გადავადებისა და უცხოეთის კრედიტორებთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენის საქმეში, მაგრამ ვალის დიდი მოცულობები მომავალში ოპტიმისტური განწყობილების საშუალებას არ იძლევა. ამიტომ ვფიქ-

რობთ, რომ მომავალში ყველა კრედიტორთან ვალის გადავადებაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ ყურადღება მიექცეს ძალიან შეღავათიან პირობებში საგარეო დამატებითი რესურსების მოზიდვას და არა უბრალოდ მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით საგარეო ვალის ზრდას.

იმის განსასაზღვრავად, თუ რა უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია საგარეო ვალის ზრდას ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფის შეფერხებაზე, რამდენიმე კრიტერიუმში არსებობს.

ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს საგარეო ვალის შეფარდება ქვეყნის მოსახლეობასთან, ასევე ბიუჯეტის საერთო შემოსავლებთან ან ქვეყნის შიდა პროდუქტთან. მაგრამ ყველაზე სრულყოფილი მაჩვენებელი მაინც საგარეო ვალების საექსპორტო შემოსავლებთან შეფარდებაა, თუნდაც იმიტომ, რომ თუ, მაგალითად, რომელიმე ქვეყნის ეკონომიკა დაბალი ეფექტურობით ფუნქციონირებს, მას, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარძობით, გაცილებით ნაკლები ვალიც რომ პქონდეს, ვიდრე მეორე ქვეყანას. რომლის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და საექსპორტოდაც საკმარაოდენობის საქონელი გააქვს. უკანასკნელი უფრო ადვილად გადაიხდის ვალს. ქვეყნის საგარეო ვალის საშიშროების შესაფასებლად, მიჩნეულია საგარეო ვალის ან მასზე დარიცხული პროცენტის შეფარდება (ან ორივეს ერთად) ექსპორტის მოცულობასთან. ექსპორტის მაჩვენებელს ვიღებთ იმიტომ, რომ მასზეა ოკიდებული ვალების გადახდა და მომსახურება. თუ ამ მაჩვენებლით ვიხელომდვანელებთ, მაშინ გამოდის, რომ 1996 წელს საქართველოს საგარეო ვალები 6.7-ჯერ აღემატება ექსპორტიდან მიღებულ მთელ შემოსავალს, პრაქტიკაში ცნობილია, რომ როდესაც საგარეო ვალების მოცულობა ექსპორტიდან შემოსავალს ორჯერ აღემატება, ნებისმიერი ქვეყანა საშიშროების წინაშე დგას. ჩვენთან კი, როგორც ვხედავთ ეს მაჩვენებელი არა თუ ორჯერ, არამედ ლამის შვიდჯერ და მეტად აღემატება ექსპორტს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ რუსეთში 1995 წლისათვის დაგროვილი ვალი მხოლოდ 1.5-ჯერ აღემატებოდა საექსპორტო შემოსავლებს. საგარეო ვალებით შექმნილი საშიშროების შეფასების კრიტერიუმია აგრეთვე ამ ვალების მომსახურებისათვის გადასახდელი პროცენტები. საშიშროების ზღვარად მიჩნეულია საპროცენტო განაკვეთების შეფარდება ექსპორტთან, რომელიც 26-30 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ამ მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიშჯელებთ საქართველოს მდგომარეობა თითქოს საგანგაშო არ უნდა იყოს. 1997 წელს საქართველომ კრედიტებით სარგებლობისათვის უნდა გადაიხადოს 32 მილიონი დოლარი. თუ ამ მაჩვენებელს

მთელ საგარეო ვალს შევადარებთ, მივიღებთ დაახლოებით 16 პროცენტს, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია სპიშრების კოფიციენტზე (აქვე გვინდა აღვნიშნოთ საგარეო ვალის მოცულობა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების მიერ ერთსა და იმავე პერიოდში სხვადასხვა მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი, რაც აძენებს ზემოთ აღნიშნული შეფარდებითი გაანგარიშების პროცენტულ სიზუსტესა და რეალობას).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ოფიციალურად გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე მეზობელმა ქვეყანამ რუსეთმა რესტრუქტურისაციის გარეშე საგარეო ვალების მოსახურებისათვის უნდა გადაიხადოს 276 მილიარდი დოლარი. ეს კი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის დაახლოებით 35 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება საქართველოს ამ მიმართულებით უკეთეს მდგომარეობას, იგი განპირობებულია იმით, რომ ჩვენი ვალების უდიდესი ნაწილი ან რესტრუქტურისაციის, ანდა მათზე პროცენტების გადახდა გადატანილია გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ნათელია რომ ეს უკანასკნელი კრიტერიუმი გაცილებით მაღალი იქნება და, ამასთანავე, მძიმე ტვირთად დააწევა მოსახლეობის მომავალ თაობას გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც დაიწყება ვალებისა და მათი სარგებლობისათვის პროცენტების გადახდა.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, რასაკვირველია, საგარეო ვალების არსებობა სუბიექტური აუცილებლობით არის განპირობებული, მაგრამ ასეთმა მიდგომამ არ უნდა გავეიტაცოს, ვინაიდან ყველა საღად მოაზროვნემ ნათლად უნდა წარმოიდგინოს ამ ვალებს ასე უბრალოდ არავინ ჩამოგვაწერს და ცალკეული კრედიტორი ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოდან საბოლოოდ აუცილებლად ამოიღებენ ძირითად კრედიტებთან ერთად, ასევე მათზე დარიცხულ პროცენტებსაც. მაგალითად, პოლონეთს გარკვეული ვალების მოცულობა ჩამოაწერეს. მაგრამ ეს მოხდა კრედიტორ ქვეყნებისაგან ვალების ამოღების შემდეგ. ვალების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში ქვეყანა გადახდისუუნაროდ ჩაითვლება, ავტორიტეტის შელახვასთან ერთად მსოფლიო მასშტაბით, მას მოჰყვება ქვეყანაში იმპორტის შეწყვეტა, ეკონომიკური ბლოკადა და შიდა ბაზრის პარალიზება. ყოველივე მძიმე ტვირთად დააწევა მოსახლეობას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკის ფუნქციონირების მოშლას და კვლავწარმოების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით დეგრადაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გვრჩება მხოლოდ ერთი რაციონალური, უალტერნატივო გამოსავალი, რომ მომავალში მაინც რაც

შეიძლება გააზრებულად. პერსპექტივაში მოსალოდნელი მოვლენების დანახვის საფუძველზე ფრთხილად მიუდგეთ ვალის აღებას, აღებული ვალები კი რაც შეიძლება მიზნობრივად მოვახმართ წარმოების გამოცოცხლებას, საზოგადოებრივი, კოლექტიური და პირადი ინტერესების შეხამებულ ბალანსირებას, ექსპორტზე მომუშავე დარგების ამუშაებას და არა მოახლოებული ვალის დაფარვისათვის ახალი ვალის აღებით დროებით მდგომარეობიდან გამოსვლას.

ძირითადი ფონდების ამორტიზაციის, მოსახლეობის ფულადი დანაზოგების წილის, საკრედიტო რესურსების მკვეთრმა შემცირებამ, მათი სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებში გაჯერებამ, გადასახადების ზრდის მიუხედავად, გაფართოებული კვლავწარმოების კი არა, მარტივი კვლავწარმოებისათვისაც კი, ქვეყნის შიგნით დაგროვების ფონდის და ინვესტიციების შექმნის რეალური წყაროების მოჩვენებითი არარსებობაც კი განაპირობა, რაც ბიძგს აძლევს ეკონომიკურ პოლიტიკაში მცდარი გადაწყვეტილებების მიღებას დასავლეთთან ურთიერთობაში სესხების გაუთავებელ აღებასა და მხოლოდ მათი იმედით არსებობაში.

კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია წარმოების ამოქმედებაზე, ქვეყნის შიდა რესურსების, რეზერვების გამოვლენასა და ვამოყენებაზე, სადაც გადამწყვეტი როლი ეკონომიკის ეკონომიკურ ინტერესთა სისტემის სწორ შეხამებას. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის პირობების მომზადებაში. ეკონომიკური ინტერესები იყო, არის და დარჩება მომავალშიც საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად, განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ ეკონომიკურ საფუძველად. აღნიშნული მოწმობის შემდეგი გარემოებებია:

პირველში, საფინანსო პოლიტიკის ეკონომიკაზე ზემოქმედების რაოდენობრივი და თვისებრივი შესაძლებლობები უკანასკნელ პერიოდამდე გამოიყენებოდა არასაკმარისად. მისი მიზეზი იყო ის, რომ მართვის მკაცრი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დროს საწარმოთა კარგი მუშაობის შედეგად ფინანსური რესურსების მიღება ვერ უზრუნველყოფდა წარმოების გაფართოებას, ტექნიკურ და ტექნოლოგიური გადახალისებას. საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ფულადი სახსრების ინვესტირებისათვის გამოყენებას, ვინაიდან საწარმოებიდან ფინანსური რესურსების ამოღება ხორციელდებოდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს, კოლექტივისა და პირადი ინტერესების სწორ შეხამებასა-

ზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში; მმრპ, საწარმოთა გადასახადები ბიუჯეტში ატარებდნენ და ამჟამადაც ატარებენ ძირითადად ფისკალურ ხასიათს. საწარმოში შექმნილი ეკონომიკური დაინტერესებისა და სტიმულირების ფონდები, მოგების განაწილების სისტემა ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკურ ინტერესთა მთელი სისტემის დაინტერესებას მეურნეობის წარმართვაში უკეთესი მაჩვენებლების მიღწევაში; მესამე, ბიუჯეტური ფინანსირება ქმნიდა სხვის ხარჯზე ცხოვრების იმედს, ფინანსური რესურსების გამოყენებაში განუკითხაობისა და უკონტროლობის ატმოსფეროს; მმრპში, დადგა საკითხი ეროვნულ მეურნეობაში ფინანსური ურთიერთობების რადიკალური დაჩქარების, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების, მათი ნორმალური ფუნქციონირებისა და ფინანსური რესურსების ეფექტიანობის გაზრდის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაბამისი ფინანსური ურთიერთკავშირის ახალი ფორმების შექმნას. ჩვენი აზრით, ფინანსების ზემოქმედება წარმოებაზე, მის სტიმულირებაზე სადავო არ არის. აქ მხედველობაში გვაქვს წარმოებაზე ზემოქმედების შესაძლებლობების პრაქტიკულად გამოყენების: მდგომარეობა. ამ უკანასკნელის საფუძველზე საფინანსო პოლიტიკის სწორად წარმართვა. ფინანსების პოტენციურად დიდი შესაძლებლობები ეკონომიკაზე ზემოქმედების არ იფარგლება წარმოების სფეროში ღირებულებითი განაწილებით, იგი ზემოქმედებს კვლავწარმოების სხვა სტადიებზეც და, ამასთანავე, განაწილებითი ბუნებიდან გამომდინარე, თვისებრივად გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური პროცესების სრულყოფაში; მესამე, მართალია, განაწილება დამოკიდებულია წარმოებაზე, მაგრამ იგი არასოდეს არ ასახავს წარმოებაში არსებულ პროპორციებს და ურთიერთობებს. ფინანსები განაწილებით ხასიათით ზემოქმედებს წარმოების შედეგებზე, იქნება წანამძღვრების მომზადება წარმოების დინამიკისა და სტრუქტურის შეცვლისათვის; მესამე, ფინანსური რესურსების განაწილება მეურნეობრივი საქმიანობის სუბიექტებს შორის იძლევა საშუალებას შეექმნათ პირობები საწარმოო ძალების განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამასთანავე საწარმოთა დაინტერესება საბოლოო შედეგების მიღწევაში, ფინანსური რესურსების მეშვეობით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადების გადახდის შემდეგ მათ მიეცემათ ფინანსური რესურსების ხარჯვაში სრული დამოუკიდებლობა; მესამე, საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ფინანსური ზემოქმე-

დება სამი მიმართულებით მიმდინარეობს: გაფართოებული კლავწარმოების მოთხოვნილებათა განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფით, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფინანსური რეგულირებით და, რაც მთავარია, საქმიანობის საუკეთესო შედეგების ფინანსური სტიმულირებით. აღნიშნულ ერთიანობაში ვლინდება: ჯერ ერთი, ეკონომიკური ინტერესების მთელი სისტემის რეგულირება, მეორე, მათი საზოგადოების მამოძრავებელ ძალად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად წანამძღვრების შექმნისათვის შეგნებული გამოყენება და მესამე, საერთო ჯამში, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში.

### თ ა ვ ი III

## საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის მნიშვნელობა და მისი ეფექტურობა

### 1. ბიუჯეტის ფორმირება

სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი არსით, მიუხედავად საზოგადოებრივი წყობილებების განსხვავებებისა, ყოველთვის გამოდის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზემოქმედებისა და სტაბილიზაციის მიღწევის საშუალება, რომლის მეშვეობით ხდება კლავწარმოების ეკონომიკური კრიზისების შეჩერება და შემდგომ საერთო ლიკვიდაცია. ბიუჯეტის არსის შესახებ აღნიშნულს მოწმობს ცნობილი ეკონომისტების - ამერიკელ ჟ. ბერკედის, ინგლისელი - ა.ილერსკის, ფრანგ - ლაუფენბერგერისა და სხვათა შეხედულებები. ამავე აზრს იზიარებენ სხვა ცნობილი ეკონომისტებიც: კეინსი, მანსენი, მაულტონი, ჩეიზი, მაკმანი, სამუელსონი, ფიშერი, ტანზი<sup>1</sup>, პრემჩანდი<sup>2</sup> და სხვები. ამერიკელი ეკონომისტის ჟ.ბარკედის აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი გამოდის ეროვნული ეკონომიკის მართვაზე ზემოქმედების საშუალება<sup>1</sup>. ინგლისელი ეკონომი-

1. Tanzi, Vito, "Tax Reform and the Move to a Market Economy: Overview of the Issues", in *The Role of Tax Reform in Central and Eastern European Economics*, Paris: OECD, 1991.

2. Premchand, A. *Government Budgeting and Expenditure Controls*, Washington: International Monetary Fund, 1983.

ნომისტის ა.ილერსკის მტკიცებით. ბიუჯეტი უნდა იქნეს განხილული, როგორც ეკონომიკის რეგულატორი<sup>1</sup>. ფრანგი ეკონომისტის გ. ლაუფენბერგერის აზრით, ბიუჯეტი წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების არსებით რეგულატორს<sup>2</sup>. რუსულ და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიუჯეტის არსი, რომელიც მის ფუნქციებში ვლინდება, განმარტებულია როგორც ეროვნული შემოსავლის განაწილების საშუალება<sup>3</sup>, რაც მოითხოვს დაზუსტებას.

ჩვენი აზრით, ბიუჯეტი ასრულებს არა მარტო ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ფუნქციას, არამედ სამ ფუნქციას: 1. საზოგადოების კოლექტიური დაკმაყოფილებისათვის ფინანსური რესურსების გამოყენების ფუნქციას; 2. ეროვნული შემოსავლის რეგულირებადი განაწილების უზრუნველყოფის ფუნქციას; 3. ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის ფუნქციას. ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტის ორი ფუნქცია ჩვენ მიერ წინა თავებშია განხილულია. ამიტომ შევჩერდებით მესამე ფუნქციაზე, კერძოდ, ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის ფუნქციაზე.

თანამედროვე ეტაპზე ბიუჯეტური პროცესი: ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება და აღსრულება, ყველა ქვეყნისათვის ფაქტობრივად ერთნაირი ნიშნებით ხასიათდება. მაგრამ განსხვავება თვისებრივად დამახასიათებელ თავისებურებებში ვლინდება. საერთო ის არის, რომ ბიუჯეტის შედგენაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მთელი მთავრობა - ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა ღებულობს მონაწილეობას. მოთხოვნათა აღრიცხვა ფინანსურ რესურსებზე ჩვეულებრივად იწყება ქვევიდან. მმართველობითი ორგანოები განაცხადებს ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნის შესახებ წარუდგენენ ზემდგომ ორგანოებს და ეს უკანასკნელი - სამინისტროებს. თითოეული სამინისტრო აერთიანებს ასეთ მოთხოვნებს და წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო, თავის მხრივ, გააერთიანებს და საერთო ჯამს გამოუყვანს მთლიანად სახელმწიფო ხარჯებს. ვინაიდან ფინანსთა სამინისტრომ ხარჯები შემოსავლებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. ამიტომ იგი ხშირად შეამოკლებს ხარჯებს შემოსავლებთან ერთად ამა თუ იმ უწყებისათვის. აღნიშნული შესწორებების შემდეგ ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს გადასცემს

1. Jesse Bukhchnd. Government Budgeting. London-New-York, 1956. pp 59-60.

2. A.Jlersic, Government Finance and Fiscal policy in Post-War Britain. London, 1955, p. 38.

3. Henry Laufcnburger. Theorie economique et psychologique des Finances publiques, pp. 25,51. Paris, 1956

4. "Финансы" под редакцией В.В.Родимоновой. М., 1995, стр. 252, 257.

მთავრობას. შემდგომ პერიოდში მთავრობის მიერ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაზუსტებული ბიუჯეტი გადაეცემა განსახილველად პარლამენტს. პარლამენტის მხრიდან განხილვის შედეგად ბიუჯეტი მტკიცდება და პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ იგი შედის ძალაში და იწყება მისი აღსრულება.

ბიუჯეტის ფორმირების წარმატებები და მისი შესაბამისი ადეკვატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების ფექტიანობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების სიმტკიცეზე, ბიუჯეტის სისტემასა და მისი ანგარიშვალდებულებაზე. ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში ამ სისტემებმა მოახდინეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მთელ რიგ ქვეყნებზე, რომლებშიც ეს სისტემები დაინერგა უფრო გვიან თავიანთი განვითარების პროცესში, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებიც დაადგინეს შერეული ტიპის ეკონომიკის განვითარების გზას. მიუხედავად აღნიშნულისა მეცნიერული გამოკვლევები ამ პრობლემაზე მეტად მცირე რაოდენობით არსებობს. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ამ პრობლემის ორი მიმართულებით განხილვა. პირველი მოსაზრება, ეს არის იმის გარკვევა, თუ ამ სისტემებმა რა ზომით შეუწყვეს ხელი მოცემული ქვეყნის ბიუჯეტის თანაფარდობის დარღვევას და მეორე მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრულ იქნეს რეფორმების ტიპები და მასშტაბები, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული წყობილებისა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ცენტრალური დაგეგმვა ფართოდ გამოიყენებოდა მთელ რიგ ქვეყნებში, კერძოდ, საბჭოთა კავშირთან ერთად ასეთი სისტემა გამოიყენებოდა ალჟირში, ანგოლაში, ჩინეთში, კონგოში, კუბაში, მონღოლეთში, მოზამბიკში და სხვა სახელმწიფოებში. მართვის საბჭოთა სისტემა გამოიყენებოდა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სომალში, ტანზანიასა და ვიეტნამში, სადაც მას ემატებოდა ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მექანიზმები. მართვის ცენტრალიზებული სისტემა ხასიათდებოდა სახელმწიფო ხარჯების მართვის მკაცრად განსაზღვრული იერარქიული სისტემით, ვიდრე იგი არსებობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მთავარ ინსტრუმენტებს შორის, რომლებსაც იყენებს სახელმწიფო, გადამწყვეტი ადგილი ბიუჯეტს უკავია. საფინანსო პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება ბიუჯეტის მეშვეობით, ავსებს საკრედიტო პოლიტიკა. ეს უკანასკნელი მიმართულია წარმოების სისტემის ფულადი რესურსებით უზრუნველყოფისათვის. კრედიტი ხშირად გამოიყენება, როგორც ფისკალური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლი-

ტიკის გაგრძელება, ხოლო საბანკო დაწესებულებები, თავის მხრივ, იძლევიან ფონდებს ბიუჯეტიდან და ასევე თავისი წყაროებიდან მთავრობის დასახული მიზნების განსახორციელებლად. ამრიგად, საფინანსო პოლიტიკის ფუნქციონირების არსის გაგებისათვის აუცილებელია როგორც ბიუჯეტის, ასევე ფინანსური ორგანიზაციების მუშაობის ანალიზის ჩატარება. დღევანდელ პირობებში საქართველოს ბიუჯეტის ფორმირება მოკლებულია ბიუჯეტსა და ეროვნულ ეკონომიკას შორის რეალურად არსებულ ურთიერთობებზე ზუსტ ინფორმაციასა და შეფასებებს. ამიტომ ამ პროცესის მსვლელობა არ ასახავს ქვეყნის ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებს და ხშირად ცალკეული თანამდებობრივი პირის სუბიექტურ ნება-სურვილზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის ფორმირება რეალურ საწყისებზე უნდა იქნეს დაფუძნებული, რომ ხარჯების მოცულობა თავიდანვე შეზღუდული რესურსების რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების ფარგლებში განისაზღვროს.

ბიუჯეტის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის სტრუქტურას, მის კლასიფიკაციას. ბიუჯეტური კლასიფიკაციის მიზანია სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ისეთი სისტემატიზაციის ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის რაციონალურ შედგენას, მის შესრულებას, შეამსუბუქებს აღრიცხვას და პარალელურად გააძლიერებს გამოყოფილი თანხების მიზნობრივ გამოყენებაზე ფინანსურ კონტროლს.

საქართველოს ბიუჯეტის კლასიფიკაციის სტრუქტურა, მიუხედავად ცალკეულ მიმართულებით ძვრებისა, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ვერ პასუხობს ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოთხოვნებს. შემდეგი გარემოებათა გამო: **ჯერ პრტი**, ბიუჯეტის გასაველი ნაწილის კლასიფიკაცია ხორციელდება ერთდროულად სამი პრინციპის გათვალისწინებით: უწყებრივი კლასიფიკაციით, მიზნობრივი კლასიფიკაციითა და საგნობრივი კლასიფიკაციით; **მმრმ**. უწყებრივი კლასიფიკაცია ფარავს სახელმწიფო ხარჯების ფაქტობრივ განაწილებას, რამდენადაც ერთი და იმავე უწყების ხარჯთაღრიცხვაში გადის სხვადასხვა ხარჯები; **მმსამმ**, ხარჯების კლასიფიკაცია მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, რომელმაც უნდა მოგვეცეს ხარჯების სრული სურათი. ფაქტობრივად სრულყოფილი სახით არ გამოიყენება. ამასთანავე, ხარჯების განაწილება ცალკეული მუხლების მიხედვით, არ შეესაბამება მათ ნამდვილ ბუნებას. ხარჯები ძირითადად მიმართულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შესრულებაზე. მაშინ, როდესაც, მისი სოციალური ფუნქცია, რომელიც ორიენტირე-

ბელა უნდა იყოს უშუალოდ ადამიანზე, ვერ პოულობს. ფინანსურ უზრუნველყოფის არარსებობის გამო, თავის რეალიზაციას; მმრთსმ. უკანასკნელ წლებში გაუმართლებელი ხარჯების გაწევა, რომელიც ძირითადად მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფას ხმარდებოდა (მთლიანი ეროვნული პროდუქტის მეოთხედზე მეტი დოტაციებზე მოდიოდა), მკვეთრად შეამცირა ბიუჯეტური სახსრების როლი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პრიორიტული დარგების სტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტაში; მმხშთმ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ძირეული არსებითი ცვლილებები უნდა განიცადოს რესპუბლიკაში ბიუჯეტური საშუალებების ხარჯვის სამეურნეო სისტემაში. ბიუჯეტურმა ასიგნებებმა უნდა უზრუნველყოს ყველაზე მთავარი სახელმწიფო ამოცანები, პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის, კერძოდ, რესპუბლიკის სასიცოცხლო მნიშვნელობის სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებასთან. ბიუჯეტის სპეციალიზაცია აღნიშნულს უნდა დაეფუძნოს და არა ბუნებრივი, ტრადიციული პირობებიდან მოწყვეტით დარგების სტრუქტურული შედგენილობის გაუმართლებელ გადასინჯვას, დროებით ფინანსური შედეგის მოჩვენებით მიღწევას; მმმშშსმ, ხარჯების საგნობრივი კლასიფიკაცია ასევე არ გაძღვეს სახელმწიფო ხარჯების განაწილების რეალურ სურაოს. რამდენადაც ერთი და იმავე სახის ხარჯები მიმართულია სხვადასხვა მიზნისათვის. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის განაწილება საგნობრივი ნიშნით ხარჯების მიზნისა და უწყებრივი მითითების გარეშე თვით ამ პრინციპს ეწინააღმდეგება. მმშშმმ, რასაკვირველია, ჩვენ არ უარვყოფთ ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტის კლასიფიკაციის პრინციპების საგადასახადო ნაწილში ხარჯების განსაზღვრის სირთულეს, მაგრამ ამ პრინციპების ერთმანეთში გადახლართვა რაიმე მიზნის მიღწევისათვის, როდესაც ერთი პრინციპი გამოდის ძირითად, ხოლო დანარჩენი დამხმარე პრინციპებად, სწორად არ მიგვაჩნია. აღნიშნული მდგომარეობა ქმნის სხვადასხვა ციფრების მანიპულიაციით ბიუჯეტის ხელოვნური დაბალანსირების შესაძლებლობებს, რაც თანდათანობით უნდა მოიხსნას; მმრშმ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება კონკრეტული პროგრამის დამუშავების საფუძველზე უნდა მოხდეს და არა ბიუჯეტის ბალანსირების ხელოვნური ხერხებით. აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია ღონისძიებები, რეკომენდაციები, რომელთა საფუძველად არის აღებული იდეა, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მივაღწიოთ თანასწორობას ბიუჯეტის შემოსავალსა და გასაყალ ნაწილებს შორის. ასეთი მისწრაფებები, რომლებიც არ არის განმტკიცებული

რეალური ნაბიჯებით ეკონომიკის სტაბილიზაციის მიმართულებით, ქმნის მხოლოდ სურვილის რეალურად წარმოდგენის მოჩვენებითობას და ისედაც მძიმე ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. ბიუჯეტის დეფიციტის გადალახვისათვის აუცილებელია თვით ეკონომიკის „მკურნალობა“, ვინაიდან მისი დინამიზმის აღდგენისა და განვითარების გარეშე, ქვეყნის მყარი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის მიღწევა შეუძლებელია, მიუხედავად მრავალი ღონისძიებების გატარებისა და უცხოეთიდან დახმარების მიღებისა.

ხარჯების დაფინანსების მიზნია ბიუჯეტის დეფიციტი. იგი შედეგია აღმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის, რომელიც რესპუბლიკაში ათეული წლების განმავლობაში ბატონობდა და ამჟამად ბიუჯეტურ პროცესში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევისათვის აუცილებელია სახელმწიფო აპარატის, ხელისუფლების მართვის ყველა რგოლის შენახვის ხარჯების შემცირება, ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების სრულ, ან ნაწილობრივ თვითდაფინანსებაზე გადასვლა, არ უნდა დაუშვას ზენორმატიული კრედიტების გაცემა მოცულობის ზრდა და, აქედან გამომდინარე, ხარჯების მოცულობის განსაზღვრა უშუალოდ დაკავშირებულ უნდა იქნეს შემოსავლების წყაროებთან.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ხარჯების ფინანსირება ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაში ვლინდება ე.წ. „დეფიციტური ფინანსირების“ თეორიაში. აღნიშნული თეორია ჯერ კიდევ პირველად წამოაყენა ჯ.კეინსმა, რომელსაც ბიუჯეტის დეფიციტი მიაჩნდა მეტი საშუაოს, მეტი ხარჯებისა და მეტი სიმდიდრის შექმნის საშუალებად. თანამედროვე ეტაპზე ამ თეორიის მიმდევრები არიან: ინგლისელი ეკონომისტი ფ. შირასი, გერმანელი რ.ლინდხოლმი და სხვები. მათი აზრით ჯანმრთელი ფინანსების, ბალანსირებული ბიუჯეტის თეორია ამჟამად მოქველდა, ვინაიდან ბიუჯეტის დეფიციტი აქტივობის ამაღლების, წარმოების გაფართოების, ფინანსური რესურსების მიზნობრივი, ეფექტიანი გამოყენებისა და მოსახლეობის სრული დასაქმების მნიშვნელოვანი საშუალება გახდა. რ.ლინდხოლის აზრით, იმის მაგივრად, რომ ბიუჯეტი დავაბალანსოთ, საჭიროა „თვით ბიუჯეტმა დააბალანსოს ეკონომიკა“<sup>1</sup>.

ბიუჯეტის შედგენაში ხარჯებსა და შემოსავლებს შორის თანაფარდობის საკითხზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში პრიორიტეტი ხარჯების განსაზღვრას უკავია. საზღვარგარეთის ეკონომისტების აზრით, ფინანსური მეცნიერება არ უნდა იყოს დაკავებული სახელმწიფო ხარჯების არსის ანალიზით. მათი

1. R. W. Lindholm, Public Finance and Fiscal Policy, p. 571.

მიზანშეწონილობის განსაზღვრისა. არაშედეგიანი ფინანსური მეცნიერების ამოცანაა დაპროექტებული მთავრობის ხარჯების დაფარვის წესების გამოვლენა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მიღებულია რა, ბიუჯეტის შედგენის დროს ამოსავალ სიდიდებზე ხარჯები. მათი დაუფარავობის შემთხვევაში, ლეფიციტის დროს რეგულირებას უკეთებენ დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას გადასახადების ზრდის, დამატებითი ფულის ემისიის, სესხების გამოშვებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკონომიის წარმომადგენლების ა.სმიტისა და დ.რიკარდოს მოსაზრებები. ისინი თვლიდნენ, რომ სახელმწიფო ხარჯები უნდა იყოს შემოფარგლული საგადასახადო შემოსავლების სიდიდებით, სახელმწიფო არა აქვს უფლება ხარჯების გადაჭარბების დროს შემოსავლებზე მიმართოს სესხების გამოშვება.

ჩვენი აზრით, ბიუჯეტის შედგენის დროს ხარჯებს უნდა მიეცეს უპირატესობა შემოსავლებთან შედარებით, რამდენადაც მიზნშედეგობრივი კავშირი ბიუჯეტის შედგენისთანავე უნდა იყოს თავიდანვე დაცული, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხარჯები როგორც შედეგი, შეიძლება სხვა მოვლენისათვის იყოს მიზეზი. ბიუჯეტის შედგენის ანალიზი კრედიტის გაცემის მიზნობრიობის განსაზღვრით უნდა დაიწყო, რამდენადაც მას უკავია გადამწყვეტი ადგილი ხარჯების სტრუქტურაში. წლის ბოლოს ბიუჯეტის შედეგების განხილვა უკვე მომხდარი ფაქტის ანალიზია, რომელსაც არ შეუძლია უკუშემოქმედება ამ მოვლენაზე გასული დროის გამო. ქართული ანაღზის არ იყოს, ეს იგივეა: სუფრის დამთავრების შემდეგ მაროლი გამოიტანო. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ბიუჯეტის შედგენის ანალიზი კრედიტების გაცემის მიზნობრიობის დასაბუთების ანალიზით დაიწყო, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზენორმატიული კრედიტების მოცულობის შემცირებაზე ყურადღების გაძლიერებას. მათ მიმართ მკაცრი საფინანსო პოლიტიკის დაცვას.

ბიუჯეტის ხარჯები მჭიდრო კავშირშია მის შემოსავლებთან. ეს ურთიერთობა გამოიხატება ხარჯების შემოსავალთან რაოდენობრივი თანაფარდობით და მათ შორის ურთიერთშემოქმედებით. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ხარჯების ისეთი მოცულობით და ბიუჯეტური რესურსების გამოყენების ისეთი დონით განსაზღვრა, რომელიც საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს მინიმალურ ხარჯებით და შესაბამისად ეროვნულა ეკონომიკის მაქსიმალური ეფექტით, თავის მხრივ, ბიუჯეტური რესურსების მო-

ნობრივი გამოყენებით შესაძლებელია უკუზემოქმედება შემოსავლების ზრდაზე. წარმოების მოცულობის გადიდებით. მეცნიერების განვითარებითა და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის საბიუჯეტო ფონდის პოტენციალის სრულყოფის მეშვეობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის მეთოდის კრიტიკით დაუყოვნებლივ გადასინჯვას, ვინაიდან მისი ხელონური დაბალანსირების ცდა რესპუბლიკისათვის არაფრის მომტანი არ არის. გარდა ზიანისა. აქ გადამწყვეტი სიტყვა ფინანსთა სამინისტროსთან ერთად უნდა თქვას რესპუბლიკის კონტროლის პალატამ. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო ბიუჯეტის კვლევის გამოცდილებიდან გამომდინარე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და აღსრულების პროცესში. ესაა მისი მთავარი ამოცანა და არა საგადასახადო საშახურის გვერდით პარალელურად იმავე ფუნქციების შესრულება: სამწუხაროდ, ამჟამად რესპუბლიკის კონტროლის პალატა თავისდაუნებურად დაინტერესებულია არა უშუალო შეფასების მეთოდის სხვა მეთოდებთან კომბინირებული გამოყენების საფუძველზე რეალური ბიუჯეტის შედგენით, მასში გამოვლენილი რეზერვების ასახვით, არამედ არარეალური ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების ამოღებით და გადარიცხვით, დადგენილი წახალისების მექანიზმის ამოქმედებით. მათი პირადი მატერიალური დაინტერესება მიზნული უნდა იყოს რეალური ბიუჯეტის შედგენა-აღსრულებაზე და არა არარეალური ბიუჯეტის სასარგებლოდ მართო თანხების ამოღება-გადარიცხვაზე.

„საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სიღრმე, არეალი, დინამიკა და ტემპები - როგორც აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, - ყალიბდება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის რელიზაციის უმთავრესი მექანიზმის - ბიუჯეტის მეშვეობით. ამიტომ ბუნებრივია სახელმწიფო ბიუჯეტის გადამწყვეტი როლი, რომელიც მან შეიძინა თანამედროვე ეტაპზე“<sup>1</sup>. საქართველოს ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე. ყალიბდება რა სტრუქტურული და სისტემური რეფორმების გატარების საფუძველზე, თვითგანვითარებად სისტემად, მას ბიუჯეტის შედგენის მზამზარეული გამოცდილება არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის მეთოდის დაუყოვნებლივ გადასინჯვა. ბიუჯეტის შედგენაში ინსტიტუციონალური

1. ე. შევარდნაძე. „მოხსენება 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგებისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1997 წლის 7 თებერვალს“. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, N 35 (2408), 1997. 13 თებერვალი. გვ.3.

წესების თანდათანობითი შემოღების დაჩქარება. პარალელურად ზარალიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების არსებობის საკითხის გადაწყვეტა გაკოტრების თაობაზე მიღებული კანონის ამოქმედების მექანიზმების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გაანალიზების მიმართულებით მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უკანასკნელ ხანს გამოცემული ბრძანებულება „საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია არსებული რეზერვების ამოქმედების საფუძველზე დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და მათი მიზნობრივი კონკრეტული გამოყენების გზები. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შემუშავებული საგანგებო საფინანსო პროგრამის შესრულებაზე დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს შემდგომი ინტეგრაცია საერთაშორისო თანამეგობრობაში, მსოფლიო სამეურნეო ეკონომიკურ კავშირებში.

დაბეკრა, სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯების მართვა ეკონომიკური რეფორმის გატარების პროცესის ყველაზე სუსტი კომპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო შემოსავლების შეგროვება უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა, კერძოდ, 1994 წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტიდან 1996 წელში 6,8 პროცენტამდე გაიზარდა, ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და მსოფლიოს იმ ქვეყნებს შორის, სადაც სტრუქტურული გარდაქმნები დამუშავებული პროგრამის საფუძველზე მიმდინარეობს. მართალია, ბიუჯეტის დეფიციტი კონტროლის ქვეშ იმყოფება ხარჯების შემცირების საფუძველზე, მაგრამ მისი შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი იქნება. თანამედროვე ეტაპზე ინფრასტრუქტურის აღდგენა ობიექტურ აუცილებლობად არის გადაქცეული და 1997 წლის კაპიტალური ხარჯების მოცულობა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ვერ შეძლებს იმის გამო, რომ 1997 წლის კაპიტალური ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1,1 პროცენტს შეადგენს და ასეთ პირობებში მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთიანი სისტემის შექმნა ახლო მომავალში შეუძლებელი იქნება.

1996 წლის სრულმა შემოსავალმა, გარანტიების გამოკლებით, 4(2 მილიონი ლარი შეადგინა (უკანასკნელ გეგმაზე 8,3 პროცენტით ნაკლები), ხოლო გრანტებმა კი - 65,5 მილიონი ლარი (უკანასკნელ გეგმაზე 11,2 პროცენტით მეტი).

ცენტრალური ბიუჯეტის ფაქტობრივი შემოსავლები გეგმას 43 მილიონი ლარით ჩამორჩება. ხოლო ადგილობრივმა ბიუჯეტებმა და სპეციალურ სახელმწი-

ფო ფონდებმა მოახერხეს გეგმანზე მეტი შემოსავლების მოკრება. რის შედეგადაც სრული შემოსავლები გეგმას მხოლოდ 35 მილიონი ლარით ჩამორჩა. ადგილი ჰქონდა მოგების დამალვის ფაქტებს. რომლის ერთ-ერთ მიზეზს სუსტი საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს. აღნიშნულის მიზეზის გამო საგადასახადო შემოსავლებს შეუგროვებელი საწარმოო მოგების გადასახადი - 25 მილიონი ლარის მოცულობით დააკლდა. 1996 წლის პერიოდში ადგილი ჰქონდა საგადასახადო დავალიანებების ზრდას და მან 122 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო დარღვევებზე დარიცხულმა ჯარიმებმა 88 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც ამოდებულ იქნა საგადასახადო ინსპექციის მიერ მხოლოდ 29,2 მილიონი ლარი. საგადასახადო დავალიანებების ამოღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას, ხოლო ყველაზე დაბალი - ზესტაფონს, მცხეთასა და რუსთავს.

მომავალში დაგეგმილია, რომ გადასინჯულ იქნეს გადასახადის შემგროვებელთა სტიმულირების საკითხი, რომელიც დაეფუძნება ძირითად გადასახადებს და არა ჯარიმებს. შემცირდება ჯარიმების მოცულობა გადასახადის დაგვიანებაზე დღეში 0,5 პროცენტიდან 0,1 პროცენტამდე. საწარმოთა უმეტესობას 1996 წლამდე დაგროვილი საგადასახადო დავალიანებების ჯარიმები ჩაიძირება, ხოლო თვით საგადასახადო დავალიანების გადახდა გადაუადღათ 1996 წლამდე, 24 პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთით. საგადასახადო დავალიანებების უმეტესობა დამატებითი ღირებულების გადასახადსა და მოგების გადასახადზე მოდის.

საგადასახადო სისტემის სრულყოფის პროცესი თანამედროვე ეტაპზე ძირეულ ცვლილებებს განიცდის, კერძოდ, საგადასახადო სისტემაში ყველაზე დიდი ცვლილებები მოხდა პირადი შემოსავლის გადასახადსა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების გადასახადებში. დასაბეგრი პირადი შემოსავლის ზღვრები გაიზარდა ისე, რომ მაქსიმალური განაკვეთით იბეგრება წელიწადში 600 ლარზე მეტი შემოსავალი. სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში ჯამური გადასახადი 35 პროცენტიდან 33 პროცენტამდე შემცირდა.

ახალი საგადასახადო კოდექსის დამუშავების პროცესში გათვალისწინებულუნდა იქნეს გადამხდელთა უფლებამოსილებების საკითხი, მათი პასუხისმგებლობის ნათლად წარმოდგენა. გაუქმდება ისეთი გარკვეული ტიპის გადასახადები როგორცაა: გადასახადი საწვავის რეალიზაციაზე, გადასახადი კავშირგაბმულობასა და რეკლამაზე. გაუქმდება აგრეთვე გარკვეული ტიპის სახელმწიფო ბაჟი. დამატებითი ღირებულების გადასახადის განაკვეთი დარჩება 20 პროცენტი ყველა სახის საქონელზე ფქვილისა და პურის გარდა (10%). დამოუკიდებელ სახელმწიფო

თანამეგობრობის ქვეყნების შეთანხმების თანასმად დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა მოხდება ყველა იმპორტზე მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა. ხოლო ყველანაირი ტიპის ექსპორტი გადასახადებისაგან განთავისუფლებული იქნება.

..ხალმა საგადასახადო კოდექსმა და საშემოსავლო დეკლარაციების სისტემის შემოღებამ უნდა გაზარდოს საგადასახადო ბაზა. რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გადასახადების დროულად გადახდის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო შემოსავლების საშუალოდ ორი მესამედი პირადი შემოსავლისა და სახელმწიფო ფონდების გადასახადებიდან შემოდის, მაშინ, როდესაც საქართველოში საწარმოთა დაბეგვრა გაცილებით დიდ როლს თამაშობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებაში. გარდა ამისა, პირადი შემოსავლის გადასახადის მოკრება ძირითადად ხდება სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში ხელფასიდან დაკავების გზით და ამიტომ იგი განიხილება როგორც მორიგი გადასახადი ხელფასების დონიდან, ვინაიდან მოსახლეობის უმეტესობა შემოსავალს სხვა არაოფიციალური წყაროებიდან იღებს, ალბათ, სასურველი იქნებოდა საგადასახადო საშსახური შემოსავლების პირდაპირი გზით დაბეგვრას შეეცადოს. აქვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ საწარმოებს შემოსავლების დაზოგვისა და ინვესტირების უკეთესი შესაძლებლობები გააჩნიათ ვიდრე შინამეურნეობებს, რაც დაბეგვრის დროს აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

საქართველოს ბიუჯეტის ფორმირებასა და რეალიზაციის საქმეში თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილ საზაზინო სამსახურს, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს: ჯმრ მრთი, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი; მმორმ, ბიუჯეტსა და ბიუჯეტგარეშე ფონდებს შორის საფინანსო ურთიერთობების რეგულირება; მმსამმ, საფინანსო რესურსების პროგნოზირება და ოპერატიული მართვა; მმორმხმ, ქვეყნის საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრება, დამუშავება და ანალიზი, ხელისუფლების ორგანოებისათვის საბიუჯეტო სისტემის ანგარიშების შემუშავება და წარდგენა და მმხუთმ, ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებთან ერთად საგარეო ვალის მომსახურეობა და პარალელურად მდგომარეობის შეფასება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბიუჯეტო კლასიფიკაცია ისე უნდა დარეგულირდეს, რომ შესაძლებელი გახდეს საბიუჯეტო მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობა, და რაც მთავარია, ბიუჯეტში საშე-

მოსაკლო და საგასავლო ნაწილებში არასაბიუჯეტო ფონდების ასახვა. ასეთი მიდგომით შესაძლებელი იქნება არასაბიუჯეტო ფონდებისა და მათი ფორმირების წყაროების საკანონმდებლო წესით დამტკიცება. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიუჯეტის ფორმირების პროცესის სრულყოფას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინების საფუძველზე.

საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. ამ მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობა მეტწილად ნაჩქარევად ისეთი მოდულებით წარიმართება, რომლებიც არ არის დაკავშირებული მაკროეკონომიკურ სარეფორმო გადაწყვეტილებებთან. სწორედ ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებასა და გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებას შორის იმდენად დიდია დროის შუალედი, რომ პრაქტიკულად განხორციელებისას გადაწყვეტილება მოძველებული ხდება და მოითხოვს განუწყვეტლივ დაზუსტებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიმართულებით საჭიროა ისეთი სქემის შემუშავება, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული პარამეტრების განსაზღვრას, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი საგადასახადო განაკვეთების დაწესებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება მიღწეული იქნეს ბიუჯეტის რეგულირებადი, მყარი შევება და სახაზინო სამსახურის მიერ ბიუჯეტის ოპტიმალური მართვა, ბიუჯეტის გამჭვირვალების საფუძველზე სხვადასხვა პოზიციიდან მისი მაჩვენებლების ანალიზის შესაძლებლობა.

ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრულ განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მოუქნელობა, რაც გამოიხატება არსებულ საგადასახადო სისტემაში ნაკლოვანებებით; ეერძოდ, ჯპრ პრთი, არ არსებობს ერთიანი, ურთიერთშესაბამისი სტაბილური საგადასახადო სისტემა, რომელიც ნაჩქარევად მუშავდება და მოწყვეტილია ეკონომიკის რეალურ სინამდვილეს: მმრკ. გადასახადების მრავალსახეობა და გაანგარიშების სირთულე ამუხრუჭებს მათ ეფექტურობას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევებაში; მმსამმ, არაეფექტიანი საგადასახადო შეღავათები და მასთან ერთად მოუფიქრებელი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ქმნის ეკონომიკაში გაურკვეველობის ატმოსფეროს. ბიუჯეტის შევებაში ნაკლოვანებების სხვადასხვა ეკონომიკური სამსახურების მიერ ურთიერთგადაბრალების პირობებს, ამ საქმეში პასუხისმგებლობის შესუსტებას და, საერთო ჯამში აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროების ხელოვნურ დაფარვასა

და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გაფართოებას; მპროტხმ, მოგებისა და პრო-დუქციის თვითღირებულების განსაზღვრისას დამატებითი ღირებულებისა და სამემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების მეთოდიკაში აზრთა სხვაობა, მისდამი სხვადასხვანაირი მიდგომა. იწვევს დაბეგვრის წონასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევას; მმხუთმ, ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადასახადების არასამართლიანი განაწილება, ყველა სფეროს საწარმოებისათვის მოგების გადასახადის უნივერსალური განაკვეთის არარსებობა, მისი არასწორი ღიფერენციაცია დარგებს შორის, ამორტიზაციის დარიცხვის წესის სირთულე, საგადასახადო კონტროლის შესუსტება და მასთან ერთად მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ერთნაირი ფუნქციების პარალელურად შესრულება ხელს უშლის საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებასა და საქართველოში ცივილიზებული საგადასახადო სისტემის ფორმირებას. ყოველივე იმედია გათვალისწინებული იქნება საგადასახადო სისტემის სრულყოფის ახალი კანონმდებლობის დამუშავების პროცესში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახარჯო დავალიანებების დაგროვების საკითხს. საქართველოს პრეზიდენტის ელუარდ შევარდნაძის „1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ განკარგულების თანახმად ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია და სპეციალური სახელმწიფო ფონდები (სავზაო ფონდის გარდა) 1997 წლის 21 თებერვლისათვის ხაზინის ერთი ანგარიშის ქვეშ უნდა გაერთიანდეს. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სახელმწიფო ხარჯების მართვის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ 10 დღით ადრე უნდა წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს მომდევნო თვის ხარჯები. ამით თავის დროზე უნდა გაირკვეს რომელი გადასახადი საიდან შემოვიდა და რა ხარჯები შესრულდა, ვინაიდან სხვანაირად შეუძლებელია სახარჯო დავალიანების მდგომარეობის გაუმჯობესება. განკარგულება საბიუჯეტო ორგანიზაციებს უკრძალავს სახარჯო დავალიანების დაგროვებას, რაც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს ხარჯების მიზნობრივ გამოყენებასთან ერთად ხარჯებში სხვადასხვა ციფრობრივი მანიპულაციის გზით ნეგატიური მოვლენების წარმოშობისათვის პირობების შეზღუდვას, ხოლო შემდეგ მის მთლიან აღმოფხვრას.

## 2. ბიუჯეტური პროცესის სრულყოფა

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება და დამტკიცება ერთია, მაგრამ მთავარია მისი შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტურ პროცესს სახელმწიფოებრივი რეგულირება სჭირდება. 1997 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შეადგენს რა 639,9 მილიონ ლარს, აქედან სახელმწიფო გადასახადები მთელი შემოსავლის 72,25 პროცენტს შიადგენს. რაც შეეხება აღურიცხავ შემოსავლებს, რომლებსაც ჩრდილოვანი ეკონომიკა ქმნის, მასზე კონტროლი განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს. ინტეგრაცია საერთაშორისო სისტემებში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების გარეშე შეუძლებელია. აღნიშნული პირველ რიგში ბიუროკრატიული აპარატისა, მთელი სახელმწიფო სტრუქტურის მნიშვნელოვან შემცირებასა და პარალელურად ბიუჯეტური პროცესის სრულყოფას გულისხმობს.

რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საფუძველი უნდა ჩაეყაროს რესპუბლიკაში საფინანსო სისტემის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელებას. საჭიროა გატარდეს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის არაორდინალური რეფორმა, რომელიც თავისი დამოუკიდებლობის პრინციპებით ძირეულად უნდა განსხვავდებოდეს საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო-საკრედიტო რეფორმის მთავრობისეული კონცეფციებისაგან. კერძოდ, შეუძლებელია ეკონომიკური დამოუკიდებლობა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, თუ ფინანსების, კრედიტის, ფულის მიმოქცევის, შრომის ანაზღაურების, მოსახლეობის სოციალური გარანტიების, ფასწარმოქმნის საერთო პოლიტიკის განსაზღვრა კვლავინდებურად დარჩება უცხოეთის ექსპერტების განკარგულებაში.

საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა უნდა განისაზღვროს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული ტერიტორიული წყობილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რესპუბლიკის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემას შეადგენს საქართველოს რესპუბლიკური, ავტონომიური ფორმირებისა და ადგილობრივი ბიუჯეტები. ეს ბიუჯეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ ადმინისტრაციული წესით ჩაერიონ სახელმწიფო იერარქიის ქვემდგომი საფეხურების საბიუჯეტო პროცესებში.

საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის გარდაქმნის მთავარი პირობა უნდა გახდეს ბიუჯეტის შემოსავლების მყარი ბაზის შექმნა, ხარჯების მიზ-

ნობრივი გამოყენება. ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და გამოყენებაში სრული დამოუკიდებლობის დაცვა და საერთო ჯამში ბიუჯეტური პროცესის სრულყოფა.

მეურნეობრიობის თანამედროვე პირობებში გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების მიუხედავად, რესპუბლიკაში სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების დაუბალანსებლობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. იგი თანდათანობით ღრმადდება და ეკონომიკა სულ უფრო მძიმე კრიზისულ პირობებში ექცევა, ძლიერდება ინფლაციური პროცესები. მოგებისა და რენტაბელობის ღონის მატებაში ჭარბობს ექსტენსიური ფასწარმოქმნის ფაქტორები, რის შედეგადაც დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესების შემდგომ გაღრმავებას თან არ სდევს შესაბამისი ფინანსური შედეგები.

რესპუბლიკის მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს არამტკიცე საგადასახდელო და საანგარიშსწორებო დისციპლინა, რის შედეგადაც ღიღია ბანკისა და მომწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანებები, ასევე ფინანსურ ურთიერთობებში გაბატონებულია უკიდურესი ცენტრალიზაცია, რომელმაც გამოიწვია, ერთი მხრივ, საწარმოებისა და რეგიონების ფინანსების შეუფასებლობა, ქვეყნის მასშტაბით საკრედიტო რესურსების მაღალი მასშტაბებით კონცენტრაცია და, მეორე მხრივ, საწარმოებისა და რეგიონების თვითდაფინანსების პრობლემების უგულვებელყოფა, მათი ეროვნული ინტერესებიდან განყენებულად განხილვა.

რესპუბლიკის ეროვნულ ეკონომიკაში ფინანსების მოშლას ხელს უწყობს ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორცაა: შრომის, საგეგმო, სახელმეურნეო და საფინანსო დისციპლინის მოშლა, აბსოლუტური, როგორც ღირებულებითი, ისე ნატურალურ გამოხატულებაში წარმოების მოცულობის შემცირება მრეწველობის ე.წ. „საბაზო“ დარგებში, რამაც თავის მხრივ განაპირობა ენერგეტიკული და სანედლეულო დეფიციტის მკვეთრი ზრდა დამმუშავებელ დარგებში; მნიშვნელოვანი შეფერხებები ტრანსპორტის მუშაობაში, რამაც გააძლიერა დისბალანსი წარმოების მატერიალურ უზრუნველყოფაში; კრიზისული მდგომარეობა სამშენებლო კომპლექსში, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ათვისებაში; საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა სამეურნეო კავშირების დარღვევა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების საწარმოებთან, მათ შორის არაეკონომიკური მიზეზებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა, თავის ასახვა პოვა ბიუჯეტურ პროცესში ნეგატიური მოვლენების წარმოშობაში. ამიტომ ობიექტურად დადგ. საკითხი საბიუჯეტო-საგადასახადო მექანიზმების გარდაქმნის საფუძველზე

ბიუჯეტური პროცესის სრულყოფისა და ბიუჯეტის დეფიციტის მინიმუმამდე დაყვანის.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა წარმოადგება ისტორიულად ჩამოყალიბებულ დღემდე არსებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ წყობის შესაბამისი სამსაფეხურიანი სისტემა. ამის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ბიუჯეტებს.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა შემოსავალი, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებული ერთობლივი საწარმოების რესპუბლიკის ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში. ბიუჯეტის შედგენის, განხილვისა და დამტკიცების არსებული სისტემა, ისევე როგორც საფინანსო პოლიტიკის დამუშავების პრაქტიკა, შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას მოითხოვს. უფრო მეტიც, დღეს საქართველოს რესპუბლიკას საერთოდ არ გააჩნია საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებისა და მათი ეტაპობრივი განხორციელების რამდენადმე ჩამოყალიბებული სისტემა და მექანიზმი, რაც შეეხება საფინანსო პოლიტიკის ადრე არსებულ მექანიზმს, მას სამწუხაროდ ჯერჯერობით არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ქვეყნის ბიუჯეტური ფონდი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საქმიანობის მატერიალურ-ფინანსურ ბაზას, ფორმირდებოდა ჯერ კიდევ მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ამოცანებიდან გამომდინარე. მისი სიდიდე განისაზღვრებოდა არა ოპტიმალური პრიორიტეტებით, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკის რეგულირებისათვის, არამედ ხარჯვითი მიდგომით. კერძოდ, იგი მიმართული იყო სახელმწიფო ხელისუფლების მრავალი ორგანოების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფისათვის. ფინანსური რესურსების სიდიდე და დონე, სახელმწიფოს ხელში მეტისმეტი ცენტრალიზაციის საშუალებით განისაზღვრებოდა, არა მეცნიერული კრიტერიუმებით. არამედ „ზევიდან“ ბრძანებით. რაც ბიუჯეტის გადანაწილებით ფუნქციას უსაზღვროდ აქცევდა. ფაქტობრივად გადანაწილებით ობიექტად გამოდიოდა საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ყველა ელემენტი. ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი-

რებისადმი მისწრაფება. ეს არის დღეს ერთ-ერთი არსებითი ამოცანა. მხოლოდ მისი გადაწყვეტილებით შეიძლება განვახორციელოთ მიზანმიმართული საფინანსო პოლიტიკა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ძირეული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ბიუჯეტური საშუალებების ხარჯვის სამეურნეო სისტემაში. ბიუჯეტურმა ასიგნობებმა უნდა უზრუნველყონ ყველაზე მთავარი სახელმწიფო ამოცანები: ქვეყნის ეკონომიკის მთავარი დარგების პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება, უზრუნველყოს მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამების შესრულების რეალიზაცია, შექმნას ფინანსური შესაძლებლობები საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. თანამედროვე პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტმა სოციალური ორიენტაცია უნდა მიიღოს. სახელმწიფომ თავის ხელში უნდა აიღოს განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის განვითარების ეროვნული პროგრამის დაფინანსება.

დღევანდელ პირობებში ბიუჯეტის პროექტის შედგენა და შემდგომ მისი განხილვა-დამტკიცება მოკლებულია ბიუჯეტსა და ეროვნულ ეკონომიკას შორის რეალურად არსებულ ურთიერთობებზე ზუსტ ინფორმაციასა და შეფასებებს. ამიტომ ამ პროცესების (პროექტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება) მსუბუქობა არ ასახავს ბიუჯეტის რეალურ შესაძლებლობებს და სშირად ცალკეული თანამდებობრივი პირის სუბიექტურ ნება-სურვილზე დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის პროექტის შედგენა რეალურ საწყისებზე უნდა იქნეს დაფუძნებული, რომ ხარჯების მოცულობა განისაზღვროს შეზღუდული რესურსების ფარგლებში.

საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლა მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების მართვაში ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების გაძლიერებას, რაც უნდა გამოიხატოს ბიუჯეტის შემოსავალ ნაწილში გადასახადების როლის ზრდაში.

ძირეულად უნდა გარდაიქმნას მოქმედი საგადასახადო სისტემა. საქმე იმაშია, რომ ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემა, მოითხოვს სრულყოფას, იგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მუხრუჭად გადაიქცა. ამიტომ საჭიროა ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის, ბიუჯეტის დეფიციტისა და ინფლაციის დაძლევას, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას, შექმნის სტიმულებს რეგიონის, დარგის, საწარმოს განვითარებისა და ცალკეული პრო-

დუქციის წარმოების გადიდებისათვის. უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ეკონომიკურ და ეფექტიან გამოყენებას, გარემო პირობების დაცვას, საწარმოთა რენტაბელობისა და მოქალაქეთა შემოსავლების ღონის რეგულირებას.

გადასახადების სისტემა ერთიანი და სავალდებულო უნდა იყოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მათი საკუთრების ფორმების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად.

საგადასახადო შეღავათების სისტემამ უნდა შექმნას ეკონომიკური წანამძღვრები სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების განვითარებისათვის. სტიმული უნდა მიეცეს საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მოგებას გამოიყენებენ ინვესტიციისათვის. შეღავათები უნდა განხორციელდეს იმ სამშენებლო ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც ვადაზე ადრე დაამთავრებენ ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას.

ამასთან, შედარებით მაღალი განაკვეთებით უნდა დაიბეგროს იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავლებს ღებულობენ სხვა მწარმოებლებთან შედარებით მაღალი ფასების დაწესებით, ხელს უწყობენ ინფლაციური პროცესების განვითარებას, მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციის რეალიზაციის გზით.

აქვე უნდა შეენიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა გადასახადების სრულყოფის მიმართულებით, მაგრამ იგი მოითხოვს დახვეწას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო სისტემაში განხორციელდა ცალკეული ძვრები, იგი მაინც ვერ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

საქართველოში გადასახადების ამოღების სისტემა წლების განმავლობაში ხასიათდებოდა ნათლად გამოხატული ფისკალური ხასიათით. იგი იყო მკაცრად ცენტრალიზებული და ინდივიდუალური განაკვეთების დაწესებით გამოიყენებოდა, სადაც არავითარი კრიტერიუმი არ არსებობდა სახელმწიფო საწარმოების მიერ ქვეყნის საბიუჯეტო ფონდში მოგების გადასახდის გადახდით მათი მონაწილეობის განსაზღვრის მიმართულებით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ კი ობიექტურად მოითხოვა წარმოების მართვაში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების ეკონომიკური მეთოდებით შეცვლის აუცილებლობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტის შემოსავალ ნაწილში პირდაპირი და არაპირდაპირი გა-

დასახადების სწორ შეხამებას. სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც გადამხდელთა ქონებრივი მდგომარეობა, ასევე მათ მიერ მიღებული შემოსავლის მოცულობა. დღევანდელ პირობებში არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილის ზრდის საწინააღმდეგოდ, ბიუჯეტის შემოსავლებში გადამწყვეტი ხვედრითი წილი უნდა დააკავოს პირდაპირმა გადასახადებმა. გადასახადების განსაზღვრისადმი მეცნიერული მიდგომით უნდა გამოირიცხოს ჩვენი სახელმწიფოს მაგალითზე დაბეგერის განაკვეთების, მხოლოდ ფისკალური მიდგომით განსაზღვრა და სხვა ქვეყნებში გამოყენებულ გამოცდილებების, რესპუბლიკის ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებლად მექანიკური გადმოტანა. გადასახადების კონკრეტული მოცულობის განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს მეურნეობრივი სუბიექტისაგან შემოსავლის იმ ნაწილის ამოღებას, რომლის შემდეგაც დარჩენილი შემოსავლის ნაწილი საშუალებას მისცემს მათ შეძლონ ფინანსურად უზრუნველყონ წარმოების შემდგომი განვითარება. კრიზისული პირობების გამწვავების დროს უმჯობესია გეკონდეს გადასახადების შედარებით დაბალი განაკვეთები გადამხდელთა დიდი რაოდენობის არსებობით, ვიდრე რამდენიმე სახე შემოსავლებისა, მიღებული მაღალი განაკვეთების დაწესებით.

საჭიროდ მიგვაჩნია ასევე, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში გამოყოფილ იქნეს კომერციული ბანკების მიერ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სესხების გაცემისას მათი საქმიანობის სტიმულირებისა და სანქციების რეჟიმი.

უკანასკნელ პერიოდში მიღებულმა კანონმა საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ განსაზღვრა გადასახადების სახეები, დაბეგერის ობიექტები, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის სისტემა და გადამხდელთა პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, მაგრამ ამ კანონმდებლობის პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების შექმნა სამწუხაროდ კვლავ ძიების პროცესშია.

ყველა ქვეყანაში ბიუჯეტი დგება, როგორც წესი, ერთი წლით. წლიური ბიუჯეტური პერიოდი იმას ნიშნავს, რომ კრედიტები შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ იმ წელში, რომლისათვისაც ისინი არიან გახსნილნი. საბიუჯეტო წელს გამოუყენებელი კრედიტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნილების დასაფარავად შემდგომ საბიუჯეტო წელს. წლის დამთავრების შემდეგ ყველა დანარჩენი გამოუყენებელი კრედიტები ავტომატურად კარგავს თავის ძალას. აღნიშნულის მსგავსად, არ შეიძლება კრედიტების ხარჯვა მიმდინარე საბიუჯეტო წელს წ.ი.ა საბიუჯეტო წლის გადახარჯვების დაფარვისათვის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კრედიტების გახსნის მომენტში არც მთავრობას და არც პარლამენტს არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, როგორ განაწილება მიმდინარე საბიუჯეტო წელს ფაქტობრივი ხარჯები და მით უმეტეს, როგორ ჩამოყალიბდება შემოსავლები. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჰერბერტ გუფერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიუჯეტური პროცესის საშუალებით ბიუჯეტის მოცულობაზე კონტროლი შეუძლებელია.

ბიუჯეტის წლიური პრინციპი ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში განსხვავებულია. ამერიკის შეერთებული შტატების 42 შტატში ორწლიანი საბიუჯეტო პერიოდი მოქმედებს, ხოლო ალაბამას შტატში იგი დგება ოთხი წლით. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ინგლისში ყოველწლიურად მტკიცდება საშემოსავლო გადასახადი და მასთან ერთად ბიუჯეტის შეცვლილი ხარჯები. ბიუჯეტის მუდმივი ნაწილი პარლამენტის მიერ არის განსაზღვრული და არ ექვემდებარება დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის მუდმივი ნაწილი არსებითად უვადო ხასიათს ღებულობს. იგი გადადის ერთი წლიდან შემდგომ წელში.

საფრანგეთში მოქმედი საბიუჯეტო კანონის თანახმად, თუ პარლამენტი არ დაამტკიცებს საბიუჯეტო პერიოდის დასაწყისში ბიუჯეტს, მშინ მთავრობას უფლება აქვს გააგრძელოს გასული წლის ბიუჯეტის მოქმედება.

როგორც ვხედავთ, რეალური ბიუჯეტის შედგენის დროს იხსნება საშიშროება ბიუჯეტის დამტკიცება-არდამტკიცების მიმართ და ქვეყნისათვის ყოფნა-არყოფნის პრობლემურ საკითხს იგი არ წარმოადგენს, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ მომავალში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ გამოვალთ რეალობიდან, ყოველწლიურად ბიუჯეტის ბალანსირება შეუძლებელია და ამიტომ ვფიქრობთ, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, იგი უნდა განისაზღვროს რამდენიმე წლით: აღნიშნული საკითხი დააყენა ჯერ კიდევ 1945 წელს ინგლისის მშინდელმა ფინანსთა მინისტრმა, ხოლო ამჟამად ამ მოსაზრებას არც უცხოელი ცნობილი ფინანსისტ-ეკონომისტები უარყოფენ.

აღნიშნული მოსაზრების მოწინააღმდეგენი - წლიური ბიუჯეტის შედგენის მომხრეები, თავის მოსაზრებას ასაბუთებენ იმით, რომ მრავალწლიანი ბიუჯეტური პერიოდი ბიუჯეტის რეალობას ასუსტებს. ჩვენი აზრით, წლიური ბიუჯეტის ბალანსირება უფრო არარეალურია. ვიდრე მრავალწლიანი ბიუჯეტის. სახელმწიფო ხარჯების გაღება იმავე წელს არ იძლევა უკუგებას, ისინი იხარჯება მთელი წლის პერიოდში, ამასთანავე, მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება დაიხარჯოს წლის ბო-

ლოს. წინასწარ არავინ იცის, როგორი იქნება საბიუჯეტო პერიოდში ეკონომიკური პირობები. საქმიანი აქტივობა და, აქედან გამომდინარე, შემოსავლების მიღების შესაძლებლობები. ამიტომ, ჩვენი აზრით მრავალწლიანი საბიუჯეტო პერიოდის პირობებში, ბიუჯეტური ხარჯებისა და შემოსავლების ბალანსირება უფრო რეალური და ოპტიმალურია ეკონომიკური პირობების შეცვლის, პროგნოზირების გათვალისწინებით საფინანსო პოლიტიკის გატარების საშუალებით. ამ მიზნის მიღწევისათვის მრავალწლიანი ბიუჯეტის ბალანსირების პროგნოზირება უფრო რეალურია. ვიდრე ერთწლიანი ბიუჯეტის დროს, იმიტომაც, რომ ერთ წელში გაწეული ხარჯების უკუგება შემოსავლების ფორმით დროში არასოდეს ერთმანეთს არ დაემთხვევა და, აქედან გამომდინარე, შემოსავლებისა და ხარჯების რეალური ბალანსირება, გარდა რეალობასთან მიახლოებისა, შეუძლებელია.

ვითვალისწინებთ რა საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკასა და არსებულ საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობას, დღევანდელ პირობებში აუცილებელია „ციკლურ ბალანსირებული“ ბიუჯეტის შედგენაზე გადასვლა. ჩვენი აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლიური ბიუჯეტი არ იძლევა სრულ სურათს შემოსავლებისა და დანახარჯების ურთიერთობის რეალური განსაზღვრისას, ვინაიდან დანახარჯები იმავე წელს არ იძლევიან შემოსავალს უკუგების სახით და, აქედან გამომდინარე, შემოსავლისა და დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალანსების გარეშე რჩება. ბიუჯეტის შედგენის ძველი წესი ყოველთვის ტოვებს პირობებს ბიუჯეტის რეალური დეფიციტის ხელოვნური დაფარვისათვის, ხარჯების ხელოვნურად შემცირების ან შემოსავლების ხელოვნურად გაზრდის, ან ორივეს ერთად ხელოვნურად შემცირების ან გაზრდის სახით და ამ გზით ბიუჯეტის რეალურად არსებული სინამდვილიდან მოწყვეტისათვის. ასევე გასათვალისწინებელია რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკა, ბუნებრივი გარემო პირობებიდან გამომდინარე კვლავწარმოების პროცესის ციკლური ხასიათიც. ამასთანავე, „ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტის შედგენა საშუალებას მოგვცემს გარკვეულ პერიოდში 4-7 წლის ფარგლებში ნათლად დავინახოთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ძვრები და პერსპექტივები, აკუმულირებული ბიუჯეტური რესურსების ეფექტიანი, მიზნობრივი, რაციონალური გამოყენების სურათი. „ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტი იძლევა საშუალებას ბიუჯეტის ნაჭარბიდან ფინანსური რეზერვების შექმნისათვის, უცხოეთიდან მომდინარე სხვადასხვა დახმარებების ბიუჯეტის სტრუქტურაში ასახვისათვის, პარლამენტის მხრიდან ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის გაძლიერებისათვის

და რაც მთავარია ასეთი ბიუჯეტის დამტკიცებისას გაძლიერდება თითოეული პარლამენტარის პასუხისმგებლობაც რეალური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე. ცალკეულ ეტაპზე ეკონომიკის გამოცოცხლების დროს ბიუჯეტის ნაჭარბიდან ფინანსური რეზერვების შექმნა საშუალებას მოგვცემს ეს რეზერვი გამოყენებულ იქნეს კრიზისებისა და დეპრესიების პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, ხოლო გაცხოველებისა და აღმავლობის პერიოდში ბიუჯეტის ნაჭარბიდან კვლავ ფინანსური რეზერვების შექმნისათვის. აღნიშნული სახით ბიუჯეტის შედგენა გადამწყვეტ როლს ითამაშებს ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლაში.

ჩვენ მიერ „ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტის შედგენის საკითხის დაყენება თანამედროვე საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში ბიუჯეტის განვითარების ისტორიაში ახალი არ არის. ამ აზრს თავის დროზე აყენებდნენ საფრანგეთში 1906 წელს ბრეტონი, 1911 წელს - კიუნი და 1923 წელს - პუანკარე. უკანასკნელ ხანს ბიუჯეტის პროცედურის შესახებ ახალი კანონის განხილვისას საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილ ფინანსისტ-ეკონომისტების მიერ ოფიციალურად იქნა წამოყენებული წინადადება ბიუჯეტის 7 წლით განსაზღვრისათვის, ე.ი. 7-წლიანი დროთი ციკლურ ბიუჯეტზე გადასვლისათვის. ჩვენ ვითვალისწინებთ რა საქართველოს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და კრიზისიდან გამოსვლის კომპლექსური პროგრამის საფუძველზე საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას, ვაყენებთ წინადადებას საქართველოს ბიუჯეტი შედგენილიყო პარლამენტის უფლებამოსილების დროით, ე.ი. ოთხწლიანი პერიოდით. იგი მიგვაჩნია რეალურ ღონისძიებად საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევის, რეალური ბიუჯეტის შედგენის, ბიუჯეტის დეფიციტის თანდათანობით გამიზნული შემცირების და შემდეგ ბალანსირებული ბიუჯეტის მიღწევის და. რაც მთავარია, მასზე ფინანსური კონტროლის ეტაპობრივად განხორციელებისა და დროულად კორექტირების შეტანისათვის.

„ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტის შედგენა, ასევე ხელს შეუწყობს პარლამენტისა და მთავრობის მიერ გაწეულ მუშაობის ეფექტიანობის ხალხის მიერ რეალურ შეფასებას, რაც გაზრდის მათ პასუხისმგებლობას ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცებასა და აღსრულებაში. სწორედ ეს უკანასკნელი აკლია რესპუბლიკის თანამედროვე ეტაპზე რეალური ბიუჯეტის შედგენის პროცესის სრულყოფას, რაც, ჩვენი აზრით, მომავალში გასათვალისწინებელია. აღნიშნულიდან

გამომდინარე, აუცილებელი არ არის როგორმე მოეასწროთ ბიუჯეტის შედგენა, განხილვა. დამტკიცება და გამოქვეყნება მომავალი წლის დასაწყისამდე 1 იანვრამდე; მთავარია მისი რეალობა, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ბალანსირების მიღწევა, მათი რაციონალური ორგანიზაცია. აღნიშნულის მიღწევა კი რესპუბლიკის დღევანდელ პირობებში, ერთწლიანი ბიუჯეტის დროს შეუძლებელია: რაც შეეხება ოთხწლიან „ციკლურ ბალანსირებულ“ ბიუჯეტის შედგენას, ასეთ მრავალწლიან საბიუჯეტო პერიოდის ბიუჯეტში უფრო ნათლად გამოჩნდება გამოყოფილი თანხების თითოეული მუხლის მიზანშეწონილობა და მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლი, თითოეული გამოყოფილი ფულადი თანხის უკუგება, ფულადი სახსრების გამოყენების ეფექტურობა, მისი შემოსავლების წყაროების გათვალისწინებით ბიუჯეტში შეტანა; ყოველივე გამორიცხავს და შეზღუდავს მაინც შემოსავლების და ხარჯების მუხლებში, ციფრობრივი მონაცემების სხვადასხვა მანიპულაციების მუშევრებით, ბიუჯეტის დეფიციტის მოკლე დროში სხვადასხვა ციფრებით ჩვენებას, ბიუჯეტის ხელონური ბალანსირების მიღწევას, რომელიც შედგენისთანავე რეალური სურათიდან არის მოწყვეტილი. აღნიშნული ჩვენი მოსაზრების დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ისიც, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში წლიური საბიუჯეტო პერიოდის დაწყება და დამთავრება ყველა ქვეყანაში ერთმანეთს არ ემთხვევა. აქ, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პირობები, ბუნებრივი და წარმოების ეკონომიკური მდგომარეობის პირობები, ბუნებრივი და წარმოების ციკლური ხასიათის თავისებურებანი, ისტორიული ტრადიციები და სხვა. ასე მაგალითად, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში 1946 წლამდე საბიუჯეტო წელი იწყებოდა 1 ივნისს, ხოლო 1946-1949 წლებში იგი ემთხვეოდა კალენდარული წლის დაწყებას, 1950 წლიდან კი იგი იწყება 1 მარტს.

მართალია, უმეტეს ქვეყანაში, თანამედროვე ეტაპზე, საბიუჯეტო პერიოდი იწყება 1 იანვარს (მაგ., საფრანგეთში, ბელგიაში, პოლანდიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში და ა.შ.), მაგრამ ეს არ ნიშნავს მის აუცილებლობას. საბიუჯეტო წლიური პერიოდი იწყება 1 აპრილს ინგლისში, გერმანიაში, კანადაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში და ა.შ., ხოლო 1 ივლისს იწყება საბიუჯეტო წლიური პერიოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, ავსტრალიაში და ა.შ. საბიუჯეტო პერიოდის დაწყების სხვადასხვა დროში განსხვავებების ახსნა ამ ქვეყანაში მხოლოდ პარლამენტის სხდომების რეგულირებულად ჩატარების დღეებით არ შეიძლება. ჩვენი აზრით, იგი ქვეყნის ეკონომიკური პირობებით, წარ-

მოების ციკლური ხასიათის თავისებურებებით და რეალობის მიახლოებასთან არის დაკავშირებული. აჩქარებას ამ საქმეში, ეკონომიკისათვის გარდა ზიანისა, არაფრის მოტანა არ შეუძლია. ამასი დაგეგარწმუნა საქართველოს ბიუჯეტის ერთთვიანი, კვარტალური და საერთოდ გარკვეულ პერიოდში არ წარმოდგენისა და დაგვიანებით წარმოდგენის პრაქტიკამ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა მკაცრად განსაზღვრული ადგილი უნდა დაიკავოს ქვეყნის ეკონომიკაში. რაც მოითხოვს სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად შესაბამისად ფუნქციების დანაწილებას. მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობის ამაღლებას. საჭიროა ფინანსთა სამინისტროს მუშაობის - ბიუჯეტის შედგენის გარდა - მთელი წლის განმავლობაში სხვა ფუნქციებითაც შემოფარგვლა, ეკონომიკის სამინისტროს თავისი ფუნქციებით ფინანსთა სამინისტროსთან შეერთება, ბიუჯეტის შესრულებაში, საკრედიტო დაგეგმვასა და კონტროლის სფეროში ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რაც განპირობებულია სახელმწიფო აპარატსა და მათ შორის ფუნქციების არასწორი შერჩევითა და ერთმანეთში აღრევით;

2. ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს შორის დანაწილებული უნდა იყოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის მართვის ისეთი საკითხები, როგორცაა: საფინანსო სისტემის სრულყოფის გადაუღებელი ამოცანების განსაზღვრა, საკრედიტო პოლიტიკა, ფულის მიმოქცევა, კლიენტთა უფლებების დაცვა, ურთიერთობა საკრედიტო დაწესებულებასა და კლიენტებს შორის. ბანკების ატესტაცია და ლიცენზირება, ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების რეგულირება, უცხოეთის ვალისა და დავალიანების გასტუმრების მომსახურება, მასზე რეალური მდგომარეობის ანალიზისათვის ერთიანი ცენტრის შექმნა და სხვ.;

3. ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა და სხვა ეკონომიკური საშახურების უმაღლესმა ორგანოებმა. დროა რესპუბლიკაში არსებული რეალური საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. განსაზღვრონ. უცხოეთში მრავალჯერ ყოფნის შედეგად დაგროვილი გამოცდილების შესწავლისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით. რესპუბლიკის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის ამოცანები. ფულად-საკრედიტო სისტემის მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა (მიმდინარე და პერსპექტიული), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული ღონისძიებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მათი ამოქმედების მექანიზმი. კონკრეტულად პასუხისმგებ-

ლებს. კონკურენტულად ვადებისა და შესრულების მიმდინარეობის ეტაპობრივი კონტროლის ჩვენებით;

4. რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე სწორი შეწონასწორებული საფინანსო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და დაცვას, ეკონომიკის სტაბილიზაციას და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე წინაპირობების მომზადებასთან ერთად თანდათანობით გადასვლას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სასურველია მთავრობის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თავი შეიკავოს თავისი პირადი აზრის საჯარო განცხადებებისაგან, როდესაც საქმე ეხება საფინანსო, კერძოდ, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ვინაიდან პირადი აზრი ზოგიერთმა არაკეთილმოსურნემ, არაპროფესიონალმა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს, იმ დროს, როდესაც მას რესპუბლიკის მდგომარეობიდან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია და შესაბამისად ტაქტიკა არ გააჩნია, იგი ფაქტობრივად დამუშავების პროცესშია;

5. დღევანდელ პირობებში „ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტის შედგენაზე გადასვლა, რომელიც საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების დროით-ოთხწლიანი პერიოდით განისაზღვრება, მიგვაჩინა რეალურ ღონისძიებად ბიუჯეტური პროცესის სრულყოფის, საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობის მიღწევის, რეალური ბიუჯეტის შედგენის, ბიუჯეტის დეფიციტის თანდათანობითი გამიზნული შემცირების და შემდეგ ბალანსირებული ბიუჯეტის მიღწევის და, რაც მთავარია, მასზე ფინანსური კონტროლის ეტაპობრივი განხორციელების; ასევე „ციკლური ბალანსირებული ბიუჯეტის“ შედგენაზე გადასვლა მნიშვნელოვანია მთლიანად საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის გარდაქმნის, ბიუჯეტური პროცესის სრულყოფის საქმეში მთავრობისა და პარლამენტის პასუხისმგებლობის ზრდისათვის და ხალხის მხრიდან მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შეფასების თვალსაზრისით.

### 3. ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდების რეზერვი

ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედი და, ამასთანავე, მოსახლეობის ცივილიზებული ღონის მჩვენებელიცაა. 1997 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის ფორმირების პროცესისადმი განსაკუთრებული ყურადღება განპირობებული იყო უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მის შექმნაში მონაწილეობდა ფაქტობრივად მთელი მოსახლეობა. სწორედ ასეთმა მიდგომამ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისადმი განაპირობა ის, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პარამეტრთა განსაზღვრის პროცესი საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. ჯერ კიდევ 1997 წლის აგვისტოში ბიუჯეტის მთავარი მაჩვენებლების განხილვა დაიწყო პარლამენტში, რომელიც გაგრძელდა თენახვერის განმავლობაში. განხილვის პროცესში შეიცვალა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კლასიფიკაცია, დაზუსტდა საბიუჯეტო სექტორული პროგრამების დაფინანსების მოცულობები და საგადასახადო პოლიტიკის მიდგომები.

1997 წლის ბიუჯეტის საბოლოოდ წარმოდგენილი პროექტი მოიცავდა 640 მილიონ ლარს შემოსავლებში და 840 მილიონ ლარს ხარჯებში, მაგრამ პარლამენტმა გაზარდა მონაცემები შესაბამისად 686 და 88 მილიონ ლარამდე. ეს მონაცემები, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მოიცავს მხოლოდ ცენტრალურ ბიუჯეტსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს. ადგილობრივი ბიუჯეტები თვითონ ადგენენ საკუთარ გეგმას. აქედან გამომდინარე, გეგმის მიხედვით შემოსავლები გაიზრდება 286 მილიონი ლარით და ხარჯები კი დაახლოებით 231 მილიონი ლარით, თუმცა მათი აბსოლუტური დონე მაინც ძალზე დაბალი რჩება. დარიცხული დეფიციტი, სახარჯი დავალიანების გათვალისწინებით, შეადგენს 246 მილიონ ლარს. დეფიციტის 60 პროცენტის (149 მილიონი ლარი) დაფინანსდება უცხოური წყაროებიდან, ხოლო დანარჩენი საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტითა და საზაზინო თამასუქებით. საზაზინო თამასუქების წილი 10 მილიონ ლარს შეადგენს. მათი გამოშვება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

ბიუჯეტის ფორმირებას საფუძვლად დაედო რაოდენობრივი მაჩვენებლები, მაკროეკონომიკური მახასიათებლები, როგორიცაა: ერთობლივი შიდა პროდუქტის დინამიკა, ინფლაციის მდგომარეობა და მოსახლეობის დასაქმების დონე. 1997 წლისათვის გათვალისწინებულია ერთობლივი შიდა პროდუქტის გაზრდა 14 პროცენტით, ინფლაცია არ ასცდება ერთნიშნა ციფრს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდის კვალობაზე, რადგან ეკონომიკის სექტორულ მაჩვენებლებში ძირითადად იზრდება შრომატევადი დარგები. წლეულს ასევე მოსალოდნელია რეალური შიდა პროდუქტის 14,9 პროცენტით გაზრდა. ზრდის მნიშვნელოვანი წილი მიღწეული იქნება ეკონომიკის იმ სექტორების განვითარებით, რომლებიც შემოსავლების მობილიზაციის თვალსაზ-

რისით შემოსავალტევად დარგებად ითვლებიან. ესენია: მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, ფასიანი მომსახურეობა. მათი მატების ტემპი შეადგენს მრეწველობაში - 15,6%-ს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 14,4%-ს, ვაჭრობაში - 20%-ს, ფასიან მომსახურებაში - 16%-ს. ეკონომიკის გამოცოცხლების ხარჯზე მოსალოდნელია საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა დაახლოებით 13,5%-ით. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საჭიროა მათი გამოვლენა და ამოქმედების მექანიზმების შექმნა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს, ჯერ მართი, საგადასახადო ბაზის გაფართოება საგადასახადო ადმინისტრაციის მუშაობის გაუმჯობესების ხარჯზე (ლაპარაკია ფარული იმპორტის გამოამკარავებაზე, ექსპორტთან დაკავშირებული მანიპულაციების ლიკვიდაციაზე) და მმორმ, საგადასახადო სხვადასხვა შეღავათების საერთოდ არღმევა და ამ საქმეში ცალკეულ ხელმძღვანელ პირთა მზრიდან თვითნებობის აკრძალვა.

პრეზიდენტის განკარგულების „1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საფუძველზე გათვალისწინებულია დამატებით 116,2 მილიონი ლარის მოკრება. ამ თანხების სრულ შემოსავლებთან და ხარჯებთან შეჯამებით მივიღებთ შესაბამისად 803 და 1002 მილიონ ლარს. ეს დამატებითი თანხა უნდა დაიხარჯოს სოციალურ უზრუნველყოფაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და თავდაცვაზე. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია მთავრობაში ადგილებზე მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო ნაკადების მართვის ხარისხის გაუმჯობესება და საგადასახადო სისტემის ოპერატიული მართვის სრულყოფა, სხვაგვარად სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესება შეუძლებელია.

საქართველოს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ობიექტურად მოითხოვს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების სრულყოფას, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაბეგვრის უნივერსალიზაციას. იგი უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა ერთიან მოთხოვნას, საკუთრების სხვადასხვა ფორმების მიუხედავად, გადამხდელთა ერთნაირ პირობებში ჩაყენებას და რაც მთავარია შეზღუდავს მომავალში დაბეგვრის განაკვეთების პროგრესულ ზრდას. ასევე დაბეგვრის განაკვეთების სტაბილურობა და მისი გაანგარიშების სიმარტივე ხელს შეუწყობს გადასახადების დროულ გადახდასთან ერთად, ამ პროცესში ყველა სამეურნეო სუბიექტის ჩართვას, გადასახადების გადახდის საყოველთაო პრინციპის ფორმირებას.

საგადასახადო რეფორმის ფუნდამენტალური ამოცანაა საგადასახადო ბაზის გაფართოება. განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება არის საჭირო იმ ძველ სახელმწიფო საწარმოების მუშაობაზე, რომლებსაც სულ უფრო უჭირთ ბიუჯეტში გადასახადების გადახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირეულად უნდა გარდაიქმნას საგადასახადო სისტემა. ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მუხრუჭად გადაიქცა. ამიტომ საჭიროა ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის, ბიუჯეტის დეფიციტისა და ინფლაციის დაძლევას, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას.

გადასახადების სისტემა ერთიანი და საეკონომიკურად უნდა იყოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მათი საკუთრების ფორმების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროს ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად.

აქვე უნდა შეენიშნოს, რომ რესპუბლიკის მასშტაბით უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა გადასახადების სრულყოფის მიმართულებით, მაგრამ იგი მოითხოვს დახვეწას საბაზრო-ეკონომიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტის შემოსავალ ნაწილში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სწორ შეხამებას, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც გადამხდელთა ქონებრივი მდგომარეობა, ასევე მათ მიერ მიღებული შემოსავლის მოცულობა. დღევანდელ პირობებში არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილის ზრდის საწინააღმდეგოდ, ბიუჯეტის შემოსავლებში გადამწყვეტი ხვედრითი წილი უნდა დაიკავოს პირდაპირმა გადასახადებმა. გადასახადების განსაზღვრისადმი მეცნიერული მიდგომით უნდა გამოირიცხოს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე დაბეგერის განაკვეთების მხოლოდ ფისკალური მიდგომით განსაზღვრა და სხვა ქვეყნებში გამოყენებული გამოცდილების, რესპუბლიკის ეკონომიკის სექციების გაუთვალისწინებლად მექანიკური, წინასწარი მოსამზადებელი პირობების შექმნის გარეშე, გაღმობა.

უკანასკნელ პერიოდში მიღებულმა კანონმა საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ განსაზღვრა გადასახადების სახეები, დაბეგერის ობიექტები, საგადასახადო კანონმდებლობაზე კონტროლის სისტემა და გადამხდელთა პასუხისმგებლობა. მაგრამ ამ კანონმდებლობის პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების შექმნა, სამწუხაროდ კვლავ ძიების პროცესშია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოქმედი საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან წილად ეყრდნობა პარლამენტის მიერ 1993 წელს დამტკიცებულ კანონთა კაპეტს. რომლებმაც მას შემდეგ მრავალი ცვლილება განიცადეს. შეთანხმებული საგადასახადო სისტემის შესაქმნელად გარკვეული სამუშაოები აქვს ჩატარებული ფინანსთა სამინისტროს, რომელსაც ზოგჯერ გამართლებულად, ზოგჯერ კი გაუმართლებლად, პოლიტიკოსები და მეწარმეები აკრიტიკებენ.

ყველაზე ხშირად კამათი მიმდინარეობს განაკვეთების მოცულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. შეთავაზებული იყო საგადასახადო განაკვეთების მოცულობის შემცირება, რაც დაუყოვნებლივ შეამცირებდა გადასახადებისაგან თავის არიდების შემთხვევათა რიცხვს. დღევანდელ პირობებში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ თვითონ დააწესონ გარკვეული გადასახადების განაკვეთი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა შეფასებით სტანდარტული საგადასახადო განაკვეთები საქართველოში არ არის გაუმართლებლად მაღალი. ყოველ შემთხვევაში, მათი აზრით, ევროპული სტანდარტების მიხედვით მუშობელ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო განაკვეთები მსგავსი, ან უფრო მაღალია, მიუხედავად ამისა, მათთან გადასახადების შეგროვების მაჩვენებლები უკეთესია, ვიდრე საქართველოში. ჩვენი აზრით აღნიშნული დასკვნა საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით მოითხოვს დაზუსტებას. განა გადასახადების განაკვეთების შემცირებით არ გაიზრდება საგადასახადო შემოსავლების შეგროვების მაჩვენებლები? ასეთი მიდგომა ხომ ხელს შეუწყობს სამეურნეო სუბიექტების მნიშვნელოვანი ნაწილის საგადასახადო სისტემაში ჩართვას, გადასახადების გადახდის საყოველთაობის პრინციპის ამაღლებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადასახადების დროულად გადახდის პრობლემას ქმნის არა ცალკეული გადასახადის განაკვეთის მოცულობა, არამედ უფრო ისიც, რომ ერთი და იგივე ობიექტი სხვადასხვა არსებული გადასახადებით მრავალჯერ იბეგრება. ამგვარი შემთხვევები დაკავშირებულია ყოფილი არასაბიუჯეტო ფონდების დაფინანსებასთან. ეს ფონდები ამჟამად ფინანსთა სამინისტროს კონტროლს ექვემდებარებიან, როგორც სპეციალური სახელმწიფო ფონდები.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ახალი ფონდი, რომელთაც შემოსავლების გაზრდის მიზნით სხვადასხვა დამატებითი გადასახადების შეგროვების უფლება მიენიჭათ, რამაც შეაფერხა სტანდარტულ გადასახადებთან ერთად მათი შეგროვება, გაზარდა გადასახადებისაგან თავის არიდების პრაქტიკა და თავიანთი მთავარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის მიტოვების რიცხვი.

1996 წლიდან ამგვარი ფონდები უკვე აღარ იქმნება და არანაირი საშემოსავლო და ხარჯვითი ღონისძიება აღარ წარედგინება პარლამენტს განსახილველად ფინანსთა სამინისტროს დამტკიცების გარეშე. ასე, რომ საგადასახადო შემოსავლების შეგროვების უფლება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს, სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტსა და კონტროლის პალატას ექნება.

ამ ფონდებს შორის ყველაზე მსხვილი ფონდები - სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და დასაქმების სახელმწიფო ფონდები განსხვავებულ პრობლემებს ქმნიან. 1996 წლის დასაწყისამდე ეს ფონდები ერთად ბეგრავდნენ საწარმოთა ხელფასის ფონდის 45 პროცენტს. მიუხედავად იმისა, რომ მარტის დასაწყისში ეს გადასახადი 15 პროცენტამდე შემცირდა. იგი მინც მაღალ მაჩვენებლად რჩება. საწარმოები ხელფასის ფონდის 29 პროცენტს გადაურიცხავდნენ სოციალური უზრუნველყოფის ფონდს, 3 პროცენტს - ჯანმრთელობის დაცვის ფონდს და 1 პროცენტს - დასაქმების ფონდს. საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფონდებში შესატანი განაკვეთები იგივე დარჩა. ისინი 26 პროცენტს სოციალური უზრუნველყოფის ფონდს გადაუხდიან, 3 პროცენტს - ჯანმრთელობის ფონდს, ხოლო ამ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები ხელფასის 1 პროცენტს გადაიხდიან სოციალური უზრუნველყოფის ფონდში და 1 პროცენტს - დასაქმების ფონდში. მომავლისათვის გათვალისწინებულია ამ განაკვეთების შემცირება და საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გადასარიცხი განაკვეთები ამ ფონდებში გათანაბრდება.

გადასახადების შეგროვებას ხელს უშლის აგრეთვე გადასახადების გადახდისაგან განთავისუფლებულთა დიდი რიცხოვრივი რაოდენობა. თუ ვიტყვით გულახდილად, ამგვარი განთავისუფლების დროს ადგილი ქონდა სუბიექტურ, ნაუცბადევი მიდგომას. ყოველივე ხორციელდებოდა არათანაბრი მიდგომით. ეს კი ხელს უწყობდა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების ფაქტებსა და კორუფციას. ახალი კანონი ბიუჯეტის შესახებ გამორიცხავს ყველა ამგვარ შემთხვევას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადასახადებისაგან გადახდის განთავისუფლებას დაექვემდებარა მცირე ჯგუფი, რომლებიც ხორბლით რესპუბლიკის უზრუნველყოფას ხელს უწყობენ და ასევე კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების იმპორტი, მას ემატება გადასახადებისაგან განთავისუფლების მიმართულებით ის მეწარმეები. რომლებიც იყენებენ იმპორტულ საქონელს და ფაქტობრივად მთელ თავის ნაწარმოებ პროდუქციას ექსპორტზე უშვებენ.

1996 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო დამატებითი 12 პროცენტიანი გა-

დასახადი შემოტანილ საქონელზე, რომლის ღირებულება 300 ლარს აღემატება. აღნიშნული ღონისძიებით კერძო პირები, რომლებსაც მცირე პარტიებად საქონელი შემოქონდათ, დაიბერებინან, მიუხედავად იმისა, პირადი მოხმარებისათვის უნდა გამოიყენონ იგი, თუ საჩუქრად. ახალი წესი უცხოურ კომპანიებსაც შეეხება. ასე, რომ თანდათანობით გამოირიცხება საგადასახადო შეღავათების მოქმედი პირობების უმეტესობა. თანამედროვე ეტაპზე მზადდება საგადასახადო კანონი, რომელიც ყველა მიმდინარე ცვლილებების ყოვლისმომცველი იქნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გადამხდელთათვის წახალისების სხვადასხვა ფორმების შემოღება. იმისათვის, რომ მოხდეს კერძო მეწარმეების პატიოსან გადამხდელებად გადაქცევა, აუცილებელია კანონით მათი ქონების საიმედო დაცვა. ოფიციალური კრედიტებისა და ფინანსური ბაზრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სახელმწიფომ უნდა მოიპოვოს საზოგადოებრივი ნდობა, რომ გადამხდელთა ფულს გონივრულად, მიზნობრივად იყენებენ.

1997 წლის მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება შემოსავლების შეგროვების ტექნიკური ასპექტების გაუმჯობესება. ეს ეხება სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მუშაობას და, აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოკლე დროში საბაჟო რეფორმის ყოვლისმომცველი პროგრამის დამუშავება.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი დადებითი დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ისევე როგორც 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, იგი წარმოადგენს მაკროეკონომიკური და სტრუქტურული გარდაქმნის სამწლიან საშუალოვადიანი პროგრამის შემაღგენელ ნაწილს. 1997 წლის პრიორიტეტების სისტემაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია, ერთი მხრივ, ეროვნული მეწარმეობის განვითარებაზე, მის სტიმულირებაზე და, მეორე მხრივ, აქტიური და ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 1997 წლის მაკროეკონომიკური პროგრამის ამოცანებს შეადგენს: **ჯერ მართი**, მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპის 8-10 პროცენტის დონეზე უზრუნველყოფა; **მმრმ**, მთელი წლის განმავლობაში ინფლაციის ტემპების შემდგომი შემცირება წლიურად 10-12 პროცენტამდე, **მმსამმ**, ეროვნული ბანკის ერთიანი საერთაშორისო რეზერვების პოზიციის გაუმჯობესება 170 მილიონი აშშ დოლარის დონემდე. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა კი დამოკიდებულია ეკონომიკის ზრდის საბიუჯეტო-საგადასახადო მეთოდებით სტიმულირებაზე და სამამულო მეწარმეობის განვითარების ყოველმხრივ ხელშეწყობაზე, საერთო ჯამში, ქვეყნის სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების გადაუდებელი პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შემოსავლების მატებას იმ დონემდე, რომ სახელმწიფო ხარჯების უმეტესობის დაფინანსების საშუალება მოგვეცეს. რაც შეეხება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, ორიენტაცია ამ მხრივ კვლავ საგარეო რესურსებზე რჩება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის რეზერვის გამოვლენა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საგადასახადო სისტემისა და საბაჟო დაწესებულებათა ბაზების განმტკიცებაზე, ხარჯების შეკავების კურსზე, ხარჯების მიზნობრივ მართვისა და საბიუჯეტო დაგეგმვის სრულყოფაზე. ახალი კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ, რომელიც 1995 წელს მიიღო პარლამენტმა, დეტალურად აზუსტებს კონსტიტუციურ მოთხოვნებს საბიუჯეტო სფეროში, ქმნის ყველა სამართლებრივ საფუძველს ოპტიმალური, მეცნიერულად დასაბუთებული ბიუჯეტის შესამუშავებლად, მის ასამოქმედებლად და რაც მთავარია, ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების რეზერვების გამოსავლენად. ამ მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში მიუხედავად ცალკეული ძვრებისა, კვლავ დაბალია სამწუხაროდ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონე. სახელმწიფოს მიერ ფისკალური დეფიციტის შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ხარჯების შეზღუდვის მექანიზმის მეშვეობით, რაც ქვეყნის განვითარების სამომავლო ინტერესებს არ შეესაბამება. ამიტომ აუცილებელია, რომ ეს პრობლემა წყდებოდეს მხოლოდ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის მკვეთრი გადიდების, ხარჯებზე კონტროლის გაძლიერებისა და მათი რაციონალიზაციის გზით.

თანამედროვე ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში იმპორტი ექსპორტს მნიშვნელოვნად აჭარბებს, საბანკო სისტემაში არსებულ უცხოურ აქტივებზე მოთხოვნა ასეთივე ინტენსიურობით არ იზრდება. ეს კი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ რიგი სავაჭრო ოპერაციები საბანკო სისტემის გვერდის ავლით ხორციელდება. აღნიშნული კი მნიშვნელოვანი რეზერვია ქვეყანაში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების დამატებითი რესურსების გამოვლენის თვალსაზრისით.

მხოლოდ 1996-1997 წლებში პარლამენტის, მთავრობისა და განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტროს ძალისხმევით, უცხოელ და ადგილობრივ სპეციალისტთა დახმარებით, როგორც იქნა განსაკუთრებით 1997 წლის ბიუჯეტი თავისი სტრუქ-

ტურებით მიუახლოვდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად საგანგებო საფინანსო პროგრამის დაშუქება. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად „მინი-ბიუჯეტს“ წარმოადგენს, რომელიც გამოირჩევა ღონისძიებათა კონკრეტულობით, კონკრეტული ვადებით და კონკრეტულ პასუხისმგებლობასთან ერთად მისი გაკონტროლების მექანიზმით. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაშუქებული 1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამა მნიშვნელოვნად აესვებს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ამოცანების პრაქტიკულად შესრულებისათვის ფინანსური რესურსების დამატებითი მოზიდვისა და გამოყენების ბაზაზე კვლავ წარმოების პროცესის ფინანსურ უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის ზევით დამატებითი ამოსაღები თანხა საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდეს იქნება 42,2 მილიონ ლარს.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემოსავლების პარამეტრები და საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის პროგნოზირებული დონე ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო მნიშვნელობის პროგრამებისა და ღონისძიებების სრულყოფილად დაფინანსებას. ამიტომ აუცილებელია ფინანსური რესურსების დამატებითი მობილიზება, არსებული რესურსების გამოყენების მიზნობრიობისა და ეფექტურობის გაძლიერება. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამით დაეჯალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას და საბაჟო დეპარტამენტს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებსა და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებს მხარეებში უზრუნველყონ 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული სახელმწიფო შემოსავლების ზევით საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ამოღება ბიუჯეტში და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში. 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელმწიფო შემოსავლების მოცულობის ზევით ამოღებულ უნდა იქნეს: მოგების გადასახადი საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში 10 მილიონი ლარი, დამატებითი ღირებულების გადასახადი საბაჟო დეპარტამენტის ხაზით 15,4 მილიონი ლარი, აქციზი საბაჟო დეპარტამენტის ხაზით - 5,7 მილიონი ლარი, საბაჟო გადასახადი - 7,6 მილიონი ლარი, სხვა გადასახადები - 3,5 მილიონი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები (გაცემული სახელმწიფო კრედიტის დაბრუნება) - 20 მილიონი ლარი; დამტკიცებული სპეციალური სახელმწიფო ფონ-

დების ზევით დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა შეადგენდეს იქნება სულ 116,2 მილიონ ლარს, ხოლო მთლიანობაში ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი საფინანსო პროგრამით ვალდებულებების ჩათვლით 756,2 მილიონ ლარს გაუტოლდება.

სახელმწიფო შემოსავლების დამატებითი მაჩვენებლების მოცულობის შესრულებისათვის გათვალისწინებულია, რომ 1997 წლის ბოლომდე შემცირდეს საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებული ვალიანტების მოცულობა (სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო გადასახდელების ჩათვლით) ბიუჯეტში ფაქტობრივად მობილიზებული საგადასახადო შემოსავლის 10 პროცენტამდე. საგანგებო საფინანსო პროგრამით აკრძალულია საგადასახადო შემოსავლების სახეობის მიხედვით გადასახადის გადახდის ვადის დაგვიანება ამ გადასახადების გამოანგარიშების დღიდან ცხრა თვეზე მეტი ვადით.

აღსანიშნავია ისიც, რომ არარენტაბელური საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ ამოქმედდება გაკოტრების შესახებ საქართველოს კანონის პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმი მათი აქტივების კონფისკაციისა და გაუქმების შესახებ. აღნიშნული პროგრამით ასევე გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვის ორგანიზაციის სრულყოფა, ყოველი მათგანისათვის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება, რომლებიც გამოყენებული იქნება როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო ორგანოების მიერ.

პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული სპეციალური სახელმწიფო ფონდების დამატებითი შემოსავლების მობილიზაციაზე კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესებაზე; დამუშავებულ უნდა იქნეს სახელმწიფო გადასახადების გეგმის აუდიტის პროგრამები, გადასახადთა გადამხდელთა განსაზღვრის მიმართულებით კომპლექსურ გამოკვლევათა პროგრამა, დამატებითი ღირებულების გადასახადის, მოგების გადასახადის, აქციზისა და საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების კომპიუტერიზაციის სისტემები და, ამასთანავე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ დეკლარაციების გადასახადების გადამხდელთათვის დროულად წარდგენა, უნდა გაფართოვდეს მსხვილ გადამხდელთა ინსპექტირების მდგომარეობა და მის საქმიანობის სფეროში მოექცეს 250-ზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია.

მნიშვნელოვან ღონისძიებად არის მიჩნეული სამუშაო ადგილებზე კომპიუტერიზებული სისტემების დანერგვა და თბილისის საგადასახადო სამსახურის რეორ-

განიზაციის საკითხის გადაწყვეტა. სრულყოფას მოითხოვს საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მატერიალური სტიმულირების ფონდის ფორმირებისა და გამოყენების საკითხიც.

1997 წელს დაგეგმილია ცენტრალურ ბიუჯეტში მომავალი და ადგილობრივ ბიუჯეტებში დარჩენილი საგადასახადო შემოსავლების პროპორციების გადასინჯვა. აქაც ცენტრალური ბიუჯეტის შესაბამისი შემოსავლებით უზრუნველყოფა გაწონასწორებული უნდა იყოს ადგილობრივი ორგანოების (ლაპარაკია ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებზე) წახალისებით, რათა ისინი დაინტერესებულნი იყვნენ საგადასახადო შემოსავლების შეგროვებაში. დღევანდელ პირობებში იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეგროვილი შემოსავლები დაგეგმილ შემოსავლებს 2,5 პროცენტზე მეტად აღემატება, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შეუძლია დაიტოვოს შემოსავლების ნამეტის 80 პროცენტი, ხოლო 10 პროცენტი ცენტრალურ ბიუჯეტს უნდა გადაურიცხოს, 10 პროცენტი კი - რეგიონულ ბიუჯეტს.

საბიუჯეტო სისტემის შესახებ ახალი კანონპროექტის მიხედვით ცენტრალური მთავრობა მთლიანად იტოვებს დამატებითი ღირებულების გადასახადს, აქციზებს და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის ფორმით შემოსავლებს. რაც შეეხება სამშენობლო გადასახადს და მოგების გადასახადს, შეგროვილი შემოსავლები გაიყოფა ცენტრალურ და რეგიონულ ბიუჯეტებს შორის. ეს შეგროვილი შემოსავლების გაყოფა რეგიონებს შორის სამიდან ხუთი წლის ვადით ფიქსირებულია პროპორციით, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციებს შესაძლებლობები მიეცეთ, რომ წინასწარ გათვალონ მომავალი შემოსავლების წყაროები.

1996 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გაუტოლდა მთლიანი შიდა პროდუქტის 9,4 პროცენტს, აქედან 6,7 პროცენტს შეგროვილი გადასახადები შეადგენენ. ნებისმიერი სტანდარტების მიხედვით ითვლება, რომ ასეთი დონე საოცრად დაბალია. სომხეთში 1994 წლის ბიუჯეტში შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის 27,6 პროცენტს უდრიდა, აზერბაიჯანში კი - მთლიანი შიდა პროდუქტის 39 პროცენტს. თუმცა, 1995 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი კიდევ უფრო დაბალი იყო და შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 5,3 პროცენტს. საქართველოში შემოსავლების დაგეგმილი ზრდა საკმაოდ ოპტიმისტურ სურათს იძლევა, კერძოდ, შემოსავლები გაიზარდა 2,5-ჯერ, მოგების გადასახადიდან შემოსავალი - 4,9-ჯერ და სამშენობლო გადასახადიდან შემოსავალი

- 1.9-ჯერ. ცუდი მდგომარეობაა საბაჟო გადასახადების შეგროვების მიმართულ-  
ლებით. მან 1995 წლის კორექტირებული ბიუჯეტის შესაბამისი მაჩვენებლის მი-  
ხედვით 37 პროცენტი შეადგინა. 1996 წლის 27 დეკემბერს პრეზიდენტმა დაამტ-  
კიცა ბრძანებულებები საბაჟო გადასახადების ახალი საპროცენტო განაკვეთებისა  
და საგადასახადო სისტემაში ცვლილებების შესახებ. მაგრამ ეს მხოლოდ დროე-  
ბითი ზომებია ახალი საგადასახადო და საბაჟო კოდექსის მიღებამდე.

პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამით განსაკუთრებული ყუ-  
რადლება არის გამახვილებული საგადასახადო და საბაჟო მომსახურების მიერ  
ამოღებული სახელმწიფო შემოსავლების თავმოყრისა და აღრიცხვის მდგომარე-  
ობაზე ზაზინის ერთიან ანგარიშზე. 1997 წლის 1 ივლისამდე უნდა დაიხუროს  
სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ყველა  
სამემოსავლო და ხარჯების ანგარიშები და კონსოლიდირება გაუკეთდეს ზაზინის  
ერთიან ანგარიშზე, ხოლო სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშები გარ-  
დაიქმნება ზაზინის ერთიანი ანგარიშის სუბანგარიშებად. აქვე უნდა აღინიშნოს  
ისიც, რომ დამტკიცებული საბიუჯეტო ხარჯების ფარგლებში ყოველთვის ურად  
განხორციელდება ხარჯების ლიმიტირება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს  
გამოყოფილი ფულადი სახსრების ეფექტიანად და მომჭირნეობით ხარჯვას, სა-  
ერთო ჯამში, ბიუჯეტის შემოსავლების რეზერვების შექმნას.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამის  
პროექტი არის მცდელობა იმისა, რომ ქვეყნის ცხოვრების გარდამტეხ ეტაპზე  
მოხდეს არა მარტო ფინანსური რესურსების, არამედ სახელმწიფო აპარატის შე-  
საბამისი სამსახურების თანამდებობის პირების ორგანიზატორული უნარის მობი-  
ლიზებაც.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგანგებო საფინანსო პროგრამის  
შესრულებისათვის ასევე საჭიროა, რომ ჯერ ერთი, დაჩქარდეს ქვეყანაში და-  
გეგმილი სტრუქტურული რეფორმები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო  
სექტორის ფუნქციონირებას და ეკონომიკის განვითარებას: მმონრმ, 1997 წლის  
რეფორმების პროგრამა საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში მიმართული უნდა  
იყოს თვითონ ინფლაციის ინდექსის შემცირებისაკენ, წარმოების მოცულობაში  
დაცემის ტემპების შეჩერებისაკენ და პარალელურად კერძო სექტორის საქმიან-  
ობის სტიმულირების გაძლიერებისაკენ; მმსამმ, სტაბილიზაციისათვის მნიშვნე-  
ლოვანია სახელმწიფო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება,  
ფასების ლიბერალიზაციის პროცესში შემდგომი პროგრესი მოსახლეობის სოცი-

ალური დაცვის შესაბამისი სისტემის დაიწესდნების საფუძველზე, საპროცენტო განაკვეთების რაციონალიზაცია, ვალუტის გაცვლითი კურსების სწორი რეჟიმის დაცვა. მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა; მმრთხმ, აუცილებელია სახელმწიფო დაკვეთების გზით მოხდეს საჭირო ნედლეულის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და პროდუქციის სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბება, რომლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და პროდუქციის აკუმულირება სმუალეზას მოგვეცემს უზრუნველყოფილ იქნეს დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი პროდუქტების გაცვლითი ოპერაციები. სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების მიხედვით საექსპორტო მოწოდებები და აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების შექმნა; მმსუთმ, უნდა დაეელოს საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს განსაზღვროს 1997 წლის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შედგენისათვის სახელმწიფო შეკვეთების ჩამონათვალი და მოცულობები, შეატყობინონ ისინი წინასწარ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს და საწარმოებს. თავის მხრივ, ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამინისტრომ, უწყებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად პარალელურად უნდა განიხილონ და მიიღონ ზომები 1997-1998 წლების სახელმწიფო შეკვეთების მატერიალურ-ტექნიკური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფისათვის. 1997 წლის ბოლომდე საბაზრო ეკონომიკის ახალი სტრუქტურების შექმნის პროცესის სრულყოფისა და შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებასთან ერთად, ქვეყნის მთავრობამ დააეაღდებულოს სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები, რომ სასწრაფოდ ჩამოაყალიბონ და შეიმუშაონ თითოეულმა მათგანმა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად მოქმედების პროგრამა, რომელშიც აისახება სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებები შიდა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების მიმართულებით, ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში თუ როგორ აპირებენ მუშაობის წარმართვას; მმმმმმ, საგანგებო საფინანსო პროგრამის შესრულებისათვის მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სამინისტროებში, უწყებებსა და ადგილებზე რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების კომისიების, ჯგუფების შექმნა, რომლებიც თვეში ერთხელ განიხილავენ შიდა რეზერვების გამოვლენის მიმართულებით გაწეულ მუშაობას და სათანადო ღონისძიებებს შეიმუშავენ საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესებისა და წამოჭრილი სიძნელეების დაძლევის მიმართულებით; მმრმ, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში კერძო, კომერციული სექ-

ტორის განვითარება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდების მემუშეობით სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესების ამოცანას. რომ მათ მიერ ბანკებიდან გატანილი სახსრები არ იძლევა საჭირო ეფექტს და სპინროვებს უქმნის ფულის მიმოქცევაში სტაბილიზაციას, სასურველი იქნებოდა ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებმა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეესწავლათ სახელმწიფო საწარმოებთან არსებული კერძო, კომერციული ორგანიზაციების მუშაობა, მათი უროიერთობა საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან და წარმოედგინათ წინადადებები ისეთ კერძო კომერციული ორგანიზაციების ფუნქციონირების მიზანშეუწონლობაზე, რომელთა საქმიანობა არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობასა და ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

და ბოლოს, მმცხრმ, საჭიროა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ურთიერთკორდინაცია, მათი ერთიანი მიზნის ბიუჯეტის შედეგების გაუმჯობესებისათვის წარმართვა, ხელფასების, სტიპენდიების, პენსიებისა და სხვა შრომითი შემოსავლების დროული გაცემა, ფულის მიმოქცევის დაჩქარება, ოფიციალურ არხებში ე.წ. „ჭუჭყიანი ფულის“ მოზიდვა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება - ყოველივე მნიშვნელოვანი რეზერვებია შინაგანი დამატებითი ფულადი რესურსების გამოვლენის საფუძველზე წარმოების გაფართოებისათვის, რამდენადაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგებმა, საბოლოო ჯამში, თავის გამოხატულება უნდა პოვოს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაში, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაში და არა მხოლოდ ლარის კურსის წარმოების განვითარების გარეშე, ხელოვნურად განმტკიცებაში.

## თავი IV

### საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ბარდაქმნის მნიშვნელობა ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში

#### 1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ბარდაქმნის აუცილებლობა

საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლისათვის განსაკუთრებული ადგილი

უკავია ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის, ეროვნული ბანკის ნორმალურ ფუნქციონირებას, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის რეგულირებას, ეროვნული ვალუტის - ლარის კურსის განმტკიცებას და მის კონვერტირებად ვალუტად გახდომისათვის წანამძღვრების შექმნას. აღნიშნული ამოცანების შესრულებას განაპირობებს საბანკო სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელება, მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გულისხმობს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ისეთ რეგულირებას, რომლის მეშვეობით ხდება წარმოების, დასაქმებისა და ფასების საერთო დონეთა ცვლილებების სტაბილიზაცია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველ ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი ეფუძნება ამა თუ იმ ქვეყნის მიერ ოფიციალურად აღიარებულ საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კომპლექსურ პროგრამით განსაზღვრულ ეკონომიკურ დოქტრინას. ამიტომ ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ნაკლოვანებათა დაძლევის მიზნით საჭიროა აქტიური საბიუჯეტო საგადასახადო, ფისკალური პოლიტიკის გატარებასთან ერთად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ასეთი პოლიტიკა კი ზორციელდება ეკონომიკური დაქვეითების, ან წარმოების აღმავლობის ერთგვარი შერბილების მიზნით.

აღნიშნული განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანს, რომელიც იცვლება წარმოების, დასაქმების, შემოსავლებისა და ფასების სტაბილურობის ჩამოყალიბების პროცესში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თეორიულ საკითხებში კეინსურ და მონეტარისტულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებს შორის პრინციპული არსებითი განსხვავება არ არსებობს. მაგრამ ქვეყნის შინაგანი სტაბილურობისა და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის საკითხების შესახებ მოსაზრებები სხვადასხვანაირია.

თუ კეინსიანელები მოითხოვენ აქტიურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, რომელიც გულისხმობს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ისეთ რეგულირებას, რომლის მეშვეობითაც მიღწეული იქნება წარმოების დასაქმებისა და ფასების საერთო დონის სტაბილიზაცია, მონეტარისტებს ამ მიმართულებით სხვა მოსაზრება აქვთ. მონეტარისტული სკოლის წარმომადგენლების აზრით, საბაზრო ეკონომიკა კონკურენტუნარიანია, უმუშევრობა აქ ბუნებრივი დონის ფარგლებში მერყეობს, საწარმოო რესურსები გამოიყენება ეფექტიანად და, აქედან გამომდინ-

ნარე, მათი აზრით, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში უნდა გამოირიცხოს. მეწარმეთა საქმიანობას უნდა მიენიჭოს მაქსიმალური თავისუფლება და ამ მიზნით მიზანშეწონილია, მხოლოდ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

თუ კეინსიანელები ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში მთავარად სახელმწიფოს აქტიურ ჩარევასთან ერთად, სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონის ზრდას მიიჩნევენ, მონეტარისტების აზრით, ობიექტური საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების სიძლიერე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფება სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონის მიმართ, ამის გამო სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი მეურნეობაში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კეინსიანელებსა და მონეტარისტებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთიანი მიზანი ახასიათებს, მხოლოდ განსხვავება მათ შორის მიზნის მიღწევის საშუალებების, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიასა და ტაქტიკაშია.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კეინსური თეორია ეფუძნება ერთობლივი დანახარჯებისა და მისი ძირითადი ელემენტების ცვლილებებზე მოქმედ ფაქტორებს, ე.ი. საქონელთა ნაკადების მეთოდის საფუძველზე მთლიანად შიდა პროდუქტის განსაზღვრის თეორიას.<sup>1</sup> კეინსიანელები საფუძველად იღებენ რა მიმოქცევაში ფულის მიმოქცევის რეგულირებას, დაასკენიან, რომ წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეები ყოველ მოცემულ მომენტში უშუალოდ არიან დამოკიდებულნი ერთობლივი დანახარჯების მოცულობასა და მის დინამიკაზე. მონეტარისტებს კი მიაჩნიათ წარმოების, დასაქმებისა და ფასების საერთო დონეთა ჩამოყალიბებაზე გაეულენას ახდენს არა ერთობლივი დანახარჯების მოცულობა, არამედ მიმოქცევაში ფულის რაოდენობა.

თანამედროვე მონეტარისტული სკოლის წარმომადგენლები, ისე როგორც მათი წინამორბედნი ყველა უკლებლივ თავის მასწავლებლად კეინსს თვლიან და მის მიმდევრებად აცხადებენ თავს. ვინაიდან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამ ორ მიმდინარეობას შორის განსხვავება ფაქტობრივად არ არსებობს, ერთი ცვლის მეორეს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაგრამ დაცულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, როგორც საერთოდ მიღებული რეგლამენტირებული წესების ერთობლიობის მოთხოვნა. რაც შეეხება იმას, თუ რომელია მათ შორის ზუსტი, ის დამოკიდებულია ამა თუ იმ

1. იხ. А. Харрис. Денежная теория. М., 1990. стр. 29.

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ განსაზღვრულ მიზნებზე, რომლებიც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება შეიცვალოს. აქ მთავარია, ჩვენი აზრით, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა და არა რეალური მდგომარეობის ანალიზის გარეშე რომელიმე ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნის დაუსაბუთებლად გადმოტანა და ასეთ მიზანზე საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის, სტაბილიზაციის გზების ძორგება. რაც შეეხება სახელმწიფოს ეკონომიკაში აქტიურ ჩარევას, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიაში ერთი შემთხვევაა კი არ არის ცნობილი, ღრმა კრიზისიდან თავის დაღწევა შესაძლებელი ყოფილიყოს მხოლოდ თავისუფალი ბაზრის შექმნის გზით. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის გარეშე თავისუფალი ბაზარი ისევე სანაირაო საზოგადოებისათვის, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტაში თავისუფალი სიტყვის უფლების მიცემა პიროვნებისათვის, რომელსაც ელემენტარული წარმოდგენა არა აქვს ამ საკითხებზე.

თანამედროვე ეტაპზე კამათი მიმდინარეობს როგორც რუსეთში, ისე ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში არა ისეთ ბაზრის შექმნაზე, სადაც სახელმწიფო არ მონაწილეობს, არამედ იმაზე რა ღონით მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფომ ბაზრის რეგულირებაში (გაიდარი, შოხოვი, აბალკინი, შატალინი, პეტრაკოვი და სხვა) სახელმწიფოს ჩარევის დონე შეიძლება შეიცვალოს საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის პროცესში, რომლის თავიდანვე განსაზღვრა ყველა ეტაპისათვის წინასწარ შეუძლებელია, ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ შეცდომა იყო, როდესაც ზოგიერთი ფიქრობდა ბაზრის ყველა პრობლემას ბაზარი გადაწყვეტსო. პირიქით, დღეს ასეთი ბაზარი არ არსებობს არა თუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში.<sup>1</sup>

საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნის სწორი განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, როგორც რეგლამენტირებული წესების ერთობლიობის ცოდნას, მათ ანალიზსა და დაცვას ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში. აღნიშნულის გარეშე საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციაზე მსჯელობა და განზოგადებული დასკვნები წყლის ნაყვად და დროის ფუჭად დაკარგვად მიგვაჩნია.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში რეგლამენტირებული წესები, ფულად-საკ

1. იხ. ვ. ხელაია, ინფლაცია, როგორ ვუმკურნალოთ?, თბ., 1994, გვ. 6.

რედიტო პოლიტიკის მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება სქემატურად ორ მიმართულებად დაიყოს: 1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგლამენტირებული წესები მწვავე ინფლაციის პროცესების შემცირებისათვის და 2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგლამენტირებული წესები წარმოების დაქვეითებისა და დეპრესიის ფაზებში.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგლამენტირებული წესები, რომლებიც ემსახურება მძიმე ინფლაციური პროცესების შეზღუდვას, ე.წ. „ძვირი ფულის“ პოლიტიკის გატარებით მიმოქცევაში ფულის მასის შემცირებას, სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი (ეროვნული ბანკი) ახორციელებს შემდეგ ღონისძიებათა სისტემას: 1. მიმართავს ღია ბაზარზე, სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვას იმ ვარაუდით, რომ ამით შემცირდეს კომერციული ბანკების რეზერვები და მათი საკრედიტო შესაძლებლობები, მიმოქცევაში ფულის მასა. 2. ზრდის სარეზერვო ნორმას, რაც ავტომატურად ამცირებს კომერციულ ბანკებში არსებული ზედმეტი რეზერვების სიდიდეს, საკრედიტო რესურსებს და, აქედან გამომდინარე, ფულის მიწოდების რაოდენობას. 3. ადიდებს კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების ღონეს, რაც ზღუდავს ცენტრალური ბანკიდან კომერციულ ბანკებზე დამატებითი რეზერვების გაყიდვის შესაძლებლობებს და შესაბამისად საკრედიტო პოტენციალს, მიმოქცევაში ფულის რაოდენობას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნის („ძვირი ფულის“ პოლიტიკა) მიღწევისათვის დასახელებული რეგლამენტირებული თაბამის წესი ღონისძიებების სახით, მოქმედებენ რა, ერთი და იმავე მიმართულებით, ჩვენი აზრით, ხელს უწყობენ: ჯერ პრტი, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის შემცირებას; მმორმ, ადიდებენ კომერციული ბანკების კრედიტებსა და დეპოზიტებზე სარგებლის ნორმათა სიდიდეს, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ერთობლივი დანახარჯების ყველა ელემენტსა და შესაბამისად შრომითი აქტივობის ღონეზე. მმსამმ, ფულის მასის რეგულირება ხდება მისი მატების ტემპების მთლიანი და შიდა პროდუქტის მოცულობასთან მიახლოებისა და სტაბილიზაციის გზით და მმრრმ, ყოველივე საბოლოო ანგარიშით იწვევენ ინფლაციური პროცესების შენელებას.

როცა ქვეყანა იმყოფება დაქვეითებისა და დეპრესიის ფაზებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგლამენტირებული წესები ასე წარმოგვიდგება. ცენტრალური ბანკი (ეროვნული ბანკი) მიმართავს შემდეგ ღონისძიებებს:

1. ღია ბაზარზე ხდება კომერციული ბანკებიდან ფასიანი ქაღალდების შეძენა,

რაც იწვევს კომერციული ბანკების ჭარბი რეზერვების ზრდასა და შესაბამისად საკრედიტო რესურსების მოზიდვას, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გადიდებას.

2. ცენტრალური ბანკი (ეროვნული ბანკი) კანონმდებლობის საფუძველზე დაბლა სწევს სარეზერვო ნორმას, რასაც ავტომატურად მოსდევს კომერციული ბანკების აუცილებელი სარეზერვო ნაწილის გადაქცევა ჭარბ ფულად რეზერვად და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხდება მათი საკრედიტო შესაძლებლობათა ამაღლება, მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა.

3. ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკების რეზერვების რეგულირების მიზნით, მათზე გაცემულ სესხებზე ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს (ე.წ. სააღრიცხვო განაკვეთებს) აღნიშნულ კომერციულ ბანკებს აძლევს სტიმულს, რომ ცენტრალური ბანკიდან შედარებით იაფად შეიძინონ დამატებითი რეზერვები სესხების სახით. ამ ახალ რეზერვებზე დაფუძნებული კომერციული ბანკების კრედიტები კი ზრდიან მიმოქცევაში ფულის რაოდენობას.

მოცემულ შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია კომერციული ბანკების ჭარბი რეზერვების გადიდება, რაც კრედიტს ხდის შედარებით იაფს და ხელმისაწვდომს. ეს კი, საბოლოო ანგარიშით ადიდება რა მიმოქცევაში ფულის რაოდენობას, სტიმულს აძლევს ერთობლივი მოთხოვნისა და წარმოების მოცულობის ზრდას. პრაქტიკაში ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანს - „იაფი ფულის“ პოლიტიკასაც უწოდებენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორივე ზემოთ აღნიშნული მიმდინარეობა, როგორც რეგლამენტირებული თამაშის წესების ერთობლიობა, იცვლება საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესში, გააზრებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნის განსაზღვრიდან გამომდინარე, რომლებიც საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ხელმძღვანელებმა სასურველია თვინათ პრაქტიკულ საქმიანობაში გაითვალისწინონ. აუცილებელია დადებითი შედეგების მიღწევისათვის, მათი კომპლექსური, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში გატარება, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ეკონომიკური მიზნების საფუძველზე. კ.მარქსი ხატოვნად მიუთითებდა, რომ ფული შებრუნებით კითხულობს ყველა ფასს, ზოლო ფასი გვიჩვენებს „...ფულის გარდაქმნისუნარიანობის საზღვარს, სახელდობრ, მის საკუთარ რაოდენობას“. ამ გამონათქვამში კ.მარქსი უნებურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მიმოქცევაში ფულის რაოდენობა განსაზღვრავს ფასს და არა ფასი ფულის რაოდენობას.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა (თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა

ქალაქში მინც) საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის პირობებში თავდაპირველად კუპონის შემოღებისთანავე ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ემყარება, ხოლო უკანასკნელ ხანს მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - „იაფი ფულის“ და შემდეგ „ძვირი ფულის“ პოლიტიკას.

ისმის კითხვა: საქართველოში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ჯდება თუ არა საყოველთაოდ მიღებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების რეგლამენტირებული თამაშის წესებში, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოკლედ განვიხილეთ? 1996-1997 წლებამდე როგორც პრაქტიკულმა ანალიზმა დაგვანახა, იგი რეგლამენტირებული თამაშის წესების არც ერთ სქემას არ გულისხმობს, უფრო მეტიც, გასულია რეგლამენტირებული თამაშის ყველა წესის გარეთ, შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ემყარებოდა რა ლიბერალურ პოლიტიკას, მისი მიზანი უნდა ყოფილიყო წარმოების გამოცოცხლება და ინფლაციის პროცესის შეჩერება, მოხდა კი პირიქით. განუკითხობამ კრედიტის გაცემაში დაანგრია ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამკარად გამოკვეთილი გრძელვადიანი კრედიტის შემცირების ტენდენცია ქვეყნის სამეურნეო კომპლექსის დეგრადაციაზე მეტყველებს. ის გაურკვეველი მდგომარეობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში საფინანსო პოლიტიკის სტრატეგიისა და რეფორმების პერსპექტივების უქონლობის გამო მეფობდა, მთლიანად აისახა ფულად-საკრედიტო სისტემაში.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაში სტაბილიზაცია შეუძლებელია ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რადიკალური გარდაქმნის გარეშე. ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს კრედიტების გაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება. მთავარი საკითხია მიზნობრივად გაცემული კრედიტის არადაწინაუღლებით გამოყენება. აქედან გამომდინარე, საჭიროა საბანკო სისტემაში დაინერგოს კრედიტების გაცემის საკონტრაქტო ურთიერთობები. ხელშეკრულებით უნდა იქნეს გათვალისწინებული კრედიტორებისა და დებიტორების მოქმედების პირობები. პასუხისმგებლობა, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ვალის ამღებს უნდა დაეკისროს. ამჟამად მოქმედი ნორმატიული დებულებები და მითითებები, რომლებითაც ეროვნული ბანკი ადმინისტრაციული წესით ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს, როგორც ჩანს, ეფექტიანი არ არის და მოითხოვს გადასინჯვას, მათი სრულყოფის მიმართულებით.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კომერციული ბანკების საწესდებო ფონდებში ძალზე მცირეა ფიზიკურ და არასახელმწიფო იურიდიულ პირთა სააქციო-საპაიო წილი, რაც იწვევს მათი მხრივ უკონტროლობას და ზრდის კორუმპირებულ-მონოპოლიზებული საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციას.

კომერციული ბანკების ვალდებულება კანონის წინაშე აუდიტორიული აუცილებელი შემოწმების სახით არასრულყოფილია ან სრულიადაც არ სრულდება, ხოლო რაც სრულდება ისიც ნაწილობრივ, ამ ღონისძიების მოჩვენებითი გატარების თვალსაზრისით. საკრედიტო ბაზრის რეგულირების ერთ-ერთ შემშლელ მიზეზად კრედიტების საპროცენტო განაკვეთების აღმინისტრაციული წესით განსაზღვრა მიგვაჩნია.

გადასახადების შეგროვებასთან დაკავშირებულ სირთულეებთან ერთად, საბანკო სისტემის სისუსტე ეკონომიკის განვითარების ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად რჩება. ისევე როგორც დსთ-ს სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც უამრავი ბანკი გაიხსნა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. 1995 წლისათვის მათი რიცხვი 229-ს შეადგენდა. ბევრი მათგანი იყო მცირე ზომის კერძო ბანკი, რომელთა შექმნის ძირითადი მიზანი იყო სახსრების მოზიდვა მეკატრონეთა მცირერიცხოვანი ჯგუფის სავაჭრო ოპერაციების დასაფინანსებლად. მაგრამ წამყვანი პოზიცია მაინც ყოფილ სახელმწიფო ბანკებს ეკავათ. თავიდან ეს იყო ზუთი ბანკი, რომელთაგან სამი შემდგომში გაერთიანდა. 1995 წლის ბოლოსათვის ყოფილ სახელმწიფო ბანკებზე მთელი საბანკო სისტემის აქტივების 70 პროცენტზე მეტი მოდიოდა.

ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში პრობლემებმა იჩინეს თავი. თავიდან ახალი კერძო ბანკები წარმატებით მოქმედებდნენ, აფინანსებდნენ რა მეტად მომგებიან მოკლევადიან სავაჭრო გარიგებებსა და სავალუტო სპეკულაციას. მომგებიანობას კიდევ უფრო ზრდიდა მაკონტროლებელი სისტემის მოდუნებული ყურადღება და საერთო სისუსტე, რაც ბანკების ძალზე დაბალ კაპიტალიზაციასა და სათანადოდ დაუზღვეველი კრედიტების გადაჭარბებული მოცულობით გაცემაში გამოიხატებოდა, დროთა განმავლობაში სესხის გაცემის შესახებ გაუმართლებელმა გადაწყვეტილებებმა და საკრედიტო რისკის არასათანადო შეფასებამ თავი იჩინა „უიმედო“ სესხების ზრდაში.

გარდა ამისა, სტაბილიზაციის პროგრამამ შეაჩერა კუპონის ვარდნა და შეზღუდა სავალუტო სპეკულაცია, როგორც ბანკების შემოსავლის წყარო: ყოფილი სახელმწიფო ბანკები გარკვეულწილად მსგავს სირთულეებს წააწყდნენ, მაგრამ

მათ მდგომარეობას აუარესებდა მიმართული სახელმწიფო კრედიტების სისტემა, რომელმაც განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ბანკების საკრედიტო პორტფელს. პრობლემა იყო აგრეთვე მათი დიდი ზომა და შესაბამისი ხარჯები. მაკონტროლებელ სისტემას არ შესწევდა უნარი აეძულებინა ბანკები შეეფასებინათ საკრედიტო რისკი. საბანკო ვალდებულებების მხარეც ანალოგიურად არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. შინამეურნეობებმა შეწყვიტეს საბანკო ანგარიშებზე ფულის შენახვა. მათი დეპოზიტების დიდი ნაწილი გაუფასურდა ჰიპერინფლაციის დროს დანაზოგების ინდექსაციის არარსებობის გამო, ანდა დაიკარგა საფინანსო პირამიდის მომწყობი თალღითური საინვესტიციო კომპანიების დახმარებით. ზოგიერთი ბანკი სხვაზე უფრო ყაირათიანი მმართველის ხელში იყო, მაგრამ ასეთებიც კი მცირე სამომხმარებლო ბაზის პირობებში მოქმედებდნენ და ძირითადად ინსაიდერებზე იყვნენ ორიენტირებულნი. დეპოზიტების დანარჩენი ნაწილი ძირითადად სხვადასხვა საწარმოს ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად საჭირო მიმდინარე ანგარიშებს წარმოადგენდა.

დღეისათვის შეინიშნება გარკვეული დადებითი ძერები საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების საქმეში. განხორციელდა ორსაფეხურიან საბანკო სისტემაზე გადასვლა, გამოიკვეთა წამყვანი ბანკები, დასრულდა ბანკების კომერციალიზაცია, თანდათანობით ფუნქციონირებას იწყებს საკრედიტო რესურსებისა და ფასიანი ქაღალდების შიდა ბაზარი, 1997 წლისათვის გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებისათვის კანონის მიღება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბანკო სისტემის საჭირო სამართლებრივი და ნორმატიული ბაზის გარეშე დემონოპოლიზაციის გამო გართულებულია სამეურნეო სუბიექტებს შორის ანგარიშსწორება, არაადაკმაყოფილებელ დონეზე ფუნქციონირებს საბანკო აუდიტი, რის გამოც ჯერ კიდევ არსებობენ არაეფექტური წერილი ბანკები, რომლებმაც არა აქვთ ფინანსური რესურსები საწარმოო სექტორის ეფექტიანი მომსახურებისათვის.

უკანასკნელ ორ წელიწადში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ კანონების მიღებით შეიქმნა ახლებურად მუშაობისათვის სამართლებრივი ბაზა და ეროვნულ ბანკს მიეცა საშუალება მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების. აშასთანავე, ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის თანდათანობით შემცირებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ეროვნულ ბანკს ფულად-საკრედიტო მექანიზმით ეკონომიკის რეგულირებისათვის. ყოველივემ განაპირობა ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციაზე კონტროლის გაძლიერება

და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. იგი შეიძლება განხილულ იქნეს ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით იგი მიმართულია ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეკონომიკური განვითარების სტაბილური ტემპების მისაღწევად ფულის მიმოქცევის რეგულირების, საბანკო სისტემის ლიკვიდობისა და გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით. ვიწრო გაგებით ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია ოპტიმალური სავალუტო კურსის მისაღწევად სავალუტო ინტერვენციის, განადღების პოლიტიკის გატარებისა და მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მეთოდების გამოყენებით.<sup>1</sup> ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფართო და ვიწრო გაგებაში ვლინდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმალობა, რაციონალური ორგანიზაცია ვლინდება მის მოქნილობასა და მიზანშეწონილობაში, რომელიც, საერთო ჯამში, თავის გამოხატულებას პოულობს ბიუჯეტის შედეგებში.

საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის მიმართულებით მთავარი ის არის, რომ შეჩერდა ინფლაცია, მიღწეულ იქნა სტაბილიზაცია და სარეზერვო განაკვეთების განსაზღვრის საფუძველზე გამკაცრდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ყოველგვარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს გააკონტროლოს და წარმართოს ფულის მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის ერთდროული სტაბილიზაცია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ამოცანა ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია არც ერთ ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ბანკი გამოირჩევა მათ შორის.

ფულად-საკრედიტო სისტემის გარდაქმნის დაჩქარებას ხელს უშლიდა ის, რომ ქვეყანას არ გააჩნდა საკუთარი ფულადი ერთეული, ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის, და მათ შორის სახელმწიფო ბანკის ქმედუნარიანობის გადამწყვეტი იარაღი. ამას ემატებოდა ისიც, რომ საერთოდ ბანკს და მით უმეტეს ეროვნულ ბანკს თავისი საბანკო ფუნქციების შესასრულებლად უნდა ჰქონდეს: ჯამრ მრ-ში, ფულის საკუთარი ნიშნები და ეწეოდეს მათ ემისიას, მმორამ, გააჩნდეს საკრედიტო რესურსები; მმსამმ, უცხოური კონვერტირებადი ვალუტების მარაგები

---

<sup>1</sup> იხ. რ. კაკულია, დამოუკიდებელი საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.1, თბ., 1996, გვ. 50-51.

-საერთაშორისო რეზერვები; მმრთხმ - ოქროს მარაგები. საქართველოს ეროვნულ ბანკს მისი შექმნისა და ფუნქციონირების ეტაპზე არ გააჩნდა, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი.<sup>1</sup> მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ აღნიშნული საბანკო სისტემები, სტრუქტურები ერთიანი საბჭოთა საკრედიტო სისტემის რგოლებს წარმოადგენდნენ და შემოსული დეპოზიტები და მოსახლეობის ანაზღაურებები იმპერიის რეჟიმის ნგრევის შემდეგ ეს თანხები არ დაუბრუნდათ მათ რეალურ მესაკუთრეებს, რამაც უძძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის საბანკო სისტემა და მოსახლეობის უნდობლობა გამოიწვია ბანკების საქმიანობის მიმართ. ამის შედეგად საქართველოს ხელისუფლება იძულებული შეიქნა 1991 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ჩამოეწერა სპეციალიზებული ბანკების სესხები სამი მილიარდი რუბლის რაოდენობით, ხოლო იმავე 1991 წელს 2 მილიარდი რუბლის სესხის გადავადება მოხდა. ამ პერიოდში კი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 3 მილიარდ მანეთს აღწევდა, რაც, ალბათ, ზედმეტ კომენტარებს არ საჭიროებს.

განვილიშა პერიოდმა საბაზრო ეკონომიკის მკაცრ მოთხოვნებს გაუძლო და დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე წმინდა ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების გარდა დგას უდიდესი ეროვნული ამოცანა - თავისი რესურსებით და მექანიზმებით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების გატარებაში.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიზნით განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოს კონკრეტულ ღონისძიებათა და მიმართულებების შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება: ჰპრ პრთი. ფულადი მასისა და საპროცენტო განაკვეთების ზრდის ტემპების შეზღუდვაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფასების სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება; მმრმ, აუცილებელი სარეზერვო მოთხოვნის ოპტიმალურ რეგულირებასა და კომერციული ბანკების რეფინანსირების სისტემის სრულყოფაზე და მმსამმ, ეროვნული ბანკის საკუთარი ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, ნაღდი ფულის რაოდენობის პროგნოზირებასა და საგარეო ვალის მინიმიზაციაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მომავალში თანდათანობით უნდა შეიცვალოს ზომიერი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით. ტრანსფორ-

---

<sup>1</sup> იხ. ლ. ქისტაური, ეროვნული ბანკი, თბ., 1996, გვ. 19.

მირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ დღეისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია ფულადი მასის, ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის შემცირება, საერთო ჯამში. ეროვნული ვალუტის - ლარის სხვადასხვა მექანიზმებით თუნდაც ხელოვნური განმტკიცება, მომავალში კი მიღწეულ უნდა იქნეს მოთხოვნის ზრდა, კაპიტალის დაგროვება, წარმოებისა და დასაქმების გადიდება, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის მინიმუმამდე დაყვანა, გადასახადების ზრდის პარალელურად შეღავათიანი კრედიტების გაცემა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში აუცილებელია საკრედიტო სისტემის ფორმირების პროცესს თან ახლდეს რისკის ფენომენის ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზი. აღნიშნული პროცესი მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, როგორცაა: ლიკვიდობის მართვა და მასთან დაკავშირებული რისკები; საპორტფელო ინვესტიციების რისკის მართვის მეთოდები და საერთო მახასიათებლების ანალიზი; საპროცენტო რისკების მართვის ხანგრძლივობის დროის განსაზღვრა საპროცენტო ფიუნქციების, ოფციონებისა და სვოპების გამოყენებით; დაკრედიტების ფუნქციების და საკრედიტო რისკების ურთიერთკავშირის ანალიზისა და ბალანსგარეშე საქმიანობის და სეკიურიტიზაციის რისკების პრობლემების დამუშავება.

ახლო წარსულში, საკრედიტო რისკისადმი არაკვალიფიურმა მიდგომამ მოსახლეობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა, კერძოდ, ბანკირებმა ვერ უზრუნველყვეს ინფლაციის მართვა და, აქედან გამომდინარე, მაღალი საპროცენტო განაკვეთების რისკის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები. მომავალში ასეთი ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილებისათვის აუცილებელია საბანკო რისკის მართვის მექანიზმის სრულყოფა. მხედველობაში გვაქვს საბანკო დაკრედიტების დაზღვევის სისტემის განვითარება, რომელიც სამწუხაროდ, საქართველოს სინამდვილეში ჩანასახოვან მდგომარეობაშია და ამიტომ მოითხოვს რადიკალურ გარდაქმნას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია კომერციული ბანკების ფუნქციებისა და საქმიანობის სრულყოფაზე. აღნიშნული წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის დინამიკური განვითარებისა და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის საშუალებას. კომერციული ბანკების საქმიანობაში არადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური შედეგები განპირობებულია ბანკების აქტიური ოპერაციების დაბალი დონით, მათი მართვის სრულყოფის მიმართულებით დონისძიებების არაეფექტურობით, რაც მომავალში ეკონომიკის კრიზისულ მდგო-

მარობას უფრო მტკივნეულსა და ხანგრძლივს გახდის.

კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციების ეფექტურობა პირდაპირ კავშირშია მსესხებელთა კრედიტუნარიანობის წინასწარ განსაზღვრაზე. აღნიშნული რთული პროცესია და მოითხოვს მისდამი დიფერენცირებულ მიდგომას, ვინაიდან მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება (ლიკვიდობა, სახსრების მიზიდვა, კაპიტალის ბრუნვალობის დაჩქარება, მომგებიანობა) მოითხოვს წინასწარ სამუშაოების ჩატარების ორგანიზაციას, ვინაიდან კომერციულ ბანკებში მობილიზებული ფულადი რესურსები თავისუფალი გამოყენებისათვის როდია გათვალისწინებული, ეს უკანასკნელი დამოკიდებულია საკრედიტო პოტენციალის სწორ პროგნოზირებაზე, კლიენტურის საიმედოობის მაჩვენებელზე და თავისუფალი ფულადი სახსრების გადინების შუზღედის მექანიზმზე, საერთო ჯამში, კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციების საკანონმდებლო რეგულირების მწყობრ სისტემაზე. თუ პასიური ოპერაციების მემეოებით წარმოებს საბანკო რესურსების ფორმირება, აქტიური ოპერაციების დროს ხდება ფულადი რესურსების გამოყენება მოგების მისაღებად. ეს უკანასკნელი კი მართალია, მიმზიდველია, მაგრამ პრაქტიკულად განხორციელების პროცესში ძნელად არის მისაღწევი საბანკო რისკის ფენომენზე დამოკიდებულების გამო.

ამრიგად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეს არის სახელმწიფო სამართლებრივი ნორმებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას, ფულის მიმოქცევასა და საკრედიტო საქმეს, სასესხო კაპიტალის ბაზარს, უნაღლო ანგარიშსწორებას, ეროვნული ვალუტის კურსს, სადისკონტო განაკვეთებს და სხვას. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია ქვეყნის სამეურნეო კონიუნქტურის რეგულირება და ისეთი მაკროეკონომიკური მიზნის მიღწევა, როგორცაა: ქვეყნის ეროვნული ვალუტის განმტკიცება, ფასების სტაბილიზაცია, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილის გადიდება საგასავლო ნაწილის მიზნობრივი გამოყენების გაძლიერების საფუძველზე. ეკონომიკის ზრდის ტემპების გაყარება, დასაქმების ზრდა და, საერთო ჯამში, კელაეწარმოების ფინანსური უზრუნველყოფა. მსოფლიოში გავრცელებული ფულად-საკრედიტო კონტროლის სამუალებათა შორის ძირითადია: ოპერაციები ღია ბაზარზე, აუცილებელი რეზერვების პოლიტიკა და სააღრიცხვო ნორმის ცვლილება. რეგულირების სამუალებათა გამოყენების პრიორიტეტები განისხვაეებულია და დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, კონკრეტულ ვითარებასა და ტრადიციებზე.

საქართველოში ინფლაციურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა განისაზღვრება ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებით. ეს სისტემა ფაქტობრივად საქართველოში უკანასკნელ პერიოდამდე არ არსებობდა, რაც შეეხება ძველს, იგი დანგრეული იყო ისე, რომ ახალი ჯერ არ იყო შექმნილი. ასე რომ დანგრევა ძველის ადვილია, მაგრამ მის ნანგრევებზე ახლის აშენება შეიქმნა ძნელად გადასაწყვეტი. ამას დაემატა ისიც, რომ ახლო წარსულში ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების სადავეებთან გამოუცდელი, საქმეში ჩაუხედავი, სმუალო დონის საუნივერსიტეტო ლექტორების კონცენტრაციამ გამოიწვია ყოველგვარ კანონზომიერებას აცდენილი ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება,<sup>1</sup> რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კუპონის ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე მიმოქცევაში გამოშვებამ, ფულის რეფორმის ელემენტარული წესების დარღვევამ, ნაჩქარევად ფასების ლიბერალიზაციამ საქონელთა საყოველთაო დეფიციტის პირობებში ფასების ზრდა გამოიწვია, რამაც მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ნულამდე დაიყვანა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მდგომარეობა უმძიმეს პირობებში ჩააყენა და სრულ გადატაკებამდე მიიყვანა.

საზოგადოებრივი წარმოების პროცესში დისპროპორცია და სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ფულის მიმოქცევას კანონის დარღვევა, უპირატესად ფულის გაუფასურებაში გამოვლინდა. ფულის გაუფასურების პროცესი მიმოქცევაში ზედმეტი ფულის გამოშვებით დაიწყო და ორგანიულად დაუკავშირდა ფასების ზრდას, რამდენადაც რაოდენობრივი ფულის გაუფასურება ფასების ზრდაში და ფულის მსყიდველობითუნარიანობის დაცემაში აისახა.

უაღრესად რთულ პერიოდში დაიწყო თავისი საქმიანობა სახელმწიფოში ახლად შექმნილმა ეროვნულმა ბანკმა. მართალია, იგი შეიქმნა მკაცრი წესების დაცვით, სათანადო სტატუსისა და უფლებების მინიჭებით, რომ განეხორციელებინა ჯანსაღი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დაყრდნობით, მაგრამ როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, მან ვერ შეძლო აღნიშნული ამოცანის შესრულება და დააჩქარა საბანკო სისტემის გარდაქმნის აუცილებლობის ობიექტური პროცესი.

---

<sup>1</sup> იხ. რ. კაკულია. დამოუკიდებელი საქართველოს საეკონომიკური და საკრედიტო პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.1, გვ. 48, თბ., 1996.

## 2. საბანკო სისტემის სრულყოფა

ფულად-საკრედიტო სისტემა, რომლის ორგანიზაციული ფორმები ბანკები და საბანკო სისტემებია, თავისი არსითა და ბუნებით ყველგან ერთნაირი შინაარსის მატარებელია, სულ ერთია ისინი იმყოფებიან საქართველოში თუ სხვა ნაკლებად განვითარებულ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, კრედიტი ყველა ქვეყანაში დროებით თავისუფალი სახსრების მოძრაობის ფორმაა, რომელიც ერთობლივი ეროვნული პროდუქტის კვლავწარმოების პროცესში წარმოიშობა, ერთი მხრივ, დროებით თავისუფალი სახსრების სახით, ხოლო, მეორე მხრივ კი, მათზე დამატებითი მოთხოვნის სახით. აღნიშნულ დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციასა და მათ მიზნობრივ წარმართვას ანხორციელებს სპეციალური დაწესებულება ბანკების სახით.

1995 წელს დაწყებული საბანკო რეფორმის პროგრამა 1996 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. პირველი ნაბიჯი იყო საბანკო სისტემის საკანონმდებლო საფუძვლის დახვეწა. რაც მოხდა 1995 წლის ივლისში „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონისა და 1996 წლის თებერვალში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მიღებით. ამ კანონებმა ჩამოაყალიბეს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც კომერციული ბანკების მაკონტროლებელი ორგანოს, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ფარგლები, გარდა ამისა, საფუძველი ჩაუყარეს კომერციული ბანკების საქმიანობის მართებულ ფორმებს და ბანკების ლიკვიდაციის მექანიზმს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არა მარტო გაამკაცრა უკვე ლიცენზირებული ბანკების მოქმედების წესების ცხოვრებაში გატარება, არამედ წარმატებით შემოიღო ლიცენზირების ახალი სისტემა, ე.წ. „სერტიფიკაციის“ პროგრამა, რომელიც ფაქტობრივად ლიცენზიების გადამოწმებას წარმოადგენდა; ყველა ბანკს დაევალა ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა, რომელშიც განმარტებული იქნებოდა თუ როგორ აპირებს ის რეკაპიტალიზაციის განხორციელებას, საკუთარი საბალანსო ანგარიშების ახალ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, გაცემული სესხის დაკარგვის შესაძლებლობის სათანადო შეფასებას, საკუთარი საკრედიტო და სადეპოზიტო ბაზის გაფართოებას, სავალუტო პოლიტიკის წარმართვას, საერთო და ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდას და კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მნიშვნელობის მოთხოვნების დროთა განმავლობაში დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, ბანკს შეიძლება დაევალოს აუდიტორის მიერ შემოწმებული ანგარიშების წარმოდგენა საქართველოს ეროვნული

ბანკისათვის. ყოფილ სახელმწიფო ბანკებს, მათი უფრო რთული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები წაყენა. სერტიფიკაციის პროცესში მონაწილეობასთან ერთად, ამ ბანკებმა საქართველოს ეროვნულ ბანკთან დადეს დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მათი საბალანსო ანგარიშების გაფართოებას და განსაზღვრავს მათი რეფორმის ცხად და ცალსახა პროგრამას, საქართველოს ეროვნული ბანკისა და დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ მისი მსვლელობის შემოწმების ჩათვლით.

სპეციალური სანქციებისა და სტიმულების სისტემა იქნა შემუშავებული სერტიფიკაციის პროცესში გამოსაყენებლად. ბანკებს აეკრძალათ 1995 წლის დივიდენდების გაცემა, ვიდრე მათი სერტიფიკაცია მოხდებოდა და ისინი დაკარგავდნენ ლიცენზიებს, თუკი სერტიფიკაცია გაუმართლებლად დიდი ხნით გაჭიანურდებოდა. წამახალისებელ ღონისძიებებში შედიოდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გახსნილი საკრედიტო ხაზების მისაწვდომობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სერტიფიცირებული ბანკებისათვის. სერტიფიცირებულ ბანკებს გაუადვილდათ აგრეთვე საკრედიტო აუქციონებში მონაწილეობის მიღება. მათ მიეცათ უფლება ისეხონ თანხა, რომლის მოცულობა არ აღემატება მათი სავალდებულო რეზერვების 90 პროცენტს, განსხვავებით 75 პროცენტიანი ლიმიტისაგან არასერტიფიცირებული ბანკებისათვის.

სერტიფიკაციის პროგრამა 1996 წლის ბოლოსათვის ძირითადად დასრულებული იყო. ბანკების რიცხვი ამ დროისათვის 62-მდე შემცირდა, სერტიფიკაციის პროცესში 87 ბანკის ლიცენზია გაუქმდა. სხვა 83 ბანკმა ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის პროცესი გაიარა ან სხვა ბანკთან გაერთიანდა. დარჩენილი 62 ბანკიდან 47 სერტიფიცირებულია, 3 არის 1996 წელს შექმნილი და ლიცენზირებული დაწესებულება, 3 ყოფილი სახელმწიფო ბანკია, ხოლო 9 ბანკმა ვერ მოახერხა მოთხოვნების შესრულება.

სამი ყოფილი სახელმწიფო ბანკი განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ძირითად სირთულეს აქ „უიმედო“ სესხების დიდი წილი ქმნის. ბევრი მათგანი გაჩნდა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. მიზნობრივი სახელმწიფო დაკრედიტების შედეგად, არც ერთ ყოფილ სახელმწიფო ბანკს დღესდღეობით არ გააჩნია კაპიტალი საკმარისი იმისათვის, რომ დაფაროს „უიმედო“ ვალების სრული ჩამოწერით წარმოქმნილი დეფიციტი და ამ დროს არ გაკოტრდეს; ამ ბანკების შემოწმების სრული შედეგები ცნობილი გახდება 1997 წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის. ამ დროისათვის ცხადად გამოჩნდება იარსებებენ თუ არა ეს ბანკები

მოპავალშიც როგორც დამოუკიდებელი ერთეულები. 1996 წლის ბოლო მდგომარეობით, საერთო აქტივების გამოსახულებაში ესენი კვლავაც უდიდესი ბანკები იყვნენ საქართველოში, თუმცა მათი წილი საერთო საბანკო სისტემის აქტივებში შემცირდა 70-დან 34 პროცენტამდე. ამ შემცირების მიზეზი იყო საქართველოს ეროვნულ ბანკთან მიღწეული შეთანხმება ახალი კრედიტების გაცემის შეზღუდვის შესახებ, თურქეთის ექსიმბანკის 50 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის გამოყენებით წარმოქმნილი ვალდებულებების მაისში მთავრობისთვის გადაცემა და სერტიფიცირებული ბანკების ზრდა.

საბანკო ეკონომიკა ეკონომიურ და სამართლებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში მოითხოვს შესაბამისი საბანკო ინსტიტუტების შექმნას და ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი საბანკო სისტემის ფორმირება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ორი ძირითად მოთხოვნას: ეს უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი სისტემა და, ამავე დროს, იგი თავისუფალი უნდა იყოს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ზემოქმედებისაგან. მისი მართვა ყველა დონეზე უნდა ზღებოდეს ეკონომიკური მეთოდებით. სწორედ ასეთი სისტემა დაედასაფუძვლად ახალ კანონს საბანკო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, რომლის მიხედვითაც შეიქმნა დამოუკიდებელი ორიარუსიანი საბანკო სისტემა, რომელიც მოიცავს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს.

ამ ამოცანების გადაწყვეტა რთული იყო არა იმიტომ, რომ საქართველოს თანამედროვე ეტაპზე საბანკო დაწესებულებათა ფართო განშტოებული ქსელი აქვს, არამედ მოქმედი საქართველოს საბანკო სისტემის აგებულება, პრინციპები ორიენტირებული იყო ადმინისტრაციული მბრძანებლური სისტემის პირობებში ფუნქციონირებაზე და ამიტომ არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, საბანკო სისტემა თავისუფალი გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტრუქტურული და სუბიექტური ზემოქმედებისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქცია გახდა ფულის მიმოქცევის, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორების, სავალუტო ურთიერთობების სფეროში რესპუბლიკაში ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება; რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო სისტემის მართვის მყარი ფულად მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, ქართული ეროვნული ფულის გასაცვლელი რეალური კურსის დადგენა სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან. კომერციული ბანკებისა და კოოპერაციული ბანკების კოორდინაცია და ზედამხედველობა მოქმედი კანონმდებლობების

ფარგლებში.

ეკონომიკაზე საუბარი შეუძლებელია საბანკო რეფორმების დაუქარებლად. რესპუბლიკაში დღეისათვის ყველა სახელმწიფო კომერციული ბანკი სააქციო საზოგადოებებად გარდაიქმნა. საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული და რეალურ საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობაზე ორიენტირებული ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სახელმწიფო მეთაურის ე. შევარდნაძის 1994 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებას „საქართველოს საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ“. ამ ბრძანებულებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებთან ერთად, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით დააჩქარეს პარლამენტში კანონპროექტის წარდგენა ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, სავალუტო რეგულირების და კონტროლის შესახებ. ზემოთ აღნიშნული ბრძანებულება დაედვა საფუძვლად რესპუბლიკის ოთხი სახელმწიფო კომერციული ბანკის - „აგრობანკი“, „ინდუსტრიაბანკი“, „ბინსოცბანკი“, „ექსიმბანკი“ - სააქციო-კომერციულ ბანკებად გარდაქმნას.

საბანკო სისტემის სინქრონული მუშაობა, რომელიც ძირითადად საფინანსო ოპერაციების განხორციელებაში ვლინდება, ქვეყნის ეკონომიკაში ინდიკატორის როლს ასრულებს. თუ გადავხედავთ ბანკების განვითარების ისტორიასთან კონტექსტში, მათ სტრუქტურასა და ინტერესებს, ჩვენ შეგვიძლია ნათლად შევამჩნიოთ, რომ ბანკები ზუსტად ასახავენ ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ.

ამ მიმართულებით საინტერესოა ეროვნული მოძრაობის მედროშის ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები საბანკო საქმიანობის ინტერესების შესახებ. ცნობილია, რომ როცა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ 1873 წელს საადგილმამულო ბანკის დაარსება გადაწყვიტა, ილია დათანხმდა, რომ ყოფილიყო ამ ბანკის ხელმძღვანელი. ბანკი სწორედ ილიას რჩევით შეიქმნა. ბანკის წესდების შედგენა იმ პერიოდში არც ისე იოლი საქმე იყო, ვინაიდან მასში უნდა ასახულიყო ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით საქართველოს სპეციფიკა და ასევე ძირეულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო რუსეთის საბანკო სისტემის ბანკთა საქმიანობისაგან. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ილიას თაოსნობით წესდება დაიწერა და მოწონებულ იქნა თავადაზნაურობის ყრილობის მიერ - საქართველოს საადგილმამულო ბანკის ნიშნდობლივი და საყურადღებო თვისება - აღნიშნავს ილია,

რომელიც მას სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა რაც სხვადასხვა თანხას მიემატოს, ხმარდება არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავადაზნაურობათა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის მართაღმართი დაწესებულებათა საადგილმამულო კრედიტბანკისა რუსეთში, რომელშიც კერძო ინტერესები შეცვლილია ხალხის საზოგადო სიკეთისა და საჭიროებებისათვის მოგების სარგებლობით<sup>1</sup> (ხაზგასმა ჩვენია გ.გ.).

ეროვნულ ინტერესებზე დამყარებული, ილიას აღნიშნული მითითება, ვფიქრობ გასათვალისწინებელია თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო-კომერციული და კერძო-კომერციული ბანკების, ასევე ახლად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, ერთიანი საბანკო სისტემის საქმიანობაში.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გადასინჯვას საჭიროებს კომერციული ბანკების მიერ მოზიდული ფულადი რესურსებიდან მათი მეხუთედი ნაწილის მოზიდვისთანავე საკრედიტო რეგულირების ფონდში სადეპოზიტო ვადით სავალდებულო წესით ჩარიცხვის შესახებ მოქმედი დებულება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ფაქტობრივად აზრს კარგავს ბანკების დაინტერესება და სტიმულირება თავისუფალი ფულადი საშუალებების მოზიდვაში, რამდენადაც ეკონომიკურად არახელსაყრელს წარმოადგენს და, ამასთანავე, იგი შენიღბული ხარჯების წყაროდ იქცევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომერციული ბანკები თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე მაღალი საგადასახადო პროცენტით დაბეგვრის სუბიექტს წარმოადგენს, რაც, საბოლოო ანგარიშით, უარყოფითად მოქმედებს ბანკების მიერ შიდა ფინანსური რესურსების მოზილზიაციასა და გამოყენების მიმართულებით დაინტერესებაზე და ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მათი როლის ამაღლებაზე, კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის დონის გაზრდაზე. საბანკო სესხების სარეზერვო ნორმის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალდებულო რეზერვების მუშეობით ფულის კურსის განმტკიცება, ეკონომიკაში სტრუქტურული ბალანსირების მიღწევა მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთიანი მექანიზმის, მეწარმეობის განვითარებისა და საბანკო ინფრასტრუქტურების ფორმირების

1. ილ. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 310.

რებისათვის შესაფერისი ოპტიმალური ეკონომიკური გარემოს შექმნის გარეშე შეუძლებელია.

უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ, 1996 წლის მეორე ნახევრიდან, მნიშვნელოვნად გაიზარდა სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიისათვის საჭირო მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მან 100 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას მიაღწია, ხოლო 1998 წლის 1 ივნისამდე იგი უნდა გაიზარდოს 500 ათას აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხამდე. ბანკებს ასევე განესაზღვრათ ღია სავალუტო ოპერაციების ლიმიტები, რაც მზნად ისახავს უცხოური ვალუტის შიდა რესურსების ოდენობის დარეგულირებას და კომერციული ბანკების მიერ ანგარიშგების მკაცრი ვადებით წარმოადგენის პარალელურად, ეროვნული ბანკის მხრიდან კონტროლის გაძლიერებას საკრედიტო საქმიანობაში მიმდინარე პროცესების რეალურად შეფასების თვალსაზრისით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საწესდებო კაპიტალის ასეთი უეცარი გაზრდა, ისიც საანგარიშო წლის შუა პერიოდში, მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია, რამდენადაც, ერთი მხრივ, საწესდებო კაპიტალის მოცულობის გადიდება და, მეორე მხრივ, სარეზერვო მოთხოვნების დადგენილი 20 პროცენტის ოდენობით ზრდა, ჩვენი აზრით, გამოიწვევს შიდა ფინანსური რესურსების რეზერვების გამოვლენისა და დამატებითი ფინანსური სახსრების კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფისათვის მიზნობრივი გამოყენების შეფერხებას. ყოველივე უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე, ფინანსური სტაბილიზაციის პარალელურად საზოგადოებრივი წარმოების გამოცოცხლებაზე, რაც ვფიქრობთ, მომავალში მაინც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სერტიფიცირებული ბანკების ნახევარზე მეტი უკვე აკმაყოფილებს 1998 წლისათვის დადგენილ მოთხოვნებს. მათზე მოდის სერტიფიცირებული ბანკების საერთო კაპიტალიზაციის 84 პროცენტი, აგრეთვე მთელი საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის 54 პროცენტი და საერთო აქტივების ნახევარზე მეტი.

ბანკის კაპიტალი ამჟამად ორ ნაწილადაა გაყოფილი: ძირითადი კაპიტალი - გადახდილი კაპიტალი (საწესდებო ფონდი) და გაუნაწილებელი მოგება; და მეორადი კაპიტალი - სხვა რეზერვები და უძრავი ქონება, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი კაპიტალის 25 პროცენტს. უძრავი ქონების გადაფასება, ხშირად თვითნებურად და მეტად სუბიექტური საფუძველით ჩატარებული,

1996 წლამდე ფართოდ გამოიყენებოდა ბანკების მიერ საკუთარი კაპიტალის ხელშეწყობით გაბერების მიზნით, რათა მისი მოცულობა შესაბამისობაში ყოფილიყო მარეგულირებელ წესდებასთან. პრობლემის გადასაჭრელად შემუშავდა ეტაპობრივი პროგრამა, რომლის მიზანია 1998 წლისათვის, მეორადი კაპიტალის განმარტებიდან ამგვარი გადაფასების შედეგების გამორიცხვა. ყოველგვარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის, რომ არც ერთ ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკს არ შეუძლია გააკონტროლოს და წარმართოს ფულის მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის ერთდროულად სტაბილიზება. პრაქტიკით შემოწმებულია, რომ დღემდე არც ერთი ქვეყნის ფულად-საკრედიტო დაწესებულებას არ მოუღწევია იმ დონემდე, რომ ერთდროულად უზრუნველყო მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაცია. დაეუშვათ, რომ ეროვნულმა ბანკმა მიზნად დაისახა სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაცია იმიტომ, რომ მისი მერყეობა საინვესტიციო ხარჯების დესტაბილიზაციას იწვევს, რასაც ეკონომიკის დესტაბილიზაციამდე მივყავართ. მეორე შემთხვევაში თუ ეროვნული ბანკი მონდომებს მხოლოდ ფულის მიწოდების სტაბილიზაციას, ამ პირობებში ის უნდა შეურიგდეს სარგებლის განაკვეთის მერყეობას, რაც გამოიწვევს მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციას.

მონეტარიზმის თეორიის ძირითადი მოთხოვნაა კვლავწარმოების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა და ცალკეულ შემთხვევაში რეგულირების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების დაშვება. საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა, ეკონომიკის რეგულირების საერთო და სელექციური მეთოდები. საერთო მეთოდები მოიცავს არაპირდაპირ მეთოდებს, რომლებიც მოიცავს მთლიანად საკრედიტო ბაზარს, ხოლო სელექციური მეთოდები გამოიყენება კრედიტის კონკრეტულ სახეობებზე, რომელიც მიმართულია კონკრეტული ამოცანის შესრულებაზე.

1995 წლის ბოლოსათვის საწარმოებისთვის სესხად გაცემული 81 მილიონი ლარიდან ვადაგადაცილებული სესხები და საპროცენტო გადასახადები 60 მილიონ ლარს ანუ 75 პროცენტს აღემატებოდა. ანუ მათი მოცულობა აჭარბებდა საბანკო სისტემის საერთო კაპიტალს, რაც ნიშნავს, რომ სისტემა ფაქტობრივად არაქმედითუნარიანი იყო. ის ბანკები, რომლებიც წინდახედული მმართველების ხელში იმყოფებოდნენ და შედარებით კარგად იყვნენ კაპიტალიზებულნი, საბანკო

სისტემის მეტად მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ, რათა შეექმნათ საფუძველი ეფექტური საბანკო შუამავლობის გაჩენისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შინამეურნეობების ნდობა ბანკების, როგორც დანაშოგების შენახვის უსაფრთხო ადგილის მიმართ კვლავ აღდგებოდა.

შსგავს პრობლემებს წააწყდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებიც და მათ გადასალახავად მთელი რიგი შესაძლო ღონისძიებებისა იქნა ნაცადი. საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიდგომა არსებითად იყო ბანკების რეკაპიტალიზაციის მიზნით სახელმწიფო სახსრების გამოყენებისთვის თავის არიდება: ამის ორი მიზეზი არსებობდა: პირველი - ქვეყანას არ ჰქონდა ფული, ხოლო მისი უბრალო დაბეჭდვა ძირს გამოუთხრიდა სტაბილიზაციის პროგრამას; და მეორე - არსებობდა მორალური საშიშროება ბანკების ახალი მაკონტროლებელი სისტემის ავტორიტეტის შერყევით. ამ გადაწყვეტილების მიღება მარტივი არ ყოფილა, ვინაიდან კომერციული ბანკები, რომლებსაც სურდათ ტვირთის ნაწილი მაინც მთავრობისა და ეროვნული ბანკის ზურგზე გადაეტანათ, მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ ამას. ისევე, როგორც ეს მოხდა ეკონომიკური რეფორმის სხვა სფეროებში, მარეგულირებელი წესების ახალი სისტემა ძალში შევიდა 1996 წლის სექტემბრის ბოლოდან. ეს სისტემა მჭიდრო შესაბამისობაშია საერთაშორისო საბანკო კონტროლის ბაზელის კომიტეტის სტანდარტთან (იხ. ცხრილი N 3).

მარეგულირებელი წესდება ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც არა მარტო დაიცავენ ბანკს გაკოტრების საშიშროებისაგან, როდესაც ერთი დეპოზიტორი ან მსესხებელი დახურავს თავის დეპოზიტს ან ვერ დააბრუნებს ვალს, არამედ აიძულებს კიდევაც ბანკს ეძებოს ახალი დეპოზიტორები და მსესხებლები და, შესაძლოა, სხვა ბანკებსაც გაეჯიბროს მათ მონახვაში. ეს იყო სერტიფიკაციის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რადგან აქამდე არსებული წესდების დაცვის შემთხვევაში ბანკებს პრაქტიკულად არ შეეძლოთ მუშაობა როგორც ბანკებს, ანდა შეეძლოთ ამ ფუნქციების შესრულება მხოლოდ ინსაიდერების მცირე ჯგუფისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში იმ ბანკებმაც, რომელთა ფინანსირების სტრუქტურა არ ეწინააღმდეგებოდა მარეგულირებელი წესდების მოთხოვნებს, ვერ მიიღეს სერტიფიკატი, ვინაიდან არ გააჩნდათ ბიზნესის გაფართოების სანდო და თანმიმდევრული გეგმა.

შემოღებულია დამატებითი შეზღუდვები ბანკის მფლობელობაზე და საბანკო ინვესტიციის მოცულობაზე, ნებისმიერ აქციონერს, რომელიც არ წარმოადგენს

ცხრილი N 3. საბანკო სისტემის სტრუქტურა 1996 წელს

	წილი საბანკო სისტემაში (%)			წილი სერტიფიცირებულ ბანკებში (%)			
	საერთო რიცხვი	კაპიტალი	აქტივები	დეპოზიტები	კაპიტალი	აქტივები	დეპოზიტები
სულ სერტიფიცირებული ბანკები	47	65	57	47	100	100	100
1 000 000 ლარზე მეტი კაპიტალით	9	37	33	26	57	58	56
500 000-1 000 000 ლარამდე კაპიტალით	15	17	15	12	26	27	26
500 000 ლარზე ნაკლები კაპიტალით	23	11	8	8	17	15	18
ყოფილი სახელმწიფო ბანკები	3	27	34	51	-	-	-
სხვა ბანკები	12	8	8	2	-	-	-

სერტიფიცირებულ ბანკს, ესაჭიროება საქართველოს ეროვნული ბანკის ნებართვა ნებისმიერი ბანკის აქციების 20 პროცენტზე მეტის ფლობაზე. ბანკს არ შეუძლია ფლობდეს ნებისმიერი სხვა კომპანიის 20 პროცენტზე მეტს და ეს წილი სხვა კომპანიის კაპიტალში არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საერთო კაპიტალის 15 პროცენტს. მეტიც, ნებისმიერი ინვესტიციის, შემთხვევაში ბანკი ვალდებულია ამ ინვესტიციის ტოლი რეზერვი შექმნას, როგორც საკუთარი მფორადი კაპიტალის წილი.

მარეგულირებელ წესდებამი კაპიტალის ახალი განსაზღვრებები გამოიყენება სხვადასხვა კოეფიციენტების გამოსათვლელად, რომლებიც ჯამში ბანკის მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას იძლევიან. ახალი სისტემის შემოღების ძირითადი შედეგი ის იყო, რომ ბევრი ბანკი იძულებული გახდა მოეზიდა დამატებითი კაპიტალი. ეს განხორციელდა ან პირველადი კაპიტალის გაზრდით - ახალი აქციების მიყიდვით უკვე არსებული თუ ახალი შეპატრონეებისთვის, ანდა მოგების

შენარჩუნების გზით მეორადი კაპიტალის გაზრდით.

ოქტომბრიდან ძალში შევიდა გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების გათვალისწინების სისტემა. „უიმედო“ სესხების ჩამოწერის მიმართ აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ ქვეყნებში მიღებული შედარებით რბილი მიდგომის საპირისპიროდ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოსთხოვა ბანკებს სესხის დაკარგვის საშიშროების შემთხვევაში შესაბამისი რეზერვების დაუყოვნებლივ შექმნა და 6 თვით ვადაგადაცილებული სესხების სრული ჩამოწერა. სარეზერვო მოთხოვნები შემდეგია: ნებისმიერი ახალი სესხი - 2 პროცენტი, 1-30 დღით ვადაგადაცილებული სესხი - 10 პროცენტი, 31-60 დღით ვადაგადაცილებული სესხი - 30-50 პროცენტი, 61-90 დღით ვადაგადაცილებული სესხი - 50-70 პროცენტი, 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხი - 100 პროცენტი. ბანკებისთვის ამგვარი რეზერვების შექმნის ღირებულება შემცირებული იყო სახელმწიფო საგადასახადო საშასხურთან შეთანხმებული ახალი კანონით.

იმის მიუხედავად, რომ ახალი მოთხოვნები შემოღებულია, მათი განხორციელების მასშტაბის დადგენა მხოლოდ მკაცრი ზედამხედველობის ნორმალური პროცესის მსვლელობისას გახდება შესაძლებელი. რაც არ უნდა იყოს, 1996 წელს ახალი სარეზერვო მოთხოვნების შემოღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ბანკების წორი მოგება. სესხის დაკარგვის საშიშროების გამო, შექმნილი რეზერვები დამატებითი დანაკარგების წყაროდ შეიძლება იქცეს. ამ მიზეზით სავალდებულო ნორმატივების დაცვის გაუარესებას, 1997 წელს შეიძლება ბანკების შემდგომი დაზარება და შერწყმა მოჰყვეს.

ეროვნული ბანკის ღია ბაზარზე ოპერაციები გავლენას ახდენს კომერციული ბანკების თავისუფალი რესურსების მოცულობაზე, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკაში საკრედიტო დაბანდებათა მოცულობაზე მოქმედებს. მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულირებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სავალდებულო რეზერვების ნორმების გადიდება ან დაკლება, რომელიც ამცირებს ან აფართოებს კომერციული ბანკების პოტენციალს, სარეზერვო მოთხოვნათა შესრულება კომერციული ბანკისათვის სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა სახსრების გაყინვას, რაც მაღალი ინფლაციის პირობებში უარყოფითად მოქმედებს მათ საქმიანობაზე.

მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებზე ზემოქმედების სელექციურ მეთოდების გამოყენებას უნდა ანხორციელებდეს, როდესაც ადგილი აქვს წარმოების დაცემას და დარღვეულია

კვლავწარმოების პროპორციები. ამ შემთხვევაში რეგულირების მაკროეკონომიკური ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება პრიორიტეტულ დარგებში ინვესტიციების სტიმულირების გაძლიერებისათვის. სელექციურ მეთოდებს მიეკუთვნება კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების კონკრეტული საშუალებები, როგორცაა საბანკო სესხების ლიმიტირება, ცალკეული სახეობის კრედიტის გამოყენების რეგლამენტაცია, დაბალრენტაბელური საწარმოების დაკრედიტებისას კომერციული ბანკების ოპერაციებისათვის სახსრების შეღავათიანი რეფინანსირება და სხვა.

სელექციურ მეთოდებიდან თანამედროვე ეტაპზე შედარებით პოპულარულს წარმოადგენს სადისკონტო პოლიტიკა, ღია ბაზარზე ოპერაციები და ბანკების სავალდებულო რეზერვების ნორმატივის ცვლილებები.

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება სადისკონტო განაკვეთის განსაზღვრას. სადისკონტო განაკვეთის სიდიდე წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზარზე სახელმწიფო რეგულირების ოპერატიულ ინსტრუმენტს. ოფიციალური სადისკონტო განაკვეთი საფუძველია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ფორმირების და, ამასთანავე, იგი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების მოცულობას. სადისკონტო განაკვეთების სიდიდის გადიდება დამახასიათებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის იმ მიმართულებისთვის, რომელიც ცნობილია მკაცრი „ძვირი ფულის“ პოლიტიკის ფორმით. სადისკონტო განაკვეთის ზრდა ანტიინფლაციური მიზნებისათვის განხორციელებულ ღონისძიებას წარმოადგენს. რომელიც ზღუდავს კომერციული ბანკების შესაძლებლობებს. მიიღონ ეროვნული ბანკიდან სესხები და, ამასთანავე, ზრდის იმ ფულის ფასს, რომელიც ეძლევა კრედიტის სახით კომერციულ ბანკებს და ამის გამო შესაბამისად ეკონომიკაში საკრედიტო დაბანდებები მცირდება, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოების ამოქმედების დამუხრუჭებაში ვლინდება.

ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებზე ზემოქმედებისას შეუძლია გამოიყენოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის რეგულირებაში ისეთი ნაცადი, უცხოეთის ქვეყნებში გავრცელებული მეთოდები, როგორცაა ღია ბაზარზე ცენტრალური ბანკის ოპერაციის მეთოდი, ფასიანი ქაღალდების ადრე განსაზღვრული კურსის შესაბამისად ყიდვა-გაყიდვა და სხვა. მსოფლიო პრაქტიკაში ეს მეთოდი მიჩნეულია კომერციული ბანკების, საკრედიტო დაბანდებებისა და ლიკვიდობის შედარებით მოქნილ მეთოდად.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ საფუძველს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფა. ბანკი, თავისი მთავარი საქმიანობით, ეკონომიკურ ინტერესთა მთელი სისტემის სწორი შეფასების რეალიზაციის დამცველად გვევლინება. ბანკი მუშაობს არა მხოლოდ თავისთვის, მოგების მისაღებად, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და თითოეული მოქალაქისათვის. იგი სამეურნეო ცხოვრების სპეციფიკური მოვლენაა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის მასშტაბით ადამიანის ორგანიზმის სისხლძარღვთა სისტემას შეიძლება მივაშვავსოთ, ვინაიდან ანგარიშსწორების პროცესში ფული სამეურნეო ორგანიზმის ყველა უჯრედში მიედინება საქონელზე გადაცვლის მეშვეობით და ამიტომაც საბაზრო მეურნეობის განუყოფელ ნაწილად გვევლინება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ ხანს, მიუხედავად მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარებისა, ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილის შევსება არ მოხერხდა საკრედიტო ინსტიტუტების პარალიზების გამო. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ფულის მიმოქცევის ნაწილს 80-90 პროცენტს უნაღლო საგადასახადო ბრუნვა წარმოადგენს, საქართველოში კი აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 20 პროცენტს არ აღემატება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილის შესავსებად იურიდიულ და ფიზიკურ პირთა დაბეგვრის მოცულობა არასრულყოფილია და ამიტომაც მოგების დამალვა საერთო კანონზომიერ პროცესად იქცა, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად აფერხებს კვლავ წარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას. ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია, თუ მთავარი ყურადღება გადატანილი იქნება კომერციული ბანკების ფორმირებასა და განვითარებაზე. კომერციულ ბანკს საკუთარ სახსრებთან ერთად აუცილებლად უნდა ჰქონდეს სასესხო, საკრედიტო რესურსები. მათი მოზიდვის სხვადასხვა ხერხი არსებობს, მაგრამ ამ მექანიზმებიდან მთავარს წარმოადგენს მათი მოზიდვა ფასიანი ქაღალდებით, საბანკო ოპერაციების საფუძველზე, ვინაიდან აქციები, რომლებიც დივიდენდებს იძლევა და სხვა ფასიანი ქაღალდები კომერციული ბანკების მაღალ ლიკვიდურ აქტივებად ითვლება. ეს მექანიზმი ყველაზე ეფექტურია, რამდენადაც, ერთი მხრივ, იგი ეკონომიკურ პროცესებს ფუჭნება და საფუძვლად უდევს კრედიტების დაბრუნების უნარიანობა და, მეორე მხრივ, ემყარება კრედიტორსა და მსესხებელს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც საკრედიტო გარიგებაში მათი ადგილის მიხედვით განისაზღვრება.

საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ ზემოთ აღნიშნული ახალი კანონების

მიღებამდე საქართველოს საბანკო სისტემა მეტად მოუქნელი იყო და ამდენად საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანას მრავალ პრობლემას უქმნიდა. მთავარი ის იყო, რომ ეროვნულმა ბანკმა ვერ იპოვა თავისი ადგილი ეკონომიკაში, ვერ განსაზღვრა ჯერ კიდევ თავისი, როგორც ეკონომიკური სუბიექტის როლი და იმუამად ფულად-საკრედიტო სისტემა ფაქტობრივად გამოიყენებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა მიერ მათი ვიწრო პარტიული და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, რაც ძირგამომხრელ ფაქტორად მოგვევლინა საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში.

ეროვნული ბანკი ვერ ასრულებდა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. დამოუკიდებელ საქმიანობას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების დროს. იგი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული პარლამენტისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა ზემოქმედებაზე, არ იყო დამყარებული საქმიანი ურთიერთობა საბანკო სისტემასა და მთავრობა-პარლამენტს შორის და ეროვნული ბანკი, მთელ საბანკო სისტემასთან ერთად ფაქტობრივად ყოველ მათ მითითებებს ულაპარაკოდ ასრულებდა.

საქართველოს საბანკო სისტემის მოუქნელობა და უარყოფითი მხარე ნათლად გამოჩნდა იმ შედეგებიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ მათი საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების დროს. მხედველობაში გვაქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის გაწვევრიანების რატიფიკაციის წინა პერიოდი, როცა ბაზარზე ხელოვნურად გამოწვეულმა ნაღდი კუპონის დეფიციტმა მნიშვნელოვნად დასცა ჩვენი ვალუტის მსყიდველობითი უნარი. აღსანიშნავია, 1994 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად პარლამენტის მიერ მთავრობისათვის გამოყოფილი ოთხასი მილიარდი კუპონის სესხი, რომელმაც ერთ დღეში თითქმის ორჯერ დასცა კუპონის მსყიდველობითი უნარიანობა და ერთ რუბლთან მისი სხვაობა 165-დან 250-მდე გაიზარდა; ამასთანავე, ყველასათვის ცნობილი იყო, რომ გაუფასურებული კუპონით ვერც სასოფლო-სამეურნეო წარმოების იარაღს, თესლს, საწვავს და სხვა სასოფლო მეურნეობის საქმიანობის აუცილებელ პროდუქტს ვერ შეიძენდი, ფაქტობრივად ის ფულადი სესხი სავალუტო ბირჟაზე მოხედა, მანეთსა და დოლარზე გადახურდავდა და შემდეგ რესპუბლიკის გარეთ სავალუტო ანგარიშებში პოვა ასახვა. ამით მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, ხელფასის იმავე დონის პირობებში, კუპონის გაუფასურების გამო.

საქართველოს საბანკო სისტემა ცენტრალიზებული ხასიათისაა. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელშია თავმოყრილი ყველა მექანიზმი და ბერკეტი, რომელმაც ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა უნდა მოახდინოს, მაგრამ პრაქტიკულად იგი თავის ფუნქციებს ვერ ასრულებდა, სხვადასხვა გადაწყვეტილების შემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, მოწყვეტილი იყო ქვეყნის ეკონომიკის სინამდვილეს და ამიტომ ფულის მიმოქცევაზე ვერ ახდენდა რეალურ შემოქმედებას. აღნიშნულის მიზეზია ისიც, რომ დაკარგული იყო კონტროლის მექანიზმი ადგილებზე ფულად-საკრედიტო რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე. ამ მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა საკრედიტო ანგარიშების, მოსახლეობის ფულადი შემოსავად-გასავლის ბალანსის სახით, რომელიც ასახავდა ყოველდღიური მონაცემების საფუძველზე ადგილებზე ფულად-საკრედიტო სისტემის სფეროს დინამიკას.

თანამედროვე ეტაპზე მთავარია, რომ საქართველოს საბანკო სისტემა გახდეს ე.წ. „სასელმწიფო სახელმწიფოში“ და მათ საქმიანობაში გარე უხეში ჩარევა ყოველმხრივ უნდა გამოირიცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საბანკო სისტემა ცალკეული ჯგუფების პოლიტიკური მიზნების მსხვერპლი შეიძლება გახდეს.

ეროვნული ბანკის საქმიანობის ახალი კანონიდან გამომდინარე, მთავარი ორგანო ქვეყნის საბანკო სისტემაში არის მმართველთა საბჭო, რომლის კომპეტენციაში შედის ფულად-საკრედიტო სისტემის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი. იგი ამუშავებს და განსაზღვრავს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიას და მის მიმართულებებს საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ცალკეულ ეტაპზე. მმართველთა საბჭოს მიერ დამუშავებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებს პრაქტიკულად ცხოვრებაში ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც, თავის მხრივ, ამუშავებს რეალური პირობების ანალიზის საფუძველზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტაქტიკას, ე.ი. სტრატეგიული მიმართულებების ცალკეულ ეტაპზე გადაწყვეტის კონკრეტულ ღონისძიებებს, რაც, თავის მხრივ, უკუშემოქმედებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების სრულყოფაზე.

ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე, აუცილებელია ეროვნული ბანკის საქმიანობაში სტრუქტურული ცვლილებების შეტანა და თითოეული სტრუქტურული რგოლის უფლება-მოვალეობის მკაცრად განსაზღვრა, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძ-

ველზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, სადაც კონკრეტულ ღონისძიებებთან ერთად მითითებულ უნდა იქნეს კონკრეტული მიზანი, კონკრეტულად პასუხისმგებელი და მისი შესრულების კონკრეტული ვადები, საერთო ჯამში, ქვეყნის სტაბილიზაციისა და ლარის განმტკიცებასთან ერთად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედების როლი ბიუჯეტის შესრულების შედეგებში, საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის კომპლექსურად განხორციელებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეროვნული ბანკის სისტემაში შეიქმნას სხვადასხვა განყოფილებების კოორდინაციისა და გაერთიანების საფუძველზე კრედიტების ეროვნული კომიტეტი, ეროვნულ-საკონსულტაციო კომიტეტი, საკრედიტო დაწესებულებების კომიტეტი და საბანკო კომისია. კრედიტების ეროვნულ კომიტეტსა და ეროვნულ საკონსულტაციო კომიტეტს ექნებათ მკაცრად განსაზღვრული საკონსულტაციო ფუნქციები, კრედიტების ეროვნული კომიტეტი განიხილავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ფულის მომოქცევის სარეზერვო ნორმისა და საპროცენტო ცვლილებების აკითხს და შეაქვს წინადადებები ეროვნული ბანკის მმართველთა საბჭოში. ეროვნულ-საკონსულტაციო კომიტეტს, კრედიტების ეროვნულ კომიტეტთან შედარებით ნაკლებად გლობალურ პრობლემებზე მოუხდება მუშაობა, როგორცაა: კლიენტების უფლებების დაცვა, ურთიერთობები საკრედიტო დაწესებულებებსა და კლიენტებს შორის.

ეროვნული ბანკის მმართველთა საბჭოს მიერ შემუშავებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას რეალურად ცხოვრებაში ატარებს აღნიშნული სექტორის მიხედვით ეროვნული ბანკი, რომელსაც საქმის ეფექტიან წარმართვაში ეხმარება საკრედიტო დაწესებულებების კომიტეტი და საბანკო კომისია.

საკრედიტო დაწესებულებების კომიტეტი ამუშავებს საერთო მეთოდოლოგიურ მითითებებსა და რეკომენდაციებს საკრედიტო დაწესებულებებისათვის, განსაზღვრავს საფინანსო-ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით რჩევებს, წესებსა და კანონებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ქვეყნის ყველა დაწესებულებებისათვის, აგრეთვე იგი განაგებს ბანკების ატესტაციისა და ლიცენზირების გაცემის საკითხებს.

საბანკო კომისია საქართველოს ეროვნულ ბანკს ეხმარება საკრედიტო დაწესებულებათა გაკონტროლებაში. საბანკო კომისიას ასევე აქვს ადმინისტრაციული და იურიდიული ზედამხედველობის ფუნქცია. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხორციელდება კანონმდებლობის დაცვის კონტროლის მეშვეობით,

ზოლო იურიდიულ ზედამხედველობითი ფუნქცია - საკრედიტო დაწესებულებების მიერ წლიური მოგების რეალურად განსაზღვრის დადგენაში. მმართველთა საბჭოს და ეროვნულ ბანკს საშუალება აქვთ ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით რეგულირება გაუკეთოს კომერციული ბანკების შესაძლებლობებს კრედიტებისადმი, აქედან გამომდინარე, მათ შეუძლიათ კონტროლი განახორციელონ და კორდინაცია გაუკეთონ ქვეყნის მთელ ფულად-საკრედიტო სისტემას.

ეროვნული ბანკი, მმართველთა საბჭოს მიერ დაშვებულ რეგლამენტირებულ ფარგლებში ახდენს ფულის ემისიას. მამასადაძე, მის კომპეტენციაში არ შედის დამოუკიდებლად ფულის ემისიის მოცულობის განსაზღვრა.

ეროვნული ბანკი, მმართველთა საბჭოს მითითებებისა და დირექტივების საფუძველზე, ასევე ახორციელებს ფინანსური ბაზრის რეგულირებას. ეროვნულ ბანკს სარეზერვო ნორმის ცვლილებებით, კერძოდ, სარეზერვო ნორმის გადიდებით შეუძლია შეამციროს კომერციული ბანკების რეალური სარეზერვო ფონდები და ამით გამოიწვიოს ფულის მიწოდების შემცირება - კრედიტების შემცირება, ზოლო სარეზერვო ნორმის შემცირებით, პირიქით, ზრდის რეალურ სარეზერვო ფონდს და ამით საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს გაზარდონ ფულის მიწოდების და შესაბამისად დაკრედიტების მოცულობა სასურველი ეკონომიკურ-დარგობრივი მიმართულებით.

საფინანსო ბაზარზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალებაა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები კრედიტზე. ეროვნულ ბანკს, აღნიშნული ეკონომიკური ზემოქმედების მექანიზმით, შეუძლია გაზარდოს, ან შეამციროს კომერციული ბანკებისაგან კრედიტის მოთხოვნა და ამით გავლენა იქონიოს ეკონომიკის დარგთა სტიმულირებასა და ინფლაციურ პროცესებზე. აქედან გამომდინარე, კომერციულ ბანკებზე კრედიტის გაცემა უნდა მოხდეს ახალი, უფრო ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებით, კერძოდ, კრედიტის ამღებ კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს თავისი აუცილებელი რეზერვი ეროვნულ ბანკში, რითაც პოტენციურად გაიზრდება მოსახლეობისადმი კრედიტის შეთავაზება. აღნიშნული კრედიტი გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებით (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით), რაც მასტიმულირებელ ფაქტორად იქცევა კომერციული ბანკებისათვის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებათა შექენაში.

საქართველოს საბანკო სისტემის მომდევნო საფეხურს წარმოადგენს კომერციული ბანკები, შემნახველი სალაროები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები. რესპუბლიკაში ამჟამად არსებული საკრედიტო დაწესებულებები

რეალურად წვრილ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს წარმოადგენენ, რომლებსაც არაერთი საინვესტიციო-საკრედიტო საქმიანობის განხორციელება არ შეუძლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორიენტირი უნდა გაკეთდეს ამ წვრილ საკრედიტო დაწესებულებების ცენტრალიზაციაზე, რათა მოხდეს მათი კაპიტალის კონცენტრაცია და ამით მისი ქმედითუნარიანობის გაზრდა. უნდა შეიქმნას ახალი გამკაცრებული პირობების ნუსხა. რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკრედიტო დაწესებულებების საწესდებო კაპიტალების მოცულობა, რომ რეალურად განაზორციელოს საკრედიტო პოლიტიკა, ასევე საჭიროა დაწესდეს ყველა საკრედიტო დაწესებულებებისათვის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებათა შესყიდვის ლიმიტები და კრედიტების აუცილებელი ლიმიტი (მაგალითად, 20 პროცენტი), რომლებსაც ისინი გასცემენ პროდუქციის მწარმოებელ სუბიექტებზე. თითოეული საკრედიტო დაწესებულება უნდა იყოს ჩართული გლობალურ კომპიუტერულ ქსელში, რომელიც ურთიერთობებს გაამარტივებს მათ შორის.

წარმოდგენილი ეროვნული ბანკის სტრუქტურული ცვლილება ჩვენი აზრით, შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევრობანკისა და სხვა სპეციალისტთა რეკომენდაციების პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმს, იგი თანდათანობით დაიხვეწება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. ამ ცვლილების მთავარი მიზანი ის არის, რომ ჯერ მართი, საქართველოში შეიქმნას ერთიანი დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემა - ახალი საბანკო სისტემის სახით, რომელშიც ფუნქციების განაწილებით, განაწილებული ფუნქციების შესრულების პასუხისმგებლობის ზრდით შეიქმნება შესაძლებლობა ქვეყანაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გაჯანსაღებისათვის; მმონრმ, საბანკო სისტემა წარმოადგენდეს იქნება დამოუკიდებელ მძლავრ მექანიზმს საქართველოს ეკონომიკაში, რომელიც იზოლირებული იქნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისაგან. მათი გადაწყვეტილებების ზემოქმედებისაგან და რეალურად მიეცემა საშუალება ერთიანი მექანიზმით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, წარმართოს ქვეყანაში დამოუკიდებლად ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; მმსამმ, საბანკო სისტემას ეყოლება მძლავრი საკონსულტაციო ორგანოები დამხმარე ინსტიტუტების სახით, რომლებიც თავის თავზე აიღებენ გარკვეული სამუშაოების ჩატარებას, ამით ქმედითუნარიანი გახდება ეროვნული ბანკის მუშაობაც; მმმმმმ, ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება დამოკიდებული იქნება არა ერთი, ან რამდენიმე თუნდაც კომპეტენტურ პიროვნებებზე, მათ ამბიციებზე, არამედ მთელი საბანკო სისტემის მოქნილ ოპერატიულ

საქმიანობაზე, რომელიც ცალკეულ ხელმძღვანელ პიროვნებებთან ერთად გაზრდის მთელი სისტემის კოლექტიურ პასუხისმგებლობასაც ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეროვნული ინტერესების საფუძველზე გატარებაში, შექმნის პირობებს მთელი საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და კონტროლის გამდიერებისათვის.

ქვეყანაში არსებული საბანკო სისტემის სიცოცხლისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული მის ინტეგრაციაზე მსოფლიო საბანკო სისტემასთან, რისთვისაც აუცილებელია მსოფლიო საბანკო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებების შესწავლა-განზოგადოება, რომელიც შემდგომში რესპუბლიკის ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით გადმოტანილ და დანერგილ უნდა იქნეს ჩვენს ქვეყანაში. თუ ეს პროცესი არ იქნა გათვალისწინებული, რესპუბლიკის ვერც ერთი ბანკი კონკურენტის საზღვარგარეთის ბანკების მხრიდან ვერ გაუძლებენ. ბანკების მუშაობის გამოცოცხლებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს „გაკოტრების შესახებ“ კანონის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარებას.

ეროვნულმა ბანკმა რომ თავისი ფუნქციები შეასრულოს, აუცილებელი არ არის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა რეკომენდაციებით შეასხენოს იგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, ჯერ მართი, დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქნეს ავტომატურად ოვერდრაფტების გაცემის პრაქტიკა ეროვნულ ბანკში საკორექსონდენციო ანგარიშების მიხედვით. ოვერდრაფტების გამოყენების შესაძლებლობა ცალკეულ შემთხვევაში სპეციალურად უნდა იქნეს განხილული, იგი უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს პროცენტების საჯარიმო განაკვეთებს, რაც შეზღუდვად, ყოველ შემთხვევაში დაუკარგავდა ხალისს ბანკების დაინტერესებას ოვერდრაფტების გამოყენებაში, მათი გამოყენების უბრალოდ მომგებიან საქმედ მიჩნევას; მმორა, ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს მის დაქვემდებარებაში შემავალ იმ საბანკო დაწესებულებათა მუშაობაზე, რომლებიც საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს იყენებენ არა წარმოების გადიდებისათვის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისა და გამოშვებისათვის, არამედ საშუაშელო ოპერაციების დასაკრედიტებლად, რაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ რესპუბლიკას არაფერს მატებს; მმსამ, ყურადღების გამდიერებაა საჭირო კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების უძრავობის ფაქტებზე, აკუმულირებული თანხების ეფექტიან გამოყენებაზე, საკრედიტო რესურსების მოზიდვის პასიურ ოპერაციების გაფართოებაზე, კლიენტების მიერ ნაღდი ფულის მოძრაობასა და მათ მიერ საკასო დისციპლინის დაცვაზე, საბანკო და-

წესებულებათა ხელმძღვანელების შეთავსებით მუშაობის არდამშეგებაზე, საწესდებო ფონდების შეესების რეალობასა და საწესდებო ვალდებულებათა მკაცრ დაცვაზე; ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული უფლება საწესდებო ვალდებულებათა დამრღვევ ბანკების მიმართ წესდების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

### 3. ფულის მიმოქცევის რეგულირების მნიშვნელობა საქართველოს ბარდამავალი ეკონომიკის სტაბილიზაციასში

საბაზრო ეკონომიკის არსის გაგებისათვის არაფერი არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფულის როლის შეცნობა. სწორედ ამიტომ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურასში ფულს ხშირად „ბაზრის ენას“ უწოდებენ. იგი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის. 1993-1995 წლებში საქართველოში უაღრესად გამწვავდა ფულის მიმოქცევის პრობლემა, რაც ინფლაციის გაძლიერებამ და საერთოდ ეკონომიკური კრიზისმა გამოიწვია. ცნობილია, რომ ფულის მიმოქცევის წანამდღვარს საქონელმიმოქცევა წარმოადგენს, ამასთანავე, საქონელი, თავის მხრივ, ფულს მოჰყავს მიმოქცევაში. უკიდურესად ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა მოიცვა, თავისი გამოხატულება პოვა ფულადი და სასაქონლო მასების სრულ მოშლასში. 1995 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის თავისუფალმა ფულადსა სახსრებმა საბანკო სისტემის დაწესებულებებში შეადგინა 3635 მილიარდი კუპონი, მათ შორის ანაბრებმა - 3104 მლრდ. კუპონი, აქციებმა და ობლიგაციებმა - 42 მლრდ. კუპონი, სხვა სახის თავისუფალმა ფულადმა სახსრებმა - 349 მლრდ. კუპონი შეადგინა. ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მასა 41-ჯერ გაიზარდა, მაგრამ სამომხმარებლო ფასების ზრდის გამო მათი რეალური კურსის მიხედვით აღნიშნული თანხა 2,5 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო, რაც რესპუბლიკის ერთ სულზე გაანგარიშებით 0,5 დოლარზე ნაკლებია.

აღნიშნული იმას მოწმობს, რომ დღესდღეობით მოსახლეობის ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილი საბანკო დაწესებულებათა გარეთაა აკუმულირებული და ისე ცირკულირებს. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ წლების განმავლობაში (1990 წლამდე) მოსახლეობის მიერ საბანკო დაწესებულებებში განთა-

ესებული თავისუფალი ფულადი სახსრები უთანაბრდებოდა, ან სჭარბობდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის და საკოლმეურნეო ბაზრების საერთო საქონელბრუნვას. თუ 1980 წელს მარტო ანაბრების თანაფარდობა აღნიშნული სახის საქონელბრუნვასთან შედარებით შეადგენდა 76,2 პროცენტს, 1975 წელს 82,3 პროცენტი შეადგინა. 1990 წელს კი - 101,2 პროცენტი, მაშინ, როდესაც 1994 წელს მან ამ უკანასკნელის 3,0 პროცენტი შეადგინა.

ფულს, სხვა მრავალი დატვირთვის მიუხედავად, ის ძირითადი თვისებაც აქვს, რომ იგი ეკონომიკის ეფექტიანობის საზომდაც გამოდის. ამიტომ არც მთლად უსაფუძვლოა, როდესაც ხალხი თავის დუხჭირ ცხოვრებას ეკონომიკური პოლიტიკის დაცემას უკავშირებს. შექმნილმა მდგომარეობამ ყველანი აიძულა, რომ ეკონომიკაზე ილაპარაკონ, სადაც განკურნების საშუალებებად ფინანსებში განივთებული ფულადი ურთიერთობები გვევლინებიან. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ თავის დროზე შექმნილი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა სათანადოდ ვერც სპეციალისტებმა შეაფასეს, რის გამოც ადრეც და ამჟამადაც არის მცდელობა ზოგიერთი ეკონომიკური საკითხი პოლიტიკური ხერხებითა და მეთოდებით გადაწყდეს.

რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა 1992 წლის მეორე ნახევრიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუწყვიტა საქართველოს ეროვნულ ბანკს ნაღდი ფულის მიწოდება, ბლოკირება გაუკეთა საქართველოს საკორესპონდენტო ანგარიშებს, ფაქტობრივად შეწყვიტა ურთიერთანგარიშსწორების ოპერაციები. ყოველივე ამან, საქართველოს ეკონომიკა მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. საწარმოები პრაქტიკულად ვერ ახერხებდნენ ნედლეულისა და მასალების შექმნას რუსეთის ფედერაციისა და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, მუშა-მოსამსახურეებს ვერ უხდიდნენ ხელფასებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ ბანკებისა და მომწოდებლების წინაშე უზარმაზარ თანხებს მიაღწია.

მუშები, მოსამსახურეები, პენსიონერები მრავალი თვის განმავლობაში ვერ ღებულობდნენ ხელფასებს, პენსიებს. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ეკონომიკური სასახურეები ქვეყნის ქონების პრივატიზაციას კვლავ საბჭოთა მანეთებში ახორციელებდნენ, ფაქტობრივად მანეთის განმტკიცებაზე ფიქრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათზე არ იყო დამოკიდებული და არა ეროვნული ვალუტის ორგანიზებულად შემოღების საკითხებზე. ასეთი ვითარება არ შეიძლებოდა გაგრ-

ძელებულიყო დიდხანს და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება იძულებული გახდა, რუსეთთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, 1993 წლის აპრილიდან საკუთარი შუალედური ფულის ნიშნები-კუპონები შემოეღო, რამაც მას საშუალება მისცა ფორმალურად მაინც, დროებით დაეფარა უზარმაზარი დავალიანება.

კუპონის შემოღება, მართალია, იძულებითი ღონისძიება იყო, მაგრამ იგი გაუთვალისწინებლად, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე განხორციელდა. ამიტომ კუპონის შემოღებამ ვერ შეასრულა ფულის ნაწილობრივი რეფორმის ფუნქცია და ახლად შემოღებული ფულის ნიშანი ძალიან სწრაფად გაუფასურდა. მისი კურსი მანეთთან შედარებით რუსეთთან შეუკითხავად სუბიექტურად 1:1 თანაფარდობით დაფიქსირდა და კუპონის მიმოქცევაში გაშვებამდე „შე ბაზარზე“ 4:1, ე.ი. 4 კუპონი 1 მანეთს გაუტოლდა. კუპონის მიმოქცევაში ყოველგვარი დამცავი მექანიზმის გარეშე გაშვებამ კუპონი შემოღებისთანავე გასწირა დასალუქავად. კუპონის კურსის სწრაფი დაცემა იმანაც განაპირობა, რომ რესპუბლიკაში ერთდროულად ფუნქციონირებდა კუპონი, საბჭოური და რუსული მანეთი. მოსახლეობამ ვერ შეძლო თავიდანვე დროულად საბჭოური და რუსული მანეთის განსაზღვრული თანაფარდობის საფუძველზე კუპონზე გაცვალა, ამ პროცესის რეგულირების მექანიზმის არარსებობის გამო; მიუხედავად მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოცხადებისა, ასეთი გაცვლა ვერ განხორციელდა, რადგან საბჭოთა და რუსული მანეთის რეალური მსყიდველობითუნარიანობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა კუპონის შესაძლებლობებს. აღნიშნული განაპირობა იმანაც, რომ კუპონი ფულის ვერცერთ ფუნქციას ვერ ასრულებდა თვით საქართველოს ტერიტორიაზე, და ეს მაშინ, როდესაც სამომხმარებლო ბაზარი ფაქტობრივად მთლიანად შემოზიდულ საქონელზე იყო დამოკიდებული.

ინფლაციის შეჩერებისა და სტაბილიზაციის მიღწევის ორი გზა არსებობდა: პირველი, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ფასების ლიბერალიზაციის მეშვეობით გაუფასურებული ფულის მიმოქცევიდან ამოღებით და მეორე, წარმოების სტიმულირება ფულის რეფორმის გატარებითა და პარალელურად ფასების ლიბერალიზაციით. საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა აერჩია რომელი გზით უნდა წასულიყო. პირველი გზა იმჟამად მიზანშეუწონელი იყო, ვინაიდან მთავარი იყო არა მარტო გაუფასურებული კუპონის მიმოქცევიდან ამოღება, არამედ საქონლის წარმოების გაფართოება. მხოლოდ წარმოების გაფართოებით, მისი სტიმულირებით იყო შესაძლებელი ფულის მი-

მოქცევის რეგულირება და არა დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში ფასების ლიბერალიზაცია.

დაგვრჩა ერთი გზა - ეროვნული ფულის ეტაპობრივი შემოღებისათვის გასატარებელ სამუშაოთა დაჩქარება, ფულის რეფორმა და პარალელურად ფასების თანდათანობითი ლიბერალიზაცია მოსახლეობის სოციალური დაცვის დასაბუთებული მექანიზმის გათვალისწინების საფუძველზე.

საქართველოში ფულის რეფორმა მოკლე დროში გატარდა და უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს ფულის რეფორმების გატარების მსოფლიო ისტორიაში. ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებამ მტკიცე საფუძველი შექმნა ქვეყანაში ფინანსური სტაბილიზაციის რეალურად მიღწევისათვის.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანა გახდა ისეთი მოქნილი საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის ისეთნაირ დინამიკას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ისე წარმოების განვითარების სტიმულირება. ამის მიღწევა შესაძლებელია მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარებით, ბანკთა შორის დაკრედიტების განვითარებით, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირებით, საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვით. საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა მიმართულებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება არ ნიშნავს სრულ დამოუკიდებლობის მიღწევას. ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევა. ასე, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს, ისინი ურთიერთს განაპირობებენ, ერთ მთლიანობაში მიზნშედევობრივ კავშირში იმყოფებიან.

ცნობილია, რომ ნებისმიერი პრობლემა ან საკვანძო საკითხის გადაწყვეტა ღრმა ანალიზის გარეშე შეუძლებელია. ამრიგად, საქართველო მოულოდნელად დადგა დიდი დილემის წინაშე, ის აიძულეს მოუშზადებლად გამოსულიყო სამანეთო ზონიდან. რუსეთი კი დაადგა ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რაც შეიძლება უმტკიცვეულოდ ამოედოთ საბჭოური ფულადი ნიშნები, ე.ი. ფული მოეგოთ უხარჯოდ. მას ყოფილმა რესპუბლიკებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, ხოლო საქართველომ სამწუხა-

როდ მოუმზადებლობის გამო შეუწყო ხელი არა მარტო ფულის ამოღებას, არამედ მის გაყინვას და დევალვირებული კურსით ანგარიშების გასწორებას. ალბათ, ბევრისათვის ცნობილია რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის გამონათქვამი, რომ „ყოფილი რესპუბლიკებიდან ამოიღებს მეტს. ვიდრე რუსეთმა გასცაო“. სავალალოა, რომ აღნიშნულ პოლიტიკას ჩვენმა ეკონომიკურმა სტრუქტურებმა არაფერი დაუპირისპირა. მოხდა პირიქით, მთავრობის წარმომადგენლები, ვისაც ეხებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, ექვსი თვის განმავლობაში ჩადიოდნენ მოსკოვში და ეხვეწებოდნენ საქართველოსათვის გარკვეული რაოდენობის ფულის ნიშნები გამოეყოთ. იმას კი ვერ მიხვდნენ სამწუხაროდ, რომ რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკისათვის ფულის ნიშნები უკვე ფულს ფაქტობრივად არ წარმოადგენდნენ. აღნიშნულის გამო ვერ შეძლეს მოექებნათ საპასუხო გზები, კერძოდ, შეეჩერებინათ ფულის გატანა რესპუბლიკიდან და მის საფასურად შეეძინათ საჭირო ნედლეული და პროდუქცია.

მოუფიქრებელმა ღონისძიებებმა კატასტროფიულად დასცა ისედაც დაქვეითებული ეკონომიკა. ფულადი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი დევალუაციის პროცესს დაექვემდებარა, ნაწილი კი კერძო ბანკების, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლის წყარო გახდა. აღნიშნულს ნათლად ადასტურებს ის, რომ რესპუბლიკამ წლის ბოლოს მიიღო გაცემული თანხის საკრედიტო მოგების 40 პროცენტზე ნაკლები, მაშინ, როცა ინფლაციამ 900 პროცენტს გადააჭარბა ე.ი. სხვაობა 850 პროცენტი უგზოუკლოდ „დაიკარგა“.<sup>1</sup>

სამანეთო ზონის რღვევამ განაპირობა ის, რომ კუპონი გამოცხადდა ერთადერთ საგადაამხდელი საშუალებად. ფულის რეფორმის ეს იძულებითი ნაბიჯი წარუმატებელი აღმოჩნდა. აღნიშნულის მიზეზი ის იყო, რომ სახელმწიფო კუპონის ემისიას იყენებდა მზარდი საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად. ამას კუპონის სწრაფი გაუფასურება და ჰიპერინფლაცია მოჰყვა. კუპონი ვერ ასრულებდა გაცვლის საშუალებას და ამიტომ კერძო ფირმები და მათთან ერთად ახლად წარმოქმნილი წვრილი მეწარმეები გარიგებებში კვლავ რუსულ რუბლს იყენებდნენ, ზოლო აშშ დოლარი მოქმედებდა, როგორც ანგარიშსწორებისა და დაგროვების საშუალება. ასეთ პირობებში, როდესაც მიმოქცევაში ბრუნავდა მრავალი სახის ვალუტა, ეროვნულმა ბანკმა ვერ შეძლო მინიმალური ზემოქმედება მოეხდინა ფულის მასის მიწოდებაზე. ფულის მიწოდებისადმი

1. იხ. რ. ციციაშვილი, თანამედროვე ბიზნესი, თბ., 1996, გვ. 220.

უკონტროლობამ გამოიწვია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მექანიზმების დაკარგვა და ამიტომ საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა გახდა აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება, რაც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა. ახალი ეროვნული ვალუტის შემოღება - ლარის სახით მიზნად ისახავდა არა უბრალოდ კუპონის შეცვლას, არამედ ეროვნულ ვალუტას - ლარს უნდა განედევნა როგორც რუსული რუბლი, ასევე აშშ დოლარი ყველა შიდა გარიგებიებიდან.

ლარის შემოღება ძირითადად დასრულდა 1995 წლის დეკემბერში. ახლა გაცილებით ადვილი ხდება ფულად-საკრედიტო სფეროში მოვლენების განვითარებისა და მონეტარული პოლიტიკის დეტალური შეფასება. 1996 წლით ეკონომიკური რეფორმის პროცესის ახალი ფაზა იწყება. ახლა მთავრობისთვის შესაძლებელია ყურადღების გამახვილება სტრუქტურულ გარდაქმნებზე და საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკის მშენებლობაზე სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოში.

1995 წელი ეკონომიკის სტაბილურობისკენ მიმართული მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა. 1995 წლის ბოლო კვარტალში ლარის შემოღების წარმატებამ 1994 წლის ბოლოს სტაბილური გაცვლითი კურსის პოლიტიკით დაწყებული ფულადი რეფორმის პროგრამისადმი სრული ნდობა დაამკვიდრა. 1995 წლის ბოლოს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 5,4 პროცენტით გამყარდა.

ყოველივემ მოითხოვა ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება ქვეყანაში ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ეკონომიკური ეფექტურობისა და ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენების მიმართულებით მიღებული პრაქტიკაა, როდესაც მთავრობის ანგარიშები ცენტრალურ ბანკშია გახსნილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობის ანგარიშთა ნაშთების ზოგიერთ კომერციულ ბანკში არსებობა ართულებს ფინანსურ მენეჯმენტს და აგრეთვე არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს რამოდენიმე კომერციული ბანკის საქმიანობაზე. ნაწილობრივ ასეთი ანგარიშების არსებობის ახსნა შეიძლება გადასახადების აკრეფისა და სამთავრობო ხარჯების ქვეყნის მასშტაბით განხორციელების აუცილებლობით. არსებული საკომუნიკაციო პრობლემების გათვალისწინებით, დღეს, ამ ამოცანების განხორციელება კომერციული ბანკების არსებული ქსელის მეშვეობით უფრო ადვილია, მაგრამ პერსპექტივაში ასეთი პრაქტიკის გაგრძელება არ შეიძლება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ძნელია რაიმე მკაფიო ინფორმაციის მიღება სადეპოზიტო და საკრედიტო განაკვეთების შესახებ. იმ განაკვეთებში, რომლებსაც უდგენენ კომერციული ბანკები საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის ანგა-

რშეშში, რაიშე შკაფიოდ გაშოსატული ტენდენცია არ შეიშწნევა, თუ არ მივილებთ მხედველობაში იშას, რომ მაქსიმალური განაკვეთები რეალურ ტერმინებში უკიდურესად მალალია. 1995 წლის მაისიდან ტარდება საკრედიტო აუქციონები, როგორც საკრედიტო ბაზრის განვითარების ნაწილი, მაგრამ დღემდე, როგორც გარიგების რაოდენობა და მოცულობა, მონაწილე ბანკების რიცხვი მეტად მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. უკანასკნელ პერიოდში საბანკო სისტემაშ სერიოზული ცვლილებები განიცადა იმ დროის შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ბანკები სუსტი საბიუჯეტო შეზღუდვების პირობებში მოქმედებდნენ და გასცემდნენ კრედიტებს სახელმწიფოს მითითებით, საკრედიტო რისკის ყოველგვარი შეფასების გარეშე. ორივე, საქართველოს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკებიც მუშაობის ახალი ფორმებისადმი ადაპტაციის აუცილებლობის წინაშე დადგნენ, როდესაც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ამოცანა წამოყენებულ იქნა როგორც ფინანსური სექტორის რეფორმის მთავარი პირორიტეტი.

საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციების ნორმალურ განხორციელებას სერიოზული სიძნელები შეუქმნა მთელმა რიგმა პრობლემებმა, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მცირე ბანკების სიჭარბე და მცირე კაპიტალიზაცია, სუსტი ფინანსური მენეჯმენტი და საკრედიტო გაანგარშებების შეზღუდული გამოცდილება, სააღრიცხვო-საანგარშებო მდგომარეობის მოუგვარებლობა და სათანადო სარეზერვო ფონდების არარსებობის პირობებში უიშედო სესხების მოცულობის ზრდა, ბანკების გაკოტრება და მოსახლეობის უნდობლობა საბანკო სისტემის მიმართ და სხვ.

კომერციული ბანკები ყოველთვის ეწინააღმდეგებიან მათი საქმიანობის შეზღუდვებს, მაგრამ ცენტრალური ბანკი პასუხს აგებს ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე და ვალდებულია შეზღუდოს კომერციული ბანკების საქმიანობა. რაც უფრო სუსტია ფინანსური სისტემა, მით უფრო ძლიერია შეზღუდვები და რეგულირება.

იქ, სადაც უიშედო სესხების პრობლემა დიდ მასშტაბებს აღწევს, აუცილებელი ხდება ბანკების რეკაპიტალიზაცია. გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფომ თვითონ იკისრა წამყვანი როლი ამ საკითხის გადაწყვეტაში. საქართველოში ამ ვარიანტის განხორციელება შეუძლებელია - უბრალოდ მთავრობას არ გააჩნია ამისთვის აუცილებელი რესურსები. ბანკების რეკაპიტალიზაცია მათთვის ერთ-ერთ პირორიტეტულ ამოცანად რჩება. მაგრამ ამისათვის საჭირო რესურსები ან ბანკის აქციონერებმა უნდა გაიღონ, ან უნდა მოხდეს მათ მიერ დი-

ვიდენდებზე უარის თქმა, ან მოხერხდეს ახალი აქციონერების მოზიდვა, ან კიდევ, გამოიყოს ბანკის სხვა ფონდებიდან.

კარგად რეგულირებადი საბანკო სისტემის პირობებში კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ შესაძლო უიმედო სესხების სარეზერვო ფონდების შექმნა. ამისთვის შემდეგი მექანიზმი გამოიყენება: ხდება საბანკო ოპერაციებიდან შემოსული მოგების ნაწილის ლიკვიდური ფორმით შენახვა, ნაცვლად მისი გამოყენებისა დივიდენდების გასაცემად, ან სხვა საქმიანობაში სარეინვესტიციოდ. იმ შემთხვევაში, თუ ამისთვის საკმარისი მოგება არ არის, მაშინ აქციონერებმა დამატებითი კაპიტალი უნდა გამოჰყონ ამ რეზერვებისთვის. ან კიდევ დახურონ ბანკი. 1995 წლის ბოლომდე არ იყო არავითარი ოფიციალური მოთხოვნები ასეთი რეზერვების შექმნის თაობაზე და ბევრი ბანკი აგრძელებდა აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდას ამ რეზერვების შექმნის გარეშე. ამით აქციონერები თავს არიდებენ პრობლემას და გაუმართლებელი რისკის ქვეშ აყენებენ მენაბრეთა (დეპოზიტორთა) თანხებს.

ქვეყანაში ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების თვალსაზრისით უკანასკნელ პერიოდში ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: სარეზერვო ფულის მოცულობის შემოღება, ოვერდრაფტების კრედიტების გაცემის შეწყვეტა, კრედიტების 50 პროცენტის აუქციონის წესით გაცემა, სარისკო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის კრედიტების გაუცემლობა, საპროცენტო განაკვეთების თანდათანობითი ლიბერალიზაცია, სარეზერვო მოთხოვნების გატარება ყველა ბანკის მიმართ (მათი ლიბერალიზაცია ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში) საბანკო ზედამხედველობის გაძლიერება, ახალი ბანკების გახსნაზე ლიცენზიების გაცემის დროებითი შეჩერება, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ზღვრის გადასინჯვა, ყველა რესურსის უცხოურ ვალუტაში ერ.ონული ბანკისადმი გადაცემა და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა თავის შედეგები გამოიღო ფულის მიმოქცევის რეგულირებისა და ლარის კურსის განმტკიცების მიმართულებით. 1996 წელს აღრიცხული ფულადი მარაგი სწრაფად გაიზარდა. წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებს გარეთ ფულის მოცულობამ მხოლოდ 52 მილიონი ლარით გადიდდა ანუ 42 პროცენტი შეადგინა. რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საბანკო სისტემის გარეთ ფულის მასის გაზრდის შეჩერების მიმართულებით, ვინაიდან ამ შედარებით ნაკლები მოცულობით ფულის მასის ზრდა განპირობებული იყო

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბიუჯეტო დეფიციტის დაკრედიტებით. 1996 წელს მან 186 მილიონი ლარი შეადგინა. სახელმწიფო დეპოზიტები ამავე პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკში 23 მილიონი ლარით გაიზარდა და წმინდა დაკრედიტებამ 163 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების დაკრედიტებას, მისი მოცულობა 12 მილიონი ლარით გაიზარდა და ამიტომ მხოლოდ ნაწილი აისახა კომერციულ ბანკებს გარეთ ფუნქციონირებული ფულის მასის ზრდაში. საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა უცხოური აქტივები 91 მილიონი ლარით შემცირდა, რაც, ამასთანავე, სარეზერვო ფულის 55 მილიონი ლარით გაზრდას ნიშნავს. თბილისის საკრედიტო ბირჟაზე 97 მილიონი აშშ დოლარი გაიყიდა, მაგრამ განსხვავება ამ რიცხვსა და წმინდა უცხოური აქტივების ცვლილებებს შორის აიხსნება სხვა სავალუტო ოპერაციებითა და უცხოური აქტივების, მასთან ერთად ვალდებულებების გადაფასებით, რასაც საფუძვლად დაელო გადაცვლის კურსის ცვლილებები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1996 წელს მიმოქცევაში არსებული ფულის მასა გაიზარდა 54 მილიონი ლარით, ანუ 41 პროცენტით. ეს მაჩვენებელი ოდნავ ჩამორჩება სარეზერვო ფულის ზრდის მაჩვენებელს, აღნიშნულის მიზეზია საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების დეპოზიტების ზრდა. როგორც ვხედავთ კომერციულ ბანკებს გარეთ ფული შედარებით ოდნავ ნაკლებად გაიზარდა, ვინაიდან გაიზარდა კომერციულ ბანკებში არსებული ნაღდი ფულის მოცულობა.

ჩვენს რესპუბლიკაში კომერციული ბანკები, სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში, წარმოადგენენ მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაციებს, მათ ჯერჯერობით არ შეუძლიათ ფართო მასშტაბით თავიანთ საქმიანობაში დანერგონ ისეთი ოპერაციები, როგორცაა ფასიანი ქაღალდების გამოშვება-გაყიდვა, ლიზინგი, ფაქტორინგული პროცესები. ინფორმაციული და საკონსულტაცირო ტიპის მომსახურებები და სხვა, რასაც ახლო მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

კომერციული ბანკების მარკეტინგული აქტივობა უშუალო კავშირშია მთელი საბანკო სისტემის სტრატეგიულ ამოცანებთან და, აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის. საბანკო სისტემის სრულყოფისა და სტრატეგიული მიმართულებების ცხოვრებაში გატარება მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

კომერციული ბანკების მუშაობაში წარმატების საწინდარია, მისი სტრატეგიული, ანუ პერსპექტიული მოღვაწეობის პროგრამის შექმნა, რომლის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ბანკის სწორი სტრუქტურული, რაციონალური ორგანიზაცია და ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა. კომერციული ბანკების გაელენის სფეროს გასაფართოებლად და მისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად, ბანკის მოღვაწეობაში პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საბანკო მენეჯმენტსა და მარკეტინგს, ანუ საბანკო საქმის სწორ ორგანიზებასა და მეცნიერულად დასაბუთებას, აქტიურ რეკლამირებას. ასევე ბანკის ლიკვიდურობის კოეფიციენტების ნორმატიული მონაცემების უცილობელ დაცვასა და მისი სიდიდეებზე ყოველდღიურ მკაცრ კონტროლს.

კომერციული ბანკების სიცოცხლისუნარიანობის, მათი მოგების შემავსებელი წყაროს გაზრდისათვის, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ ინტეგრაციას საზღვარგარეთულ ბანკებთან, საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნას და სავალუტო ოპერაციების წარმოებას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე, უცხოური ფირმების სახსრების მოზიდვას. კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიჩინოს სამარკეტინგო აქტივობა ბანკის პასიური ოპერაციების შედეგიანობის ამაღლებისათვის და მოზიდული სახსრების ეფექტიანი განთავსებისათვის, მათი საკრედიტო, სალიზინგო და ფაქტორინგული ოპერაციების გაფართოებისათვის.

ქვეყნის მასშტაბით ფულის მიმოქცევის გაუმჯობესება და მასთან ერთად წარმოების ამოქმედებით ეროვნული ვალუტის - ლარის კურსის, მისი მსყიდველობითუნარიანობის რეალურად განმტკიცება მნიშვნელოვანი პირობაა ეროვნული ვალუტის კონვერტირების თანდათანობით ეტაპობრივი პროცესის განხორციელებაში.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირის წევრ ქვეყნებს შორის 1994 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის შექმნის შესახებ, ხოლო 1995 წელს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი რეალიზაციისათვის შეიქმნა საგადასახადო და საბაჟო კავშირები, ასევე სახელმწიფოთაშორისო სავალუტო კომიტეტი. სავალუტო კავშირის შექმნა შეუძლებელია ეკონომიკური კავშირიდან მოწყვეტით, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს საქონლისა და მომსახურეობის ბაზრის ფორმირებას სამუშაო ძალისა და კაპიტალების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავალუტო ინტეგრაციის პროცესი ეკონომიკური და სავალუტო კავშირების შედეგი უნდა გახდეს. სავალუტო უნიფიკაციის განვითარება გულისხმობს თავის თავში ერთიან

სანგარიშსწორებო ფულის ერთეულს და მასთან ეროვნული ვალუტების კურსის შეთანხმებას. მართალია, აღნიშნული წარმოადგენს აუცილებელს. მაგრამ არასაკმარის პირობად უნდა ჩაითვალოს ასეთი კავშირის შექმნისათვის. თანამედროვე ეტაპზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ეკონომიკაში რთული სიტუაცია არსებობს, რაც, თავის მხრივ, აძნელებს ვაჭრობისა და ანგარიშსწორების ურთიერთმისაღებ პირობებს. ერთი შეხედვით მიზანშეწონილი ზდება ორმხრივი საკლირინგო ანგარიშსწორების განვითარება, რომელიც გარეგნულად მოხსნის სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობებს, მაგრამ მას აქვს უარყოფითი მხარეც, კერძოდ. გამოიწვევს ვაჭრობის დეფორმაციას, ხელს შეუწყობს არა ფასებით, არამედ სახალხო მეურნეობრივი დანიშნულებით საქონელგაცვლის ნატურალიზაციას, გამოიწვევს ხელოვნურად სახელშეკრულებო ფასების წარმოშობას, ცალკეულ ქვეყანას, აქტიური საღლოს პირობებში, არ მისცემს საშუალებას შეიძინოს საჭირო საქონელი მისთვის მიზანშეწონილ სხვა სახელმწიფოში. ასე, რომ აუცილებელია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს რუსულ მანეთსა და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში შემავალ ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს შორის სრულ, თანაბარ პირობებში ურთიერსკონვერტირებას. ეს მეტად რთული პროცესია და მოითხოვს მის მიმართ დიდი სიფრთხილის გამოჩენას, უარყოფითი და დადებითი შედეგების სწორად შეჯერებას, ვინაიდან მას შეიძლება მოჰყვეს დადებით შედეგებთან ერთად გამოუსწორებელი უარყოფითი შედეგები. განვიხილოთ ორივე ვარიანტი, რომ შევაფასოთ განვლილი ისტორიული პერიოდის რეალური გაანალიზების საფუძველზე პერსპექტივაში მოსალოდნელი მოვლენები.

პირველი ვარიანტი ითვალისწინებს ფუნქციონირებად მანეთის შენარჩუნებას მთელს ეკონომიკურ სივრცეში, იმ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ერთიანი ეკონომიკური გაერთიანების შექმნაზე, მიმოქცევაში მყოფი მანეთის გამოყენებით. ამ ვარიანტის გარეგნული უპირატესობა და რეალური უარყოფითი შედეგები შეიძლება სქემატიურად ასე ჩამოვყავალიბოთ: ჯპრ მრთი, სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმებით ერთიანი ვალუტის მანეთის გამოყენება ამარტივებს საერთაშორისო ანგარიშსწორებას და არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს; მმრპ, ერთიანი ეკონომიკურ სივრცეში საერთო ვალუტის, მანეთის შედარებით წარმატებით გამოყენება შეიძლება მხოლოდ მისი ემისიის მკაცრად დაცვის პირობებში, რაც დღევანდელ პირობებში გამორიცხულია; მმსამ, აღნიშნული ვარიანტი შეიძლება რესპუბლიკის

მიერ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ეროვნული ვალუტის შექმნის წინამძღვრების დაჩქარების, ეკონომიკის დროებითი სტაბილიზაციის მიღწევისათვის. საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთშეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა მკაცრი დაცვის პირობებში; მმრთსმ, საერთო ვალუტის, მანეთის გამოშვების უფლება არ შეიძლება მიეცეს ეკონომიკურ გაერთიანებაში შემავალ რომელიმე ერთ სუვერენულ ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, ვინაიდან არაა გამორიცხული საემისიო პოლიტიკის განხორციელებისას ეს უპირატესობა მიენიჭოს იმ სუვერენულ სახელმწიფოს, რომელსაც იგი მიეკუთვნება; მმსუთმ, სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებით შეუძლებელია ერთი სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტის დაკრედიტების პირობების გამორიცხვა მეორე სახელმწიფოს ბიუჯეტის საზიანოდ; რასაც ვალუტის საერთო გაუფასურება შეიძლება მოჰყვეს მთელ ეკონომიკურ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიებზე; მმმშმსმ, ერთიანი ვალუტის - მანეთის ემისიის საქმიანობის უპირატესობა რუსეთმა ნებაყოფლობით, რომ დათმოს, ვფიქრობ, რეალობას არის მოკლებული. ამასთანავე, იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ვალუტის უზრუნველყოფა მომავალში შეიძლება ურთიერთუჭვების გაძლიერების საბაზი გახდეს და, საბოლოო ჯამში, წარმოშობს ცენტრალურ ძალებს, რომელიც ადრე თუ გვიან ეკონომიკურ გაერთიანებას დაანაწევრებენ, მათზე ზემოქმედების გასაძლიერებლად; მმშმმმ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მრავალი გატარებული ღონისძიებებისა, მანეთი მაინც ვერ გახდა კონვერტირებული, კონკრეტულად როდის გახდება არავინ იცის და, ამასთანავე, მანეთის მიმოქცევა თავის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ემორჩილებოდა ფულის მიმოქცევის ობიექტურად აუცილებელ კანონის მოთხოვნებს; მმრშმ, ასევე არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი ეტაპის სტადიაზე, მნიშვნელოვნად განიცდის საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, კერძოდ, რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ზემოქმედების უარყოფით გავლენას და, აქედან გამომდინარე, ერთიანი, ეკონომიკური სივრცის ვალუტად მანეთის მიღება სერიოზული შეცდომა იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკისათვის, დაბოლოს, მმცხრმ, ამრიგად, საკუთარი ეროვნული ვალუტით მანეთის შეცვლის საკითხის პრინციპულად გადაწყვეტა - ეს მხოლოდ პირველი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში, მაგრამ არანაკლებ გადამწყვეტია ეროვნული ვალუტის კონვერტირების პირობების გააზრებული შემუშავება და

პრაქტიკულად თანდათანობითი განხორციელება, წინასწარ მოსალოდნელი დროებითი უარყოფითი შედეგების გათვალისწინების საფუძველზე.

ფულის კონვერტირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფულის კონვერტირება ხანგრძლივ პროცესს მოიცავს და არ შეიძლება მხოლოდ სამთავრობო გადაწყვეტილებებით მისი მიღწევა.

გაეიხსენოთ ჯერ კიდევ 1961 წელი, როდესაც შემოდებულ იქნა მანეთის ახალი კურსი და დადგა საკითხი მანეთის კონვერტირების შესახებ. მაშინ ბევრს მსჯელობდნენ იმაზე, რომ მანეთმა თითქოს გამოდევნა დოლარი საერთაშორისო ბაზრებიდან. „საბჭოთა მანეთის ობიექტური ანალიზი გვიჩვენებს, - წერდა ი.იზენბერგი, რომ შეიძლება გაეაკეთოთ დასკვნა, საბჭოთა მანეთის დოლართან შეჯიბრებაში მანეთი გაიმარჯვებს“.<sup>1</sup> კონვერტირების საკითხისადმი ობიექტურმა მიდგომამ 90-იან წლებში ბევრი გაურკვეველობა შეიტანა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაგზავნილ იქნა ადგილებზე შესაბამის დაწესებულებებში წერილები ვალუტის კონვერტირების შეახებ და ამით რთული პრობლემის მარტივად გადაწყვეტის იმედი გაუჩინა ზოგიერთს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მანეთის კონვერტირება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას, მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნების ფარგლებში წარმოადგენდა. თუმცა ამის მიღწევა უფრო რთული იყო, ვიდრე მანეთის კონვერტირების მიღწევა დასავლეთის ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში. მაგრამ ის რაც ვერ გაკეთდა ამ ქვეყნებში, ადვილად იქნა მიღწეული როგორც საქართველოში, ისე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების მნიშვნელოვან ნაწილში, ადგილებზე არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წყალობით.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერთი ვალუტის მეორეზე კონვერტირების პირობაა მათი შეუფერხებელი ურთიერთგაცვლა, ანუ თითოეული მათგანის სასაქონლო პროდუქტებით უზრუნველყოფა.<sup>2</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ სხვა ვალუტებთან კონვერტირების საკითხს გადავწყვეტდეთ, აუცილებელია მივადწინოთ საკუთარ ქვეყანაში ფულის მიმოქცევის სიმტკიცეს. ეროვნული ვალუტის კონვერტირების ქვეშ იგულისხმება ოქროში ეროვნული ვალუტის დახურდავების თავისუფლება, ხოლო დღევანდელ პირობებში ეროვნული ვალუტის კონვერტირების მთავარ ნიშანს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტებით, წარმოად-

1. იხ. Айзенберг И.П. Валютная система СССР, М., 1962. стр. 151.  
2. იხ. გ. ხელაია, ინფლაცია, როგორ უმკურნალოთ, თბ., 1994, გვ. 38.

გენს სავალუტო შეზღუდვის დონე.

საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ცნებები მყარი ვალუტა და კონვერტირებადი ვალუტა. მყარი ვალუტის ცნების ქვეშ იგულისხმება. უპირველეს ყოვლისა, მყარი, ან ამაღლებული საბაზრო კურსისა და შესაძლებლობითუნარიანობის მქონე ვალუტა. მყარი ვალუტა შიდა ბაზარზე არ საჭიროებს ფულის მიმოქცევაში ფულის სხვადასხვა სუროგატებს და მით უმეტეს უცხოურ ვალუტებს. მყარი ვალუტა ყოველთვის წარმოადგენს კონვერტირებადს, ან „ღიას“, ხოლო კონვერტირებადი ვალუტა შეიძლება იყოს „რბილი“ მისი კურსის თანდათანობითი დაცემის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, კონვერტირება არ შეიძლება იყოს ეკონომიკური წარმატებების მიღწევის უპირობო წანამძღვარი. უნდა განვასხვავოთ, ასევე ერთმანეთისაგან საგარეო, სრული და ნაწილობრივი კონვერტირება. სრული კონვერტირება გულისხმობს სავალუტო შეზღუდვის არარსებობას, როგორც მიმდინარე, ასევე ფინანსურ ოპერაციებში. ნაწილობრივი კონვერტირების დროს შემორჩენილია ამა თუ იმ ფორმით ვალუტის შეზღუდვა. შიდა კონვერტირების ქვეშ ჩვეულებრივ გულისხმობენ რეზიდენტების მიმართ შეზღუდვის არარსებობას, ხოლო საგარეო კონვერტირების დროს - არარეზიდენტებისათვის შეზღუდულობას.

რამდენადაც ახლო პერსპექტივაში არ შეიძლება საქართველოს ეროვნული ვალუტის საერთაშორისო არენაზე გასვლაზე ლაპარაკი, ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა შიდა კონვერტირების მოდიფიცირებულ ფორმების შემოღება, კერძოდ, გამოქვეყნებული ვალუტის გამოყენებაში სრული თავისუფლების დაშვება. ეროვნული ვალუტის კონვერტირების ანალიზის სწორი გაგებისათვის საჭიროა მივმართოთ იმ ქვეყნების გამოცდილებას, სადაც დიდი ხანია არსებობს კონვერტირებადი ვალუტა.

ეროვნული ვალუტის კონვერტირება ფართო გაგებით გულისხმობს ქვეყნის შიდა ბაზრის მსოფლიო ბაზართან პირდაპირი კავშირის მექანიზმს, რომელიც ნიშნავს ორმხრივი კლირინგისაგან განსხვავებით, ვაჭრობის მრავალმხრივ ხასიათს და საგარეო კონკურენციისათვის ღია ეკონომიკის სათანადო დონეს. ასევე უნდა გათვალისწინებულ იქნეს ისიც, რომ კონვერტირება, თავის მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკის განსაზღვრული ტიპის დახასიათებას, რომელიც არ შეიძლება შეიქმნას ერთჯერადი სამთავრობო გადაწყვეტილებების საფუძველზე. იგი ემყარება საგარეო ეკონომიკური კავშირების ორგანიზაციის სისტემას. ეკონომიკის განსაზღვრულ ხასიათსა და მდგომარეობას. ძირეულად არასწორია კონვერტირებადად ჩაითვალოს ერთი ვალუტის მეორეთი გაცვლის თავისუფლება თანამედროვე

ეტაჰზე, ვინაიდან, ჯპრ მართი, ეს ცენტრალიზებული სავალუტო დაგეგმვა უფრო არის და ამიტომ ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთ გაცვლას „გეგმური კონვერტირება“ უფრო შეიძლება ეწოდოს, და მმორმ, მართალია, კონვერტირებასა და კონვერსიულ ოპერაციებს გრამატიკული თვალსაზრისით ერთნაირი ფუძე აქვთ, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით კონვერტირება არ დაიყვანება ვალუტის კონვერსიაზე.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა კონვერტირებადი ვალუტა. 1947 წელს დიდმა ბრიტანეთმა სცადა ფუნტი-სტერლინგის კონვერტირება შემოეღო, მაგრამ მარცხი განიცადა. წამყვანმა დასავლეთის კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოს შეძლეს მიმდინარე ოპერაციებში უცხოური ვალუტის შეზღუდვის დაშვება.

თანამედროვე პირობებში 17 ქვეყანამ 154 ქვეყნიდან, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია, მთლიანად შეცვალა სავალუტო შეზღუდვები. ესენია: აშშ, გფრ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, კანადა, ნიდერლანდები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჰონკონგი, სინგაპური, მალაზია და არაბეთის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები. ამასთანავე, 60 სახელმწიფომ ძირითადად ლიკვიდაცია გაუკეთა მიმდინარე ოპერაციებში ვალუტების შეზღუდვას, ხოლო დანარჩენმა ვალდებულება აიღო, რომ ამ მიმართულებით წარმართოს მუშაობა.

კონვერტირების პოზიტიური მხარე ნათლად ჩანს წარმოების ზემოქმედებაზე, რაც ვლინდება საგარეო კონკურენციისა და უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლით, გამყიდველებსა და მყიდველებს შორის შიდა და საგარეო ბაზრების მიმართ შერჩევის შესაძლებლობების გაფართოებით. ყოველივე აიძულებს მწარმოებლებს იყვნენ ეფექტურნი, კონკურენტუნარიანი, ტექნოლოგიურად ძლიერნი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კონვერტირების დროს არ არის გამორიცხული ნეგატიური გამოვლენებიც, რამდენადაც „ღია ეკონომიკა“ გულისხმობს საგარეო ზემოქმედების გაძლიერებას, ამიტომ შეიძლება გამოიწვიოს პირველ ხანებში ეკონომიკაში დროებითი დესტაბილიზაციაც.

ეროვნული ვალუტის კონვერტირების ეტაპების თეორიულ დამუშავებას არა აქვს აზრი, თუ არ არსებობს პრინციპული ეკონომიკური რეფორმების გატარების დეტალური სტრატეგია. ეროვნული ვალუტის კონვერტირებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც იგი დაკავშირებული იქნება რეალურ ეკონომიკურ რეფორმებთან და, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ვალუტაზე ფულის ყველა

ფუნქციების დაბრუნებასთან, რაც განვითარებული ბაზრის შექმნის ტოლფასი იქნება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ეროვნული ვალუტის კონვერტირების შემოღების გრაფიკის განსაზღვრა, მაგრამ შეიძლება ჩამოვყალიბოთ გასატარებელი ღონისძიებები სამი მიმართულებით: საერთო-ეკონომიკური მიმართულებით - ეს არის სახელმწიფოსთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის როლის შემცირება საბაზრო სექტორის თანდათანობით განვითარებაში, დემონოპოლიზაცია, მართვის ეკონომიკური რეგულირების მეთოდებზე გადასვლა, ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის სრული თავისუფლების მინიჭება, ეკონომიკის მიზანმიმართული სტრუქტურული ცვლილებები, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საფუძველზე „ღია ეკონომიკაზე“ თანდათანობით გადასვლა; პრაქტიკულად აღნიშნული ღონისძიებების გატარება გულისხმობს: სახელმწიფოს, ბანკების, საწარმოთა ფულადი საშუალებების ერთმანეთისათვის გამოყოფას, ეროვნული ბანკის და ფინანსთა სამინისტროს ფუნქციონალური მოვალეობების გადასინჯვას, საგადასახადო სისტემის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე სრულყოფას, ბანკების კომერციალიზაციას, ბანკთა შორის კონკურენციის განვითარებას, ნამდვილი ფინანსური ბაზრის ფორმირებას (ფულადი, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის), კომერციული კრედიტის განვითარების საფუძველზე კაპიტალის „პორიზონტალური“ გადასვლის უზრუნველყოფას, ფულის ემისიისა და ფულის მიმოქცევის მექანიზმის ჩამოყალიბებას.

საგარეო ეკონომიკური მიმართულებით - საგარეო ვაჭრობის ადმინისტრაციულ რეგულირებაზე უარის თქმა, ახალი საბაჟო პოლიტიკის დამუშავება, იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებების გაფართოება, საგარეო კავშირებში სპეციალიზირებული, კომერციული და კოოპერატიული ბანკების ჩართვა.

სავალუტო მიმართულებით - სახელმწიფოს როლის შემცირება ვალუტის განაწილებაში, იურიდიული პირების სავალუტო დამოუკიდებლობა, საგარეო სავალუტო და საკრედიტო ოპერაციების დემონოპოლიზაცია, სავალუტო შეზღუდვების თანდათანობითი შემცირება, ეროვნული ფულის კურსის დადგენის სახელმწიფო მექანიზმის შექმნა.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს არა ერთმანეთისაგან მოწყვეტით. არამედ კომპლექსურად, ერთმანეთის მიმართ პარალელურად. ეროვნული ვალუტის კონვერტირების ანალიტიკური სქემა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. კონვერტირების ელემენტები: მოქნილი საბაზრო კურსი, რომელიც რეგულირებას უკეთებს და გამოხატავს მოთხოვნა-მიწოდებას შორის თანაფარდობას; სავალუტო შეზღუდვის არარსებობა მიმდინარე და საფინანსო ოპერაციებში; არარეზიდენტების უფლება განახორციელონ ეროვნული ვალუტით ოპერაციები.

2. მსოფლიო ბაზართან კავშირის რეგულირება: შესაბამისი ვაჭრობა და საბირჟო პოლიტიკა; ფულად-საკრედიტო პოლიტიკა - ეროვნული ვალუტის კურსის რეჟიმი და მისი მხარდაჭერის ფორმები, სავალუტო კონტროლი და ა.შ.

3. საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტები: საბაზრო ურთიერთობების რეგულირება და სახელმწიფო მონაწილეობა ეკონომიკის მართვაში; ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა (ფინანსური ბალანსირება, ანტიინფლაციური ღონისძიებები, ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის მხარდაჭერა). სხვაგვარად კონვერტირების სქემა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ბაზარი (საქონლური და ფინანსური), ეკონომიკური პოლიტიკა (ეკონომიკის რეგულირება, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა), სავალუტო პოლიტიკა (კურსი, რეგულირება, ბაზარი და ა.შ.).

ამრიგად, ქართული ეროვნული ვალუტის კონვერტირება, გულისხმობს უპირველეს ყოვლისა შინაგან ბაზართან ერთად, საგარეო ეკონომიკური კავშირების რეჟიმის დინამიურად განვითარებას, რაც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ეფექტური წარმოების, კონკურენტუნარიანი ექსპორტის და აქტიური საგადასახდლო ბალანსის ჩამოყალიბების საფუძველია.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული ვალუტის - ლარის კონვერტირებად ვალუტად გახდმისათვის წინამძღვრების ეტაპობრივი მომზადებისათვის, ქვეყანაში ფულის მიმოქცევის განმტკიცებისა და სტაბილიზაციის მიღწევისათვის, პირველ რიგში ეროვნულმა ბანკმა მთავრობის მხარდაჭერით, უნდა გაატაროს ხანგრძლივი პერიოდისათვის გაანგარიშებული ფულადი პროგრამა, რომ უზრუნველყოს მოსახლეობის ნდობა ლარისადმი. ასევე მკაცრი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მხარდასაჭერად მკაცრი ლიმიტირება უნდა განახორციელოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსირებაში.

ფულადი მასისადმი არაპირდაპირი კონტროლის მექანიზმების გამოვლენამდე საჭიროა ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს პირდაპირი კონტროლი კომერციულ ბანკებზე გაცემული კრედიტების გამოყენებაში, კრედიტზე განაკვეთების რეგულირების გზით. საპროცენტო განაკვეთების მიმართ აქტიური ღონისძიებები უნდა გადაიქცეს რესურსების განაწილებაში მთავარ ამოსავლად. ამასთანავე კრუ-

ლიტების მასისადმი მართვა და ფულის მიმოქცევის რეგულირება უნდა განაზო-  
ციელოს საყოველთაოდ ცნობილი მექანიზმებით, როგორცაა: ჯერ ერთი, აუცი-  
ლებელი რეზერვების ნორმა; მეორე, სახელმწიფოს ვალობრივი ვალდებულებების  
ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ეროვნული ბანკის მიერ ოპერაციები; მესამე, ცენტ-  
რალიზებულ კრედიტებზე განაკვეთების განსაზღვრა, რომლებიც წარიმართება  
საკრედიტო აუქციონზე.

ამგანად ჩვენთან აუცილებელი რეზერვების მოქმედი ნორმა არაეფექტურია.  
მიუხედავად იმისა, რომ ამ რეზერვების ნორმა საკმაოდ მაღალია, ბანკები მაინც  
თავისი ინიციატივით აჩერებენ რეზერვში მნიშვნელოვნად მეტ ფულად საშუალე-  
ბებს დაწესებულ ნორმასთან შედარებით და საბანკო სისტემაში წარმოიშობა ზე-  
ლიკვიდობის მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია ყველა პოსტსოციალისტუ-  
რი ქვეყნების ეკონომიკისათვის. ასეთ ვითარებაში ყველაზე ეფექტურს წარმოად-  
გენს როგორც ეს ბევრ უცხოელ მკვლევარს მიაჩნია, ის რომ გამოყენებულ იქნას  
ფართო მასშტაბით ფულის მიწოდების რეგულირების მეთოდი. საქმე ეხება სა-  
ხელმწიფოს სავალო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვას. აღნიშნულს მოწმობს იმ  
ქვეყნების გამოცდილებაც, რომლებსაც არ გააჩნიათ თავისი ბიუჯეტის დაფინან-  
სების სხვა გზები, გარდა ღია ბაზარზე შესაბამისი ფასიანი ქაღალდების გაყიდვისა.  
ჩვენთან ასეთი ბაზარი ვითარდება მეტად ნელა და ამიტომ რამდენადმე არსებითი  
მნიშვნელობა, ფისკალური, საფინანსო პოლიტიკისა და ფულის მიმოქცევის რეგუ-  
ლირების თვალსაზრისით, არ გააჩნია, ერთადერთი ქვეყანა ყოფილს სოციალის-  
ტურ ქვეყნებს შორის, სადაც ასეთი ბაზარი სათანადოდ არის განვითარებული და  
ბიუჯეტის დეფიციტი ფინანსირდება კლასიკური ფორმით - ეს უნგრეთია.

ჩვენს ქვეყანაში რეფინანსირების განაკვეთი ფუნქციონირებს არსებითად სხვა  
ხასიათით, როცა საქმე გვაქვს ცენტრალიზებულ კრედიტთან, რომელიც ნაწილ-  
დება კომერციულ ბანკებს შორის. მთავარი პრობლემაა ის, რომ ცენტრალიზებული  
კრედიტი მომავალში ალბათ არ უნდა გაანაწილოს ეროვნულმა ბანკმა. პრაქტიკა  
გვიჩვენებს, რომ უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფოს გაენაწილებინა ცენტრალი-  
ზებული კრედიტი და ამასთანავე გარანტია გაეწია კომერციულ ბანკებში ასეთი  
კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფოს მიერ შეღავათიანი კრედიტის გაცემის შემთხვევაში, მას შეუძ-  
ლია, რომ სუბსიდირება მოახდინოს შესაბამისი საკრედიტო განაკვეთის და მაშინ  
ბანკები მიიღებდნენ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, ხოლო კრედიტების მიმ-  
ღებნი გადაიხდიდნენ ნაკლებს მთავრობის სუბსიდიების ხარჯზე. ყოველივე მოხს-

ნიდა წინააღმდეგობებს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, საერთო ჯამში ხელს შეუწყობდა ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებასთან ერთად წარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, წარმოების ამოქმედებისათვის კრედიტების მიზნობრივ გამოყენებას.

რასაკვირველია, ასეთი ვარიანტის რეალიზაცია დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობებთან და ამიტომ პირველი შეხედვით მოგვეჩვენება, რომ უმჯობესია ფული მხოლოდ გაიცეს ეროვნული ბანკიდან. მაგალითად, ჩეხეთმა და სლოვაკიამ უარი თქვეს ეროვნული ბანკიდან ცენტრალიზებული კრედიტის გაცემაზე და ამასთანავე გამოიყენეს ისეთი მექანიზმებით, რომლებიც ჩვენთან ინერგება მეტად დაბალი ტემპით და ამასთანავე მხოლოდ ნაწილობრივად. მხედველობაში გვაქვს ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის წესით ფულის გაყიდვა კომერციულ ბანკებზე. პოსტსოციალისტური სახელმწიფოების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია სრული ზომით გამოყენებულ იქნეს ფულის მიწოდების რეგულირება კლასიკური მექანიზმებით და იძულებულნი არიან შემოიღონ ახალი ინსტრუმენტები. ამიტომაც, რომ ეროვნული ბანკის მიერ ფულის აუქციონის წესით გაყიდვა დღევანდლობისა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დაკმაყოფილების საპეციფიკური რეალობაა.

თანამედროვე პირობებში, სახალხო მეურნეობაში საბრუნავ საშუალებათა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები მიეკუთვნება, კომერციული დაკრედიტების თვალსაზრისით, დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებას. აღნიშნულის შედეგად იქმნება „საწარმოთა არგადახდების რგოლი“, რომელიც იფარება საბანკო დაკრედიტებით ან საკრედიტო დავალიანების საფუძველზე, რომლის ხვედრითი წილი აჭარბებს საბრუნავი საშუალებების ყველა წყაროს. ამის შედეგად მოკლევადიანი დაკრედიტება უფრო დიდია ძირითადი და საბრუნავი ფონდების საშუალო ღირებულებაზეც კი, ხოლო კრედიტის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად მცირეა საკრედიტო დავალიანების მოცულობასთან შედარებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო მეურნეობაში დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების თანხაც არ არის რეალური და ამ ვალებში დამალულია სხვადასხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისები, უყარათიანობის ფაქტები და სხვა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ვალების ტრანსფორმირება უნდა განხორციელდეს თამასუქების სისტემის მეშვეობით.

მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში ფულის მასის არასაკმა-რისობა კოპენსირდება საწარმოთა საკრედიტო ემისიის მეშვეობით არგადახდების

ზრდის ფორმით. ამან გამოიწვია ის, რომ ადგილი აქვს არგადახდების წინ გაშსწრებ ტემპებს საკრედიტო დაბანდებების ზრდასთან შედარებით. განსაკუთრებით უკანასკნელ 1995-1996 წლებში საკრედიტო დაბანდებების ზრდას მნიშვნელოვნად უსწრებს არგადახდების ზრდა. ვალი რამდენჯერმე მეტად აღემატება საკრედიტო დაბანდებების მოცულობას. აღნიშნულის მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო ორგანოების ხელმძღვანელები, ჯერ კიდევ ფოტოგრაფირებას უკეთებენ რა რუსეთის მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სქემას, არ ფიქრობენ გატარებული ღონისძიებების საბოლოო შედეგებზე. საქმე იმაშია, რომ რუსეთში მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების პარალელურად შექმნილი იქნა რეგულირების სხვადასხვანაირი ფინანსური ინსტრუმენტებიც, როგორცაა: ოქროს სერტიფიკატები, სავალუტო სერტიფიკატები, მუნიციპალური სახაზინო ვალდებულებები, მუნიციპალური ობლიგაციები, საშემნახველო სესხები და ა.შ. ამასთანავე ნაწილობრივ რომ შემცირებულიყო არგადახდების მოცულობის ზრდა გამოყენებული იქნა თამასუქების მიმოქცევა. ჩვენთან კი ამ მიმართულებით, რომ შეჩერებულიყო არგადახდების მოცულობა ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ფულის მიმოქცევის განმტკიცების საფუძველზე, საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში სტაბილიზაციის მიღწევისა და ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებაში.

## I. სტრატეგია

დასკვნა-რეკომენდაციები წარმოადგენს ნაშრომის ცალკეულ თავებში გაანალიზებული საკითხების საფუძველზე შემაჯამებელ განზოგადოებულ წინადადებების კრებულს.

1. საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა გულისხმობს: ჯერ ერთი, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევას და მეორე, საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლისათვის პირობების მომზადებას. აღნიშნული პროცესები ერთმანეთისაგან მოწყვეტით კი არ მიმდინარეობს, არამედ ერთმთლიანობაში იმყოფებიან და ურთიერთს განაპირობებენ.

2. საქართველო გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ფინანსების საბაზრო ორიენტაციის განვითარების თვალსაზრისით, პრაქტიკულად უფრო შორს წაივია, ვიდრე ფინანსების თეორიების ეროვნული კონცეფციის მეცნიერული დამუშავებით. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ფინანსების თეორიების მეცნიერული დამუშავება კი არ უსწრებს პრაქტიკას, არამედ არსებული პრაქტიკის, უკვე მომხდარი ფაქტების ახსნით იფარგლება, რაც ასუსტებს ფინანსების თეორიების პრობლემების სრული დამუშავების ეფექტურობას, პერსპექტივაში ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მიმდინარეობის წინასწარ განსაზღვრას.

3. არავითარი გამზადებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოდელი საქართველოსათვის არ გამოდგება, თუ არ იქნა გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკური თავისებურებების სპეციფიკა, ხალხის მიერ შერჩეული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის ეკონომიკური წყობილება. მხედველობაში გვაქვს კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებებისათვის ყველა ის დადებითი ნიმუშები, რომლებიც შერეული ეკონომიკის სახით ხალხის ისტორიულ თავისებურებებს, ეკონომიკურ ინტერესთა ერთობლიობასა და ეკონომიკის ტრადიციულად ჩამოყალიბებულ სპეციფიკას მიესადაგება, ვინაიდან სოციალისტური სტრუქტურებიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამოცდილება გამზადებული სახით ამჟამად არ არსებობს და რაც არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისიც დახვეწას მოითხოვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე. აღნიშნულს არც უცხოელი სპეციალისტები და ექსპერტები უარყოფენ.

დღეს მთავარია შერეული, მრავალწობიანი, სოციალური მიმართულების, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ამოცანების ჩამოყალიბება, მასში ფინანსების როლის განსაზღვრა და საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის ოპტიმალური ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირება.

4. ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევისათვის უპირველეს მიზანს წარმოადგენს კრიზისის შეჩერება, წარმოების განვითარებასთან ერთად ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაცია და საქართველოს შინაგანი რეზერვების შენარჩუნება, მათი გამოვლენა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ჩართვა, მისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ამ მიზნებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს მთავარი ამოცანები: ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება, საქართველოს მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მმართველი ფაქტორების განსაზღვრა, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის კომპლექსური გზების გამოვლენა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებასა და ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევაში.

დასახული მიზნებით განპირობებული ამოცანების შესასრულებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება:

## II. ეკონომიკური და სტრატეგიული რეფორმების პროგრამა 1997-2000 წლებისათვის

5. ეკონომიკური პოლიტიკა უპერსპექტივოა, თუ იგი არ შეიცავს ფინანსების განვითარების ძირითად კონცეფციებს, ასევე უპერსპექტივოა ფინანსების ძირითადი კონცეფციები და გამოყენების მიმართულებები, თუ ისინი არ არიან გამაგრებული სახელმწიფოს პრაქტიკული მოქმედებით, კვლავწარმოების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მეცნიერება შეისწავლის არა მარტო ფინანსებს, როგორც აბსტრაქციას, ეკონომიკურ კატეგორიას, არამედ მათი შექმნის და გამოყენების ორგანიზაციას - საფინანსო პოლიტიკას. ფინანსების ფუნქციები თავისთავად არ ხორციელდება. იგი სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკაში ვლინდება დასახული ეკონომიკური მიზნიდან გამომდინარე. ფინანსების არსი მათ ფუნქციებში გამოიხატება, ხოლო პრაქტიკულად

საფინანსო პოლიტიკით ხორციელდება, რომლის ეკონომიკური შინაარსია სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასაულების რაციონალური ორგანიზაცია. ამ განმარტებაში ასახულია ფინანსების ცნებაც, კელევის მეთოდოლოგიაც და ფუნქციების განხორციელების პრაქტიკულ შესაძლებლობებთან ერთად, მათი მიზნობრივი გამოყენებაც კვლავწარმოების პროცესის ფინანსურ უზრუნველყოფაში.

6. დღეს საქართველოში ეკონომიკური რეფორმები რეალობაა. ამის საფუძველს იძლევა ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა და ფასების ლიბერალიზაცია. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფინანსური სტაბილიზაცია დროებით მოვლენად შეიძლება გადაიქცეს თუ არ ავამოქმედებთ წარმოებას და შესაბამისად ფინანსურ შინაგან რეზერვებს. ამიტომ სასურველია მომავალში სახელმწიფო ბიუჯეტი ხელოვნურად კი არ დავაბალანსოთ, ემართოთ მის საფუძველზე ეკონომიკა, არამედ პირიქით, ეკონომიკის ამოქმედებამ უმჯობესია დააბალანსოს რეალურად ბიუჯეტი.

7. ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის საყოველთაო ხასიათი არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ რეფორმების გატარების, სტრატეგიასა და ტაქტიკაში ნაკლოვანებებით. არამედ მისი წარმოშობა განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებით: ჯერ ერთი, ქვეყანაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრუქტურების დეფორმაციით; მეორე, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის აუცილებელი ხარჯებით. მესამე, საბჭოთა კავშირის დაშლითა და სამეურნეო კავშირების მოშლით და მეოთხე, საქართველოს არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის პირობების შესაბამისი არაადექვატური ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთსაწინააღმდეგოდ, მოუფიქრებელი ღონისძიებების გატარებით.

8. შექმნილ ექსტრემალურ პირობებში საჭიროა ჯერ ერთი, ყოველმხრივი, კომპლექსური და თანმიმდევრული მიდგომა ეკონომიკის სტაბილიზაციის და სისტემური რეფორმების გატარების საქმეში, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ეკონომიკის შემდგომში სტაბილური ზრდა. ვინაიდან ეკონომიკურ რეფორმებისადმი არა კომპლექსურ მიდგომას ნაკლებად აქვს უნარი წარმატებების მიღწევაში და მეორე, არაორდინალური ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შევაჩეროთ წარმოების კრიზისული დაცემა, მინიმალურად უზრუნველყოთ საწარმოო და სამომხმარებლო სფერო მატერიალური და ფინანსური რესურსებით, შევანელოთ ინფლაცია და გავაჯანსაღოთ ფულის მიმოქცევა. შეძლებისდაგვარად ავამაღლოთ მოსახლეობის დასაქმების დონე. გავუმჯობესოთ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, შევქმნათ ხელსაყრელი პირობები თავისუფალი მეწარმეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

9. ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევისათვის უპირველეს მნიშვნელოვან წარმოადგენს კრიზისის შეჩერება, წარმოების განვითარებასთან ერთად ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაცია, საქართველოს შინაგანი რესურსების შენარჩუნება, რეზერვების გამოვლენა, მათი საზოგადოებრივი წარმოებაში ჩართვა და კვლავწარმოების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ამ მიზნიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს მთავარი ამოცანები: წარმოების სტაბილიზაციის მიღწევა, ინფლაციის შეჩერება, ლარის რეალური მსყიდველუნარიანობის უზრუნველყოფის დასაცემის შეზღუდვა, ეკონომიკის კვლავწარმოების ფინანსური სტრუქტურების აღდგენა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთიანი სისტემის შექმნა.

10. საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ფინანსების გამოყენების ობიექტური წინამძღვრების რეალიზაცია დამოკიდებულია იმაზე, როგორ კონკრეტულ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ფორმებში მიმდინარეობს ფინანსური ურთიერთობების ფორმირება. სწორედ საფინანსო პოლიტიკით, მისი ორგანიზაციული ფორმების: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით ხდება შესაძლებლობათა რეალობად გადაქცევა, კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მიღებულ იქნას კომპლექსური და თანმიმდევრული საფინანსო-საკრედიტო რეფორმების პაკეტი, რომელიც მიმართული იქნება შემდეგი მიზნების შესასრულებლად: თვიური ინფლაციის ინდექსის ერთნიშნა ციფრის შემცირება 1998 წლის ბოლოს, სისტემატური რეფორმების დაჩქარება წარმოების მოცულობის დაცემის შეჩერებისათვის და ეკონომიკის ჯერ კიდევ, უმნიშვნელო ზრდის ტემპების შემდგომი გადიდება, პარალელურად კერძო სექტორის საქმიანობის გადაუდებელი სტიმულირების გაძლიერება, საქართველოს ეროვნული ბანკის „საერთო საგარეო რეზერვების“ მოცულობის პოზიციების გაუმჯობესება და საერთო ჯამში, მათი რეალიზაციისათვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე, საფინანსო პოლიტიკის სტრატეგიის დამუშავებით კონტროლის დაწესება.

### III. საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და კრიზისიდან გამოსვლის გზები

11. გასულმა პერიოდმა გამოავლინა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

პირველი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს და ევროკავშირის

შორის დაიღო ხელშეკრულება პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. საქართველო ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის ახალ პროგრამებში, საქართველო შერჩეული იქნა ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებაში სატრანზიტო დერეფნად, კასპიისა და ყაზახეთის აღრეული ნავთობის ტრანსპორტირების ერთ-ერთ ძირითად მარშრუტად; მეორე ტენდენცია გამოვლინდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მწყობრი, სისტემური, თანმიმდევრული გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში; მესამე ტენდენცია გახლავთ საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად, ეკონომიკური ზრდის განახლება ქვეყანაში. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ქვეყნები, რომლებიც ადგებიან საბაზრო ეკონომიკის გზას, ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის 2-3 წლის შემდეგ იწყებენ, ეკონომიკის ზრდის ტემპებს, რაც ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, მართალია, დიდი მასშტაბებით არ ჩანს, მაგრამ ძვრები, რომ დაიწყო ამ მიმართულებით თვალნათელია; მეოთხე ტენდენცია გამოვლინდა ინფლაციის შეჩერებაში და ეროვნული ვალუტის ლარის სტაბილური საცვლელი კურსის შენარჩუნებაში; მეხუთე ტენდენციაა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში კერძო სექტორის ხვედრითი წილის ზრდა; მეექვსე ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში მიმდინარე საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემებში ძირეული ინსტიტუციონალური რეფორმების თანდათანობითი გატარება და სტრუქტურული ცვლილებები, ქვეყნის ეკონომიკის თვითგანვითარებად სისტემად ჩამოყალიბება. ამჟამად მთავარია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ცალკეული დადებითი შედეგებით თვითკმაყოფილების განწყობის მოცილება და ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისადმი თვითკრიტიკული მიდგომა.

12. ქვეყნის გასული ხუთი წლის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზმა დაგვანახა შემდეგიც: ჯერ ერთი, მომხდარი ცვლილებების სირთულე, სადაც არ შეიძლება არ შეინიშნოს, ობიექტური შეფასებიდან გამომდინარე, პოზიტიური ძვრები უარყოფით შედეგებთან ერთად. კერძოდ, სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიის თანდათანობითი დამლა, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ელემენტების ფორმირება, მეურნეობრივ მართვაში ახალი ფორმების ჩამოყალიბება, მოთხოვნა-მიწოდების მეტად წინააღმდეგობრივი მექანიზმის ამოქმედება. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პროცესები ჯერ კიდევ არ გახდნენ ეკონომიკის სტაბილიზაციის ფაქტორები. ვინაიდან მათ ვერ შესძლეს წარმოების ზრდისა

და მისი ტექნიკური გადაიარაღების სტიმულირების როლის შესრულება; მეორე, ანალოზმა სრული განსაზღვრულობით გამოავლინა ის, რომ დღეს მრავალრიცხოვან პროცესებს შორის დომინირებულ ფაქტორებს წარმოადგენენ ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, მისი საყოველთაო ხასიათი და აქედან გამომდინარე მოსახლეობის გაღატაკება; მესამე, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ წარმოების გამოცოცხლების გარეშე, ფინანსური სტაბილიზაციისა და ინფლაციის შეჩერების ყოველნაირ ღონისძიებებს არ შეუძლიათ მოიტანონ სასურველი შედეგები. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს მათ მიერ, ვინც 1995-1996 წლები გამოაცხადა მხოლოდ ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევის პერიოდად. ფინანსური სტაბილიზაცია წარმოების ამოქმედების გარეშე, ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, სურვილის სინამდვილედ წარმოდგენის მცდელობაა, ვინაიდან წარმოების დაცემის მასშტაბებში, მოსახლეობის გაღატაკების ზრდამი უნდა ვეძიოთ პოლიტიკურ ძალებს შორის წინააღმდეგობების გამწვავებისა და საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის ფესვები. აღნიშნულის არდანახვა და ამ მოვლენების მიზეზების სხვაგან ძებნა, თავის მოტყუებასა და ილუზიების ტყვეობაში ყოფნას ნიშნავს; მეოთხე, თანამედროვე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად არ არსებობს უნივერსალური რეცეპტები და ერთიანი ღონისძიების მზარზარეული სისტემა, რომელიც სამუალებას მოგვცემს ერთი ხელის მოქნევით გადავწყვიტოთ ყველა საჭირობოროტო პრობლემა. საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალური შეცვლა, რეფორმების გააზრებული გატარების სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავება. ასეთი სტრატეგია, თუ ვიტყვით გულახდილად, რესპუბლიკაში ამჟამად არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლიბერალიზაციის, პრივატიზაციის, დემოკრატიზაციის, უცხოეთის ქვეყნებზე მიბაძვის საერთო ღონისძიებებს და ფრაზებს, რომლებსაც არავითარი დადებითი შედეგების მოტანა ქვეყნის ეკონომიკისათვის არ შეუძლია; მეხუთე, დროა გავიგოთ, რომ არ შეიძლება კრიზისიდან გამოვიდეთ იმ გზებით, რომელთა მეშვეობით საზოგადოება ჩავარდა ასეთ ქაოსურ მდგომარეობაში. ეს ნათლად ჩანს ეკონომიკის კვლავწარმოების სტრუქტურების და განაწილებითი ურთიერთობების მთლიან დეფორმაციაში, კერძოდ, ეროვნული სიმდიდრის მტაცებლურ გამოყენებაში, ინვესტიციების შემცირებაში, მეცნიერულ-ტექნიკურ პროდუქციაზე მოთხოვნილების მკვეთრ დაცემაში, საწარმოო ძალების, სამეცნიერო-ტექნიკური და საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის დაშლაში, შრომის ანაზღაურების წარმოების შედეგებიდან პრაქტიკულად მოწყვეტაში; მეექვსე, ეკონომიკის მართვაში შაბლონური

რეცეპტების შერჩევამ, რომელიც აღწერილია მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში, რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის მონეტარისტული სისტემის ფორტოგრაფირებამ რესპუბლიკის მასშტაბით, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებლობამ, მეურნეობრიობის წარმართვის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურების, მოსახლეობის მომზადების უკულველყოფას არ შეეძლო მოეცა სხვანაირი შედეგები. ამ დასკვნას იზიარებენ არა მარტო სამამულო მეცნიერ-ეკონომისტები, არამედ დასავლეთის ცნობილი წამყვან მეცნიერთა უმრავლესობაც; მუშვიდე, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას, პრინციპულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ცალკეული ერთეული ფაქტების კონსტატაციიდან საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მომქმედი ტენდენციების გამოვლენაზე გამახვილდეს ყურადღება, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ეკონომიკური მოვლენების გარეგნული აღწერიდან, ეკონომიკის კვლავწარმოების სტრუქტურებში სიღრმისეული ცვლილებების ანალიზზე გადასვლას. რაც მთავარია, ანალიზი უნდა დამთავრდეს ანტიკრიზისული თუნდაც საერთო, პრინციპული საკითხების დამუშავებით, სხვანაირად ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი კარგავენ თავის მნიშვნელობას. .

#### IV. სახელმწიფო ბიუჯეტის და საგანგებო საფინანსო პროგრამის შერეული შემსრულებლის პრობლემები

13. 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საგანგებო საფინანსო პროგრამის შესრულებისათვის საჭიროა, რომ ჯერ ერთი, დაჩქარდეს ქვეყანაში დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კერძო სექტორის ფუნქციონირებას და ეკონომიკის განვითარებას; მეორე, 1997 წლის რეფორმების პროგრამა საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში მიმართული უნდა იყოს თვიური ინფლაციის ინდექსის შემცირებისაკენ, წარმოების მოცულობაში დაცემის ტემპების შეჩერებისაკენ და პარალელურად კერძო სექტორის საქმიანობის სტიმულირების გაძლიერებისაკენ; მესამე, სტაბილიზაციისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება, ფასების ლიბერალიზაციის პროცესში შემდგომი პროგრესი მოსახლეობის სოციალური დაცვის შესაბამისი სისტემის დამუშავების საფუძველზე, საპროცენტო განაკვეთების რაციონალიზაცია, ვალუტის გაცვლითი კურსების სწორი რეჟიმის დაცვა, მისი სი-

ცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა; მეოთხე, აუცილებელია სახელმწიფო დაკვეთების გზით მოხდეს საჭირო ნედლეულის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და პროდუქციის სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბება, რომლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და პროდუქციის აკუმულირება საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოფილი იქნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოების თანამშრომლობის ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი პროდუქტების გაცვლითი ოპერაციები, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების მიხედვით საექსპორტო მიწოდებები და აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების შექმნა; მეხუთე, უნდა დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს განსაზღვროს 1998 წლის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შედგენისათვის სახელმწიფო შეკვეთების ჩამონათვალი და მოცულობები, შეატყობინონ ისინი წინასწარ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს და საწარმოებს. თავის მხრივ ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამინისტრომ, უწყებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად პარალელურად უნდა განიხილოს და მიიღოს ზომები 1997-1998 წლების სახელმწიფო შეკვეთების მატერიალურ-ტექნიკური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფისათვის. 1997 წლის ბოლომდე საბაზრო ეკონომიკის ახალი სტრუქტურების შექმნის პროცესის სრულყოფისა და შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებასთან ერთად, ქვეყნის მთავრობამ დააეკლდა საკანონმდებლო, დეპარტამენტები, უწყებები, რომ სასწრაფოდ ჩამოაყალიბონ და შეიმუშაონ თვითუღმა მათგანმა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად მოქმედების პროგრამა, რომელშიც აისახება სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებები შიდა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების მიმართულებით, ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში თუ როგორ აპირებენ მუშაობის წარმართვას; მეშვიდე, საგანგებო საფინანსო პროგრამის შესრულებისათვის მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სამინისტროებში, უწყებებში და ადგილებზე რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების კომისიების, ჯგუფების შექმნა, რომლებიც თვეში ერთხელ განიხილავენ შიდა რეზერვების გამოვლენის მიმართულებით გაწეულ მუშაობას და სათანადო ღონისძიებებს შეიმუშავენ საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესებისა და წამოჭრილი სიმძვლეების დაძლევის მიმართულებით. მერვე, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში კერძო, კომერციული სექტორის განვითარება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდების მუშევრებით სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესების ამო-

ცანას, რომ მათ მიერ ბანკებიდან გატანილი სახსრები არ იძლევა საჭირო ეფექტს და საშიშროებას უქმნის ფულის მიმოქცევაში სტაბილიზაციას, სასურველი იქნებოდა ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებმა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეესწავლათ სახელმწიფო საწარმოებთან არსებული კერძო, კომერციული ორგანიზაციების მუშაობა, მათი ურთიერთობა საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან და წარმოდგინათ წინადადებები, ისეთ კერძო-კომერციულ ორგანიზაციების ფუნქციონირების მიზანშეუწონლობაზე, რომელთა საქმიანობა არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობასა და ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

და ბოლოს, მეცხრე საჭიროა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ურთიერთკოორდინაცია, მათი ერთიანი მიზნის ბიუჯეტის შედეგების გაუმჯობესებისათვის წარმართვა, ხელფასების, სტიპენდიების, პენსიების და სხვა შრომითი შემოსაულებლის დროული გაცემა, ფულის მიმოქცევის დაჩქარება, ოფიციალურ არხებში ე.წ. „ჭუჭყიანი ფულის“ მოზიდვა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება - ყოველივე მნიშვნელოვანი რეზერვებია შინაგანი დამატებითი ფულადი რესურსების გამოვლენის აფუძველზე წარმოების გაფართოებისათვის, რამდენადაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგებმა საბოლოო ჯამში თავის გამოხატულება უნდა პპოვოს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაში, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაში და არა მხოლოდ ლარის კურსის, წარმოების განვითარების გარეშე, ხელოვნურად განმტკიცებაში.

14. საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სიღრმე, არეალი, დინამიკა და ტემპები ყალიბდება ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმთავრესი მექანიზმის - ბიუჯეტის მეშვეობით. ბიუჯეტის დინამიკის უკეთ წარმოდგენისათვის საჭიროა ბიუჯეტის ცვლილებებზე მოქმედი ზოგადი კატეგორიების განხილვა, ვინაიდან მიმდინარე წლის ბიუჯეტი არის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც დგება მომდევნო წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის დინამიკაზე მოქმედ ზოგად კატეგორიებად მიგვაჩნია: ინფლაციის საფუძველზე ფასების შეცვლა, მოსახლეობის მოთხოვნის დონეში ცვლილებები (სამუშაოთა მოცულობა), პროდუქტულობის (ეფექტურობის) შეცვლა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საფინანსო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების ახალი კურსი (ფონდების გადანაცვლება).

15. იმისათვის, რომ მიღებული იქნეს ეფექტური პოლიტიკური გადაწყვეტილებები, უნდა არსებობდეს ღონისძიებების ან ინდიკატორების შეთანხმებული კრებული, რომელიც გამოაჩენს თვითეული სამთავრობო პროგრამის ხარჯებსა და

მის შედეგებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, შეთანხმებულ საფინანსო პოლიტიკის სტრატეგიას უნდა ქონდეს რამდენიმე მიზანი, რომელთაგან თვითეულს შეიძლება ჰქონდეს ბიუჯეტში მითითებული რამდენიმე განსხვავებული პოლიტიკური ღონისძიება. ბიუჯეტში ნაჩვენები უნდა იყოს და მთლიანად აისახოს საფინანსო პოლიტიკის ცვლილებების შესაბამისი დანახარჯები. „გადაწყვეტილებათა პაკეტის“ გამოყენება საშუალებას მისცემს მომავალში ფინანსთა სამინისტროს ჯერ ერთი, შეისწავლის პარლამენტის მხრიდან შემოთავაზებული საფინანსო პოლიტიკის ცვლილებები, მათი თანმდევ დანახარჯებთან და მოგებასთან ერთად; მეორე, ისინი გაითვალისწინოს ბიუჯეტის დამუშავების პირველივე ეტაპზე და მესამე, ამით მოიხსნება გაუთავებელი დაპირისპირება პარლამენტსა და ფინანსთა სამინისტროს შორის ბიუჯეტის განხილვის, დამტკიცებისა თუ არდამტკიცების საქმეში პასუხისმგებლობის ურთიერთგადაბრალება, ბიუჯეტის პროცესში ყველა ნაკლოვანებების ერთ ორგანიზაციაზე - ფინანსთა სამინისტროზე გადაცემა. ყოველივე ამაღლებს ეკონომიკური პროფილის სხვა სამინისტროების, მთი ფუნქციონალური მოვალეობის საფუძველზე, პასუხისმგებლობის ზრდას თავიდანვე საწყის ეტაპზე ბიუჯეტის რეალობასთან მიახლოების თვალსაზრისით. ამიტომ ბიუჯეტის პროექტი და მისი შესრულება, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ერთიანი მუშაობის და შესაბამისი პასუხისმგებლობის შედეგი უნდა გახდეს ბიუჯეტური პროცესის ყველა ეტაპზე. კრიტიკა ადვილია, მაგრამ საქმის გაკეთებაა ძნელი და ეს უკანასკნელი, რომ წარმატებით განხორციელდეს აუცილებელია ბიუჯეტური პროცესის ყველა სტადიაზე ერთიანი პასუხისმგებლობის კრიტერიუმების განსაზღვრა, სამთავრობო სკამის დაკავებისათვის ჩასაფრების პოლიტიკაზე უარის თქმა და ალტერნატიული, გააზრებული წინადადებებით, მეცნიერული დასაბუთებით ბიუჯეტური პროცესის სრულყოფაში წვლილის შეტანა.

16. საბიუჯეტო პროცესში ბიუჯეტის დინამიკაზე მომქმედნი საერთო ზოგადი კატეგორიების გამოყენება საშუალებას მოგვცემს ყოველ სამინისტროში, უწყებაში ცვლილებები დახასიათდეს აღნიშნული ფაქტორების მემუდობით და შემუშავებული იქნეს მაღალი ღონის შემაჯამებელი დოკუმენტი მთელი ბიუჯეტისათვის, რომელიც აჩვენებს როგორ და რატომ შეიცვალა ბიუჯეტის ცალკეული მუხლები წინა წელთან შედარებით. ყოველივე მომავალში მოხსნის ბიუჯეტის დამტკიცებისას ზედაპირულ კამათს და ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზიანოდ ფინანსური რესურსების დამატებითი გამოყოფის მიღწევისათვის ბრძო-

ლას. ამ საქმეში ვიწრო უწყებრივ მიდგომას.

17. საფინანსო სისტემაში გასაყვლები და მასთან ერთად შემოსავლები კლასიფიცირებული უნდა იქნეს გარკვეულ კატეგორიებად, რაც გაადვილებს ხარჯების წინასწარ შეფასებას და მომავალი გასაყვლების დაგეგმვას - საერთო ჯამში ბიუჯეტის შედგენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტის გასაყვლების კლასიფიკაციის მთავარ პარამეტრებად მიგვაჩნია:

1. ეკონომიკური კლასიფიკაცია. 2. ფუნქციონალური კლასიფიკაცია. 3. ორგანიზაცია. 4. დროის პერიოდი. 5. ფონდების კლასიფიკაცია და ნ. გეოგრაფიული კლასიფიკაცია. თვითეული ზემოთაღნიშნული ბიუჯეტის გასაყვლების მართვადი პარამეტრები შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებლად. მაგრამ არსებითს წარმოადგენს ის, რომ არ შეიძლება კლასიფიკაციის ერთ სტრუქტურაში შერეული იყოს მეორის ელემენტები. ბიუჯეტის შემოსავალ და გასაყვლ ნაწილების ანალიზის გამარტივებისათვის, ხარჯების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფისათვის საჭიროა ფონდების კლასიფიკაციის სქემის შემოღება, სადაც აისახება მიზნობრივი ფონდები, სამეწარმეო ფონდები, სამთავრობათაშორისო და ხმარებების ფონდები, ტრანსტ-ფონდები და სხვადასხვა ბიუჯეტგარეშე ფონდები. ყოველივე ხელს შეუწყობს ჯერ ერთი, ხარჯების მართვის ოპტიმალურ რეგულირების უზრუნველყოფას, მეორე, ფინანსური დაგეგმვის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და მესამე, მათი მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის მექანიზმის სრულყოფას.

18. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ხარჯების ფუნქციონალურ განსაზღვრას, მათ სტრუქტურულ ცვლილებებს. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ბიუჯეტური სისტემა და საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა დღევანდელ პირობებში არსებობს საკასო საფუძველზე და ხარჯების რეალურ სურათს ვერ ასახავს. ამიტომ აუცილებელია თანდათანობით მოცულობითი მაჩვენებლებმა ადგილი დაუთმოს ფულად მაჩვენებლებს. მხედველობაში გვაქვს ხარჯების ლიმიტების მკაცრ განსაზღვრაზე ყურადღების მიქცევა და მათი მკაცრი დაცვა, რაც ხელს შეუწყობს მომავალში ხარჯების სტრუქტურული დაგეგმვის მექანიზმების თანდათანობით დანერგვას. რამდენადაც ხარჯები ემყარება პერსპექტიულ დაგეგმვას ამიტომ ანალიზი უნდა განხორციელდეს ქვეყანაში არსებული რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების საფუძველზე და არა სხვადასხვა და ხმარებების იმედით. აქ კი მთავარია საფინანსო პოლიტიკით განსაზღვრული გასატარებელ ღონისძიებათა ანალიზი ბიუჯეტის ნულოვანი ბაზის საფუძველზე განხორციელდეს. აღნიშნული მიდგომით ანალიზი მოგვცემს ხარჯების მართვის მიმართულებით

პრობლემის გადაწყვეტის სამ ვარიანტს: 1. ხარჯების მოცულობის შეცვლას ადრე არსებული უკუგების მაჩვენებლის შენარჩუნებით. 2. ხარჯების შემცირების საფუძველზე უკუგების მანევრირებას და 3. ხარჯებზე საერთოდ და უარის თქმას კერძო სექტორის სასარგებლოდ. ამ ვარიანტების ანალიზი და ამ საქმეში სპეციალისტების ჩართვის შედეგად დასკვნების გაკეთება და შემდეგ მათი ბიუჯეტის ფორმირებაში გამოყენება, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამინისტროებისა და უწყებებისათვის რეალურად საჭირო გამოყოფილი სახსრების განსაზღვრისათვის.

19. ერთი წლის ბიუჯეტის შედგენა იწვევს ინერციას მუშაობაში, ვინაიდან ამ პერიოდში შეუძლებელია დეტალურად გაანალიზდეს პროგრამის ეფექტურობა, რომლის შესრულებისთვისაც ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი ხარჯები. ამიტომ აუცილებელია ახალი საბიუჯეტო პროცესის შემოღება, რომლის დროსაც სამინისტროს, უწყების და სხვა სამეურნეო ერთეულის საქმიანობა და მათ მიერ მიღწეული შედეგების ანალიზი განხორციელდება ოთხ წელიწადში ერთხელ. ამით უწყებები განაწილებენ ოთხ ჯგუფად, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად გაანალიზდეს დაახლოებით მათი მეოთხედი ოთხწლიანი მტოცავი გრაფიკის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, თვითეულზე გამოყოფილი სახსრები შემდეგ ოთხი წლის პერიოდში დამოკიდებული იქნება მათ ამოცანებზე, მიღწეული შედეგების და მათი მიღწევის ხარჯების ანალიზიდან გამომდინარე შეფასებაზე. მაკროეკონომიკურ კონტექსტში მუშაობის წარმართვა დეფიციტის მართვის მიმართულებით გულისხმობს იმას, რომ რესურსების განაწილება უნდა განხილული იქნას არა როგორც მხოლოდ ამოცანა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ზრდას, არამედ ამასთანავე, როგორც ხარჯების შემცირების მიმართულებით კორექტირების საფუძველი.

20. დღევანდელ პირობებში აუცილებელია „ციკლურ ბალანსირებულ ბიუჯეტის“ შედგენაზე გადასვლა. ჩვენი აზრით წლიური ბიუჯეტი არ იძლევა სრულ სურათს შემოსავლებისა და დანახარჯების ურთიერთობის რეალური განსაზღვრისას, ვინაიდან დანახარჯები იმავე წელს არ იძლევიან შემოსავალს უკუგების სახით და აქედან გამომდინარე შემოსავლისა და დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალანსების გარეშე რჩება. ბიუჯეტის შედგენის ძველი წესი ყოველთვის ტოვებს პირობებს ბიუჯეტის რეალური დეფიციტის ხელოვნურად დაფარვისათვის, ხარჯების ხელოვნურად შემცირების ან შემოსავლების ხელოვნურად გაზრდის, ან ორივეს ერთად ხელოვნურად შემცი-

რების ან გაზრდის სახით და ამ გზით ბიუჯეტის რეალურად არსებული სინამდვილიდან მოწყვეტისათვის. ასევე გასათვალისწინებელია რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკაც, ბუნებრივი გარემო პირობებიდან გამომდინარე კვლავწარმოების პროცესის ციკლური ხასიათიც; ამასთანავე „ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტის შედგენა საშუალებას მოგვცემს გარკვეულ პერიოდში 4-7 წლის ფარგლებში ნათლად დავინახოთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ძვრები და პერსპექტივები, აკუმულირებული ბიუჯეტური რესურსების ეფექტიანი, მიზნობრივი, რაციონალური გამოყენების სურათი. „ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტი იძლევა საშუალებას ბიუჯეტის ნაჭარბიდან ფინანსური რეზერვების შექმნისათვის, უცხოეთიდან მიმდინარე სხვადასხვა დახმარებების ბიუჯეტის სტრუქტურაში ასახვისათვის, პარლამენტის მხრიდან ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის გაძლიერებისათვის და რაც მთავარია ასეთი ბიუჯეტის დამტკიცებისას გაძლიერდება თითოეული პარლამენტარის პასუხისმგებლობაც რეალური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე. ცალკეულ ეტაპზე ეკონომიკის გამოცოცხლების დროს ბიუჯეტის ნაჭარბიდან ფინანსური რეზერვების შექმნა საშუალებას მოგვცემს ეს რეზერვი გამოყენებულ იქნეს კრიზისებისა და დეპრესიების პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, ხოლო გაცხოველობისა და აღმავლობის პერიოდში ბიუჯეტის ნაჭარბიდან კვლავ ფინანსური რეზერვების შექმნისათვის. აღნიშნული სახით ბიუჯეტის შედგენა გადაამწყვეტ როლს ითამაშებს ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლაში.

21. ჩვენს მიერ „ციკლური ბალანსირებული“ ბიუჯეტის შედგენის საკითხის დაყენება თანამედროვე საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში ბიუჯეტის განვითარების ისტორიაში ახალი არ არის. ამ აზრს თავის დროზე აყენებდნენ საფრანგეთში 1906 წელს ბრეტონი, 1911 წელს კიუნი და 1923 წელს პუანკარე. უკანასკნელ ხანს ბიუჯეტის პროცედურის შესახებ ახალი კანონის განხილვისას საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილ ფინანსისტ-ეკონომისტების მიერ ოფიციალურად იქნა წამოყენებული წინადადება ბიუჯეტის 7 წლით განსაზღვრისათვის ე.ი. 7-წლიანი დროით ციკლურ ბიუჯეტზე გადასვლისათვის. ჩვენ ვითვალისწინებთ რა საქართველოს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და კრიზისიდან გამოსვლის კომპლექსური პროგრამის საფუძველზე საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას ვაყენებთ წინადადებას საქართველოს ბიუჯეტი შედგენილიყო პარლამენტის უფლებამოსილების დროით ე.ი. ოთხწლი-

ანი პერიოდით. იგი მიგვაჩნია რეალურ ღონისძიებად საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობის მიღწევის, რეალური ბიუჯეტის შედგენის, ბიუჯეტის დეფიციტის თანდათანობით გამიზნული შემცირების და შემდეგ ბალანსირებული ბიუჯეტის მიღწევის და რაც მთავარია მასზე ფინანსური კონტროლის ეტაპობრივად განხორციელებისა და დროულად კორექტირების შეტანისათვის.

## V. საგადასახადო-საბიუჯეტო სფეროს პრობლემები

22. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გარკვევას, ჯერ ერთი, თუ რა მოცულობის დეფიციტი უნდა დაედგას საფუძველად ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას, მეორე, რა ცვლილებებია საჭირო, რომელსაც სახელმწიფო ხარჯების მდგომარეობა და მათი მართვა მოითხოვს და მესამე, რა სახის რეფორმებია აუცილებელი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებისა და გადასახადების ამოღებისათვის. ამ საკითხების გადაწყვეტა კი შეუძლებელია ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების მაკროეკონომიკური ანალიზისა და მისი ინფლაციასთან კავშირის გარკვევის გარეშე. სწორედ ამ პრობლემებს უნდა მიაქციოს ფინანსთა სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება 1998 წლის ბიუჯეტის შედგენაში, ვინაიდან თუ ქვეყანაში გაიზრდება გადასახადების მოცულობა და მას პარალელურად თან არ მოყვება შედეგითიანი კრედიტების გაცემა ბანკიდან, წარმოების განვითარება შეჩერდება და აქედან გამომდინარე ერთის მხრივ, ბიუჯეტში ხარჯების შეზღუდვამ და მეორე მხრივ კრედიტის გაუცემლობამ მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბაბით შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ მოკლე დროში დასაბეგრი ობიექტი გაქრეს წარმოების განვითარების შეზღუდვის გამო და ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში ჩაეარდეს, რომლის გამოსწორებისათვის კიდევ უფრო მეტი დამატებითი ფულადი სახსრების გამოყოფა დაგეგმილია. ამიტომ ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული კოორდინირებული და არა ურთიერთგანცალკევებით წარმართული, ვინაიდან ორივეს ერთნაირ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე წარმართვა, მათი ეფექტიანობა, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგებში გამოიხატება.

23. ეკონომიური რეფორმის დანმიმდევრულ განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის მოუქნელობა, რაც გამოიხატება არსებულ საგადასახადო სისტემაში ნაკლოვანებებით: ჯერ ერთი, არ არსებობს ერთიანი, ურთიერთშესაბამისი სტაბილური საგადასახადო სისტემა, რომელიც ნაჩქარევად მუშავდება და მოწყვეტილია ეკონომიკის რეალურ სინამდვილეს; მეორე, გადასახადების მრავალსახეობა და გაანგარიშების სირთულე ამუხრუჭებს მათ ეფექტურობას ბიუჯეტის სამეზობლო ნაწილის შევსებაში; მესამე, არაეფექტიანი საგადასახადო შეღავათები და მასთან ერთად მოუფიქრებელი პროტექციონალისტური პოლიტიკის გატარება ქმნის ეკონომიკაში გაურკვევლობის ატმოსფეროს, ბიუჯეტის შევსებაში ნაკლოვანებების სხვადასხვა ეკონომიკური სამსახურების მიერ ურთიერთგადაბრალების პირობებს, ამ საქმეში პასუხისმგებლობის შესუსტებას და საერთო ჯამში აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროების ხელოვნურ დაფარვას და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გაფართოებას; მეოთხე, მოგებისა და პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისა და მატებითი ღირებულებისა და სამემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების მეთოდიკაში აზრთა სხვაობა, მისდამი სხვადასხვანაირი მიდგომა, იწვევს დაბეგერის წონასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევას; მეხუთე, ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადასახადების არასამართლიანი განაწილება, ყველა სფეროს საწარმოებისათვის მოგების გადასახადის უნივერსალური განაკვეთის არარსებობა, მისი არასწორი დიფერენციაცია დარგებს შორის, ამორტიზაციის დარიცხვის წესის სირთულე, საგადასახადო კონტროლის შესუსტება და მასთან ერთად მაკონტროლებელ ორგანოების მიერ ერთნაირი ფუნქციების პარალელურად შესრულება ხელს უშლის საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებასა და საქართველოში ცივილიზებული საგადასახადო სისტემის ფორმირებას. ყოველივე სასურველია გათვალისწინებულ იქნეს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ახალი კანონმდებლობის დამუშავების პროცესში.

24. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახარჯო დაეალიანების დაგროვების საკითხს, ხარჯების ყოველთვიურ მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის გაძლიერებას, შემოსავლებისა და ხარჯების ყოველთვიური მდგომარეობის შესახებ ერთიანი მექანიზმის შემუშავებას. ყოველივე საერთო ჯამში ხელს შეუწყობს გადასახადების შემოსავლის წყაროების განსაზღვრას, ხარჯების მიზნობრივ გამოყენებასთან ერთად ხარჯებში სხვადასხვა ციფრობრივი

მანიპულაციის გზით ნეგატიური მოვლენების წარმოშობისათვის პირობების შეზღუდვას, ხოლო შემდეგ მის მთლიანად აღმოფხვრას, საჭიროდ მიგვაჩნია ასევე საგადასახადო კანონმდებლობაში გამოყოფილი იქნეს კომერციული ბანკების მიერ საწარმოებზე და ორგანიზაციებზე სესხების გაცემისას მათი საქმიანობის სტიმულირებისა და სანქციების რეჟიმი.

## VI. ფულად-საკრედიტო სფეროს პრობლემები

25. საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფამ, ეროვნული ბანკის ნორმალურმა ფუნქციონირებამ, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის რეგულირებამ, ეროვნული ვალუტის - ლარის კურსის განმტკიცებამ და მის კონვერტირებად ვალუტად გახდომისათვის წანამძღვრების შექმნამ. აღნიშნული ამოცანების შესრულებას განაპირობებს საბანკო სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელება, მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას. საჭიროა საბანკო სისტემაში დაინერგოს კრედიტის გაცემის საკონტრაქტო ურთიერთობები. პასუხისმგებლობა, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ვალის ამღებს უნდა დაეკისროს. ამჟამად მოქმედი ნორმატიული დებულებები და მითითებები, რომლებითაც ეროვნული ბანკი აღმინისტრაციული წესით ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს, როგორც ჩანს ეფექტური არ არის და მოითხოვს გადასინჯვას, მათი სრულყოფის მიმართულებით. კომერციული ბანკების საწესდებო ფონდებში ფიზიკურ და არასახელმწიფოებრივ იურიდიულ პირთა სააქციო-საპაიო შენატანების ატლად მცირე ხვედრითი წილი იწვევს მათი მხრიდან უკონტროლობას და ზრდის კორუმპირებულ-მონოპოლიზირებული საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციას. საკრედიტო ბაზრის რეგულირების ერთ-ერთ ხელშემშლელ მიზეზად კრედიტების საპროცენტო განაკვეთების აღმინისტრაციული წესით განსაზღვრა მიგვაჩნია. საჭიროა მისი აუქციონის განაკვეთებთან შესაბამისობაში მოყვანა.

26. თანამედროვე ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განსაზღვრას, კონკრეტულ ღონისძიებების და მიმართულებების შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება: ჯერ ერთი, ფულადი მასის და საპროცენტო განაკვეთების ზრდის შეზღუდვაზე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ფასების სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება; მეორე, აუცილებელი სარეზერვო მოთხოვნის ოპტიმალურ რეგულირებასა და კომერციული ბანკების რეფინანსირების სისტემის სრულყოფაზე და მესამე, ეროვნული ბანკის საკუთარი ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, ნაღდი ფულის რაოდენობის პროგნოზირებაზე, საბანკო სისტემის გარეთ ფულის მასის მოძრაობის ოფიციალურ არხებში ჩართვასა და საგარეო ვალის მინიმიზაციაზე. შემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მომავალში თანდათანობით უნდა შეიცვალოს ზომიერი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით. ტრანსფორმირებას საფუძველად უნდა დაედოს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ დღეისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია ფულადი მასის, ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის შემცირება, საერთო ჯამში ეროვნული ვალუტის - ლარის სხვადასხვა მექანიზმებით თუნდაც ხელოვნურად განმტკიცება, მომავალში კი მიღწეული უნდა იქნეს მოთხოვნის ზრდა, კაპიტალის დაგროვება, წარმოების და დასაქმების გადიდება, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტის რეალურად შემცირება და ინფლაციის ინდექსის მინიმუმამდე დაყვანა, გადასახადების ზრდის პარალელურად შეღავათიანი კრედიტების გაცემა; რისკის ფენომენის ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზის დროს ყურადღების გამახვილებაა საჭირო ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ლიკვიდობის მართვა და მასთან დაკავშირებული რისკები; საპორტფელო ინვესტიციების რისკის მართვის ხანგრძლივობის და საერთო მახასიათებლების ანალიზი, დაკრედიტების ფუნქციების და საკრედიტო რისკების ურთიერთკავშირის ანალიზი, ბალანსგარეშე საქმიანობის და სეკიურიტიზაციის რისკების პრობლემების დამუშავება, საპროცენტო რისკების მართვის ხანგრძლივობის დროის განსაზღვრა საპროცენტო ფიქჩერების, ოფციონებისა და სვოპების გამოყენებით და სხვ.

27. მსოფლიოში გავრცელებული ფულად-საკრედიტო კონტროლის საშუალებათა შორის ძირითადია: ოპერაციები ღია ბაზარზე, აუცილებელი რეზერვების პოლიტიკა და სააღრიცხვო ნორმის ცვლილება. მაგრამ ეს არ ნიშნავს ფულად-საკრედიტო კონტროლის საშუალებათა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის

ძირითადი მიმართულებების გაიგივებას, ვინაიდან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ეფექტიანობა საბოლოო ჯამში ბიუჯეტის შესრულების შედეგებში უნდა აისახოს და არა მხოლოდ ლარის კურსის განმტკიცებაში და აუცილებელი რეზერვების შექმნაში.

28. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული ბანკის მიერ სელექციურ მეთოდებს კომერციულ ბანკებთან ურთიერთობაში, მხედველობაში გვაქვს საღისკონტო პოლიტიკა, ღია ბაზარზე ოპერაციები და ბანკების რეზერვების ნორმატივების ცვლილებები, საკრედიტო დაბანდებისა და ლიკვიდობის შედარებით მოქნილი მეთოდი - ფასიანი ქაღალდების ადრე განსაზღვრული კურსის შესაბამისად ყიდვა-გაყიდვა და სხვ.

29. სათანადო ყურადღება არ ექცევა საფინანსო პოლიტიკის მეშვეობით შემოსავლების მობილიზაციას, შიდა რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებას, ხარჯების ნაწილის რაციონალურ გამოყენებას, ბიუჯეტის შედგენის ინსტიტუციონალური წესების სრულად დანერგვას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი სისტემის შექმნისა და ამოქმედების პრობლემებს, გამწვავებული სოციალური საკითხების გადაწყვეტას, არ ხდება დამატებითი ღონისძიებების მიღება ქვეყნის შიდა შემოსავლების ზრდისათვის და ხარჯების მოცულობის შემცირებაში. ყველა საქმიანი სტრუქტურა არ არის ჯერ კიდევ მოქცეული საგადასახადო სფეროში, ამით დარღვეულია გადასახადების გადახდის საყოველთაო პრინციპი, რომელიც ამოსავალია საფინანსო პოლიტიკის გატარებაში. მთავრობას არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია რეგიონებში საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რაც ხელს უწყობს რეგიონებში საბანკო ფინანსირების ავტომატიურად მიღებასა და გამოყენების სფეროში უკონტროლობის ატმოსფეროს შექმნას. ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნია ერთიანი საფინანსო პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა, არ არის განსაზღვრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე საფინანსო პოლიტიკის ამოცანები, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

30. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა მკაცრად განსაზღვრული ადგილი უნდა დაიკავოს ქვეყნის ეკონომიკაში, რაც მოითხოვს სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად შესაბამისად ფუნქციების დანაწილებას, მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობის ამაღლებას. საჭიროა ფინანსთა სამინისტროს მუშაობის - ბიუჯეტის შედგენის გარდა - მთელი წლის განმავლობაში სხვა ფუნქციებითაც შემოფარგვლა, ეკონომიკის სამინისტროს თავისი

ფუნქციებით ფინანსთა სამინისტროსთან შეერთება, ბიუჯეტის შესრულებაში, საკრედიტო დაგეგმვასა და კონტროლის სფეროში ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რაც განპირობებულია სახელმწიფო აპარატსა და მათ შორის ფუნქციების არასწორი შერჩევითა და ერთმანეთში აღრევით.

31. ფინანსთა სამინისტროს და ეროვნულ ბანკს შორის დანაწილებული უნდა იყოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის მართვის ისეთი საკითხები, როგორცაა: საფინანსო სისტემის სრულყოფის გადაუდებელი ამოცანების განსაზღვრა, საკრედიტო პოლიტიკა, ფულის მიმოქცევა, კლიენტთა უფლებების დაცვა, ურთიერთობა საკრედიტო დაწესებულებასა და კლიენტებს შორის, ბანკების ატესტაცია და ლიცენზირება, ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების რეგულირება, უცხოეთის ვალისა და დავალიანების გასტუმრების მომსახურება, მასზე რეალური მდგომარეობის ანალიზისათვის ერთიანი ცენტრის შექმნა და სხვ.

32. ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა და სხვა ეკონომიკური სამსახურების უმაღლესმა ორგანოებმა, დროა რესპუბლიკაში არსებული რეალური საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაზღვრონ, უცხოეთში მრავალჯერ ყოფნის შედეგად დაგროვილი გამოცდილების შესწავლისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, რესპუბლიკის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის ამოცანები, ფულად-საკრედიტო სისტემის მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა (მიმდინარე და პერსპექტიული), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული ღონისძიებების კრიტიკური ანალიზის საფუძველზე მათი ამოქმედების მექანიზმი, კონკრეტულად პასუხისმგებლების, კონკრეტულად ვადებისა და შესრულების მიმდინარეობის ეტაპობრივი კონტროლის ჩვენებით.

33. ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიჩნეული უნდა იქნეს რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე სწორი შეწონასწორებული საფინანსო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და დაცვას, ეკონომიკის სტაბილიზაციას და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე წინაპირობების მოშადებასთან ერთად თანდათანობით გადასვლას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სასურველია მთავრობის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თავი შეიკავოს თავისი პირადი აზრის საჯარო განცხადებებისაგან, როდესაც საქმე ეხება საფინანსო, კერძოდ, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ვინაიდან პირადი აზრი ზოგიერთმა არაკეთილმოსურნემ, არაპროფესიონალმა მთავრობის ეკონომიკურ

პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს, იმ დროს, როდესაც მას რესპუბლიკის მდგომარეობიდან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია და შესაბამისად ტაქტიკა არ გააჩნია, იგი ფაქტობრივად დამუშავების პროცესშია.

34. ეროვნულმა ბანკმა, რომ თავისი ფუნქციები შეასრულოს, აუცილებელი არ არის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა რეკომენდაციებით შეახსენოს იგი: აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, ჯერ ერთი, დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქნეს ავტომატურად ოვერდრაფტების გაცემის პრაქტიკა ეროვნულ ბანკში საკორესპონდენციო ანგარიშების მიხედვით. ოვერდრაფტების გამოყენების შესაძლებლობა ცალკეულ შემთხვევაში სპეციალურად უნდა იქნეს განხილული, იგი უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს პროცენტების საჯარიმო განაკვეთებს, რაც შეზღუდავდა, ყოველ შემთხვევაში დაუკარგავდა ხალისს ბანკების დაინტერესებას ოვერდრაფტების გამოყენებაში, მათი გამოყენების უბრალოდ მომგებიან საქმედ მიიჩნევა; მეორე, ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს მის დაქვემდებარებაში შემავალ იმ საბანკო დაწესებულებათა მუშაობაზე, რომლებიც საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს იყენებენ არა წარმოების გადიდებისათვის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისა და გამოშვებისათვის, არამედ საშუაველო ოპერაციების დასაკრედიტებლად, რაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ რესპუბლიკას არაფერს მატებს; მესამე, ყურადღების გაძლიერება საჭირო კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების უძრავობის ფაქტებზე, აკუმულირებული თანხების ეფექტიან გამოყენებაზე, ბანკების უმოქმედო აქტივების მოცულობის შეფასებაზე, საკრედიტო რესურსების მოზიდვის პასიურ ოპერაციების გაფართოებაზე, კლიენტების მიერ ნაღდი ფულის მოძრაობასა და მათი მიერ საკასო დისციპლინის დაცვაზე, საბანკო დაწესებულებათა ხელმძღვანელების შეთავსებით მუშაობის არდაშვებაზე, საწესდებო ფონდების შევსების რეალობასა და საწესდებო ვალდებულებათა მკაცრ დაცვაზე; ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული უფლება საწესდებო ვალდებულებათა დამრღვევ ბანკების მიმართ წესდების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

35. ნაშრომში წარმოდგენილი ეროვნული ბანკის სტრუქტურული ცვლილება ჩვენი აზრით, შესაბამეა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევრობანკის და სხვა სპეციალისტთა რეკომენდაციების პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმს, იგი თანდათანობით დაიხვეწება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. ამ ცვლილების მთავარი მიზანი ის არის, რომ ჯერ ერთი, საქართველოში შეიქმნას

ერთიანი დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემა - ახალი საბანკო სისტემის სახით, რომელშიც ფუნქციების განაწილებით, განაწილებული ფუნქციების შესრულების პასუხისმგებლობის ზრდით შეიქმნება შესაძლებლობა ქვეყანაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გაჯანსაღებისათვის; მეორე, საბანკო სისტემა წარმოადგენდეს იქნება დამოუკიდებელ მძლავრ მექანიზმს საქართველოს ეკონომიკაში, რომელიც იზოლირებული იქნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისაგან, მათი გადაწყვეტილებების ზემოქმედებისაგან და რეალურად მიეცემა საშუალება ერთიანი მექანიზმით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, წარმართოს ქვეყანაში დამოუკიდებლად ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; მესამე, საბანკო სისტემას ეყოლება მძლავრი საკონსულტაციო ორგანოები დამხმარე ინსტიტუტების სახით, რომლებიც თავის თავზე აიღებენ გარკვეული სამუშაოების ჩატარებას, ამით ქმედუნარიანი გახდება ეროვნული ბანკის მუშაობაც; მეოთხე, ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება დამოკიდებული იქნება არა ერთი, ან რამდენიმე თუნდაც კომპეტენტურ პიროვნებებზე, მათ ამბიციებზე, არამედ მთელი საბანკო სისტემის მოქნილ ოპერატიულ საქმიანობაზე, რომელიც ცალკეულ ხელმძღვანელ პიროვნებებთან ერთად გაზრდის მთლიანად ეროვნული ბანკის მმართველთა საბჭოს წევრთა კოლექტიურ პასუხისმგებლობასაც ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეროვნულ ინტერესების საფუძველზე გატარებაში, შექმნის პირობებს მთელი საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებისათვის.

36. ფულადი მასისადმი არაპირდაპირი კონტროლის მექანიზმის გამოვლენამდე საჭიროა ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს პირდაპირი კონტროლი კომერციულ ბანკებზე გაცემული კრედიტის გამოყენებაში, კრედიტზე განაკვეთების რეგულირების გზით. კრედიტების მასისადმი მართვა და ფულის მიმოქცევის რეგულირება უნდა განახორციელოს საყოველთაოდ ცნობილი მექანიზმებით, როგორცაა: ჯერ ერთი, აუცილებელი რეზერვების ნორმა; მეორე, სახელმწიფოს ვალდებულებების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ეროვნული ბანკის მიერ ოპერაციები; მესამე, ცენტრალიზებულ კრედიტების განაკვეთების განსაზღვრა, რომელიც წარმართება საკრედიტო აუქციონზე.

ამჟამად ჩვენთან რეზერვების მოქმედი ნორმა არაეფექტიურია. მიუხედავად იმისა, რომ რეზერვების ნორმა საკმაოდ მაღალია, ბანკები მაინც თავისი ინიციატივით აჩერებენ რეზერვში მზივნელოვნად მეტ ფულად საშუალებებს დაწესებულ ნორმასთან შედარებით და საბანკო სისტემაში წარმოიშობა ზელიკვიდობის

მოვლენა, რომელიც ფაქტობრივად ჩვენ ქვეყანასთან ერთად ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ ვითარებაში ყველაზე ეფექტურს წარმოადგენს, როგორც ეს ბევრ უცხოელ მკვლევარს მიაჩნია ის, რომ გამოყენებული იქნეს ფართო მასშტაბით ფულის მიწოდების რეგულირების მეთოდი. საქმე ეხება სახელმწიფოს სავალო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვას, რომელიც ბიუჯეტის დეფიციტის ფინანსირების კლასიკურ ფორმას წარმოადგენს და სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა მომავალში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის საფუძველზე.

37. ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახალხო მეურნეობაში საბრუნავ საშუალებათა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები მიეკუთვნება კომერციული დაკრედიტების თვალსაზრისით დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებას. აღნიშნულის შედეგად იქმნება „საწარმოთა არგადახდების მოჯადოებული რგოლი“, რომელიც იფარება საბანკო დაკრედიტებით ან საკრედიტო დავალიანების საფუძველზე, რომლის ხვედრითი წილი აჭარბებს საბრუნავ საშუალებათა ყველა წყაროს. ამის შედეგად მოკლევადიანი დაკრედიტება უფრო მეტია ძირითადი და საბრუნავი ფონდების საშუალო ღირებულებაზეც კი, ხოლო კრედიტის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად მცირეა საკრედიტო დავალიანების მოცულობასთან შედარებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო მეურნეობაში დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანების თანხაც არ არის რეალური და ამ ვალეებში დამალულია სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობათა დანაკლისები, უყარათიანობის ფაქტები და სხვა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ვალეების ტრანსფორმირება უნდა განხორციელდეს თამასუქების სისტემის მეშვეობით, რაც ნაწილობრივ შეამცირებს არგადახდების მოცულობის ზრდას თამასუქების მიმოქცევის საფუძველზე.

38. ჩვენს ქვეყანაში რეფინანსირების განაკვეთი ფუნქციონირებს არსებითად სხვა ხასიათით, როცა საქმე ეხება ცენტრალიზებულ კრედიტს, რომელიც ნაწილდება კომერციულ ბანკებს შორის. მთავარი პრობლემაა ის, რომ ცენტრალიზებული კრედიტი მომავალში ალბათ არ უნდა გაანაწილოს ეროვნულმა ბანკმა, ან თუ გაანაწილებს, გაყიდოს მთლიანად, 100 პროცენტით აუქციონის წესით და არა მხოლოდ 50 პროცენტი. უცხოეთის ქვეყნების, კერძოდ ჩეხეთის და სლოვაკიის პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფოს გაენაწილებინა ცენტრალიზებული კრედიტი და ამასთანავე გარანტია გაეწია კომერციულ ბანკებში ასეთი კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფოს მიერ შედავათიანი კრედიტის გაცემის შემთხვევაში, მას შე-

უძლია სუბსიდირება მოახდინოს შესაბამისი საკრედიტო განაკვეთის და მშენებანკები მიიღებდნენ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, ხოლო კრედიტის მიმღებნი გადაიხდიდნენ ნაკლებს მთავრობის სუბსიდიების ხარჯზე. ყოველივე მოხსნიდა წინააღმდეგობებს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, საერთო ჯამში ხელს შეუწყობდა ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებასთან ერთად წარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, წარმოების ამოქმედებისათვის კრედიტების მიზნობრივ გამოყენებას. რასაკვირველია, ასეთი ვარიანტის რეალიზაცია დაკავშირებული უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობებთან.

39. თანამედროვე ეტაპზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში შემავალ ქვეყნების ეკონომიკაში ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს რთული საგადასახადო და საბაჟო კავშირების ჩამოყალიბება, სახელმწიფოთაშორისო სავალუტო კომიტეტის შექმნით სავალუტო ინტეგრაციის პროცესი. ერთი შეხედვით მიზანშეწონილი ხდება ორმხრივი საკლირინგო ანგარიშსწორების განვითარება, რომელიც გარეგნულად მოხსნის სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობებს, მაგრამ მას აქვს უარყოფითი მხარეც, კერძოდ, გამოიწვევს ვაჭრობის დეფორმაციას, ხელს შეუწყობს არა ფასებით, არამედ მეურნეობრივი დანაშნულებით საქონელგაცვლის ნატურალიზაციას, გამოიწვევს ხელოვნურად სახელშეკრულებო ფასების წარმოშობას, ცალკეული ქვეყნების აქტიური სალდოს პირობებში, არ მისცემს მათ საშუალებას შეიძინონ მისთვის საჭირო საქონელი მიზანშეწონილი სხვა სახელმწიფოში. ასე, რომ აუცილებელია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის მანეთისა და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში შემავალ ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს შორის სრულ, თანაბარ პირობებში ურთიერთკონვერტირებას. ეს მეტად რთული პროცესია და მოითხოვს მის უარყოფითი და დადებითი შედეგების სწორად შეჯერებას, რომ შევაფასოთ განვლილი ისტორიული პერიოდის რეალური გაანალიზების საფუძველზე, პერსპექტივაში მოსალოდნელი მოვლენები.

40. ფულის მიმოქცევის შედარებითი რეგულირების ცდებს არ შეიძლება მოჰყვეს რაიმე დადებითი შედეგი თუ პარალელურად არ განხორციელდება ლიცენზიების გაცემისა და საბაჟო მექანიზმის სრულყოფა, საბანკო სისტემაში საკორესპონდენტო ანგარიშების საშუალებით კუთვნილი სახსრების მიღება მუშობელ სახელმწიფოებიდან, რომლებშიც დაგროვდა ქვეყნის გარეთ კანონიერი თუ უკანონო გზით გატანილი საქონლის რეალიზაციიდან. ამასთანავე საჭიროა

დარქარდეს ფასიანი ქაღალდების შესახებ და საერთოდ ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბების საკითხებზე კანონების მიღება, რაც აღმოფხვრის ფულის მიმოქცევის დესტაბილიზაციაში პასუხისმგებლობის ურთიერთგადაბრალების პრაქტიკას და განამტკიცებს ქვეყნის შიგნით ფულის მიმოქცევის რეგულირებას.

41. ყურადღების მიქცევა არის საჭირო ფულის შენახვის ტრადიციულად ყველაზე გავრცელებულ ფორმაზე დანაზოგების ანაბრებზე შეტანის საკითხზე, რომლის სტიმულირებისათვის აუცილებელია გადასინჯულ იქნეს საპროცენტო განაკვეთები. ასევე სერთიფიკატების გამოშვებისა და შეძენის სტიმულირება მოითხოვს საპროცენტო განაკვეთების გადიდების აუცილებლობას. ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა ფინანსთა სამინისტროსთან ერთად აქტუალური უნდა გახადოს კონვერტირებული ვალუტის სესხად გაცემა იმპორტული საქონლის შესაძენად, მიმოქცევიდან ნაღდი ფულის ამოღების მიზნით და პარალელურად უნდა გააძლიეროს კონტროლი სამინისტროების, უწყებათა ხელმძღვანელთა მიერ საზღვარგარეთ მივლინების საფუძველზე ვალუტის ხარჯვის მიზნობრიობაზე, მათ მიერ იქ გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილ ანგარიშებზე, ამ მივლინებებზე დახარჯული უცხოური ვალუტის ხარჯვის უკუგებაზე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკისთვის.

GIVI GAMSAKHURDIA

THE ROLE OF FINANCES IN GEORGIAN  
TRANSITORY ECONOMY

RESUME

The presented work is the first complex scientific monographic research about the role of finances in Georgian Transitory Economy, where the role and notion of finances are considered according to market economy conditions for the realizing the reproduction of Georgian hard financial-economic environment and the ways of overcoming the crisis on basis of indicative plan. There are also interpreted the managed factors of Georgian budget, the providing with the aimed and optimum regulation of the state expenses, the main parameters of Georgian budget and the process of their completeness, financing of the budget deficit and the process for restructurisation of the foreign indebtedness. There are approved the matters for effective changes in budget tax paying system; practical realization of external financial program of State President, the importance of budget-deficit management and completeness of money - crediting policy for assistance of Georgian transitory economy using the financial resources. For this purpose considering the state national interest, there are taken and listed the conclusions and recommendations.

We believe that objective reader will give his appreciation of how well we were able to work on the mentioned problems from the theoretical point of view, on their practical extension and what benefit we can receive by considering the matter of Georgian transitory economy development. Every sensibly notice, that will arise during the working process on the text, will be considered by the author in the further works with pleasure.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ე.შევარდნაძე. სამოქალაქო საზოგადოება, სამართლებრივი სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 მარტი, 1994 წელი
2. ე.შევარდნაძე. საქართველოს მთლიანობა. დემოკრატიის განვითარება გარდაუვალია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 სექტემბერი 1994 წელი.
3. ე.შევარდნაძე. მოხსენება 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგებისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 13 თებერვალი 1997 წელი.
4. ი.ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.6, თბ., 1956
5. ი.ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 9, თბ., 1956
6. ნ.ქოიავა; კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ორ ნაწილად, თბ., 1956, 1960 წწ.
7. ვ.ჩანტლაძე, ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბ., 1995.
8. ვ.ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები, თბ. 1972
9. რ.ასათიანი, ფული და ფულადი სისტემები, თბ., 1995
10. ნ.ბაგრატიონი, ეროვნული ფულის კონცეფციისათვის, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1990, № 8.
11. რ. ბასარია, ეკონომიკის კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1993, № 5-7.
12. გ. გამსახურდია, საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 1995
13. გ. გამსახურდია, საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1994, № 9-12.
14. გ. გამსახურდია, შეჯიბრების (კონკურენციის) როლი წარმოების პროცესის სრულყოფაში, თბ., 1972
15. გ. გამსახურდია, ბიუჯეტური პროცესის სრულყოფის საკითხი, თბ., 1997
16. რ. გოგოხია, განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის არსის გაგებისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1992, № 5-6.
17. დ. იაკობიძე, გარდამავალი პერიოდის ქვეყნების საფინანსო სისტემის განვითარება: სტრუქტურული გარდაქმნები და ახალი სისტემის ჩამოყალიბება-ფორმირება. კრებული თეზისების სამეცნიერო კონფერენციის თემაზე - „საქართველოს ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საბაზრო

ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში“, თბ., 1996

18. რ. კაკულია, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ., 1995.

19. რ. კაკულია, დამოუკიდებელი საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ.1, თბ., 1996

20. ი. მესხია, მ. მურჯინელი, ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბი.1996

21. ი. მესხია, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება პოსტ-სოციალისტურ საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1995, № 1-3

22. ი. მესხია, ლ. ხაბურზანია, რ. კაკულია, საქართველოში სამეურნეო რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის წინადადებები, თბ., 1993

23. ე. მექვაბიშვილი, სახელმწიფო და ეკონომიკა, თბ., 1995

24. ვ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმების თავისებურებანი საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1995, № 4-6

25. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, პროფესორ ვ. პაპავას რედაქციით, თბ., 1991.

26. ნ. სანთელაძე, საბაზრო ეკონომიკის მოდელები, თბ., 1993

27. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, თბ., 1994

28. ვ. ქარუმიძე, საბაჟო საქმის საკითხები, თბ.1996

29. შ. ქისტაური, ფულის ნიშნების დეფიციტი: როგორ უნდა გადავლახოთ იგი, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1992, № 5-6.

30. შ. ქისტაური. ბედი და უბედობა პროფესორ ქოიავასი, თბ., 1995

31. შ. ქისტაური, ეროვნული ვალუტა, თბ., 1994

32. ლ. ქისტაურ, ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი), თბ., 1996

33. ლ. ლულუშაური, საბანკო საქმე, თბ., 1996

35. ლ. ჩიქავა, პრივატიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, ჟურნ. „ეკონომიკა“ 1994 № 9-12

36. რ. ციციანიშვილი, მცირე თანამედროვე ბიზნესი, თბ, 1995

37. ნ. ჭითანავა, საბაზრო-ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), თბ., 1995

38. გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, თბ., 1993
39. გ. ხელაია, ინფლაცია. როგორ ვუმკურნალოთ? თბ., 1994
40. ე. ჭგერენაია, დილინგი და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები საერთაშორისო ბაზარზე, თბ., 1996
41. ნ. ჭავჭავაძე. რით დავძლიოთ ჰიპერინფლაცია. გაზ. „კორპორაციონალიზმი“, № 11, 1994.
42. რ. შენგელია, საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები, ორ ნაკვეთად, თბ., 1992, 1993.
43. გ. შუბლაძე, საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1993, № 1.
44. Абалкин Л.И., Размышления о стратегии и тактике экономической реформы. Ж. "Вопросы экономики", №2 1993.
45. Аллаhverдян Д.А. Финансово-кредитная система СССР, М., 1982
46. Клаус Байнке, Варльтер Гаус и др. Сделки с границей, перевод с немецкого, Франкфурт, 1994
47. Макконелл Л.К., Брю Л.С. экономикс, т. 1,2 - М., 1993
48. Маршалл А. Принципы экономической науки. - М., 1993
49. Месхия Я.Е. Теория и практика макроэкономического прогнозирования. Тб., 1989
50. Папова В.Г. Государство, рынок и экономика без налогов, - Тб., 1993
51. Менкью Н.Б., Макроэкономика, М., 1994
52. Беридзе Т.А. Экономические основы суверенитета новые аспекты экономики и политики. ТБ: 1995
53. Гайдар Е.Т., Логика реформы. Ж. "Вопросы экономики", 1993, №2
54. Гелбрейт Дж. Экономические теории и цели общества. М., 1976
55. Долан Дж., Линдсей Д., Макроэкономика. Санкт-Петербург, 1994
56. Долан Дж. и др. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. Москва-Ленинград: 1991.

57. Кейнс Дж.М., Общая теория занятости, процента и денег, М., 1949
58. Джордж Копити. Опыт консолидации бюджетно-налоговой сферы в странах возникших на месте Советского Союза. МВФ. Пер. с англ. Вашингтон, 1993
59. Корнаи Я. Трансформационный спад. - Ж. "Вопросы экономики, 1994. №3.
60. Ламперт Х. Социальная рыночная экономика. Германский путь. М., 1993
61. Лившиц Ф., Экономическая реформа в России и ее цели. - М., 1994.
62. А. Премчанд. Управление государственными расходами. Международный Валютный фонд, пер. с англ. Вашингтон. 1994.
63. Ойкен В. Основы национальной экономики (политэкономии) М., 1993
64. Налогово-бюджетная политика в странах с экономикой переходного периода под редакцией Вито Танзи, МВФ. пер с англ. Вашингтон, 1993.
65. Платежная система: структура, управление и контроль. Под редакцией Брюса Д. Саммерса, МВФ. пер. с англ. Вашингтон 1994
66. Вито Танзи. Налогово-бюджетная политика и экономическая перестройка стран, переходящих к рыночному хозяйству. МВФ. пер с англ. Вашингтон. 1993
67. Савас .С. Приватизация - ключ к рынку,- М., 1992.
68. Сакс Дж., Уорнер, Экономическая конвергенция и экономическая политика. -Ж. "Вопросы экономики, 1995. №5.
69. Фишер С. и др. Экономика, М., 1993
70. Стенли Фишер, Уильям Истерли экономика государственных бюджетных ограничений, МВФ, пер с англ. Вашингтон, 1994.
71. Фридмен М., Капитализм и свобода (отрывки из книги). Ж. "эко". 1991. №7
72. "Финансы", под редакцией В.М. Родионовой, М., 1995.

73. Чантладзе В.Г. К вопросу о понятии финансов, Тб, 1989
74. Хансен; Экономические циклы и национальный доход. Пер. с англ. М, 1959.
75. Хайек Ф, Пагубная самонадеянность, М, 1992
76. Харрис Л, Денежная теория. М, 1990
77. Хейне П. Экономический образ мышления. М, 1991
78. Шаталин С, Гайдар Е. Экономическая реформа, причины, направления, проблемы. М, 1989.
79. Шахова Г.Я. "Макроэкономическое планирование и стабилизация финансов. Ж. "Финансы", 1992, №6.
80. К. Эклунд. Эффективная экономика - шведская модель, М, 1990.
81. Эрхард Л, Благополучие для всех, М, 1991
82. Ясин Е.Г. Судьба экономической реформы в России. Ж. "Вопросы экономики", 1993 №2
83. Jesse Burkhead. Government budgeting, New-York, 1956
84. R.W. Lindholm, Public Finance and Fiscal Policy Washington, 1956
85. K.E. Boulding. Principles of Economic Policy New-York, 1953
86. Samuelson P. Economics. Nith Edition Washington, 1973
87. Henry Laufenburger. Theorie economique et psychologie des Finances publiques, Paris, 1956
88. A. Jkersic, Government Finance and Fiscal policy in Post-War Britain. London, 1956
89. Tanzi, Vito ;Tax Reform and the Move to a Market economy: Overview of the Issues' in The Role of Tax Reform in Central and Eastern European Economies, Paris, 1991
90. Prenchand, A. Government Budgeting and Expenditure Controls, Washington, 1983.

# შინაარსი

შესავალი .....	3
<b>თავი I. ფინანსების არსი და როლი კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში .....</b>	<b>14</b>
1. ფინანსების არსი და როლი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში .....	14
2. ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის უზრუნველყოფა .....	25
3. საქართველოს მსიძე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და კრიზისიდან გამოსვლის გზები .....	34
<b>თავი II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მმართველი ფაქტორები .....</b>	<b>46</b>
1. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და მათი სრულყოფის პროცესი .....	46
2. სახელმწიფო ხარჯების მიზნობრიობისა და ოპტიმალური რეგულირების უზრუნველყოფა .....	62
3. ბიუჯეტური დეფიციტის დაფინანსება და საგარეო ვალის რესტრუქტურისაცია .....	80
<b>თავი III. საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის მნიშვნელობა და მისი ეფექტურობა .....</b>	<b>94</b>
1. ბიუჯეტის ფორმირება .....	94
2. ბიუჯეტური პროცესის სრულყოფა .....	107
3. ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების რეზერვი .....	118
<b>თავი IV. საქართველოს ფულად-საპრაიმტო პოლიტიკის გარდაქმნის მნიშვნელობა და მისი ეფექტურობა და მისი ეფექტურობა .....</b>	<b>131</b>
1. საქართველოს ფულად-საპრაიმტო სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა .....	131
2. საბანკო სისტემის სრულყოფა .....	145
3. ფულის მიმოქცევის რეგულირების მნიშვნელობა .....	163
საქართველოს გარდაამატებელი ეკონომიკის სტაბილიზაციაში	
დასაყენი-რეკომენდაციები .....	184
რეზიუმე ინგლისურ ენაზე .....	207
გამოყენებული ლიტერატურა .....	208

აქტორი - გივი გრიგოლიძის ქე გამსახურდაა არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე.

დაიბადა 1937 წელს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს ასევე წარჩინებით ოსუ ეკონომიკის ფაკულტეტი „ფინანსებისა და კრედიტის“ სპეციალობით. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იყო სახელმწიფო მოღვაწეთა სტეპენდიანტი (სტალინის, ლენინის, პ. მელიქიშვილის). წაკითხული აქვს მოხსენებები მოსკოვის, პეტერბურგის, სვერდლოვსკის, დონეცკის, ტალინის, რიგის, კაუნასის და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. იყო ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აბარებს გამოცდებს ასპირანტურაში, მისი ხელმძღვანელები იყვნენ უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტები პროფესორები: ნიკოლოზ ქოიავა, არჩილ ფანცხავა, მოგვიანებით აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, ასპირანტურაში სწავლების პერიოდში მივლინებული იყო მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს ა. სტრუმილინთან და მის ხელმძღვანელობით იკვლევდა ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების სრულყოფის საკითხებს.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობებზე. ჯერ კათედრის კაბინეტის გამგედ, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ კათედრის გამგის მოადგილედ, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. 1979 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. ხოლო 1994 წელს არჩეულ იქნა კონკურსის წესით უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგედ. აქვს 54 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან სამი წარმოადგენს ქართულ ენაზე პირველ სამეცნიერო-მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც სამი წიგნის სახით არის გამოცემული.

პროფესორ გივი გამსახურდიას ნაშრომებში წარმოდგენილმა დასკვნა-რეკომენდაციებმა თავის დროზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს და ისინი გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებთან ერთად საქართველოს საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროგრამებში, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს პროფესორ გივი გამსახურდიას, როგორც ფინანსისტ-ეკონომიკის აღიარებაზეც. მისი შრომები ნათელყოფენ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერასა და თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანაზე. სადაც კეთილმოსურნე, კრიტიკულ მიდგომასთან ერთად ვლინდება ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე გამოსწორების გზების ძიება.

პროფესორი გივი გამსახურდია დროის სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე: ცენტრალური

კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების თბილისის ზონის ინსპექტორად. ქვეყნის შიდა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების კომისიის მდივანად, სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ, ფინანსთა სამინისტროს ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის მთავარი სამმართველოს უფროსად, ქვეყნის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სხვა თანამდებობებზე. მას ახასიათებს კეთილ-სინდისიერება, პატიოსნება, მაღალი დონის პროფესიონალიზმი და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა. სწორედ აღნიშნულმა თვისებებმა განაპირობა, რომ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ 1997 წელს იგი დასახელებული იქნა ეროვნული ბანკის მმართველთა საბჭოს წევრობის კანდიდატთა შორის.

პროფესორი გივი გამსახურდია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქვეყანაში. როგორც პროფესიონალი ფინანსისტ-ეკონომისტი, გამოირჩევა ფინანსებისა და ფულის თეორიების საკითხებზე ლექციების წაკითხვის მაღალი დონით, კეთილსინდისიერებით, პრინციპულობითა და მომთხოვნელობით, დიდი სიყვარულით სარგებლობს პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში. მას გამოზრდილი ყავს მრავალი ეკონომისტი, მეცნიერი, რომლებიც ამჟამად წარმატებით მუშაობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, საფინანსო-საბანკო სისტემის სხვადასხვა სფეროში. იგი ქვეყნის გარეთაც, მუშობელ სახელმწიფოებშიც დახმარებას უწევს კადრების პროფესიული დონის ამაღლებას, რასაც მოწმობს აზერბაიჯანის სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს წევრად არჩევა. იგი ამჟამად ღირსეულად აგრძელებს, როგორც ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი კათედრის, ქვეყნის ფინანსური მეცნიერების სამეცნიერო ცენტრის - ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დიდ ტრადიციებს და წარმატებით უძღვება სამეცნიერო-სასწავლო მუშაობას, ახალგაზრდა ფინანსისტებისა და საბანკო საქმის სპეციალისტების მომზადებას; იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და ამჟამად უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დაბადების 60 წელთან დაკავშირებით წარდგენილია ღირსების ორდენით დაჯილდოებლად.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

წიგნი გათვალისწინებულია მეცნიერ - მკვლევარების, პედაგოგების, ასპირანტების, ფინანსისტ-ეკონომისტების, საბანკო საქმის სპეციალისტების, ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ფინანსების როლის ამალღებით, საზოგადოების კვლავწარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, სახელმწიფო ბიუჯეტის მმართველი ფაქტორების განსაზღვრისა და სრულად გამოყენების, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემების სრულყოფის, საბანკო ურთიერთობების გარდაქმნის, ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებისა და საერთოდ, თანამედროვე ეტაპზე ფინანსებისა და ფულის თეორიების განვითარების ეროვნული კონცეფციების შექმნის პრობლემებით.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ღურგლიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი კ. რუსიძე  
კორექტორი მ. ჩიკვილაძე

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13.75  
საალრ.-საგამ. თაბახი 11.75

შეკვ. 119 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“, „კაბადონი“,  
თბილისი, გურამიშვილის გამზ. 74